

შიდა ქართლის
ისტორიის უცნობი
ფურცლები

გიორგი სოსიაშვილი

Giorgi Sosiashvili

THE UNKNOWN PAGES
OF THE HISTORY
OF SHIDA KARTLI

გიორგი სოსიაშვილი
Giorgi Sosiashvili

შიდა ქართლის ისტორიის
უცნობი ფურცლები

The Unknown Pages of the
History of Shida Kartli



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ♦ TBILISI

2023

UDC(უკ)94(479.221.1)
ს-704

**უძღვნი ჩემი მეგობრის იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის ხსოვნას.
I dedicate it to the memory of my friend Ioseb (Soso) Alimbarashvili.**

შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები; საქართველოს წარჩინებული საგვარეულოები და წმინდა მიწა; ბოლშევიკური რეპრესიები და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია; გამოჩენილი მეცნიერების და სასულიერო მოღვაწეების ცხოვრების უცნობი ეპიზოდები; ადამიანებით ვაჭრობა გვიანშუასაუკუნეების საქართველოში და მისი მძიმე შედეგები; რუსეთი კოლონიური პოლიტიკა კავკასიაში უცხოელ მოგზაურთა თვალით, ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც წიგნის ავტორი წლებია იკვლევს. კრებულში თავმოყრილ გამოკვლევებს თავის დროზე სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით გაეცნო მკითხველი, თუმცა ნარკვევები გადაუმუშავდა, ზოგი რამ შესწორდა. სამეცნიერო სტატიების ძირითადი ნაწილი საქართველოს უძველეს კუთხეს - შიდა ქართლს ეხება, ამიტომ გადაწყდა მათი ერთად თავმოყრა.

Issues of historical geography of Shida Kartli; Georgia's noble families and holy land; Bolshevik repressions and the Georgian Orthodox Church; Unknown episodes of prominent scientists and clergy; Human trafficking in late medieval Georgia and its severe consequences; Russia's colonial policy in the Caucasus through the eyes of foreign travelers. This is an incomplete list of topics that the author of the book has been researching for years. The readers got to know the research compiled in the collection through scientific periodicals at the time. Some of the essays were reworked, some things were corrected. The main part of the scientific articles refers to the ancient part of Georgia - Shida Kartli, so it was decided to gather them in a single publication.

რედაქტორები: **პროფ. მირიან ხოსიტაშვილი**
პროფ. კახა კვაშილავა

Editors: **Prof. Mirian Khositashvili**
Prof. Kakha Kvashilava

ტექსტის ინგლისური თარგმანი: **ანა ჩოჩია.**
Translation of the text into English: **Ana Chochia**

ნასოფლარი ბენისი, შიდა ქართლი, კასპის მუნიციპალიტეტი.
ღვთისმშობლის ეკლესია. IX-X.

«ქრისტე ღმერთო ...გებისაო რომელსა გაქუს ხელმწიფება წმიდისა და ძეო ყოვლისა ყოველთა ...წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ შეინყალე»
«წმიდაი თევდორე, გიორგი»

ნარწერა ამოიკითხა პროფ. ვალერი სილოგავამ; ფოტო გიორგი მაღრაძის.

Deserted Village Benisi. Shida Kartli. Kaspi Municipality.

Virgin Mary's Church. IX-X centuries.

"Lord Jesus, ... gebisao, the one, who possesses the authority of the Almighty and the Son of the Father... Saint Mary have mercy on..."

"Saint Tevdore, Giorgi"

The inscription has been read by Prof. Valeri Silogava; Photo by Giorgi Magradze.

© გიორგი სოსიაშვილი, 2023

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023

ISBN 978-9941-9867-3-4

გამორჩენილ ადამიანთა ცხოვრების უცნობი ეპიზოდები

ივანე ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილის შესახებ
(დაცულია გორის არქივში)

1921 წლის 25 თებერვალი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. საბჭოთა ანექსიამ დასავლურ სივრცეზე მყარად ორიენტირებული საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაასამარა და ქვეყნის განვითარების გეზი შეცვალა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების თავსმოსხვეულ ძალადობას არ ეგუებოდა. ქვეყანა ბოლშევიკურმა ტერორმა მოიცვა. რეპრესიები თავს დაატყდა ყველა ფენას, ინტელიგენციას და სასულიერო წრეებს.¹

საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში, ხელისუფლების ძალადობას ქართული საზოგადოების არაერთი ცნობილი სახე ემსხვერპლა. იდევნებოდნენ მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ისინი ვისთვისაც მიუღებელი იყო ძალადობის გზით ქვეყნის სათავეში მოსული კომუნისტური რეჟიმი. გამონაკლისი ამ მხრივ, არც ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა. გორის რაიონულ

1 საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 455.

არქივში დაცული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ მძიმე წნეხის შესახებ, რომელიც დიდი მეცნიერის ოჯახი იყო მოქცეული. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ქონების რეკვიზიცია, ჯერ კიდევ მენშევიკური ხელისუფლების დროს განუხორციელებიათ.* ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გორის არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც 1922 წლის 12 სექტემბრით თარიღდება.² სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის კუთვნილ სახლში მენშევიკებმა სკოლა გახსნეს, ხოლო ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სკოლასთან ერთად ჯავახიშვილების საცხოვრებელში ბინა დაიდო ადგილობრივმა რეეკომმა. სახლის დაბრუნების თხოვნით 1922 წლის 15 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს თხოვნით მიმართა. დიდი მეცნიერის წერილში ვკითხულობთ:

* საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში 1918-1921 წ.წ რა დროს ჩამოართვეს ხოვლეში არსებული საცხოვრებელი სახლი ივანე ჯავახიშვილს უცნობია. მეცნიერი პირველი რესპუბლიკის დროს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, მან მონაწილეობა მიიღო ეროვნული დროშისა და სახელმწიფო გერბის შემუშავებაში, ჩართული იყო განათლების რეფორმასა და სამუზეუმო საქმის განვითარებაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაციის წევრადაც შეარჩია. თუმცა, აღნიშნულ კონფერენციაზე მისი გამგზავრება ვერ მოხერხდა. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ, თბ., 2018, გვ. 27-31.

² გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013, გვ. 95.

„შინაგან საქმეთა კომისარს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილის განცხადება

გორის მაზრის სოფ. ხოვლეში მაქვს სახლი თავის კარმიდამოთი, რომელშიც სოფლის სკოლა მოათავსეს და რეგკომიც არის ჩამდგარი. დობე აღებულია და დამწვარი. აქიქ მოაჯირის ნაწილებიც შემაღ დაუწვავთ, ფანჯრებითგანაც მინები ამოუღიათ. ერთი სიტყვით სახლი მთლად გაცარცული და განადგურებულია. რადგან სახლი მე მჭირდება მაგის მეტი არა მქონდა რა, ამიტომ ვთხოვთ განკარგულება გაცვთ, რომ ჩემი სახლი დაუყოვნებლივ განათავისუფლოს რეგკომმა და სკოლამ. სკოლისათვის სხვა შენობა იყო ნაყიდი და ფული ჰქონდათ მიღებული შენობის ასაგებად, თუ ფული დახარჯეს და სახლი არ ააშენეს, ეს მათი ბრალია და არა ჩემი. ამას გარდა ვითხოვ იმ აუნახდაურებელ ზარალის მაგიერ საშუალება მომეცეს ჩემი წინათ საუცხოვოდ და ყოველისფრით მოწყობილი სახლი, აწ გაცარცულ-განადგურებული იმდენად მაინც აღ... (ამ აღვიღზე დოკუმენტი დაზიანებულია და სიტყვა არ იკითხება, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „აღღგეს“-გ. ს.) რომ შიგ დგომა და ცხოვრება შეიძლებოდეს. ხორკლიანი მავთულით და ძეძვით იყო გაკეთე (დოკუმენტი ამ აღვიღზეც დაზიანებულია და სიტყვა ბოლომდე ვერ იკითხება – გ. ს.) ესლა უბრალო ფიჩხის დობე მაინც იქმნეს შემოვლებული. მხოლოდ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავეს ჩემი სოფელში მყოფი სახლი ერთადერთი საზაფხუ-

ლო მყუდრო კუთხე მქონდა და სადაც მუშაობით დაღლილსა და ქალაქის ჰაერით მობეზრებულს ორი-სამი თვის განმავლობაში დასვენება შემეძლო. ოთხი ზაფხული შესრულდა, მეხუთე მიდის, რაც არ დამისვენია. გთხოვთ, სათანადო განკარგულებას, რომ ჩემი სახლი დამიბრუნდეს.

სახელ. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი 1922. 15. VIII.³ როგორც წერილიდან ჩანს, დიდი მეცნიერის საცხოვრებელი სახლი, სადაც სკოლა და რეგოში იყო განთავსებული გაუძარცვავთ და დაუზიანებიათ. დოკუმენტიდან არ ჩანს ქონების ჩამორთმევის ზუსტი თარიღი, თუმცა როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, წერილის დაწერის დროს (1922 წლის ივლისში) მეხუთე ზაფხული სრულდებოდა, რაც უნივერსიტეტის დამაარსებელს მშობლიურ სოფელში ჩასვლის და მამა-პაპისეულ სახლში დასვენების შესაძლებლობა არ ჰქონდა. სახლის რეკვიზიცია სავარაუდოდ 1918 წლის გაზაფხულზე მოხდა, თუ რატომ ეს მიზეზი უცნობია.

ივანე ჯავახიშვილის მიერ ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილს რეზოლუციის სახით მიწერილი აქვს: „კომუნალურს დაჩქ. (კომუნალურს დაჩქარებით). 16. VIII. როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დიდი მეცნიერის წერილი განსახლილველად კომუნალურ განყოფილებას გადასცა. კომუნალურმა განყოფილებამ სავარაუდოდ ივანე ჯავახიშვილის თხოვნა დააკმაყოფილა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სპეციალ-

3 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, № 3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 29-30.

ური სამსახურებრივი ბარათიც წარუდგინა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან გორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე 1922 წლის 31 აგვისტოს გაგზავნილი წერილი:

„გორის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს.

გიგზავნით რა ამასთანავე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ივანე ჯავახიშვილი განცხადებას განკარგულებისათვის, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ხსენებული ჯავახიშვილის ერთის მხრივ უანგარო საზოგადოებრივ მოღვაწეობა სამეცნიერო დარგში და მეორეს მხრივ მისი ქონებრივი შევიწროება, რომელიც ამ უამად გართულებულია, მისი ავადობიდაც, და ამოწურვით ყოველი საშუალება, რათა ამ განცხადებაში აღნიშნული სახლი თავის კარმიდამოთი დაებრუნოს მას სრულ განკარგულებაში, და შედეგი ამისა მაცნობოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ტალახაძე

საქმეთა მმართველი (გაურკვეველად არის ხელმოწერა, სავარაუდოდ უნდა იყოს ცინცაძე გ.ს.)

კომუნალური განყ. გამგე პ. კიზირია.⁴ ვიდრე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან გამოგზავნილი წერილი გორის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის სხდომაზე განიხილებოდა გორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს აღნიშნულ წერილზე რეზოლუციის სახით მიუწერია:

„ერთი რომ სახლი მენშევიკების ყოფილი მთავრობის დროს იყო ჩამორთმეული მეორე რომ ადგი-

4 საქართველოს არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, № 3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 28.

ლობრივ გლეხებს შორის გამოიწვევს დიდ აღელვებას და მესამე ერთად ერთი სახლია სადაც შკოლა არის მოთავსებული და სხვა სახლი იქ არ არის სკოლისათვის.“⁵ აღნიშნული მინაწერიდან უნდა დავასკვნათ, რომ გორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ქურდაძემ ივანე ჯავახიშვილის ქონების საკითხი განსახილველად ადგილობრივ პრეზიდიუმს გადასცა. გორის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის ქონებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გამოგზავნილი წერილი უნდა განეხილა 1922 წლის 12 სექტემბერს ჩატარდა. სხდომას თავმჯდომარეობდა მოწონელიძე. თავმჯდომარის გარდა სხდომას ესწრებოდა ხუთი წევრი: გიორგაძე, ქურდაძე, ბუხნიკაშვილი, იანოვიჩი, ყანჩელი. აქედან სხდომის მდივანი იყო-გრიგოლ ყანჩელი.

გორის არქივში ინახება გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ჯავახიშვილის სახლის დაბრუნების შესახებ,“ დადგენილების ნაწილში ვკითხულობთ: „დაადგინეს: ვინაიდან პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სახლი ჯერ კიდევ ყოფილ მენშევიკების მთავრობის მიერ ყოფილა რეკვიზიციით ჩამორთმეული და მის უკან დაბრუნებით ადგილობრივ გლეხებს შორის გამოიწვევს დიდ აურზაურს და უკმაყოფილებას და მესამე სახლში მოთავსებულია შრომის სკოლა და მისი დახურვა შეუძლებელია, რადგან

⁵ საქართველოს არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, № 3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 28.

სხვა შესაფერისი შენობა სკოლისათვის სოფ. ხოფლემში არ მოიპოვება, ამიტომ სახლის დაბრუნებაზე უარი ეთქვას.⁶ გორის აღმასრულებელ კომიტეტს პრეზიდენტის დადგენილების ასლი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისთვის გაუგზავნია:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

თქვენს ა/წ აგვისტოს 31 № 8806 მოწერილობაზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ივანე ჯავახიშვილისათვის სახლის დაბრუნების შესახებ გიდგენთ გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდენტის დადგენილების ასლს მოგახსენებთ, რომ აღმასკომს შეუძლებლად მიაჩნია სახლის უკან დაბრუნება. აღმასკომის თავმჯდომარე:

მდივანი:⁷ (აღნიშნული ტექსტი ფანქრით არის ნაწერი, სადაც არ არის მითითებული არც აღმასკომის თავმჯდომარის და არც მდივნის ვინაობა. როგორც ჩანს, ეს დოკუმენტი შინაგან საქმეთა კომისართან გასაგზავნი წერილის პროექტია. გაგზავნილი ვარიანტი ჯერ მიკვლეული არ არის. არ გამოვრიცხავთ, რომ ცენტრალური ხელისუფლება ოფიციალური წერილებით (ივანე ჯავახიშვილის დასარწმუნებლად) გორის აღმასკომს ავალებდა დიდი მეცნიერის სახლის დაბრუნების საკითხის განხილვას და დადებითად გადაწყვეტას, ხოლო არაფორმალურად ის ქონების დაბრუნებას ძალით აჭიანურებდა. ივანე ჯავახიშვილისათვის საცხოვრებლის დაბრუნების საკითხის განხილვა რამდენიმე თვე გაგრძელდა. გორის რაიონულ არქივში კიდევ ერთი დო-

6 იქვე, ფონდი №3; ანაწერი 1, არქივი 12; ოქმი №29, გვ. 47-49.

7 საქართველოს არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, №3, საქმე №11, აღწერა № 2, გვ. 27.

კუმენტია დაცული, რომელიც ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერს წარმოადგენს. როგორც ირკვევა, სხდომა 1923 წლის 3 მარტს ჩატარდა: „ამონაწერი ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმიდან 1923 წ. 3 მარტის კრებისა. ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის შესახებ. მოისმინეს: ხოვლის სასწავლებლის შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილებს, რომელი შენობაც გამოირკვა, რომ სოფ. ხოვლისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს, დაადგინეს: ჩამორთმეული იქნას ჯავახიშვილების სახლი და გადაეცეს ხოვლის სასწავლებელს აღმასკომის განკარგულებაში.“ დოკუმენტს ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე ჩიტიაშვილი და მდივანი მეზურნოვი. პრეზიდიუმის სხდომა, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა 1923 წლის 3 მარტს, ხოლო სხდომის ოქმის ამონაწერი შედგენილია 1924 წლის 15 აპრილს.⁸ ივანე ჯავახიშვილს რომ საცხოვრებელი სახლი არ დაბრუნებოდა, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ადგილობრივმა თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა კიდევ უფრო გაართულა ქონების გადაცემის საქმე. ახალქალაქის თემის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას ადასტურებს ერთი დოკუმენტიც, რომელიც ახალქალაქის თემში ქონებაჩამორთმეული მემამულეების ნუსხაა. აღნიშნულ ნუსხაში მითითებული არიან ივანე და გიორგი ჯავახიშვილები, რომელთაც აღმასკომის

⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3; საქ. №25, აღწერა №1, გვ. 21.

1923. III, №14 გადაწყვეტილებით საცხოვრებელი სახლი ჩამოერთვათ. შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მათი სახლი დანგრეული იყო. ეს ერთგვარ ხრიკად გამოიყენეს იმისათვის, რომ ხელისუფლებას მთავრობის ერთ-ერთი დადგენილების თანახმად ჯავახიშვილების საცხოვრებლის ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემისათვის გამართლება მოეძებნა.⁹ არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი ხელისუფლებამ ხოვლეს სკოლას გადასცა, საბუთს აწერია: „გორის რაიადმასკომების გამგებლობაში მყოფი როგორც სახელმწიფო, ისე ჩამორთმეული ყველა ქონება.“ აღნიშნულ ნუსხაში მოხსენიებულია ხოვლეში მცხოვრები გიორგი ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილის უმცროსი ძმა), რომელსაც მიწის რევეკომის №14 გადაწყვეტილებით ჩამოერთვა სახლი (სწორედ ის საცხოვრებელი, რომელსაც ეხება ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები) 2 წისქვილი, ვერმორელის აპარატი 1 ცალი, დოკუმენტს ახლავს შენიშვნები, სადაც აღნიშნულია, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი გადაეცა ხოვლეს სკოლას.¹⁰ დოკუმენტი 1924 წლით თარიღდება. საბჭოთა ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილისადმი შემთხვევითი არ იყო. ბოლშევიკებმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ დიდი ივანე დამოკ-

9 გ. სოსიაშვილი, XX საუკუნის I მეოთხედის უცნობი დოკუმენტები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების შესახებ, წიგნში: შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, გვ. 79.

10 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3; საქ. №101. აღწერა №1, გვ. 9.

იდებულება საქართველოს ოკუპაციისადმი, მის უნდობლობა და ანტიპატია ძალადობრივი გზით მოსული მთავრობისადმი. ივანე ჯავახიშვილის გამორჩეული ავტორიტეტიდან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლება თავდაპირველად სიფრთხილეს იჩენდა უნივერსიტეტის დამაარსებლისადმი და მას ხელშეუხებლობის გარანტიაც მისცა.¹¹ მომდევნო წლებში განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წამოწყებულმა რეფორმამ რაც უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა, დიდი მეცნიერი იძულებული გახდა 1923 წლის 26 იანვარს რექტორის თანამდებობა დაეტოვებინა. თუმცა, უნივერსიტეტის პროფესურის ძალისხმევით, განათლების სახალხო კომისარმა დ. კანდელაკმა თხოვნით მიმართა მეცნიერს და ივანე ჯავახიშვილი 1923 წლის 30 მარტს კვლავ რექტორის პოზიციაზე დაბრუნდა. აშკარა იყო, რომ ბოლშევიკები უნივერსიტეტში თავმოყრილი ინტელიგენციის განაწყენებას მოერიდნენ და კომპრომისზე წავიდნენ, თუმცა ეს დროებითი მანევრი იყო. დიდი მეცნიერის წინააღმდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლების მიერ წამოწყებული კამპანია მალე განახლდა.¹² რასაც ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის უნივერსიტეტის რექტორობიდან ჩამოშორება და მის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის დაწყება მოჰყვა.

11 ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა თბ., 1984, გვ. 276.

12 ვ. გურული, ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტისა და საქართველოს ტრაგედია 1930-1936 (დოკუმენტები და მასალები) კრებულში: „პოეტური სულის მეცნიერი, გიორგი ნადირაძე 80,“ თბ., 2012, გვ. 127-148.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ქრისტეფორე ციციქიშვილის ცხოვრების უცნობი ფურცლები

1921 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქართული საზოგადოება უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანას რეპრესიები დაატყდა. ქართული ეკლესია, ათეისტური მმართველობის წნეხის შედეგად გაუსაძლის პირობებში მოექცა. მშრომელთა ინტერესებს ამოფარებულმა ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებზეც.¹³

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს მიიღო №22 დეკრეტი, რომლის

13 გ. სოსიაშვილი. კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით). აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციის მასალები. თბ. 2014, გვ. 224; G. Sosiashvili, The religious conditions of the Jewish people in the Georgia region in the first quarter of the 20th century (during the period of repression). Occasional Papers on Religion in Eastern Europe (OPREE). Vol. 34. Iss. 3/2. Available at: <http://digitalcommons.george-fox.edu/ree/vol34/iss3/2/>; G. Sosiashvili. Educational Aspect of the "Red Terror" Against Religious Confession Exiting in Georgia, International Conference on Education and Learning Technologies. Barcelona. 2013, EDULEARN Abstracts – ISBN 978-84-616-3823-9; G. Sosiashvili. The Orthodox Church and Religious Minorities in Shida Kartli Region in Georgia in the First Quarter of the Twentieth Century Occasional Papers on Religion in Eastern Europe (OPREE): 2017, Vol. 37: Iss. 5, Article 4. Available at: <http://digitalcommons.george-fox.edu/ree/vol37/iss5/4/>; G. Sosiashvili. Armenian Church in Gori in the Early Soviet Years. "Banber Yerevani hamalsarani. Armenian Studies". 2017, № 3 (24), p. 64-73.

მე-14, მე-15 მუხლებში აღნიშნული იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად.“¹⁴ როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ბოლშევიკებმა ეკლესია ყოველგვარი უფლების გარეშე დატოვეს, ხოლო რელიგიურ საზოგადოებებს კი იურიდიული სტატუსის მოპოვების პერსპექტივა მოუსპეს. ბოლშევიკებმა მართლმადიდებლური ეკლესიების ძარცვა დაიწყეს. ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო. ბოლშევიკებმა ე.წ. „უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს. პარტიული აქტივისტები იტაცებდნენ საეკლესიო ქონებას. ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიები დაატყდა არა მარტო დაბალი იერარქიის სასულიერო პირებს, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრებსაც. ეკლესიის მიმართ ხელისუფლების განწყობის შესახებ, ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის სიტყვები, რომელიც მან 1921 წლის 14 სექტემბერს მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარში აღსაყდრების დროს წარმოსთქვა:

„მამამთავრობის ტვირთის სიმძიმე? მაგრამ ვინ

14 ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927). თბ. 2009, გვ. 71.

ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა. მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიძულვილითა და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნობა გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამაშკარავება.¹⁵ აღსაყდრებისას პატრიარქის მიერ გამოთქმული საწუხარი შემთხვევითი არ იყო. ბოლშევიკებმა ეკლესიების დახურვასთან ერთად სასულიერო პირების დევნა დაიწყეს. ქვეყანაში არსებული ბოლშევიკური ტერორის შესახებ 1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გენუის კონფერენციას მიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. კონფერენციაზე გაგზავნილ მიმართვაში პატრიარქი ცივილიზებულ სამყაროს იმ საშინელ ვითარებას აცნობდა, რაც საქართველოში დაატრიალეს ბოლშევიკებმა. წერილში საუბარი იყო ქართული საზოგადოების და მართლმადიდებლური ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობაზე.¹⁶ კათალიკოს-პატრიარქმა არც გენუის კონფერენციის შემდეგ შეწყვიტა ბოლშევიკური ეკლესიის მხილება. ხელისუფლებამ სულ მცირე ხანში უწმინდესი დააპატიმრა. პატრიარქთან ერთად მძიმე რეპრესიები დაატყდათ ქართული სამღვდლოების სხვა წარმომადგენლებს. კათალიკოს-პატრიარქს 1923 წლის 29 ივლისს ინგლისის მუშათა კომიტეტის „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“ გენერალ-

15 ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), გვ. 75.

16 ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბ., 2004, გვ. 547-550.

ური მდივანი კოუტსი შეხვდა. უცხოელი სტუმარი საბჭოთა რუსეთში სამოგზაუროდ იყო ჩამოსული. იგი დასაყვამთში საბჭოთა რუსეთის პროპაგანდას ეწეოდა. კათალიკოს-პატრიარქი კოუტსთან საუბარში ღიად ამბობდა:

„მაგრამ მე ჩემი მდგომარეობა იმდენად საყურადღებოდ არ მიმაჩნია, როგორც მორწმუნე ერისა, ეკლესიისა და საზოგადოდ სამღვდელთებისა, როგორც ის გარემოება, რომ ჩემი გულისთვის ეს შეიდი თვეა ციხეში იტანჯებიან უდანაშაულოდ საკათ[ალიკოზო] საბჭოს წევრნი და სხვა მოსამსახურენი და ცენტრალური მართვა-გამგეობის აპარატი დაშლილია. ეს მტანჯავს და მოსვენებას არ მაძლევს.“¹⁷ ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო, რაც საზოგადოებაში ღიდ აღშფოთებას იწვევდა. სასულიერო პირების რეპრესიების გამო ეკლესიის მსახურნი თავადვე ამბობდნენ უარს სასულიერო მოღვაწეობაზე. თავისი ხელით იხდიდნენ ანაფორას. მოღურნი გახდა მღვდლების გაკრეჭვა, ამას სასულიერო პირები ხშირად თავისი ნებით აკეთებდნენ, რომ ამით ხელისუფლების რისხვა თავიდან აეცილებინათ.¹⁸ ბოლშევიკები სოფლის ეკლესიებში მოღვაწე მღვდლებს მიწის ნაკვეთების გადაცემაზე უარს ეუბნებოდნენ და მათ სარჩო-საბადებლის

17 ნ. შიოლაშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის უცნობი ხელნაწერი – საუბარი ინგლისის მუშათა ორგანიზაციის წევრ კოუტსთან. კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი“ (გიორგი ნადირაძე – 80). თბ. 2012, გვ. 289-290.

18 საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-ანი წლები). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ. 2013, გვ. 462-464.

გარეშე ტოვებდნენ. ისინი იძულებულნი ხდებოდნენ საეკლესიო მსახურებაზე უარი ეთქვათ. გორის არქივში დაცული მასალების მიხედვით ნათელი ხდება, რომ გორის სამაზრო აღმასკომმა 1923 წელს გააფთრებული ბრძოლა გააჩაღა ეკლესიების დახურვის და სასულიერო პირთა დისკრედიტაციის მიზნით. ერთ-ერთ ცირკულარში ვკითხულობთ:

„ცირკულიარულად საიდუმლოდ
ფრ. სასწრაფო

ყველა თემის აღმასკომის თავმჯდომარეებს
სამაზრო აღმასკომი გავალებთ ფრიად საჩქაროთ
მოაწოდლოთ ცნობები ქვემო აღნიშნულ კითხვების
მიხედვით.

1. რამდენი ეკლესიაა მაზრაში (სინაგოგები,
მეჩეთები), მათში

- ა) სოფლად
- ბ) ქალაქებში
- გ) რამდენში ხდება წირვა-ლოცვა
- დ) რამდენში არა

2. რამდენი ეკლესიაა დაკეტილი
მცხოვრებლების მიერ, მათში

- ა) სოფლად
- ბ) ქალაქებში
- გ) რამდენში ხდებოდა წირვა-ლოცვა
- დ) რომელშიაც არ ხდებოდა

3. რამდენი ეკლესია დარჩა დაუხურავი

- ა) სოფლად
- ბ) ქალაქებში

4. რამდენი მონასტერია

5. რამდენია დაკეტილი მათში
 - ა) მამაკაცების
 - ბ) ქალების
 6. რამდენმა ეკლესიის მსახურმა (მღვდელმა, დიაკვნებმა) დაანებეს ეკლესიას თავი
 7. რამდენმა გაიკრიჭა თავის სურვილით.
 8. რამდენი იქმნა გაკრეჭილი ძალით.
 9. რამდენი მღვდელია მაზრაში, რომელნიც აშკარად გამოდიან პროპაგანდით სარწმუნოების წინააღმდეგ.
 10. რამდენი ეკლესიაა ფაქტიურად გადაკეთებული კლუბებად, ბიბლიოთეკებად ან სხვა კულტურულ დაწესებულებად.
 11. რამდენი იყო შემთხვევა სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ.
 12. ხდება თუ არა წირვა-ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ.
 13. ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად.
- 22 მაისი 1923 წ. №3139 შინა მმართველობის განკ.

გამგე (ცხოვრებაშილი) მდივანი (მაღიევი)⁴⁹

ბოლშევიკებმა სასტიკი ტერორი განახორციელეს სრულიად კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ. ხელისუფლებამ საეკლესიო წრეებშიც შეიტანა განხეთქილება და არაერთი უმაღლესი საეკლესიო იერარქი გადმოიბირა. 1922 წლის 13 ივნისს, საპატრიარქო სასახლეში მიმდინ-

19 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. აღწერა №1. საქმე №37, გვ. 4.

არეობდა საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, სადაც მივიდნენ „ჩეკას“ წარმომადგენლები და გამოაცხადეს, რომ კათალიკოსი დაკითხვაზე მიჰყავდათ ჩეკას თავმჯდომარესთან. პატრიარქმა ეკლესიის დროებითი მმართველობა მანგლელ-ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორე ციცქიშვილს ჩააბარა. 1922 წლის 17 ნოემბერს ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას საპატრიარქო სასახლე ჩამოართვა. პატრიარქი ამბროსი შინაპატიმრობაში დარჩა.²⁰ 1923 წლის 13 ივნისს, საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ჩეკას) გადაწყვეტილებით დაპატიმრებულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა. ეკლესიის დროებითი მმართველობა ქრისტეფორე ციცქიშვილის ხელში გადავიდა.²¹ როგორც აღინიშნა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საეკლესიო იერარქებს შორის განხეთქილება შეიტანა. მაღალი სასულიერო პირების ერთი ნაწილი შეურიგებელი იყო საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ. მათ წარმომადგენლებს ბოლშევიკები სასტიკად დევნიდნენ. ხოლო სასულიერო პირთა ერთი ჯგუფი ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და დიალოგს ამჯობინებდა. სწორედ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მომავალი პატრიარქი ქრისტეფორე, რომელიც თვლიდა, რომ ეკლესიის გადასარჩენად ბოლშევიკებთან დათმობაზე წასვლა გარდაუვალი

20 ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ). თბ. 2009, გვ. 47.

21 იქვე, გვ. 48.

აუცილებლობა იყო.²² ქრისტეფორე ციციქიშვილს საბჭოთა ხელისუფლებასთან დიალოგის თვალსაზრისით მხარს უჭერდნენ ისეთი მაღალი იერარქები, როგორებიც იყვნენ: დავით კაჭახიძე, ნესტორ ყუბანიშვილი, სვიმონ ჭელიძე. აღნიშნულმა ჯგუფმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ბოლშევიკების მიერ განხორციელებული ტერორის მიზეზად ის ტექსტი მიიჩნია, რომელიც პატრიარქმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა.²³ ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ტერორს შეეწირა. წამებული მღვდელმთავარი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა. საპატრიარქო ტახტი ქრისტეფორე III დაიკავა, რომლის აღსაყდრება 1927 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობას მოხდა. ხელისუფლებისათვის ქრისტეფორეს კანდიდატურა მისაღები იყო. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ვლადიმერ დეკანოზოვის ინფორმაციით, საეკლესიო კრებაზე, სადაც ახალი პატრიარქი უნდა აერჩიათ დაპირისპირება მოხდა პატრიარქ ამბროსის და ქრისტეფორეს მომხრეებს შორის. უპირატესობა საბოლოოდ ქრისტეფორეს ჯგუფმა მოიპოვა. ამბროსის მომხრეებმა საეკლესიო კრება პროტესტის ნიშნად დატოვეს. როგორც დეკანოზოვი აღნიშნავს, ახალი პატრიარქი ქრისტე-

22 ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 48.

23 იქვე, გვ. 50.

ფორე ბოლშევიკების მიმართ სიმპატიებს გამოხატავდა და მწვავედ უპირისპირდებოდა მენშევიკური მთავრობის წევრებს.²⁴ მიუხედავად არსებული ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულისა, სულ მალე ახალი პატრიარქიც ბოლშევიკური წინების ქვეშ აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი წამოიწყო. 1928 წლის მდგომარეობით მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა 1450-დან 350-მდე შემცირდა. ღვთისმსახურთა რიცხვი კი 1600-დან 300-მდე. 1928 წელს საქართველოში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, ხოლო 1930 წელს კი ანტირელიგიური უნივერსიტეტი.²⁵ დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, ეკლესიის მიმართ განხორციელებული ტერორის შესახებ აღნიშნავდა: „საქართველოს ეკლესია სულს დაფავს... თუ ასე გაგრძელდა კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე უსამწყსო და უსამღვდელო კათოლიკოსი დარჩება.“²⁶ კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III 1928 წლის 1 ოქტომბერს იძულებული გახდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი საპროტესტო წერილით მიემართა და ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიმართ განხორციელებული ძალადობა დაეგმო.²⁷ კათალიკოს-პატრიარქი ერთი ეპარქიიდან მღვდელმთავრის სხვა ეპარქიაში გადაყვანას ადგილობრივ ხელისუ-

24 ს. ვარდლოსანიძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ). გვ. 117.

25 იქვე, გვ. 118.

26 იქვე.

27 იქვე, გვ. 119.

ფლებას უთანხმებდა. ამას ასახავს გორის არქივში დაცული წერილი, რომელსაც ხელს აწერს ქრისტეფორე III. წერილში ვკითხულობთ: გორის რაიალმასკომს, ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი სიმეონი განთავისუფლებულია ურბნისის ეპარქიიდან ქუთაის-გენათის ეპარქიაში გადაყვანის გამო, ხოლო ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მართვა დროებით მინდობილი აქვს ეპისკოპოზ ევრემს. აღნიშნულს ვაცნობებ გორის რაიალმასკომს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციციქიშვილი) 1930 წ.²⁸ ქრისტეფორეს ასეთი მოქმედება მის მიერ შემუშავებული გარკვეული ტაქტიკა იყო, რაც ბოლშევიკებს ნამდვილად არ გამოეპარებოდათ. ამან ვერ შეაჩერა პატრიარქის ოჯახის მიმართ დაგეგმილი ძალადობა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ხელისუფლებამ სურამში არსებული საცხოვრებელი სახლი ჩამოართვა. კათალიკოსმა 1930 წლის იანვარში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნების თხოვნით მიმართა, რაზეც მან დადებითი პასუხი მიიღო, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კერძოდ, სურამის აღმასკომმა მას ქონება არ დაუბრუნა. ამის გამო პატრიარქმა 1930 წლის 2 თებერვალს გორის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ასეთი შინაარსის წერილი გაგზავნა: „მე და ჩემს შვილებს გვაქვს სურამში სახლი, რომელიც ადგილობრივმა აღმასკომმა დაგვიბეჭდა და წინადადება მოგვცა

28 გ. სოსიაშვილი, მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში. თბ. 2014, გვ. 17-18.

მიგვეტოვებინა. სახლის ჩამორთმევის შესახებ ჩვენ ვთხოვეთ ც.ა.კ.ს-ს, რომელმაც შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და დაადგინა დაგვიბრუნდეს სახლ-კარი. მიუხედავად ამისა სურამის აღმასკომმა სახლი ჯერ არ ჩაგვაბარა. გთხოვთ განკარგულებას მიეცეს წინადადება, ვისაც ჯერ არს, რათა შესრულებული იქნეს ც.ა.კ.ის დადგენილება. 2/II 30 წ. ციციქიშვილი.²⁹ როგორც ჩანს, ამ თხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო და კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ქონების დაბრუნების თხოვნით სსრ-ის და ამიერკავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას განმეორებით მიმართა. წერილში ვკითხულობთ: „მე და ჩემს ძმას კირილე ციციქიშვილს ამა წლის იანვარში ჩამოგვართვეს სახლები გორის ოლქის სოფ. ჯაფინაურში (სურამის ნაწილია), რადგანაც ჩვენ ვართ კულტის მსახურნი და ამ მიზეზით გვაკუთვნებენ კულაკთა კატეგორიას. ჩემის სახლიდან გამოასახლეს ჩემი ქალიშვილი ელენე და თან აგვიკრძალეს სურამში ცხოვრება. მე ვთხოვე სსსრ-ის ცაკს დაებრუნებინათ ჩემთვის სახლ-კარი და ცაკმაც ინება ამა წლის 16 იანვრის დადგენილებით დაეკმაყოფილებია ჩემი თხოვნა, რის შესახებაც მიეწერა გორის აღმასკომს, მაგრამ ეს დადგენილება დღესაც არ არის სისრულეში მოყვანილი ადგილობრივ, თუმცა ჩემმა ქალმა, ელენე ციციქიშვილმა სთხოვა ამის შესახებ სურამის აღმასკომს. გამოასახლეს აგრეთვე თავის სახლიდან. ჩემი ძმაც კირილე ციციქიშვილი, რომელიც იყო ადგილობრივ მღვდლად. იგი თავის შვილებით

29 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 459.

ეკუთვნის ლატაკთა კატეგორიას და თუ მღვდლობდა დღემდე, მღვდლობდა მორწმუნეთა სურვილით და ამასთან დაიმედებული საბჭოთა კანონებზე, რომლებიც მას ნებას აძლევდა მღვდლობაზე. სხვა დანაშაული ამას არ მიუძღვის წინაშე საბჭოთა ხელისუფლებისა და ან სხვა მიზეზი ამის გორის ოლქიდან გადასახლებისა არ მოიპოვება. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება მოიყვანონ სისრულეში ცაკის დადგენილება ამა წილს 16 იანვრიდან ჩემი სახლის ჩემდა დაბრუნების შესახებ. მასთანავე გთხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს ყოველად უნებელი და ლატაკი კაცი, ჩემი ძმა კირილე ციცქიშვილი დააბრუნოთ თავის ცოლშვილით თავისსავე სახლში და დაუბრუნოთ ჩამორთმეული მცირე ფასის მისი ქონებაც.

კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციცქიშვილი:“

აღნიშნულ წერილს ფანქრით, გაკრული ხელით აქვს მინაწერი: „როგორც გამოირკვა კათალიკოს ციცქიშვილს არ დაბრუნებია ქონება. რადგან ჩასაბარებლად იგი სურამის საბჭოში არ გამოცხადებულა. რაიადმასკომის მიერ სას. საბჭოს აქვს განკარგულება ქონების დასაბრუნების შესახებ. რაც შეეხება კათალიკოსის ძმას კირილეს იგი გასახლებულია, მაგრამ თავის ნებით ჩასახლებულა სახლში. ჩამო(...)³⁰ კათალიკოსის აღნიშნული წერილი 1930 წლის 14 მარტით თარიღდება. მას აქვს ასეთი სახის მინაწერი რეზოლუციის სახით „საიდ. (სავარაუდოდ უნდა ეწეროს საიდუმლოდ), გორის

30 ამ ადგილზე მინაწერი წყდება და წინადადების შინაარსის გარკვევა შეუძლებელია.

ოლქის აღმასკომს მოეთხოვოს ახსნა-განმარტებები ამ საკითხის გარშემო. რეზოლუციას გაკრული ხელმოწერა აქვს, ჩვენი აზრით ის წერილის ადრესატს მიხა ცხაკაიას უნდა ეკუთვნოდეს.³¹ როგორც ჩანს, ცაკის გადაწყვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ სისრულეში კვლავ არ მოიყვანა. კათალიკოსისათვის ქონების გაცემა ჭიანჭურდებოდა. ამას ადასტურებს 1930 წლის 14 აპრილით დათარიღებული ქრისტეფორე ციციქიშვილის კიდევ ერთი წერილი. „სრულიად საქართველოს სსრ-ის ცაკის თავმჯდომარეს

კათალიკოს-პატრიარქის

ქრისტეფორესაგან განცხადება

ამა წლის იანვარში მე მივართვი სრულიად საქართველოს სსრ-ის ცაკს განცხადება, რომლითაც ვითხოვდი მოეხდინა განკარგულება დაებრუნებინათ ჩემთვის სახლი თავის ეზოთი და ბაღ-ვენახით (ბაღ-ვენახი ზომით 0.13 დესეტინა), რომელიც მდებარეობს სურამის ნაწილში, სოფელ ჯაფინაურში. ეს სახლკარი სურამის აღმასკომმა ჩამომართვა, ჩემი ქალიშვილი, რომელიც იმ უამად იქ ცხოვრობდა და ავადაც იყო, გამოასახლა და დატუსაღების მუქარით აუკრძალა სურამის რაიონში ცხოვრება. მე ამ ზომით ვიქმენ ვითომ განკულაკებული, მაგრამ რა კულაკურის მეურნეების წარმოება შეიძლება 0.13 დესეტინა ბაღ-ვენახში, ეს ყველასათვის ცხადია. საქართველოს სსრ-ის ცაკმა ამა წლის 16 იანვარს ინება ჩემი თხოვნის დაკმაყოფილება და შესაფერი განკარგულებაც გაუგზავნა გორის აღ-

31 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 525.

მასკომს, მაგრამ გადაწყვეტილება ადგილობრივ არ მოიყვანეს სისრულეში. როდესაც მივაკითხე სურამის აღმასკომს შეიღების პირით საქმის სისრულეში მოყვანა, ხან დატუსაღებით დაემუქრნენ და ხან კიდევაც დაატუსაღეს. ჩემი ბალ-ვენახის გარეშემო მეზობელ მეურნეობათა კოლექტივიზაცია არ მომხდარა და თუ მოხდება, ჩემი ბალ-ვენახიც შეიტანონ შიგ და შეიყვანონ ჩემი შეიღები, რომელთაც არჩევნების ხმა აქვთ და რომელნიც მონაწილენი არიან სახლკარისა და ბალვენახისა, თუმცა ჩემგან სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. გთხოვთ, მოახდინოთ სასწრაფოდ განკარგულება, რათა სახლ-კარი ჩამბარდეს მე და ამის შესახებ მიბოძოთ ხელში სათანადო საბუთი ადგილობრივ ხელისუფლებათადამი წარსადგენად. უკვე ძალაშია გაზაფხული და ჩემს ბალ-ვენახს ვერც მე ვაკეთებ, ვერც სხვა. საქმე ცაკის მიერ უკვე გადაწყვეტილია და უნდა მხოლოდ სისრულეში მოყვანა. მოქალაქე კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე, 1930 წლის 14 აპრილი.“ კათალიკოსის წერილს ახლავს მინაწერი: „ასეთივე შინაარსის განცხადება მირთმეული მაქვს ცაკის თავმჯდომარისადმი ა/წ. 6 მარტს, ხოლო ცაკის სამდივნოსადმი 14 მარტს. შეპირება იყო დადგენილების ასრულებისა, მაგრამ ადგილობრივ მაინც უარია. კათ.-პატ. ქრისტეფორე.“³² კათალიკოს-პატრიარქის განცხადების საფუძველზე საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გორის ოლქის აღმასკომს წერ-

32 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 622-623.

ილი გაუგზავნა. დოკუმენტს, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ახლავს, 1930 წლის აპრილით თარიღდება (რიცხვი არ აწერია). ცენტრალური ხელისუფლებიდან გორში გაგზავნილ წერილს ხელს აწერს. სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სამდივნოს გამგე ულენტი და საიდუმლო ნაწილის გამგე გოგიჩაიშვილი. წერილს დანართის სახით ახლავს კათალიკოს-პატრიარქის ზემოთ ნახსენები წერილი, რომლის ადრესატი იყო მ. ცხაკაია. გორის ოლქის აღმასკომისადმი გადაგზავნილ წერილში კითხულობთ: „ს.ს. ცაკის პრეზიდიუმის სამდივნო გიგზავნის, რა ამასთანავე კათალიკოს ქრისტეფორეს განცხადებას მისთვის სახლის და მიწის ჩაუბარებლობის გამო ს.ს. ცაკის თავმჯდომარეს დავალებით გთხოვთ საჩქაროთ წარმოადგინოთ ახსნა განმარტება მიზეზი ს.ს. ცაკის დადგენილების და მომართვების შეუსრულებლობისა. დანართი: ერთ. ფურც. ს.ს. ცაკის პრეზ. სამდივნოს გამგე ულენტი, საიდუმლო ნაწ. გამგე გოგიჩაიშვილი.“³³ გორის რაიაღმასკომის კომიტეტის მდივანმა ლ. პარკაძემ ვინმე ს. ნასარიძეს დაავალა აღნიშნული საკითხის მოკვლევა. ამას მოწმობს ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია: „ამხ. ს. ნასარიძეს პირადად მიდით ადგილზე და შეამოწმეთ არის თუ არა ცაკის დადგენილება სისრულეში მოყვანილი კატალიკოს ციცქიშვილის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ.“³⁴

33 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 621.

34 იქვე, გვ. 524.

ს. ნასარიძემ ადგილზე შეისწავლა კათალიკოს-პატრიარქის ჩამორთმეული ქონების საკითხი და გორის ოლქის აღმასკომს ასეთი შინაარსის სამსახურებრივი ბარათი გაუგზავნა: „თანახმად თქვენი განკარგულებისა ადგილობრივ შევამოწმე ცაკის მოწერილობის შესრულება კათალიკოს ციციქიშვილი ქონების დაბრუნების შესახებ. რაიადმასკომის განკარგულება სურამის სას. საბჭოს მიმართ ა. წ. აპრილის 2 და № 38/II სურამის სას. საბჭოს არ შეუსრულება, რადგან საბჭოში განკარგულების მიღების შემდეგ არავინ გამოცხადებულა ქონების ჩასაბარებლად და ასეთი დაუყოვნებლივ ჩაბარდება ციციქიშვილს ან მისი რწმუნებულის გამოცხადებისთანავე. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ კათალიკოსის ძმას კირილე ციციქიშვილის ქონების დაბრუნებას, გარემოება ასეთია: კირილე ციციქიშვილი გასახლებული იყო სოფლიდან მხოლოდ ამ ამჟამად ნება დაურთველად დაბრუნდა და ჩასახლდა თავის სახლში. სას. საბჭოს არცა აქვს განზრახვა მისი შევიწროებისა, მხოლოდ ქონება მას არ ჩამოურთმევია არაფერი და არცა ქონია არაფერი. ს. ნასარიძე, 17/IV/ 1930.³⁵

ს. ნასარიძის სამსახურებრივ ბარათზე დაყრდნობით გორის ოლქის აღმასკომმა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1930 წლის 26 აპრილს წერილი გაუგზავნა. დოკუმენტში, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ აქვს, ვკითხულობთ: „თქვენ მოწერილობაზე კათალიკოს ქრისტეფორეს

35 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 523.

განცხადების ირგვლივ მისთვის ქონების დაბრუნების შესახებ ოლქადმასკომი მოგახსენებთ, რომ თქვენი დადგენილების შესასრულებლად თავის დროზე გაცემულ იყო განკარგულება სტალინის რაიადმასკომის მიმართ, რომელმაც თავის მხრით გასცა განკარგულება სურამის სას. საბჭოს მიმართ ა. წ. 2 აპრილის თარიღით და 38/ს. №-ით. როგორც ადგილობრივ შემოწმებული რაიადმასკომის განკარგულება სურამის სას. საბჭოს არ შეუსრულებია, რადგან განკარგულების მიღების შემდეგ კათალიკოზ ქრისტეფორეს ქონების ჩასაბარებლად არაინ გამოცხადებულა და ასეთი დაუყოვნებლივ გამოცხადებისთანავე ჩაბარდება კათალიკოსს ან მის რწმუნებულს. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ კათალიკოზის ძმას კირილე ციცქიშვილის ქონების დაბრუნებას, გარემოება ასეთია კირილე ციცქიშვილი გასახლებული იყო მაგრამ ნება დაურთველად დაბრუნდა სოფელში და ჩასახლდა თავის სახლში. სას. საბჭოს არც აქვს განზრახვა მისი შევიწროებისა მხოლოდ ქონება მას არ ჩამორთმევიო არაფერი და არც ქონია არაფერი.“ (წერილის ბოლო ნაწილი ს. ნასარიძის სამსახურებრივი ბარათიდან არის გადაწერილი)

წერილს ხელს აწერენ გორის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ს. ცხოვრებაშვილი და ოლქის აღმასკომის მდივანი ლ. პარკაძე.³⁶

საბოლოოდ, დაიბრუნა თუ არა ჩამორთმეული ქონება კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ, უც-

36 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 521-522.

ნობია. საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოწესრიგების ბევრი მცდელობის მიუხედავად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ბოლშევიკური რეჟიმის სუსხი ვერ აიცილა. ქრისტეფორე ციციშვილს დიდხანს აღარ უცოცხდია, პატრიარქი 1932 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა.

შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ქსნის საერისთავოს მამულები

XIII საუკუნის II ნახევარში მდ. ქსნის ხეობის შუა წელზე ჩამოყალიბებული ცხრაძმისხეველთა საფეოდალოს მამულები მხოლოდ ცხრაძმის ხევით არ შემოიფარგლა, XIV საუკუნის დასაწყისში, ქსნის (ცხრაძმის ხევის) საერისთავოს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. ამაში დიდი როლი ითამაშა ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფხეველის ერთგულებამ მეფე ვახტანგ III-ისადმი (1299-1309 წ.წ.). როგორც ცნობილია, ვახტანგს დაპირისპირება ჰქონდა თავის ძმასთან დავით VIII-სთან (1273-1311 წ.წ.) ქართლის დიდგვაროვნები ორ ბანაკად იყვნენ დაყოფილნი. მათი ერთი ნაწილი მხარს უჭერდა უფლისწულ ვახტანგს. სწორედ ვახტანგის მხარდამჭერთა რიცხვში იყო შალვა ქვენიფხველი. ამის გამო დავით VIII-ემ ქსნის საერისთავოში ილაშქრა და ცხავატში მოწინააღმდეგე ქსნის ერისთავის მამული დაარბია. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ჩამოდგა მეფე დავით სთველსა შინა ცხაოტს და აოხხრებდა მამულსა ქუენაფლაველისასა ამისი მხილველი და უღუნო ქმნილი ქუენაფლაველი ევედრა ქართლის ერისთავსა აჰმადს, რათა უურვოს მეფისა თანა.“³⁷ ვახტანგ III-ის გამე-

37 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 247.

ფების შემდეგ შალვა ქვენიფნეველის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ერთგული სამსახურისთვის, მეფემ მას არაერთი მამული გადასცა, მათ შორის პატარა ღიახვის ხობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული აწერისხევი და ბეხუშე. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მამიანე ძეგლი ერისთავთა ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის: „...მაშინ წარვიდა ყოველი სპად სპარსთად, მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსო, ღუდო, გაგსძენი, მღეთე, არაგვეთი, ხადოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძიგნაკორნაი, დიდვამი, გავაზი, აწრისხევი, ბეხუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა.“³⁸ ვახტანგ III-ის მიერ შალვა ქვენიფნეველისათვის გადაცემული მამულების ადგილმდებარეობა დაზუსტებული აქვს ჯ. გვასალიას. როგორც მკვლევარი მიუთითებს, აწრისხევი და ბეხუშე(ბეხნო) პატარა ღიახვის მარჯვენა სანაპიროზე ლოკალიზდებიან. აქედან ბეხუშე პატარა ღიახვთან, ჩაბარუხის ხევის შესართავთან, ხოლო აწერისხევი ბეხუშეს სამხრეთით იყო.³⁹ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული „სავახტანგო,“ ჩვენი აზრით, პატარა ღიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებსაც მოიცავდა. საუფლისწულო მამული ვახტანგ

38 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 7.

39 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 68. დ. გვრიტიშვილის განმარტებით ქსნის საერისთავოს არაერთი გზა აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან. ერთ-ერთი გადმოსასვლელი სბიდან ჩაფარუხზე გავლით, პატარა ღიახვის ხეობის მეშვეობით ქართლში ჩამოდიოდა. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 63. ბეხუშეს ციხე, როგორც ჩანს ამ გადმოსასვლელს ამარტებდა.

III-ეს ეკუთვნოდა, რომელმაც ერთგულ ქსნის ერისთავს სავახტანგოში შემაგალი აწრისხევი და ბეხუშე სხვა მამულებთან ერთად გადასცა. აქედან იწყება ქსნის ერისთავების გავლენის გავრცელება პატარა ლიახვის ხეობაში.⁴⁰ 1348 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ სალარე მიხას ძემ, რომლის ვინაობა უცნობია, პატარა ლიახვის ხეობის სოფელი კარბი ანდერძით უბოძა თავის დისწულს წითლოსან-ქვენიფნეველ ლარგველის შვილს.⁴¹ ანდერძით გადაცემული „კარბაჲ და გარეჯარ-ბაკურისუბანი“ წითლოსან ქვენიფნეველს ანდრონიკე ბაგრატიონის სიგელით დაუმტკიცდა.⁴² ქსნის ერისთავების გავლენა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე XVIII საუკუნის II ნახევარში, კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც შანშე ერისთავმა ვანათის ციხე აღადგინა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა.“⁴³ ამავე საუკუნეში ქსნის ერისთავების მნიშვნელოვან თავდასაცავ ადგილს წარმოადგენდა აწრისხევის ციხე.⁴⁴ XVIII საუკუნის II ნახევარ-

40 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, თბ., 2022, გვ. 30.

41 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 118; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. D-საბ. 3493.

42 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ. 280; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. II, ტფ., 1909, გვ. 11-12, დოკ. № 7.

43 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 327.

44 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ. 311.

ში ქსნის ერისთავების ერთ-ერთ რეზიდენციად იქცა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი ბელოთი, სადაც ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ იულონ ბატონიშვილი დამკვიდრდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბელოთში სასახლე ქსნის ერისთავის ძეს, გიორგი ყულადასს აუშენებია.⁴⁵ XIX საუკუნის რუსულ აღწერებში პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში, მათ შორის ზონკარში, აწრისხევში, ვანათსა და ბელოთში ქსნის ერისთავების ყმები ცხოვრობდნენ. ქართველებთან ერთად ფრაგმენტულად სახლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ქსნის ერისთავთა ყმობაში მყოფი ოს მოახალშენეებიც.⁴⁶ როგორც აღვნიშნეთ, პატარა ლიახვის ხეობაში ქსნის ერისთავების გავლენა XIV საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა. მომდევნო საუკუნეებში ცხრაძმის ხევის მფლობელთა შთამომავლები კიდევ უფრო აფართოვებენ თავიანთ სათავადოს საზღვრებს. პატარა ლიახვის ხეობის სოფელ სათიხარში ქსნის ერისთავთა მფლობელობას 1532-1534 წლებით დათარიღებული დოკუმენტი ადასტურებს. მ. სურგულაძის მოსაზრებით ეს საბუთი კათალიკოს მალაქიას დროს უნდა იყოს შედგენილი. იგი მცხეთის დაკარგული მამულების დაბრუნებას ეხება. დოკუმენტში ნახსენები „ზემო ერისთავი“ სწორედ ქსნის ერისთავს უნდა გულისხმობდეს.⁴⁷ ქსნის ერისთავებს მომდევნო საუკუნეში ყმები ჰყავდათ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ქორდში, რომლებიც 1616 წელს საპატრიარქოსთ-

45 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა...გვ. 369.

46 გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184, 190, 207, 208.

47 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 136.

ვის შეუწირავთ.⁴⁸ 1818 წლის აღწერის მიხედვით ქსნის ერისთავებს ყმები ეკითვნოდათ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ მერეთში.⁴⁹ ქსნის ერისთავები ყმებს და მამულს ფლობდნენ დიციშიც.⁵⁰ პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში დ. გვრიტიშვილის დაკვირვებით, ქსნის ერისთავებს შემდეგ სოფლებში ჰყავდათ ყმა-გლეხები: საცხენისში (საცხენეთი), ედემ ქალაქში, ბელოთში, აწერის ხევში, ზონკარში, ზემო შუაცხვირში, ქვემო შუაცხვირში, სიათაში, ზემო ჩაფარუხში, ქვემო ჩაფარუხში, შუა ჩაფარუხში, წიფორში, ზემო შანბიანში, ქვემო შანბიანში, აძვში, თიღვაში, თლიაში, აბახში, თერგვისში, ხოშურში, ალბირში, ელტურაში, ინაურში, გვილისში, ჩარდახში, ავნევიში, ედიშერში, ფლოტრისაში (სავარაუდოდ, უნდა იყოს ფოტრისა – გ.ს.), დვალურაში. ლაჭაურში, ჯარიანში, მშხლებში.⁵¹ თუმცა აღნიშნული სოფლების ჩამონათვალში გარკვეული უზუსტობაა, რადგან თიღვა და ავნევი ფრონეს ხეობაში შემავალი სოფლებია. ჯარიანის ნაცვლად უნდა იყოს ჯარიაშენი. არც ეს სოფელი არ შედის პატარა ლიახვის ხეობაში, იგი მეჯუდის ხეობის სოფელია. მეჯუდის ხეობას მიეკუთვნება ასევე აძვი. XV საუკუნის დასაწყისში ქსნის ერისთავების სათავადოს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა სამხრეთ-აღმოსავლეთით. როგორც აღვნიშნეთ 1348

48 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 482-483, დოკ. 93.

49 მსიემ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი), 8235, გვ. 18-25.

50 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ. 223.

51 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 82-83.

წელს, მათ პატარა ღიახვის ხეობაში ანდერძით მიიღეს კარბი და გარეჯკარი, თუმცა დაახლოებით საუკუნის შემდეგ მათი გავლენა მეჯუდის ხეობის სოფლებშიც გავრცელდა. რაც 1470 წლით დათარიღებული გუჯარით დასტურდება, ეს არის შალვა ქვენიფნეველის მიერ ლარგვისის მონასტრისათვის ბოძებული სიგელი. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...აღვაშენენ სოფელნი: მეჯუდის ჳევს სოფელი ახალუბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამითგან იქ კაცი არ სახლებულიყო, შემოუკრიბნენ მამულნი და უჩინე მზღვარი ყოვლისა კაცისაგან უსარჩლელი; აღვაშენე ზუარი და გაუჩინენ სავენაჳენი. აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის უამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო. აგრეთვე ქსანზუ და სოფელი ჰერედა ოკერი აღვაშენე და ზუარი ქურთა და სხუა...“⁵² დოკუმენტს თუ დავუკვირდებით, ჩანს, რომ მეჯუდის ხეობა საკმაოდ აუთვისებელი იყო. შალვას აუშენებია სოფელი ახალუბანი. გარდა ამისა მას აღუდგენია სოფელი ივრეთი (მისი ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება), რომელიც მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ უკაცრიელი იყო. მეჯუდის ხეობაში ლარგვისის მონასტრისთვის შალვა ქვენიფნეველს ვენახებიც გაუშენებია. როგორც ჩანს, შალვა ქვენიფნეველის მამულის გაფართოება მეჯუდის ხეობის და მის გვერდით ზოლში არსებული პატარა ღიახვის ხეობაში მხოლოდ ახალუბნის აშენებით არ შემოიფარგლა, ქსნის ერისთავები იკორთასაც დაუფლნენ და ქართლში განთქმულ ტაძარს საერისთავოს აღმოსაფ-

⁵² ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910, გვ. 557-561.

ლეთ მხარეს არსებულ სოფლებში მამულები შე-
წირეს, მათ შორის სოფელ ფლავში. თ. ჟორდანიას
მიერ იკორთის ტყავის ზატიკზე ამოკითხული 1446
წლის წარწერის თანახმად შალვა ქვენიფნეველს
იკორთის მონასტერი შეუმკია და მამულები უბოძ-
ებია. „სახელითა დ-თისათა...მიქაელ და გაბრიელ-
ისითა: აღმძრა მე სიყუარულმან სამსახურებელმან
ტაძრისა თქუენისამან, წ-ნო მთავარანგელოზნო
მიქაელ და გაბრიელ, მე ყოველთა კაცთაგან უნ-
არჩევესმან ცოდვილმან, ერისთავმან ძემან ქვენიფ-
ნეველისამან შალვა, რათამცა შევსწირეთ სოფელი
მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს
ერთითა ვენაჯითა, სასახლითა და სამის დღის
საჯნავითა და დავაწერინ(ენ) წ-ნი ესე ზატიკნი
ყოველიურთ სრულნი და უნაკლულონი და და
ერთი დავითი, ორი თუეე: ფ/ბრვლი და მარტი: რათა
გვხსნას საუკუნეა სატანჯველთაგან და ღირს
გუყვნეს... ამას გარეთ სამი ლიტრა ცკლი ფლავს,
ვანთით (ვანთაით?) მოიღებდენ ჩე-ა აღაპსა შ-ა.“⁵³
სიგელში მოხსენიებული მანვაზეთის მდებარეობა
ვერ დავადგინეთ, რაც შეეხება ფლავს, იგი სწორედ
იმ ტერიტორიაზეა, რომელიც ისტორიულ
გვერდისძირს ემიჯნებოდა. შალვა ქვენიფნეველის
საკუთრებაში ყოფილა ასევე პატარა ლიახვის ხე-
ობის ზემო წელზე არსებული სოფელი საცხენეთი,
რომელიც წყაროებში თავდაპირველად საცხუმე-
თის სახელით გვხვდება და ის პატარა ლიახვის
ხეობის ზემო წელის აღმნიშვნელი სახელი იყო.⁵⁴
თ. ჟორდანიას მიერ მიკვლეულ იკორთის ტყავის

53 თ. ჟორდანია, ქრონიკები II, თბ., 1897, გვ. 358.

54 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ.
8.

ზატიკზე სხვა მინაწერებიც არის, მათ შორის ერთი 1608 წლით დათარიღებული მხედრული მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ქსნის ერისთავმა ერასტიმ და პატრონმა ლარგველმა იკორთას ყმები ოლაძე ჩიტუნა და აბოძე ნადირა შეწირეს.⁵⁵ აქვეა ასევე ნუსხა-ხუცურით შესრულებული 1615 წლით დათარიღებული მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ქსნის ერისთავებმა იესემ და შანშემ იკორთის წინამძღვარს არცვევლების მიერ გამოსაღები გადასახადი უბოძეს, მათ შორის „ექუსი კოდი პური და ექუსი კოდი ქერი და ერთის წლის საკლავი.“⁵⁶ თანდათან ქსნის ერისთავებმა გვერდისძირში მყარად მოიკიდეს ფეხი. ჯ. გვასალიას განმარტებით გვერდისძირი პატარა ღიახვს და მეჯუდას შუა წელს შორის არსებულ ტერიტორიას ეწოდებოდა.⁵⁷ ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ამ მთის (იგულისხმება ორბოძალის მთა, რომელიც პატარა ღიახვის ხეობას მარცხენა სანაპიროზე გასდევდა-გ.) სამკრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანათამდე, უწოდებენ გვერდის-ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერთ ქართლისასა/არამედ ღუნო აქაური თხელი და მოჟავო, გარნა საამო სასმელად.“⁵⁸ გვერდისძირის ერთ ნაწილს, პატარა ღიახვის ხეობის მარცხენა ნაპირზე არსებული ადგილი, XI საუკუნის დასაწყისში, მელქისედეკ კათალიკოსის მიერ სვეტიც-

55 თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 23-24.

56 იქვე, გვ. 24.

57 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

58 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ც. ტ. IV, გვ. 362.

სოფლისადმი ბოძებულ სიგელში „კურბითი“ ეწოდებოდა და ის შამბიეთის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე არსებულ რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. მოგვიანებით „კურბითი“ დავიწროვდა და ეს სახელი მხოლოდ ერთ სოფელს შემორჩა.⁵⁹ ვახუშტის დროს კულბითი, მხოლოდ ორბოძალის აღმოსავლეთ კალთაზე არსებულ სოფელს ერქვა. ქსნის ერისთავთა ლტოლვა საერისთავოს აღმოსავლეთით და გვერდისძირის, თუ პატარა ღიახვის ხეობაში არსებული სოფლების ხელში ჩაგდებათი სამფლობელოს გაფართოვების სურვილი შემთხვევითი არ იყო. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ქსნის ხეობაში ერისთავთა რამდენიმე შტო არსებობდა, მათ შორის ღარგველების, ქვემო იფნეველების და ვირშელების.⁶⁰ სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზემოთ დასახელებული ვირშელი, ღარგველი და ქვენიფნეველი ქსნის საერისთავოს ფორმირებამდე ხევისუფლები იყვნენ. სწორედ მათ დაპირისპირებაში იმარჯვეს ცხრაძმისხეველებმა და ქსნის საერისთავოს დაუდეს სათავე, ხოლო ზოგიერთი ხევისუფალი, მათ შო-

59 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 283.

60 Е. Такашвили, арх. экскурсии. вып. V, стр 77-80. ქსნის ერისთავთა წინაპრებს რამდენიმე საგვარეულოს უკავშირებდა პ. იოსელიანი. მისი დაკვირვებით, ეს საგვარეულოები იყო: ბიბიღურები, ბურსელები, ქვენიფნეველები და ვირშელები. Р.А. Иоселиани, Икортский монастырь в Карталинии, საქართველოს სასულიერო მახარებელი, ნოემბერი, 1865, გვ. 69. დ. გვრიტიშვილი არ იზიარებდა ე. თაყაიშვილის და პ. იოსელიანის მოსაზრებებს და „ძველი ერისთავთაში“ მოხსენიებულ ღარგველს და ქვენიფნეველს ქსნის ერისთავთა სხვადასხვა შტოებად კი არა, ერთი და იგივე პირად მიიჩნევდა. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

რის ვირშელები ამ ბრძოლას შეეწირნენ. ვირშელების სახლი ამოვარდა. ადგილთან დაკავშირებული სახელი ვირშელი, ასევე ქვენიფნეველი და ლარგველი საკუთარ სახელებად იქცნენ ერისთავთა საგვარეულოში, რასაც „ძველი ერისთავთა“-ც ცხადყოფს. ასეთი შემთხვევები ქართული ონომასტიკონში სხვაც არაერთი გვხვდება.⁶¹ საერისთავოს აღმოსავლეთ მხარეს არსებული ვირშელთა მამულების დაუფლებას ესწრაფვოდნენ ქსნის ერისთავები. ვირშას მთავარანგელოზის ტაძარი და სოფელი ვირშა XV საუკუნის არაერთ დოკუმენტში იხსენიება.⁶² 1431 წლით დათარიღებულ ალექსანდრე I-ის სიგელში ვკითხულობთ: „ამა ვირშისა სახლისა უღუფა ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან ამოუკუეთილი და გაშუებულ არის.“

აქ დიდი ალბათობით ვირშელთა ამოვარდილ სახელზე უნდა იყოს საუბარი. მათი საგვარეულო სალოცავი უნდა ყოფილიყო ზემოთ ნახსენები ვირშის მთავარანგელოზების მიქაელის და გაბრიელის სახელობის ტაძარი.⁶³ სავარაუდოდ, ვირშელთა მფლობელობაში შედიოდა გვერდისძირიც, რომელიც მოგვიანებით ქსნის ერისთავებად ქცეულმა ცხრაძმისხვევლებმა (მათ ქვემო იფნევიც დაკავებული ჰქონდათ და ქვენიფნეველებადაც იწოდებოდნენ) დაისაკუთრეს. გვერდისძირის სოფლებს გვიანფოდალურ პერიოდში ქსნის ერისთავები ფლობდნენ. 1771 წლით თარიღდება დავით ქსნის ერისთავის მიერ ერეკლე II-ის სახელზე შედგენილი არზა,

61 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 55.

62 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ. 46.

63 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 272.

ქსნის ერისთავი ქართლ-კახეთის მეფეს საგადასახადო შეღავათს სთხოვდა, მათ შორის გვერდისძირის სოფლებზე. დოკუმენტში ვკითხულობთ: „და ერთიც ეს მოგხსენდესთ: ღმერთმა ისე თქვენს ორგულს გაუჭიროს საქმე; რამაზ ხმალაძე მოკლეს და საქონელიც ასე დაეკარგა იმასაცა და იმის განაყოფსაცა, რომ აღარა მორჩომიათ რა. სრესელებმაც ასე დაკარგეს, რომ არაფერი არა შერჩომიათ რა არცერთს განაყოფსა; არცევი აიყარა და საქონელი დაკარგეს; ვინც იკორთას იღვა, საქონელი იმათაც დაკარგეს; ფურცელაძესაც დაეკარგა საქონელი; კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი და ამას გარდა ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი და **ნახევარი დიციც ასე დასეტყვა**, რომ აღარაფერი მოსვლიათ რა ...ჩემი მოხსენება და სავედრებელი ეს არის რომ: ჩემი მოხელეები წამოაყენონ თქვენმა მოხელეებმა, დააფიცონ და ვისაც ხარჯის მიცემა შეძლოს, მოგახსენონ და სამ-სამი კოდი გამოართვათ...“⁶⁴ დოკუმენტში გვერდისძირის ტერიტორია ასეა განმარტებული: **„როგორც იმ გვერდისძირის“⁶⁵ კაცს საქმე უჭირდეს მეჯვრისხევი-**

64 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 786.

65 აღსანიშნავია, რომ ამავე სახელწოდებით ადგილი არსებობდა კახეთში, ენისელის სიახლოვეს, რაც დასტურდება 1794 წლის დოკუმენტით. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 268. საისტორიო წყაროების მიხედვით სურამის ახლოს არსებობდა ასევე გვერდისუბანი, რაც დასტურდება 1589-1595 წ.წ. გიორგი ბატონიშვილის მიერ ნიტრიის ეკლესიისადმი ემა-მამულის შეწირულების წიგნით. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო)ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 395.

დან მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავად წლეულობითა.“ „იმას ზეით“-ში იგულისხმებოდა ქსნის ერისთავთა საკუთრებაში არსებული სოფლები ორბოძალის მთის აღმოსავლეთ კალთაზე. დ. გვრიტიშვილის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, გვერდისძირში ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ შემდეგი სოფლები: აძვი, ქვეში, დუდეთი, ქიწნისი, მარანა, ფლავი, ფლავისმანი, არცევი, შატათ გორი, იკორთა, ორტევი, მერე, ლაფაჩი, სნეკვი, კეხვი.⁶⁶ თუმცა, ამ ჩამონათვალში ისეთი სოფლებიც არიან დასახელებულნი, რომლებიც ტერიტორიულად გვერდისძირში არ მდებარეობენ. მაგ. მარანა, კეხვი. როგორც ჩანს, დ. გვრიტიშვილმა ქსნის ერისთავთა საკუთრებაში არსებული გვერდისძირის სოფლები იმ დოკუმენტიდან ამოიწერა, რომელიც ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენლების, გიორგი ყულარადასის და დავით ერისთავის დავას ეხება. დოკუმენტი 1771 წლით თარიღდება. გიორგი ყულარადასი წერს: „...ამ გზით შევერთდით, რომ ლიახვი, ფურცელაძის სახელო რაც არის მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა; ხადურის ედიშერის ალაგს გარდა და ედიშერის გარდა, იმის ზეით-თავქნოლომდის; გაღმა და გამოღმა ლიახვი; ფოტრისა რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა; დვალურა სულ მთლივ; ვაკეში მარანა, აზნაური და გლეხი სულ მთვლივ. ქრცხინვალს გრიგოლა და პაპისაშვილები, ამათში რაც ან მათი გამოსავალი იქნება: ბეგარა, ან საჩუქარი, ან დაჭერა და დანარბევი ან საიასაულო, ან რაც ფერი, ყველა

66 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ჩემი იყოს. თქვენ იქილამ არა მიირთვათრა და არც ხელი გეჭონდესთ, ყველა მე დამხებდეს; ამას გარდა სათემოს გამოსავლის მესამედი, აგრეთვე სარუისა, აგრევე სახასოებისა. რომელთაც სახასოს ხოდაბუნების ხვნა ჰსძესთ, ქიწნისისა და კარალეთის ჰურისა და კულუხის გამოსავლის მესამედი, აგრევე, რაც ვაკის კულუხის მესამედი/ა/. დუღეთის ზვარი რუს ზეით ჩემი იყოს საკუთრად და რუს ქვეით თქვენი. ღთმან თუ ინებოს და ქვეყნის მშვიდობით ატენს ზვარი გაკეთდეს, იმ მზერისა და უფლისციხის გამოსავლის მესამედი რაც ედვასთ, ესენი თქვენის მოხელისაგან ჩემს მოხელეს მიეცემოდეს. ამას გარდა, ქიწნის/ს/ა და კარალეთში რაც დასარბევადა და წასართმევათა მე ხელი არა მქონდესრა და სახელმწიფო სამსახური, რომელიც გვებძანოს და ჩემს კაცს შემოხვდეს, რაც საერისთოს კაცსა დაეწერებოდეს იმათს ტოლს კაცს, ისე ჩემ კაცს დავაწერდეთ სამართლიანის საქმითა, ოსს გარდა, ქართველსა. ამაებს გარდა რაც საერთო იყოს: ან ქსანი, ან მეჯუდა, ან ვაკიანი, გვერდისძირი, ან ოსი, ან ქართველი,-ყველა თქვენ გეჭიროსთ აზნაური შვილი თუ გლეხი. მე და ჩემმა შვილებმა არც დავიჭიროთ, არც დავარბიოთ და არც ავიკლოთ და არცარა საქმე გეჭონდეს იმათთან სიყვარულისა და ერთობის მეტი.“⁶⁷ დოკუმენტი საკმაოდ დიდი ტექსტია და მისი მთლიანად წარმოდგენა საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან XVIII საუკუნის II ნახევარში პატარა ლიახვის ხეობასა და გვერდისძირის სოფლებში ქსნის ერისთავთა სა-

67 იქვე, გვ. 272; საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 229, დავთ. 42, საბ. 114.

კუთრებაში არსებული მამულები უფრო ცხადად დაგვეჩვენა. როგორც ირკვევა, ქსნის ერისთავები ამ დროისთვის ფლობდნენ პატარა ღიახვის გაღმა და გამოღმა არსებულ სოფლებს. მამულები ჰქონდათ პატარა ღიახვის ერთ-ერთი შენაკადის ფოტნისას ხევში. ერისთავებს ეკუთვნოდათ პატარა ღიახვის ხეობის სათავეში არსებული გუდისი და დვალურა. მათ მფლობელობაში იყო ქსნის ხეობა, მეჯუდის ხეობა, გვერდისძირის და ვაკის სოფლები, მათ შორის მარანა, ქიწნისი და კარალეთი. ქსნის ერისთავებს ორი კომლი ყმა ჰყოლიათ ცხინვალში და ზვარს ფლობდნენ დუდეთში (სავარაუდოდ ეს უნდა იყოს დოდოთი, იგი მდებარეობდა ცხინვალის დასავლეთით ტბეთთან ახლოს. ვახუშტის ბატონიშვილის ცნობით: „ტბეთს ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა დუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის.“⁶⁸) ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ნახსენები ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები გვხვდება 1772 წლის 28 აგვისტოთი დათარიღებული ერეკლე II-ის მიერ ზემო ქართლის სადროშოში ლეკთა წინააღმდეგ მდევართა განწესების ინსტრუქციაშიც: „ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, და პატარა ღიახვის გამოღმართი, გვერდისძირი და ვაკე, გორიდან ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია. ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.“⁶⁹ გვიანფოდალურ პერიოდში პატარა ღიახვის ხეობის და გვერდისძირის სოფლები რომ ქსნის

68 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა...გვ. 372.

69 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

ერისთავთა საკუთრებას წარმოადგენდა 1774 წლის ერთი დოკუმენტიდანაც ჩანს. ზემოთ ნახსენები ქსნის ერისთავის დავითის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ყულარაღასი და დავითის შვილები გაიყარნენ. ერეკლე II-ემ იმ მიზეზით, რომ გიორგი ყულარაღასს დავითის მცირეწლოვანი შვილები არ დაეჩაგრა, მათზე გარკვეული მეთვალყურეობა დააწესა. ქართლ-კახეთის მეფემ ტეტია გარსევანიშვილს საერისთავის ყმების აღწერა დაავალა, რომ ყულარაღასს დავითის შვილებისთვის ქონება არ წაერთმია: „ჩვენი ბძანება არის ვინცა ვინ როსტომ ერისთავის შვილის წილი აზნაურ შვილნი, მოხელენი, ქართველნი, თუ ოსნი ხართ ქსანზე, გვერდისძირზე, თუ ლიახვზე, მერე როსტომ, მისი ძმები და ბიძაშვილები რადგან წვრილები და ობლები არიან, ამათ ღთის გარდა სხვა მომღელი არა ვინ ჰყავთ.“⁷⁰ ქსნის საერისთავო ჩრდილო-დასავლეთით ფავლენიშვილთა მამულებს ემიჯნებოდა, აქედან გზა გადადიოდა ცხინვალში. დ. გვრიტიშვილის განმარტებით, ახალგორიდან გზა გადმოდიოდა მეჯვრისხევში (ახალგორი-იკოთი-ყანჩავეთი-ქოლოთ-ქვიტიკირის ხეობა-ისროლის ხეობა-მეჯვრისხევი). ხოლო მეჯვრისხევიდან გვერდისძირის, შემდეგ კი ფავლენიშვილთა მამულის გავლით შესაძლებელი იყო ცხინვალში ჩასვლა.⁷¹ პატარა ლიახვის „გამოდმართში“ ორბოძალის მთის აღმოსავლეთ მხარეს, გვერდისძირის მომიჯნავე სოფლები იგულისმება, ხოლო გადმართში, სავარაუდოდ, ერედვი და დიცის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ტერიტო-

70 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

71 იქვე, გვ. 159-160.

რია, რომელსაც მოსდევდა „ვაკე“, რომელიც სამხრეთით გორის სანახებს ემიჯნებოდა, ხოლო აღმოსავლეთით გვერდისძირს. სწორედ აქ შედიოდა მარანა, ქიწინისი და კარაღეთი, სადაც ზემოთ წარმოდგენილი საბუთის მიხედვით თავისი მამულები ჰქონდათ ქსნის ერისთავებს. მათ საერისთავოს ტერიტორიაზე თავისი მოურავები ჰყავდათ, მათ შორის: მეჯუდის, მეჯვრისხევის, გვერდისძირის, პატარა ღიახვის და სხვ.⁷² როგორც მივუთითებდით, ქვენიფნეველთა გადმოსვლა და მათი მამულის გაფართოვება მეჯუდის ხეობაში დოკუმენტური წყაროებით XV საუკუნის 70-იან წლებში დასტურდება, როცა შალვა ქვენიფნეველმა მეჯუდის ხევში სოფელი ახალუბანი ააშენა. თუმცა, ირკვევა, რომ მეჯუდის ხეობის გარკვეულ ნაწილზე ცხრაძმისხევის ხევისუფლების გავლენა, გაცილებით ადრე, X საუკუნეში დასტურდება. ამას ადასტურებს მეჯუდის ხეობაში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ჯერ კიდევ 1925 წელს გამოქვეყნდა.⁷³ წარწერაში ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისაითა ესე ჰელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დაგწერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჰევის ჰევისუფლად [კ]იყვენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქოვლნი და ზემოთ სახელი ერთი სამსახოვრი, ჰკიდავს ჰ კაცი, ჰე ა ცისკარ ამინ. ესე ჰელი მე გიორგი დაგწერე. ქრისტე გამგებელი ორთავე ცხორებათაო, დაწესესოლი ფარაისი წიაღთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო ამ[ენ].“⁷⁴ 906-914 წლებით დათარიღებული ერედვის

72 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

73 საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1925.

74 ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან,

წარწერის თანახმად ქართლს X საუკუნის დასაწყისში დიდგვაროვანი ტბელები განაგებდნენ, მათგან ივანე ტბელი მითითებულ წარწერაში ქართლის უფლად იხსენიება. ივანე ტბელი ერედვის წარწერაშივე მოხსენიებული კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირე იყო, თუმცა კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ტბელების დამოკიდებულება აფხაზთა მეფეებისადმი მკვეთრად შეიცვალა. ისინი გიორგი აფხაზთა მეფეს განუდგნენ და ადარნასე ქართველთა მეფეს დაუჭირეს მხარი. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ ტბელებმა მფარველი დაკარგეს. ქართლის გამგებლობა გიორგი აფხაზთა მეფემ თავის ძეს კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც მამას მალე განუდგა. დიდგვაროვანმა ტბელებმა და ქართლის წარჩინებული საგვარეულოების ნაწილმა განდგომილ უფლისწულს დაუჭირეს მხარი. მალე კონსტანტინე გიორგის ძე დამარცხდა და ტბელებმა საბოლოოდ დაკარგეს ქართლში „უფლობის“ დაბრუნების იმედი და პირველობა. რაკი ივანე ტბელი ქართლის უფალი იყო, საგარაუდოდ მისი გავლენა ვრცელდებოდა მეჯუდის ხეობაზეც და მერმინდელ გვერდისძირზეც. მას შემდეგ რაც მათ გიორგი აფხაზთა მეფესთან ურთიერთობა დაეძაბათ და ქართლის უფლობა დაკარგეს, ტბელთა საფეოდალოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, მეჯუდის ხეობაში თავიანთი გავლენა გააგრძელეს ცხრაზმის ხევის ხევისუფლებმა, რასაც ზემოთ წარმოდგენილი წარწერაც ცხადყოფს. წარწერის შემქმნის დროს ქართლის გამგებელი

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 6.

კონსტანტინე იყო. რომელიც წარწერის შექმნიდან მალე განუღება მამას და გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი ყანჩაელებს გადასცა. მეჯუდის ხეობაში, ბიეთის ტაძრის X საუკუნის სამშენებლო წარწერაში იხსენიება „იოანე ერისთავთ-ერისთავი ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი.“⁷⁵ ყანჩაელების დაწინაურების შემდეგ ქსნის ხეობაში(ასევე მეჯუდის ხეობაშიც) ცხრაზმის ხეველი ხევისუფლების უფლებები შეიზღუდებოდა. X საუკუნის ბოლოს ყანჩაელთა საგვარეულომაც დაკარგა პირველობა ქართლში და ასპარეზზე აბაზასძეთა გვარი დაწინაურდა. წყაროებიდან არ არის ცნობილი ზუსტად სად იყო აბაზასძეთა მამული. როგორც ზემოთ მივითითებდით, „ძეგლი ერისთავთაში“ არსებული ცნობის მიხედვით შალვა ქვენიფნეველს XIV საუკუნის დასაწყისში ვახტანგ III-ემ ერთგულებისთვის მამულები გადასცა, მათ შორის ყანჩაეთი(ყანჩაელთა გვარი როგორც ჩანს, იმ დროსთვის უკვე სოციალური სტატუსის გარეშეა) „აბაზასძეთა მამული.“ როგორც ჯ. გვასალია მიუთითებს: „ყანჩაეთი და აბაზასძეთა მამული ქსნის ხეობის შუა წელზეა.“⁷⁶ თუმცა რა აძლედა მკვლევარს ამის თქმის საფუძველს უცნობია. აბაზასძეთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ტბელთა საფეოდალოში არსებული ბორცვისჯვრის ტაძრის ერთ-ერთი წარწერა. ტბეთის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა პატარა სარკმლის ზემოთ, ჩუქურთმებში, ასევე ჩუქურთმების ზემოთ დატანილი იყო აბაზას და

75 ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 192; გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 28-29.

76 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

მისი ძეგლის მოსახსენებელი ასომთავრული წარწერა, რომელიც ნ. შოშიაშვილმა გამოაქვეყნა: „ჯ(უა) რო ბ(ო)ეც(ვე) საო ა(ლი)დე აბ(ა)ზი და ძ(ენი) მ(ი) სნი: ივ(ან)ე, ქ(ო)ბუ(ლი).“⁷⁷ ნ. შოშიაშვილის აზრით, წარწერაში, რომელიც სავარუდოდ X საუკუნის შუა წლებით, ან მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს მოხსენიებული აბაზა და მისი ძეგლი, შესაძლებელია ყოფილიყო ტბელების მომდევნო თაობა, ერთ-ერთი განშტოება, ან მათი შემცველი ფეოდალური საგვარეულო.⁷⁸ სრულიად შესაძლებელია, რომ ტბელთა ფეოდალური სახლის დაცემის შემდეგ, ქართლში აბაზასძეთა საგვარეულო დაწინაურდა, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ერთ-ერთი ძველი საგვარეულო იყო: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბალუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, მარუშისძე...აბაზაძე.“⁷⁹ ვახუშტი ბატონიშვილი აბაზასძეებს თავის თანამედროვე აზნაურთა შორის იხსენიებს: „ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათჳს დავიდუმეთ, ვიეთნი ძუელის გუარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელ, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, ღაზნელი.“⁸⁰ ამ საგვარეულომ განსაკუთრებულ სიძლიერეს ბაგრატ IV-ის დროს მიაღწია. ივანე აბაზასძე ქართლის ერისთავი გახდა. „მატიანე ქართლისაჲ „ივანე აბაზასძეს ორ ეპიზოდში

77 ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

78 იქვე, გვ. 179.

79 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 27-28.

80 იქვე, გვ. 35.

იხსენიებს. ივანე აბაზასძე მემატიანის ცნობით ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე განძის ამირა ფადლონის დამსჯელ ლაშქრობაში მონაწილეობდა: „და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმადა იყო ბაგრატ. შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კურიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით /სომეხ/თა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კურიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლესს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწვედეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვ. ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ. „⁸¹ ივანე აბაზასძე ლიპარიტის ბანაკში მყოფი დიდგვარონი იყო, რომელსაც სავარაუდოდ შიდა ქართლი ჰქონდა ჩაბარებული, მათ შორის, ჩვენი აზრით ტბელთა და ყანჩაელთა მამულებიც. ივანე აბაზასძემ ლიპარიტ ბაღვაშთან ერთან მონაწილეობა მიიღო ტფილელი ამირა ჯაფარის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, იმავე „მატიანე ქართლისაი“ გვამცნოს: „და სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მიხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთუსი.“⁸² ზემოთ მოყვანილ „მატიანე ქართლისაი“ ცნობებს, ორივე ეპიზოდში ივანე აბაზასძის მონაწილეობას ადასტურებს ვახ-

81 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 296.

82 იქვე.

უშტი ბატონიშვილიც.⁸³ აბაზასძეთა მამული XIV საუკუნის დასაწყისში, როგორც ზემოთ მივუთითებდით, ვახტანგ III შალვა ქვენიფნეველს გადასცა. ჩვენი აზრით, ქსნის ერისთავს აბაზასძეთა მამულის ის ნაწილი გადაეცა, რომელიც ქსნის ხეობაში ჰქონდათ, თუმცა ზუსტად ძნელია ითქვას, ხეობის რა ნაწილზე ვრცელდებოდა აღნიშნული საგვარეულოს გავლენა. აღნიშნული მამულების ლოკალიზაცია წყაროთა სიმწირის გამო რთულდება. ჯ. გვასალია წერს: „XIV საუკუნის დასაწყისისათვის ქსნის ერისთავების საზღვარი ხეობის ბარის ზოლში ჯერ კიდევ არ ჩამოდიოდა და იქაური სანახები აბაზასძეებს ეკუთვნოდათ.“⁸⁴ მკვლევარი დ. გვრიტიშვილის ნაშრომს იმოწმებს. სადაც იგივეს ვკითხულობთ: „აქ მოხსენებული აბაზასძეთა მამულის (იგულისხმება „ძეგლი ერისთავთა“ ზემოთ მოყვანილი ცნობა, რომლის მიხედვით ვახტანგ III შალვა ქვენიფნეველს სხვა მამულებთან ერთად აბაზასძეთა მამულიც გადასცა – გ.ს.) მდებარეობის გამორკვევა ხერხდება თვით „ძეგლში“ დაცული ცნობების მიხედვით. ვახტანგის შემდეგ გიორგი რომ გამეფდა, „აბაზასძე ნაურეოზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობნისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ჰბრძოდა სასტიკად ოთხ დღე და მეხუთესა დღესა აიღო იგი. „ლოწობანის ციხე, ანუ როგორც დღეს უწოდებენ ლორწომნის

83 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 145.

84 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.

კლდე, მართლაც არის ქსნის ხეობაში. ამ ცნობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქსნის ერისთავების სამხრეთის საზღვარი ქსნის ხეობის ბარის ზოლში ჯერ კიდევ არ ჩამოდიოდა და აქაური სანახები აბაზასძეებს ეკუთვნოდათ.⁸⁵ როგორც ჯ. გვასალია, ისე დ. გვრიტიშვილი ნაგროზ აბაზასძის განდგომას უკავშირებენ ლორწომნის ციხის აღებას შალვა ქვენიფნეველის მიერ. მამულებჩამორთმეული აბაზასძეები, როგორც ჩანს ქსნის ხეობაში ლორწომნის ციხეს ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ, რომლის აღებას მეფის ერთგული შალვა ქვენიფნეველის პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შემდეგ აბაზასძეებმა საბოლოოდ დაკარგეს ქართლში პირველობის პერსპექტივა. პოლიტიკურ ასპარეზზე ქვენიფნეველთა საგვარეულო დაწინაურდა. XVII საუკუნეში ქსნის ერისთავებმა დაზნელების გვარის ამოწყვეტის ხარჯზე ქსნის ხეობის აღმოსავლეთით ისროლისხევის მომიჯნავე ქოლოტ-ქვიტკირიც ჩაიგდეს ხელში. ვახუშტი ქოლოტ-ქვიტკირის შესახებ წერს: „კუალად ცხრაწყაროს სამკრით არს მთა, კსნიდამ ისროლისკვეის მთამდე მდებარე, აღმოსავლიდამ დასავლეთად, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გაზღის სამკრით რეხულა და არს აქა ციხე მცირე და მას ციხეს ქუეით ქოლოტ-ქვიტკირი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ, ვიდრე ზახორამდე.“⁸⁶ XVII საუკუნეში იესე ქსნის ერისთავმა და ანდუყაფარ ამილახვარმა დაზნელ-

85 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

86 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 361.

თა გვარი ამოწყვიტეს და მათი მამულები გაინაწილეს. ქოლოთ-ქვიტკირი ქსნის ერისთავმა დაისაკუთრა: „ამ ჟამებთა მოიმწო ანდუყაფარ ამილახორმან კსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თვისისა უწყება ღაზნელისა, დაესხა და მოსწყვდნა იგი და განიყვეს მამული მისი, ქოლოთ-ქვიტკირი დაიპყრა კსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახორმან.“⁸⁷ როგორც ჩანს, ღაზნელთა მამული ქოლოთ-ქვიტკირის გარდა სხვა ტერიტორიასაც მოიცავდა, გვერდისძირის აღმოსავლეთ მხარეს. იგი ქსნის ერისთავების მამულს ემიჯნებოდა და ამილახვრების შეთავაზება ღაზნელთა სახლის დარბევასთან დაკავშირებით მათ ჭკუაში დაუჯდათ, რადგან პატარა ღიახვის გაღმართი, გვერდისძირი და მის აღმოსავლეთით ქსნის ხეობაში შეჭრილი ქოლოტ-ქვიტკირი მთლიანად ქსნის ერისთავების საკუთრება ხდებოდა. იოანე ბატონიშვილს თავის აღწერაში ქოლოთ-ქვიტკირის სოფლებზედ, რომლებიც თავის დროზე სავარაუდოდ ღაზნელთა საკუთრებას წარმოადგენდა აღნიშნული აქვს: „ქ. ქსნის ნაწილი, რომელიც მეფის ძეს ბაგრატს თვის ეყოდა, სოფლები ქ. ქოლოთი, მოსახლენი ქ. ქვიტკირი, მოსახლენი ქ. ოსის სოფელი, მოსახლენი ქ. ისროლის ხევის სოფლები; ქ. ბიყარი, მოსახლენი ქ. მერე მოსახლენი ქ. აკანათური, მოსახლენი ქ. აშატური, მოსახლენი ქ. ტბა, მოსახლენი ქ. ნაქალაქევი, მოსახლენი ქ. ბენდერი, მოსახლენი ქ. ბოდოხი, მოსახლენი ქ. ზემო მეჯვრისხევი, მოსახლენი ქ. საკორინთლო.“⁸⁸ თუ დავეუკვირდებით ამ ცნო-

87 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 434.

88 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი

ბას, დავინახავთ, რომ დაზნელების ყოფილ მამულში, რომელიც შემდეგ ქსნის ერისთავების საკუთრება გახდა შედიოდა სოფელი ქოლოთი, სოფელი ქიტკირი და „ოსის სოფელი.“ ისინი იოანე ბატონიშვილის ტექსტის დაწერის დროს ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნოდა, რადგან ქსნის საერისთავო იმ დროისთვის გაუქმებული იყო. დაზნელების მამულის დანარჩენი ნაწილი, ქოლოთ-ქვიტკირის გარდა ამილახვრებმა დაიქვემდებარეს. იოანე ბატონიშვილი ამ სოფლების შესახებ წერს: „ქ. ქართლის სოფლები, რომელიც საამილახვაროს მიეწერება სამეფო ამილახვრიანთი, საამილახვროს აზნაურთი და საეკკლესიო და ამოწყვეტილის დაზნელის მამულები არიან ესენი ქ. კასპი მოსახლე ქ. მთავარანგელოზი ქ. იგოეთი ქ. გერის(სქოლიოში მითითებულია მერის ხევი) ხევი ქ. ძეძენარი ქ. კოდის წყარო ქ. ორჭოშანი ქ. ყურია ქ. უს(ს)ტყე ქ. მხურვალეთი, მონასტერი ქ. ქვემო მხურვალეთი, მოსახლე ქ. სამთავისი, საფისკოპოსო, მოსახლე ქ. სხვილოსი ქ. ბენისი ქ. ახმაჯი ქ. მძორეთი ქ. ახალდაბა ქ. ბოლო მოსახლე // ქ. ჭალა მოსახლე ქ. ახალქალაქი ქ. ჯეჯკური ქ. ლეგმაშენი ქ. რეხა ქ. აბრევი ქ. ტბეთი ქ. ცხინურისი ქ. ლოლოვანი ქ. წირი ქ. წუბენი ქ. წოლდი ქ. ზახორი ქ. ხანდოეთი ქ. არმაზი ქ. ნადარბაზევი.“⁸⁹ ჩამოთვლილი სოფლებიდან ზოგიერთი დაზნელების საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა იოანე ბატონიშვილის ამის შესახებ კონტრეტულად არაფერი უწერია. XVIII საუკუნის ბოლოს მოსახლეობის აღწერათა მასალებზე დაყრდნობით

გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 37.

89 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 39.

როგორც დ. გერიტიშვილმა გამოიკვლია ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ სოფლები: ქსნის ხეობაში; ცხრაძმის ხეობაში; ქარჩოხის ხეობაში; ჟამურის ხეობაში; ჭურთის ხეობაში; ალევის ხეობაში; საფერშეთის ხეობაში; ქოლოთ-ქვიტკირის ხეობაში; ლეხურის ისროლის და მეჯუდის ხეობაში; გვერდისძირში; პატარა ლიახვის ხეობაში. თუმცა დ. გერიტიშვილის მიერ მითითებულ საერისთავოს სოფლებში რიგი უზუსტობებიც არის. მაგ. კეხვი (დიდი ლიახვის ხეობა) მიწერილია გვერდისძირზე; აენევი (ფრონეს ხეობა) პატარა ლიახვის ხეობაზე; დიცი, კულბითი და ქსუისი (პატარა ლიახვის ხეობა) ლეხურის, ისროლის და მეჯუდის ხეობაზე და სხვ.⁹⁰ მკვლევრის მიერ გამოვლენილი მონაცემებით ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ 240 სოფელი (დაახლ. 15 106 მოსახლე).⁹¹ XVIII საუკუნის II ნახევარში, დავით ქსნის ერისთავის დროს (1753-1774 წ.წ.) ქსნის ერისთავების სამფლობელოში შედიოდა: ქსნის, ალევის საფერშეთის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობები.⁹² ქსნის ერისთავები ფლობდნენ დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ მადრან დვალეთს.⁹³ ქსნის ერისთავებს

90 დ. გერიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81-82-83.

91 იქვე გვ. 84.

92 დ. გერიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

93 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69. ქსნის ერისთავები მადრან დვალეთს XIX საუკუნის დასაწყისშიც ფლობდნენ. ამას ადასტურებს 1804 წლით დათარიღებული დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ მადრან დვალეთში აკრეფილი გადასახადების „თერთმეტი წილი“ მიხეილ ქსნის ერისთავს და მის ძმებს ეკუთვნოდათ: „რაც მადრან დოლეთივამ, თლივამ, ჩივრანივამ, აბახივამ სარგო და შემოსავალი იქნება, იმისი თერთმეტი წილი მიხაილისა და იმის ძმებისა არის და ცხრა წილი

ექვემდებარებოდა ლეხურის ხეობის დიდი ნაწილი, ქოლოთ-ქვიტკირი, ისროლის ხევი მეჯუდის, წრომის და პატარა ლიახვის ხეობები, ასევე გვერდისძირი.⁹⁴ ქსნის საერისთავოს აღმოსავლეთით არაგვის საერისთავო ესაზღვრებოდა. დ. გერიტიშვილის დაკვირვებით სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ლომისის მთიდან და სამხრეთისკენ გრძელდებოდა. აღნიშნული ზოლი გასდევდა ქარჩოხის მთებს, ცხრაძმა-დადიანეთის მთებს, ცხავატის სანახებს, საფერშეთის სანახებს, ალევის მთებს, სამებისა და ლორწომნის მთებს, შემდეგ ჯვარისუბნისა და დელკან-ჭონჭოხის სანახებს, სოფელ სარბიელს, სოფელ ნაგომევს და მჭადიჯვრის სანახებს (მჭადიჯვარი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ), ილტოზას და ოძისს.⁹⁵ სამხრეთით ქსნის საერისთავო სამუხრანბატონოს ემიჯნებოდა. სამუხრანბატონოს ტერიტორია ოძისამდე იყო, ხოლო ოძისის „ჩრდილოთ კერძი ქსნის ხხევისა.“⁹⁶ საერისთავოს სამხრეთ დასავლეთით საამილახვროს მამულები იწყებოდა. ამ ორი სათავადოს მიჯნა ცხვილოსის მთა იყო. სამხრეთ-დასავლეთი სასაზღვრო ზოლი მიემართებოდა თეზიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მოსდევდა: ღამისყანა, ახმაჯი, ბოლო, ერედა, ყანჩავეთი, ზახორი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, ფლავისმანი, კარა-

შანშესი და იმის ძმებისა. „ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 75; საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1450, საბ. № 51-144(ვ).

94 დ. გერიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

95 იქვე, გვ. 71.

96 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 63.

ლეთი, ტყვიავი. როგორც დ. გვრიტიშვილი განმარტავს, ქსნის საერისთავოს დასავლეთის საზღვარი მიემართებოდა ტყვიავიდან პატარა ლიახვის ხეობისკენ და ფავლენიშვილების მამულებამდე „სავახტანგომდე“ აღწევდა.⁹⁷ მკვლევარი გულისხმობს პატარა ლიახვის ხეობის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებს, თუმცა ქსნის ერისთავებს პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებშიც ჰყავდათ ყმები.⁹⁸ 1777 წელს ერეკლე II-ეს ქსნის ერისთავი გიორგი თავის ვაჟებს იულონს გადასცა.⁹⁹ იესე ბარათაშვილი წერს: „ქორონიკონს 466 (1778 წ.) იანვარს 17 ქალაქით წაბძანდა ბატონი ქსანზე; მუხრანს რომ მივედით, იქ დარბაისელთ უბძანა: – თქვენც იცით, ნადირშამ მამაჩემს უბოძა ქსანი და მოვედით და ხელშით დავიჭირეთ. მრავალჯერ შემოგვეგებნენ ქსნისხეველნი და ვაჯობეთ, მერმე თავეთი ბატონი ითხოვეს, ხორასნიდამ მოვაყვანინეთ და დიდი მინათი დაგვედვა მძლავრმა ხელმწიფემ, მერმე შანშეც უკუმიდგა და ზურაბაც და ახლა ხომ გიორგიმ დაბეჭდა. მართალია, როსტომს და მამას //იმისას არა დაუშავებია რა, მაგრამ მე ვედარავის ვენდო//ბი ქსანზე, ლიახზე, აღარავის შეუშვებო და რაც იქ კაცი ერგება როსტომს, ვაკესა და გვერდის ძირს მივსცემო. აზნაურშიველებში აიყვანა, ახატელი და ზარდიაშვილი, ფურცელაძე, ჩერქეზაშვილი; უთნელიშვილებში მარტო სახლთუხუცესი გიორგი და ფიცხელაუ-

97 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

98 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, გვ. 223.

99 მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744-1844 წ.წ. თბ., 1906, გვ. 15.

რები მთლად და მას, – როსტომს მისცა ქსუისი, პაპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი და საქათვორი და სათემოები: კუმისი და ნავთლუდი. გორს, ცხინვალს რაც ან გიორგის წილი იყო, ან როსტომისა, ყველა როსტომს მისცა, აბძანდა ახალგორს, ქართველთ, ოვსთაც ესევე უბძანა. გიორგი ბატონისშვილი ქსანზე დაუტევა, იულონ ღიახეზე გაისტუმრა და წაბძანდა ტფილისს იანვარს 26.¹⁰⁰ როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, ერეკლე II-ემ ქსნის ერისთავებს დასჯის შემდეგ მამულები ჩამოართვა, თუმცა ერისთავთა სახლის წარმომადგენელს როსტომს, რაკი მეფის წინაშე არანაირი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, რამდენიმე სოფელი დაუტოვა. პატარა ღიახეის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლების და ქსნის ხეობის სანაცვლოდ ერეკლემ როსტომ ერისთავს ვაკესა და გვერდისძირში სამაგიერო სოფლები მისცა. ამ სოფლებში, ერისთავებს მანამდეც ჰყავდათ ყმები, თუმცა ჩამორთმეული მამულების სანაცვლოდ ერეკლემ მთლიანად უბოძა როსტომს ეს სოფლები. მოგვიანებით, ქსნის ერისთავების ჩამორთმეულ მამულებს ერეკლე II-ის ვაჟთან იულონთან ერთად გიორგი XII-ის ვაჟები ბაგრატე და იოანე ფლოდნენ. ამის შესახებ იოანე ბატონისშვილი წერს: „ქსნის ხეობა რ(ომე)ელიც ვყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროებით და ეკკლესიის მამულნიც არიან აქა: ქ. თეზი, მოსახლენი ქ. ლამისყანა, მოსახლენი ქ. ოძისი, მოსახლენი ქ. კორინთლიანთ სოფელი, რ(ომე)ლსა

100 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1950, გვ. 57-58.

ილტოზა ეწოდება ქ. ახალგორი, ყასაბა ქალაქი, მოსახლენი ქ. ახშადი, მოსახლენი ქ. იკოთი 2, მოსახლენი ქ. ძეგლვეი, მოსახლენი ქ. წირქვადი 2, მოსახლენი ქ. კორინთა, მოსახლენი ქ. ალვეი, მოსახლენი ქ. საფაშეთი(ოსები არიან მოსახლე) 2, მოსახლენი ქ. მეტეხია მოსახლენი ქ. ქურთა, მოსახლენი ქ. ნახიდი, მოსახლენი ქ. გეზერეთი, მოსახლენი ქ. საძეგური 3, მოსახლენი ქ. იფნვეი, ძეგლი სასახლე, მოსახლენი ქ. ამას ზეით ოსის სოფელი, მოსახლენი ქ. ცხაოტი 3, მოსახლენი ქ. მონასტერი, მოსახლენი ქ. ცხრაწყარო, მოსახლენი ქ. ოსის სოფელი, მოსახლენი ქ. ლოგოშეთი, მოსახლენი ქ. მშველიეთი, მოსახლენი ქ. ჟურულის სოფელი, მოსახლენი ქ. ჭურთას ქართველის სოფელი 2, მოსახლენი. ქ. ჭურთას ოსის სოფელი, ხეობა, 8. მოსახლენი ქ. ძაბოეთი ოსის სოფელი, მოსახლენი. ქ. ცხრა ძმა ხეობა არის. სოფელი 7, მოსახლენი ქ. ამასვე მიეწერება მუჯუხი ოსები, მოსახლენი ქ. ხარბალი მოსახლენი ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7, მოსახლენი ქ. ამასვე მიეწერება ოსები, მოსახლენი ქ. ლომისა, მოსახლენი ქ. ოხირი, მოსახლენი ქ. ჟამური ხეობა არს, ოსები მოსახლეობენ, სოფელი 9 მოსახლენი ქ. ამას იქით ქსნის წილი მადრან-დოვლეთი, ოსები. მოსახლენი, სოფელი 6...ქ. ქსნის ნაწილი, რომელიც მეფის ძეს ბაგრატს თვს ეყოდა, სოფლები ქ. ქოლოთი, მოსახლენი ქ. ქვიტკირი, მოსახლენი ქ. ოსის სოფელი, მოსახლენი ქ. ისროლის ხევის სოფლები; ქ. ბიყარი, მოსახლენი ქ. მერე მოსახლენი ქ. აკანათური, მოსახლენი ქ. აშატური, მოსახლენი ქ. ტბა, მოსახლენი ქ. ნაქალაქვეი, მოსახლენი ქ. ბენდერი, მოსახლენი ქ. ბოდოხი, მოსახლენი ქ. ზემო მეჯვრისხევი, მოსახლე

ნი ქ. საკორინთლო...ქ. გვერდისძირზედ, რომელიც ქსნის საერისთოს მიეწერებოდა და ესე ადგილნი და სოფელი მეფის ძეს იულონს ეპყრა, არიან შემდგომნი ესე: ქ. ქვემო მეჯვრისხევი, მოსახლე ქ. აბვი, მოსახლე ქ. ქვეში, მოსახლე ქ. დუდეთი, მოსახლე ქ. ქიწნისი, მოსახლე ქ. გორანა მოსახლე ქ. ფლავი, მოსახლე ქ. ფლავისმანი, მოსახლე ქ. არქცევი, მოსახლე ქ. შაკათ კარი, მოსახლე ქ. ოტრევი, მოსახლე ქ. მერე, მოსახლე, ქ. ლაფახი, მოსახლე ქ. სათემო, მოსახლე, ქ. სნეკვი, მოსახლე... ქ. ამასვე მიეწერება პატარა ღიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა: ქ. საცხენისი, მოსახლე ქ. ედემ ქალაქი, მოსახლე ქ. ბელოთი, მოსახლე, ქ. აწერისხევი, მოსახლე ქ. ოსის ზონკარი მოსახლე ქ. შუაცხვირი, მოსახლე ქ. სიათა, მოსახლე ქ. გნასური მოსახლე ქ. ინასური, მოსახლე ქ. ჩაბარუხეთი, მოსახლე, ქ. წიფორი, მოსახლე ქ. შამბიანი მოსახლე ქ. ქნოლო მოსახლე ქ. მადრანდოლეთში სოფელი 3... „¹⁰¹ იოანე ბატონიშვილმა თავისი თხზულება 1794-1799 წლებში შექმნა. იმ დროისთვის ქსნის საერისთავო უკვე გაუქმებული იყო და ერისთავთა კუთვნილი სოფლები სამეფო ოჯახის წევრებზე იყო გადანაწილებული. როგორც მიუუთითებდით, იასე ბარათაშვილის ცნობით ერეკლე II –ემ როსტომ ერისთავს პატარა ღიახვის და ქსნის ხეობაში არსებული მამულების სანაცვლოდ გვერდისძირსა და ვაკეში დაპირდა სოფლებს. ზემოთ წარმოდგენილი იოანე ბატონიშვილის მონაცემებით ჩანს, რომ იულონ ბატონიშ-

¹⁰¹ იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 36-37-38.

ვილს გვერდისძირის სოფლები „ეპერა,“ იგულისხმება, რომ იულონს წარსულში ქსნის საერისთავოს გაუქმებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ეს სოფლები კვლავ ქსნის ერისთავებს გადაეცა. იულონ ბატონიშვილის სარგებლობაში არსებული გვერდისძირის სოფლები რომ ქსნის ერისთავებს ებოძათ იოანე ბატონიშვილის კიდევ ერთი ცნობიდან ჩანს: „ქ. ძვერა, მოსახლე ქ. შერთული, მოსახლე ქ. ტყვიავი, მოსახლე ქ. კარბი, მოსახლე ქ. ქორდი, მოსახლე ქ. დიცი, მოსახლე ქ. არგვიცი, მოსახლე ქ. ერევი, მოსახლე ქ. ქვაბთა, მოსახლე ქ. სარაბუკი, მოსახლე ქ. ვანათი, მოსახლე ქ. სათიხარი, მოსახლე ქ. დიცივი (უნდა ეწეროს დისევი – გ.ს.), მოსახლე ქ. კულბითი, მოსახლე ქ. მერე, მოსახლე ქ. ოსის სოფელი, ესე სოფლები გვერდისძირს მიეწერებოდნენ იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ.“¹⁰² იგივე განმარტებას იძლევა იოანე ბატონიშვილი კარაღეთთან დაკავშირებით: „ქ. კარაღეთი, მოსახლე, ქსნის ერისთავისა იყო გვერდისძირზედ მითვლილი ქეთევან ბატონიშვილს ჰქონდა ეს, ახლა ერისთავიანთ მიეცა და ამ სოფლის მაგიერი დილომი მიეცა ბატონისშვილის ქეთევანს.“¹⁰³ როგორც ჩანს, ერეკლე II-ემ თავისი დაპირება შეასრულა და როსტომ ერისთავს და მის ოჯახს საერისთავოს გაუქმების შემდეგ გვერდისძირსა და ვაკეში რამდენიმე სოფელი გადასცა. საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქსნის ერისთავებმა ერეკლე II –ის მიერ

102 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 40.

103 იქვე.

ჩამორთმეული სოფლების დაბრუნება ითხოვეს. ქსნის ერისთავებისთვის კუთვნილი მამულების გადაცემის საკითხს ეხება 1803 წლის 28 მარტს იმპერატორის სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია 1802 წლის 4 სექტემბერს ხელმოწერილ უმაღლესი განკარგულებაზე, სადაც განხილულია ქსნის ერისთავების თხოვნა ერეკლე II-ის მიერ მათთვის ჩამორთმეული მამულების დაბრუნების შესახებ. საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ, როგორც ჩანს, ქსნის ერისთავების მამულები მათ უდავო კუთვნილებად მიიჩნია და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. მისი იმპერატორს უდიდებულესობისადმი წარსადგენად აღნიშნული გადაწყვეტილება პავლე ციციანოვს გადაეცა. იმპერატორის სახელზე გაგზავნილ წერილში ციციანოვი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული მამულები, იმ დროისთვის სამეფო ოჯახის წევრების მფლობელობაში იყო, თუმცა ერისთავებს ეკუთვნოდათ. წერილის ავტორი დასძენდა, რომ ერისთავებისათვის მამულების გადაცემის შემთხვევაში, თუ იმპერატორის ნება იქნებოდა, სანაცვლოდ, სამეფო ოჯახის წევრებს პენსია დანიშნულათ და ამით ყველა პრობლემა გადაიჭრებოდა. ციციანოვის წერილს თან ერთვის ქსნის ერისთავების საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, არის ერისთავებისათვის გადასაცემაში სამეფო ოჯახის წევრების და სხვათა მფლობელობაში არსებული მამულების, სოფლების და ცალკეული კომპლების ჩამონათვალი.¹⁰⁴ 1804 წლის

104 АКАК, Тиф., II, стр. 550, № 1070.

აღწერის მიხედვით ქსნის ერისთავები ქსნის ხეობის გარდა ყმებს და მამულებს ფლობდნენ: გვერდისძირში, ვაკეში, მეჯუდის ხეობაში, პატარა ღიახვის ხეობის ზემო წელზე. ეს სოფლები იყო: ბელოთი, აწერისხევი, ზარდიანთკარი, კულბითი, ხაშილაური (პროფ. ი. ალიმბარაშვილის განმარტებით ხაშილაური მერეთის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება იყო), ქერე, ტყეიავი, მარანა, დიდი გარეჯვარი, ბერბუკი, ბერშუეთი, კირბალი, ჩამარტი, მეჯურისხევი, ღრომი, არდისი, აშატური, ახალისა, ვარტყაპი, ვილდა, სხლები, წოდღევი, კოლოტები, ატენი, ზონკარი, ფლავისმანი, ფლავი, საცხენეთი, ჭარები, ახალუბანი, ქიწნისი, ხელთუბანი, არცევი, სათემო, საკორინთლო, ზერტი, უფლისციხე.¹⁰⁵ ამ დროისთვის, ქსნის ერისთავებს ყმები ეკუთვნოდათ ფრონეს ხეობის სოფელ ავნევეში, ასევე დიდი ღიახვის ხეობის ქვემო ნიქოზში, ფხვენისსა და ბროწლეთში.¹⁰⁶ 1818 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით ქსნის ერისთავები ყმებს და მამულებს ფლობდნენ: სამთავისში, კასპში, ზეგარდში,¹⁰⁷ უფლისციხეში, სვენეთში, ქვემო რესში, კირბალში, დიდ მეჯურისხევეში, ჩამარტში, ღრომში, პატარა მეჯურისხევეში, ახალუბანში, აძე-

105 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორი, 2021, გვ. 55, 69, 70, 71, 75, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 97, 98, 116.

106 იქვე გვ. 75, 87, 91.

107 როგორც პროფ. ი. ალიმბარაშვილი მიუთითებს, ზეგარდი მდებარეობდა ნადარბაზევის ტბის სიახლოვეს. სამხრეთ-აღმოსავლეთით კვერნაკის ქედზე, სოფ. გრაკლიანიდან ჩრდილოეთით 4,5 კმ-ის დაშორებით. ი. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

ში, ჯარიაშენში, ზემო არცევში, ქვეშში, ფლავის-მანში, ფლავში, ზემო ნიქოზში.¹⁰⁸ XIX ს. პირველ მესამედში ქსნის ერისთავების გაყრის შედეგად მათი საერთო მამული 6 დამოუკიდებელ ერთეულად დანაწილდა.¹⁰⁹ ქსნის ერისთავთა სახლიკაცები საერისთავოს ყოფილ ტერიტორიაზე, რამდენიმე ადგილზე სახლობდნენ. მათ შორის: ახალგორში, ოძისში, ილტოზაში, კორინთაში, კასპში, ფლავში(ოტრევში), ატენში, დოესში, რეხაში, კარა-ლეთში, ტყვიავში, გორში, მეჯვრისხევში, ბელოთში, ქვეშში, ქსოვრისში, იკორთაში, საბაყოში.¹¹⁰

108 ი. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211, 219, 220, 223, 226, 247, 261, 263, 274, 275, 279, 284, 288, 290, 294, 295, 297, 300, 458.

109 საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბ., 1973. გვ. 895.

110 ვ. ქენქაძე, ქსნის ერისთავები, თბ., 2016 წ. გვ. 163-370.

**მოსხელეთა და სოციალური შინაარსის
ადმინისტრაციული ტერმინები შიდა ქართლის
ლაპიდარული წარწერების მიხედვით**

IX-X საუკუნეების ასომთავრული წარწერები, რომლებიც შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის, ასევე მეჯუდის და ფრონეს ხეობებში – არსებულ ტაძრებზეა შემორჩენილი, ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს შიდა ქართლის, ამ უბეგლესი კუთხეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პროცესების შესახებ, თუმცა აქ გვხვდება ისეთი ხასიათის ტერმინები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადრეფეოდალურ საქართველოში არსებული სამოსხელეო თანამდებობებზე. შიდა ქართლის ლაპიდარულ წარწერებში ხშირად იხსენიება: **უფალი, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, ხევისუფალი, მამასახლისი, პატრიკოსი.**

უფალი

ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერაში, სადაც საუბარია აფხაზთა მეფის, კონსტანტინეს, ჰერეთში ლაშქრობაზე, მოიხსენიება **ქართლის უფალი** ივანე ტბელი. ტექსტში ვკითხულობთ: „[სახ]ელითა ღ(მრთისა) თთა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ათა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ²შ]ობელისათთა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, ჳელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ[ეწ]ულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტინ]ე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და

ჩავიდა ჰერე⁴თს [შ]იგან, ჰერთა მეფე[ე]დ გა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ა⁵ლავერდს ილოცა, [მ]წუხრი ბრეძას გადაჯთა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ⁶ისა ციხე დაღეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ⁷ე[ბი] სკო[სო]ქასა სანატრელისა ყუარყუარესა*, ჯ(უ)ართა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ⁸ე[ლი]სა - სანატრ[ე]ლისა სტეფანე ებისკოსისაჲთა, ძალითა, შეწვენი-თა მოყუას⁹თაჲთა, მე თ(ეველ)რე თაფლადსქემან დავდე საძირკველი - წელნი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკ[ონ]სა ჩგვ¹¹¹.

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წ.წ. თარიღდება. როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „1 წარწერაში აღნიშნული თარიღი „ხფი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2)

* ამ სიტყვის ადღეენა პირობითია.

111 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16. P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს ეგზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმომხილველი, მომავალი კათალიკოს-პატრიარქი კირიონი (საძაგლიშვილი). იხ. И. К. Обзорение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, стр. 20.

წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა აფხაზთა მეფის კონსტანტინესი ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აბულ-კასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ.¹¹² ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე IX საუკუნიდან იწყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწყისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება და მათი გაერისთავება.“¹¹³ ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე აფხაზთა მეფის ლაშქრობის აღწერით. ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.¹¹⁴

112 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 171.

113 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255.

114 რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968, გვ. 11. ტბელთა ფეოდალური საგვარეულოს შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52; გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

ერედვის წარწერაში არ ჩანს როდის გახდა „ქართლის უფალი“ ივანე ტბელი. წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, ის საკმაოდ მაღალი იერარქია, ქართლს განაგებს. თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ ქართლის ტერიტორიაზე ამ დროისათვის არაერთი ფეოდალური საგვარეულო არსებობდა, რომლებიც თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებს მესვეურობდნენ, „უფალი“ ამ საფეოდალოთა და საერისთავოთა შორის ყველაზე უფრო მაღლა მდგომი სახელისუფლო შინაარსის მქონე ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო – მეფის მონაცვლე. ამ დროისათვის ქართლის ტერიტორიაზე პრეტენზიებს აფხაზთა მეფეები აცხადებდნენ, შესაბამისად, ქართლის გამგებელს-უფალს აფხაზთა მეფეები ნიშნავდნენ. წარწერის შინაარსში, ამ მხრივ, გარკვეული სუბოორდინაციაა დაცული. „უფალი,“ როგორც სახელისუფლო ინსტიტუტი, მემკვიდრეობითი არ იყო, რადგან ივანე ტბელის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამდე ტბელთა ფეოდალური სახლის სხვა წარმომადგენელი „უფალის“ სახელს მფლობელად არ ჩანს. ამ თანამდებობაზე არც ივანეს მემკვიდრეები გვევლინებიან.¹¹⁵ „უფა-

სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შოთა მესხიას დაბ. 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2016, გვ. 227-249.

115 „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი „უფალი“ რამდენჯერმე გვხვდება: „ჯუანშერი რომელმაც ვახტანგ გორგასლის ცხოვრება აღწერა ამ ტერმინს ასეთი სახით იყენებს: (მოძღვარი პეტრე მიმართავს მეფე ვახტანგს) „არა უკუე შენ უფალ გყო ამათ ყოველთა ზედა, და შენ შეგიდგინა/ყოველნი.“ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 165; სუმბატ დავითის-ძე აშოტ კურაპალატის მკვლევლობასთან დაკავშირებით

ლი“ გვხვდება ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში. საკურთხევლის ჩრდილო კალთაზე არსებულ ათსტრიქონიან ასომთავრულ ტექსტში, რომელიც სტეფანოზ მამფალის ეპიტაფიას წარმოადგენს. წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში დათარიღებულია 739 წლით. წარწერაში სტეფანოზთან მიმართებაში ორივე ტერმინი გვხვდება, „მამფალიც“ და „უფალიც“.

1. [ქ: ზეობას] ა კა ღ(მრ)თ(ი)გვრგვზნ [ოსანისა]
2. [არჩილისი, კე] თ(ი)ლადმსახურ [რებასა შ(ინ)ა]
3. მ [ე] ფ [ისა] ჩუენისასა, ჳელმწიფო
4. ბასა [სა] რკინოზთასა რ კ ა, აღესრუ
5. ლა კუ [რ] თხეული მ(ამ(ფ(ა)ლი სტეფანოზ,
6. ღ(მრ)თ(ი)სა მ [იერ] ქ(არ)თ(უე)ლთა და მ(ე) გრ(ე)ლთა ერის
7. თავე [რისთა] ვსთა უფ(ა)ლი თ(თუეს)ა ოკ- დომბე
8. რსა [იდ], დღესა ოთხშაბათსა, ეამს
9. ა ღამისასა] ა, ამას ზ(ედ)ა წელსა დღისა მ
10. თ [ავრობისა მო] ხრდილი კთ.¹¹⁶

მამფალი სტეფანოზის საპატიო წოდება უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩანაწერი - „ქართველთა და მეგრელთა ერისთავებისთავთა უფალი“ სხვა ერისთავთა მადლა მდგომ სახელისუფლო იერარქის

წერს: „ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჳელითა ოროზ-მოროზის ძეთათა.“ იქვე, გვ. 377.

116 ქართული წარწერებს კორპუსი, ფრესკული წარწერები, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, ტ. I, თბ., 1989, გვ. 90.

შინაარსს უნდა გამოხატავდეს.¹¹⁷

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ შიდა ქართლში შემორჩენილ სხვა წარწერაშიც გვხვდება. X საუკუნით დათარიღებულ ბიეთის წარწერაში (მეფუდის ხეობა) იხსენიება იოანე ერისთავთ-ერი-სთავი (ყანჩაელი), „უფალი“: „ქ(რისტ)ე, მე(უ)ფეო//ყოველთ(ა)ო, ა[დ](ი)²დე ე(რისთავთ)-ე(რისთავი) ი(ოვან)ე//ძე ბაქ(ურ)³ ყ(ა)ნჩაელ(ისა)//ფ, უფალი და ⁴ პ[ა]ტრ[ო]ნი ამ(ი)ს წ(მი)დისა/⁵ ეკლ(ე)სი(ის) ა//[დ]ადც(ე)ვ წ(მი)და(ფ)⁶ [მრ]ემლი ს(ა)მე/-[ბის]ა][დ]ყო[ც(ე)ლი]“¹¹⁸ ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ოდნავ მოგვიანებით, ტერმინი „უფალი“ „პატრონმა“ ჩაანაცვლა. დიდი მეცნიერის აზრით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი

117 საქართველოში გავრცელებული მამფალი, შესაძლებელია, იმავდროულად ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულის მფლობელიც ყოფილიყო, ამას ადასტურებს აბასთუმანთან ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტზე არსებული წარწერა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში 685-711 წ.წ არის დათარიღებული, მამფალი ამ წარწერის მიხედვით პატრიკიოსის ტიტულსაც ატარებდა:

“† [შ(ე)წ(წ)ვ(ნი)თა ქ(რისტ)წ(ს)ითა], ფ(ს)ტ(ინ)ნ(ი)ან(ე) მ(ე)ფ(ი)სა [ზე, მე]² [————] ვ(ი)ქ(მე)ნ ღ(მრ)თ(ისა)გ(ა)ნ ვ(ა)ნღიდ(ებ)ული ნ(ა)თ(ესა)ეთ/³ [აყ(ოველ)თა ჩ(ემ)თა]: ბძ(ა)ნღებ(ითა) ღ(მრ)თ(ი)ვ დ(ა)ც(უ)ლ(ის)ა მ(ამ)ფლ(ის)ა/⁴ [არ(შუ)შა პ(ა)ტ(რი)კ(ი)ოსი)სა და ნ(ე)ბ(ი)თაღ(მრ)თ(ისა)ფ(ა)თა ქ(ართ)ველთა ერ(ის)თ(ავის)ა, ⁵ ქ(რ)ის(ე)პ(უ)ლ(ის) ც(ი)ხ(ე)ს(ა)თა ბოძებ(ით)ა, მ(ო)წ(უ)ე)ულ ვიყავ და⁶ აღდემ(ა)რთე პ(ა)ტ(ი)ოს(ა)ნი ჯ(უ)არი, წ(მი)დისა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ელი)სა ს(ა)ხ(ე)ლ(ს)ა/⁷ ს(ა)ღ(ო)ც(ვე)ლ(ა)დ ჩ(ე)მდა და⁸ ძმ(ა)თა ჩ(ე)მთა, მეო⁹ ხ(ე)ბ(ი)სათ(ვ)ს ყ(ოვე)ლ(ს)ა ჭ(ი)რსა/¹⁰ ამ(ა)ს ს(ა)წ(უ)თ(ო)ს [და] ს(ა)უ(კ)უ(ნ)ეს/¹¹ და ვ(ი)ნ აღ(მო)კ(ით)ხ(ო)ს ღ(ო)ც(ვ)ასა მ(ო)მ(ი)წ(ს)ენ(ე)ლ[თ]. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, იქვე, გვ. 103.

118 იქვე, გვ. 193.

„პატრონი“ ჩნდება.¹¹⁹ თუმცა, როგორც ბიეთის წარწერიდან ჩანს, ტერმინები „უფალი“ და „პატრონი“ ლაპიდარულ წარწერებში ერთდროულადაც გამოიყენებოდა. ჩვენი აზრით, „უფალს“ X საუკუნეში მოხელის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო „პატრონს“ მისი, როგორც ფეოდალის, როგორც კერძო მფლობელის შინაარსი. ბაკურ ყანჩაელის ძე იოანე ამ წარწერაში მოხსენიებულია როგორც ქართლის მოხელე უფალი და ამავდროულად ბიეთის ეკლესიის პატრონი. შესაძლოა ბიეთის ტაძარი იოანე ყანჩაელმა თავისი გვარის საძვალედ აქცია.* როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასაწყისში ქართლში კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას

119 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

* ეს წარწერა სხვაგვარადაც შეგვიძლია წავიკითხოთ: იოანე ყანჩაელი – უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა და ორივე ტერმინი დავუკავშიროთ მხოლოდ ბიეთის ტაძრის ყანჩაელისადმი კუთვნილების აღნიშვნას, მაგრამ, ვფიქრობთ, ორივე ტერმინის ამ კონტექსტში გამოყენება არ უნდა იყოს სწორი. წარწერის ამომკვეთს, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ იოანე ყანჩაელი, რომელიც იმ დროს ქართლს განაგებდა, ბიეთის ეკლესიის ამშენებელი და პატრონი იყო.

– გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო დიდგვაროვანი ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლის“ პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹²⁰ კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატრიანე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალნი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევის უფალნიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი აფხაზთა მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო. ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: „IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯულის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ

¹²⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 267.

ყანაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაზმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის ყანაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელთა სახლი.¹²¹ ყანაელების IX საუკუნეში აღზევების დათარიღებისას მკვლევარი ბიეთის საამშენებლო წარწერის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას ეყრდნობა.¹²² თუმცა, ბიეთის წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. პალეოგრაფიული ნიშნების გარდა,¹²³ ამ დათარიღებას მხარს უჭერს „მატიანე ქართლისაჲ“. ყანაელთა გვარი გიორგი აფხაზთა მეფის დროს, X საუკუნის I ნახევარში იხსენიება. ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაანაცვლა ყანაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია, არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანაელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

121 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

122 P. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-A, თბ., 1963, გვ. 44-45.

123 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 192.

ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი

დიდი ლიახვის ხეობის ერთ-ერთი ტაძრის - დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე არსებულ წარწერაში გხვდება ტერმინი „ერისთავი“.

წარწერაში გვითხულობთ: „სახელით²ა დ(მრ)თი(სადთა) ივანე ე³რ[ისტ]ავმ(ან) ტბ(ელ)მ(ან)⁴აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)დ ე⁵კლესიად სალო⁶ცველად მისთუ⁷ის და ხუთთა ძე⁸თ[ა მისთ]ათუ[ის].“¹²⁴ ამ წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი, ერედვის წარწერაში გვხვდება, როგორც „უფალი.“ დოდოთის წარწერა წინ უნდა უსწრებდეს ერედვის წარწერას, რადგან აქ ივანე, ერედვის წარწერისაგან განხვავებით, ჯერ მხოლოდ ერისთავის სახელის მფლობელია.*

124 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 176.

* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა მ. ბახტაძემ. მისი აზრით, დოდოთის წარწერა, სადაც ივანე ერისთავი იხსენიება და ერედვის 914 წლის წარწერა დაახლოებით ერთი პერიოდის უნდა იყოს. მისი განმარტებით, დოდოთის და ერედვის წარწერებში საქმე გვაქვს ივანე ტბელის მოღვაწეობის ორ პერიოდთან. ის ერედვის წარწერაში ჯერ კიდევ არ ფლობს ქართლის ერისთავის თანამდებობას, დოდოთის წარწერაში კი ის უკვე ერისთავია. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2005, გვ. 84. მკვლევარი იმოწმებს დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ივანე ტბელი ჯერ გახდა კონსტანტინეს (იგულისხმება აფხაზთა მეფე) ვასალი, შემდეგ კი მოხელე ერისთავი. იქვე, გვ. 84. მ. ბახტაძე წერს: „ჩვენ ვთლით, რომ ქართლის საერისთავო შეიქმნა კონსტანტინეს დროს, დაახლოებით 914 წელს და მისი პირველი ერისთავი იყო ივანე ტბელი.“ იქვე, გვ. 84. როგორც უკვე მივითითებდით, ივანე ტბელი დოდოთის წარწერაში მოხსენიებულია ერისთავის ტიტულით, ხოლო ერედვის წარწერაში ის იხსენიება როგორც ქართლის უფალი. ვერ გავიზიარებთ მ. ბახტაძის შეხედულებას, რომ ივანე

ჯერ ქართლის უფალი გახდა, შემდეგ კი ერისთავის ტიტული მიიღო. აქ, ჩვენი აზრით, პირიქით უნდა ყოფილიყო. ივანე ტბელმა, მას შემდეგ რაც კონსტანტინე აფხაზთა მეფის ვასალი გახდა, ერისთავობა მიიღო. „ამ კონტექსტში ტერმინ „ქართლის ერისთავის“ გამოყენება დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან ქართლის ერისთავი მითითებულ პერიოდში არც დოკუმენტური წერილობითი წყაროებით დასტურდება და არც ლაპიდარული წარწერებით, ამ დროისათვის არსებობდა მხოლოდ ქართლის უფალი და ქართლის ტერიტორიაზე უფალს ექვემდებარებოდა რამდენიმე საერისთავო), ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, ის იმავე კონსტანტინე მეფის დახმარებით ქართლის უფალი გახდა. სხვა შემდგომევაში მას ერედვის წარწერაში „ქართლის ერისთავად“ მოიხსენიებდნენ. მ. ბახტაძის შეხედულებით, კონსტანტინეს შემდეგ ქართლს მისი ძმა ლეონი განაგებდა. იგი „მატიანე ქართლისას“ თანახმად ქართლის ერისთავი იყო. მკვლევრის აზრით, ლეონი ერისთავად 957 წლამდე უნდა ყოფილიყო. მ. ბახტაძე სვამს კითხვას: „გასარკვევია, თუ ვინ გახდა ერისთავი მას შემდეგ, რაც ლეონი გამეფდა. ამ მხრივ, საინტერესოა წორბისის მახლობლად ნაპოვნი წარწერა.“ იქვე, გვ. 85. ამ წარწერაში მკვლევარი გულისხმობს ყორნისის რაიონში სოფ. წორბისთან ი. მეგრელიძის მიერ აღმოჩენილ წარწერას, სადაც ივანე ერისთავი იხსენიება. (თუმცა ლეონის ერისთავობის შემდეგ მკვლევარის მიერ ყორნისის წარწერის ამ კონტექსტში დამოწმება ცოტა გაუგებარია, რადგან არ ჩანს მკვლევრის პოზიცია, თელის თუ არა ლეონის შემდეგ ქართლის ერისთავად წორბისის წარწერაში მოხსენიებულ ივანე ერისთავს). მ. ბახტაძე არ იზიარებს წორბისის წარწერის აღმოჩენის - ი. მეგრელიძისეულ დათარიღებას (880 წ.) მისთვის წორბისის წარწერის ო. ტყეშელაშვილისეული დათარიღებაა მისაღები(960 წ.), რომლის აზრით, აქ მოხსენიებული ივანე ერისთავი პატრიკ ტბელის ძე და ქავთარ ტბელის მამა უნდა ყოფილიყო. აქაც ვერ დავეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას. წორბისის წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში 880 წლით არის დათარიღებული. ჯერ ერთი, წორბისის წარწერაში ივანე მოხსენიებულია, როგორც ერისთავი და არა ქართლის ერისთავი. მეორეც, ივანე ტბეთის წარწერაში მოხსენიებული პატრიკის ძე ვერ იქნებოდა. რადგან პატრიკ ტბელის წარწერაში პატრიკი ქავთარის ძედ იხსენიება და, სავარაუდოდ, მის შეილსაც ქავთარი ერქმოდა და არა ივანე. ამ აზრს ნ. შოშიაშვილის მიერ დადგენილი ტბელთა გენეალოგიაც ამყარებს. მკვლევრის განმარტებით, დოდოთის და

ქრონოლოგიურად დოდოთის წარწერასთან ახლოს უნდა იყოს ფრონის მარცხენა ნაპირზე წორბისთან არსებულ წარწერაში, რომელიც ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა. აღნიშნულ წარწერაშიც ივანე ერისთავი იხსენება.*

ტბეთის წარწერებში ტბელთა ოთხი თაობაა. ივანე-ქავთარ I – პატრიკი-ქავთარ II. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 179. ტბელთა წარწერები ერედვის და დოდოთის წარწერებში მოხსენიებული ივანე ტბელის გარდა სხვა ივანე ტბელს არ იცნობს. წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე რომ ქართლის ერისთავი ყოფილიყო, წარწერაში ეს აუცილებლად აისახებოდა. მ. ბახტაძის შეხედულებით, ლეონ III ქართლის ერისთავი 957 წლამდე იყო, შემდეგ ის აფხაზთა მეფე გახდა და ქართლის ერისთავობა პატრიკ ტბელს გადასცა. მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86. პატრიკის ქართლის ერისთავობა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. პატრიკი, რომლის სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით), იხსენიება ტბეთის ბორცვისჯვრის ბალავრის ქვის წარწერაში. ის ერისთავის ტიტულსაც კი არ ფლობს. ამ წარწერის თანახმად მას რამდენიმე შვილი ჰყავდა. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 180. ჩვენი აზრით, ამ დროისათვის ტბელების ქართლის ერისთავობა არ დასტურდება. ქართლის ერისთავთა რიგში ივანე ტბელის, ან პატრიკის მოხსენიება არასწორია. ივანე ტბელი იყო თავდაპირველად ტბელთა საფეოდალოს მფლობელი ერისთავი, შემდეგ გახდა ქართლის უფალი, ხოლო პატრიკი ერისთავის ტუტულით საერთოდ არ გვხვდება. ივანეს შემდეგ ტბელებმა ქართლში პირველობა დაკარგეს. გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 71.

* ტერმინი „ერისთავი“ გვხვდება ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის 982-989 წ.წ. სამშენებლო წარწერაში, სადაც ტაძრის ამშენებელი ლიპარიტ ერისთავის ძე რატი ერისთავი იხსენიება. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 202. ერისთავობის ინსტიტუტის შესახებ იხ. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, 2005; ცენტრალური და სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2017, გვ. 129.

წარწერა მკვლევარმა შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(ა)ხელითა ღ(მრ)თის(ა)ითა ესე კ(ო)ნქ იშ(ე)მნ(ა) ივ(ან)ე **ერ(ი)სთ(ა)ვმან** (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის **მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი) ს(ო)ბ(ა)სა**“. მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. ჩვენი აზრით, წორბისის და დოდოთის წარწერებში მოხსენიებული ივანე ერისთავი ერთი და იგივე პიროვნებაა და ის ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს. ივანე ტბელი წარწერებში ჯერ ერისთავია, შემდეგ კი ქართლის უფალი. მან ერისთავობის დროს წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, შემდეგ დოდოთის ცხრაკარის ეკლესია, ხოლო როდესაც ქართლის უფალი გახდა, ივანე ტბელის ბრძანებით ერედვის ეკლესია აიგო. როგორც ჩანს, ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაიცი“ იცნობს. ცოტა უფრო მოგვიანებით კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენიმე ფეოდალური სახლია, მათ შორის: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სსკლოსელნი, სარა და გრიგოლ ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა.“¹²⁵ წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუენელებზე და ყანჩაელებზე მეტად დაწინაურდა* და ის ქართლის „უფალი“ გახდა. როგორც უკვე მივუ-

125 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 269.

* სოფელი ფხუენისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა საფეოდალოს სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო.

თითებლით, მეჯუდის ხეობაში არსებულ ბიეთის ტაძრის X საუკუნით დათარიღებულ წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი ბაკურ ყანჩაელის ძე იოანე. იოანე ყანჩაელი ერთდროულად იყო ერისთავთ-ერისთავი, ასევე უფალი და პატრონი.* ერისთავთ-ერისთავის ინსტიტუტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. ი. ჯავახიშვილის აზრით: „ერისთავთ-ერისთავს მრავალი ქვეშეთი მოხელე ხელისუფალიც კი ჰყავდა, მათ შორის, რასაკვირველია, მისი თემის ერისთავნიც.“¹²⁶ დ. გურიტიშვილის შეხედულებით: „შინაარსობრივად ერისთავთ-ერისთავი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისი ქვეშეთი მოხელენი ერისთავნიც არიან. ერისთავთ-ერისთავების ტერიტორია უფრო დიდ სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულია. საერისთავო ერისთავთ-ერისთავების ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია.“¹²⁷ ე. თაყაიშვილის მოსაზრებით: „ერისთავი, რომელსაც სხვა ერისთავი თუ ერისთავები ჰყავდა ვასალებად, ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა. ეს იყო უდიდესი

* ძალზე საინტერესოა, რომ „ერისთავის“ და ერისთავთ-ერისთავის“ გვერდით ქართულ წყაროებში, კერძოდ, ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი „დიდი ერისთავი.“ მაგ., ფლავის ეკლესიის მოსახსენებელში, რომელიც X-XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება იხსენიება დვთაების ჯვარის ადმართველი დიდი ერისთავის რატის ასული, მირიან რთანისა(?) ცოლი. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 227.

¹²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნ. II, ნაკვ. I, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 331.

¹²⁷ დ. გურიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ., 1962, გვ. 67.

ხარისხი მეფის ხარისხის შემდეგ.¹²⁸ ნ. შოშიაშვილის აზრით: „XI-XV ს.ს. საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში ერისთავთ-ერისთავები მეფის მოხელეები იყვნენ, მათ ხელქვეითი ერისთავები არ ჰყავდათ და ამდენად ერისთავთ-ერისთავის პირდაპირი მნიშვნელობა რეალურ ვითარებას არ ასახავს.“¹²⁹ ი. ანთელავას შეხედულებით: დიდ ერისთავს (ერისთავთ-ერისთავს) ემორჩილებიან უფრო მცირე ერისთავები. მაგრამ ოფიციალური ადმინისტრაციული დაყოფა როგორც ჩანს, არ არსებულა. საერისთავ-ერისთავო და არც ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა.¹³⁰ მ. ბახტაძის მოსაზრებით, ერისთავობა იყო ოფიციალური თანამდებობა, ხოლო ერისთავთ-ერისთავობა კი საპატიო ტიტული. ამ ორ ინსტიტუტს შორის არანაირი იერარქიული დამოკიდებულება არ ყოფილა.¹³¹ ჩვენი აზრით, ბიეთის წარწერაში იოანე ბაკურ ყანჩაელის ძეს აფხაზთა მეფეებისაგან ჰქონდა ბოძებული ერისთავთ-ერისთავის საპატიო ტიტული, ის ამ დროს იყო ქართლის გამგებელი „უფალი“, ე.ი. მეფის მიერ ქართლში დანიშნული

128 ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, №27, 1949, გვ. 44.

129 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 191.

130 ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, თბ., 1983, გვ. 191-192.

131 მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2005, გვ. 191. (ერისთავთ-ერისთავობის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოდგენილია მ. ბახტაძის ნაშრომში: ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2005.)

მოხელე და ყანჩაელთა საკუთრებაში არსებული მამულის პატრონი.*

მამასახლისი

წორბისის წარწერაშივე იხსენიება „მამასახლისი“¹³². როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწვია.¹³²

მამასახლისები რომ ქრისტიანულ ტაძრებს აშენებდნენ, ამას ატენის ხეობაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკზე არსებული ვეჟან ატენელი მამასახლისის VIII საუკუნის მოსახსენებელიც ადასტურებს: „ესე ჯ(უარ)ი ქ(რის)ტ(წ)სმ მე, ვეჟან ატ(ე)ნ(ე)ლ მ(ამა-სა)ხლ(ისმა)ნ² აღვმართე შესავედრებელად და

* ერისთავთ-ერისთავები შიდა ქართლის სხვა წარწერებშიც გვხვდებიან. იკორთის მონასტრის 1172 წლის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულნი არიან: ერისთავთ-ერისთავები ბემქენი და ვარდანი. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 142. აქვეა, მოსახსენებელი ერისთავთ-ერისთავების: ვარდანის, არსენის, ჭიაბერის, ბასილისა და თვალის გუგასი (საკუთარი სახელი). იქვე, გვ. 142..

¹³² ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 168; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 22. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ. „ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ. 129.

ს³ ანსრად სულისა ჩემისა და⁴ ყ(ოვე)ლთათჳს თავეყანისმცე⁵ მელთა ქ(რის)ტ(წ)მს(ა)თა. ქ(რის) ტე ყ(ოვე)ლნი შევ⁶ ჳწყალენ ძ(ალი)თა ჯ(უარ)ი(ს) ა შ(ენ)ი(სა)დთა, ა(მწ)ნ⁷ იყ(ავ)ნ. და, რ(ომელ)თა აღმოიკითხოთ, მე, ვე⁸[უან ც(ო)დ(ვი)]ლი ლოცვასა მ[ომიწ]სენ[ეთ].¹³³

მამასახლისის ინსტიტუტი საკმაოდ გავლენიანი იყო, რაც უფრო გვიანდელი წყაროებიდანაც ჩანს. ამას ადასტურებს მათი მოსახსენებელი წარწერების ამოკვეთა შიდა ქართლის სხვა ტაძრებზეც. 1920-იანი წლების დასაწყისში, ქარელის რაიონში ა. შანიძემ არადეთის ძველ ნასოფლარში წმ. გიორგის ეკლესიაში წარწერას მიაკვლია, რომელიც მარადელი მამასახლისების მოსახსენებელია. წარწერა თარიღდება X-XI ს. ს. „[წ(მიდა)ო გ(იორგი)ი]² აღი[დ(ენ)ნ]³ მ(ა)რ(ა)დ(ე)ლნი[ი] მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლი⁴ნნი“¹³⁴. ჯვარის აღმართვის აღსანიშნავად წრომის ეკლესიაში მოსახსენებელი შექმნილი ჰქონდა გრიგოლ მამასახლისს. მოსახსენებელი IX საუკუნით თარიღდება: „ესე ჯ(უარი) ქ(რის)ტ(წ)ს(ი)ი მე, მ(ა)მ² ას(ახლის) მ(ა)ნ გრ(იგ)ოლ ზ(ედ)ა ავმა³რთე, სალოცვე[ლ]ად ჩ(უენ)ნ⁴და, მოსაწ[ს]ენებლად⁵ ს[ულის]ა კურთხეულ[ი]⁶[სა მამისა ჩ(უენ)ი]სა“.¹³⁵ მამასახლისების მოსახსენებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი წარწერა რომელიც თეთრიწყაროს რაიონშია შემორჩენილი X საუკუნით თარიღდება და ასეთი შინაარსისაა: „...[გ]ლ[ი მა]² [მ]

133 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 107.

134 იქვე, გვ. 113

135 იქვე, გვ. 132.

[ასახლი³ [ს]ი ვარ.¹³⁶ ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი: „სამამასახლისო დაწერილი“. X-XI სს მიჯნით დათარიღებულ შეწირულობის აქტის ფრაგმენტში ვკითხულობთ: „[ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა] ღ(მრ)თისა(დ)თჴა და მეოხებითაჴ [წმიდისა ღ(მრ)თ(ი)სმშობლის(ად)თა]...ჴ თის ეკლესი(ი)სა შ(ე)წ(ი)რ(უ)ლი ჩნდეს Ⴛ[წლი]სა გ-სადა Ⴛ ვაკუწრთხე ს(ა)მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო) დაწ(ე)რ(ი)ლი წჴ[მ]ი(ა)და. ვ(ინ)ცა ვ(ინ) შეუცჴვალოს წ(მიდა)ი იოვე¹⁰ან¹¹ე ნ(ა)თლ(ი)სმც(ემე)ლი თ(ვ)თ გ(ა)სჯ(ი)ს წ(ინა)შე ღ(მრ)თისა“.¹³⁷ „სამამასახლისო დაწერილი“ შესაძლოა ეკლესიის წინამძღვრის, ან ეკლესიის პატრონის (ფეოდალის) მიერ სპეციალურად შექმნილი დოკუმენტი იყო, რომელიც ადგილობრივ მამასახლისს ტაძრის, მისი მეურნეობის მოვლის გარკვეულ ვალდებულებას უჩენდა. ლაპიდარული წარწერებიდან ერთი რამ ნათელია, რომ მამასახლისები, როგორც ჩანს, სატაძრო მეურნეობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ეკლესიების მოვლა-პატრონობაში გარკვეული წვლილი შეჴქონდათ, სხვანაირად მათი მოსახსენებლებს ტაძრების კედლებზე არ დაიტანდნენ. ამასვე ადასტურებს აკად. ექვ. თაყაიშვილის მიერ ამოკითხული უბისის XII საუკუნის წარწერა: „ქ. ბერძნის წმიდად გიორგისად შემოსაწირავი (სიც) კეთილი შემოსწირა სტეფანე და მე დღეი უბოძე წმიდაისა სტეფანესი. ვინცა მამასახლისი ბრძანდებოდეთ, გარდიჴდიდეთ, თაყას ღმერთმან მოგჴხადოს ამინ.“¹³⁸ მამასახლი-

136 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 140.

137 იქვე, გვ. 242.

138 Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки: Вып. V, Тиф., 1915, стр. 13.

სი ქართულ აგიოგრაფიულ ტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. „ეკსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მამასახლისი იხსენიება, როგორც ქართლის მოხელე: „რაჟამს ამხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხვანი სეფეწულნი...“¹³⁹ მამასახლისი მონასტრის მეურნეობის ხელმძღვანელის აღმნიშვნელ ტერმინსაც გამოხატავდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ხოლო მან ეპიფანესი ბრძანა ჟამის წირვად, რამეთუ იგი დაეღვინა მამასახლისად ხანძთას.“¹⁴⁰

ხევისუფალი

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი ხევისუფალი.* ამ

139 მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1978, გვ. 44.

140 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 134.

* ხევეს ქართულ საისტორიო წყაროებში ისეთივე დატვირთვა ჰქონდა, როგორც „ქეყანას“. სუმბატ დავითის ძის თხზულებაში ხევი ისეთი ტერიტორიული ერთეულია, რომელშიც რამდენიმე სოფელი შედის. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 379. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით: „ხევისუფალი წინ უსწრებს ერისთავს. ერისთავი ხევისუფლის შემცველი ინსტიტუტია, ხევისუფლის გადაშენების ნიადაგზე შექმნილი.“ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 74. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტის დეგრადაციის მიუხედავად, დოკუმენტურ წყაროებში, თუ ლაპიდარულ წარწერებში ხევისუფალი ერისთავთან ერთად განაგრძობს არსებობას. ოღონდ ხევისუფალი მხოლოდ ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეა და მათი მოქმედების არეალი მკვეთრად დავიწროებულია.

მხრივ, საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს მდ. მეჯუღას ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა. წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.¹⁴¹ მასში ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისადთა ესე კელი [წუნ] რამინ და გიორგი დავწერეთ ოდეს [კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, წუნ ცხრაზმის ჳევის ჳევისუფლად [ვ]ესევენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქოვლნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოური, ჰკიდავს ჳ კაცი. ქე ა ცის-კარ ამინ. ესე კელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიაღთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო † ამ[ა]“. ¹⁴² ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წ.წ) ცხრაზმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად მაღლა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმოწმებს.¹⁴³ იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: „თუ ჳევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რა-

141 საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925.

142 ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუღას ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 6.

143 იქვე, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, ტფ., 1928, გვ. 207;

ტომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის (იგულისხმება ჭაღისუბნის 923-926 წ.წ. წარწერა – გ. ს) პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?¹⁴⁴ ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვიფიქროთ, რომ ცხრაზმის ჰეგში ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.“¹⁴⁵ *

ლაპიდარული წარწერების მიხედვით ხევისუფლები არიან არამარტო ეკლესიების ამშენებლები, არამედ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებლები, მაგ. თეთრი წყაროს რაიონში, დაღეთ-ხაჩინის წყაროს ქვაზე, რომელიც X საუკუნით თარიღდება ვკითხულობთ: „ქ(რისტ) ე შ(ეიწყალ)ე ქობ(უ)ლ² ჰევ(ი)სუფ(ა)ლდ³ ესე დაკრ(ა)კნილდ წყ(ა)რ(ო)დ მ(ან) ქ(მ)ნ(ა).“¹⁴⁶ თბილისიდან 18 კმ-ის დაშორებით ე.წ. მაჩხანის ეკლესიაზე

144 ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

145 იქვე, გვ. 8.

* მეჯულის ხეობა ცხრაზმის ხევს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაზმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. სავარაუდოდ X საუკუნეში მეჯულის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. თუმცა, შესაძლოა, მამისაგან განდგომილმა აფხაზთა მეფის ძემ კონსტანტინემ თავის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არსებული, ყანაელების დაქვემდებარებაში არსებული ცხრაზმის ხევისუფალნი გადმოიბირა და მათ თავიანთი უშუალო ხელმძღვანელი წარწერაში არ მოიხსენიეს.

146 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 141.

მიკვლევულ X ს. საამშენებლო წარწერაში ხაზგასმულია, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დიდგორის ხევისუფლის დროს აიგო: „ჩს(ა)ხ(ე)ლი(თ)ა ღ(მრთისაჲ)თა, მ(ეო)ლ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთისმშობლისაჲ)თა, შ(ე)წ(ეგნი)თა წ(მიდი)სა თ(ე)ვ(დო)რ(ესი)თა⁴¹ ა(ღე)შ(ენ)ა ს(აყდა)რ(ი) ესე ღი(ღვო)წ(ის)ს(?) ჳ(ევისუფ)ლ(ო)ბ(ა)სა გ(უ)ლ(ის)ს (ურ)აბ(ი)სა(?) ღ. † ას(ა)ნო/ბ(არ)სა (?) ამ(ი)ს ლავრი⁸სა იოვანეს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)ვ(ენ).“¹⁴⁷ აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში არსებობდა სახევისუფლო გადასახადი. გიორგი II მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულ სიგელში აღნიშნულია: „აწ ჩუენცა მას ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი ყოველისა შესავლისა და გამოსავლისაგან სახელმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთავოისა, სახევისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმისა მოქმედთაგან.“¹⁴⁸

პატრიკოსი

ღოდლოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე ღოდლოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული. ღოდლოთიდან 10

¹⁴⁷ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 226.

¹⁴⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 10.

კმ-ის დაშორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს წევრები იხსენიებიან. ერთ-ერთი წარწერა, რომელიც ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი* ქავთარის ძე პატრიკ ტბელის და მისი ოჯახის წევრების მოსახსენიებელია: „+სახ(ელ(ი)თა ღ(მრთისაჲ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ელ)მ(ა)ნ პ(ა)ტ(რი)კმ(ა)ნ, ძ(ე)მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(არ(ი)სა)მან² დ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა) დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუი)ნ. ჯ(უ)არო ბ(ო)რც(ვსა)ო, მ(ე)ოხ (მე)ქ(მე)ნ.“¹⁴⁹ ტბეთის ეკლესიის კედელზე X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენიებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.¹⁵⁰ წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, გ(ანუ)ს(უ)ენე ს(უ)ლ(ს)ა ტბ(ელ)ი(სა)² პ(ა)[ტ(რი)კ(ი)ს, დ[ლ](ე)სა მას.“¹⁵¹ აღნიშნული წარწერა დატანილი ყოფილა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის შუა სარკმლის თავზე, ოვალურ რელიეფურ ფონზე, ჩუქურთმის ზემოთ. ტბელის ძეგლის ოქროპირისა

* იგი სამხრეთის ფასადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180.

149 ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 48.

150 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, executé en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Académie Impériale des Sciences. 2 de livr. VI, St. Petesbourg, 1851, p. 58.

151 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

და ქავთარის მოსახსენებელის ქვემოთ.¹⁵²

აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტკნ“ კითხულობს როგორც „პატკანმან“,¹⁵³ რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ – არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“.¹⁵⁴ ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა.¹⁵⁵ მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკიოსობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკიოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკიოსობა, რამენაირად ეხმაურებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკიოსობას. წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი (ადარას ვამბობ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე).

152 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 183.

153 ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 134.

154 რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 115.

155 ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე“. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 98.

ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?¹⁵⁶ მ. ბახტაძე, პატრიკ ტბელის წარწერასთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ პატრიკი უნდა იყოს არა ტიტული, არამედ სახელი.¹⁵⁷ პატრიკოსს, როგორც საკარისკაცო ტიტულის აღმნიშვნელ ტერმინს ვხვდებით 595–605 წ.წ მცხეთის ჯვრის ტაძარში შემორჩენილ წარწერებში, აღნიშნული წარწერები სტეფანოს პატრიკოსის და მისი სახლის წევრების მოსახსენიებლებს წარმოადგენს. ერთ-ერთ მათგანში იხსენიება „სტეფანოს ქართლისა პატრიკოსი.“¹⁵⁸ მეორე მოსახსენებელში სტეფანოზის გარდა ტიტულით არიან მოხსენიებული დემეტრე და ადარნარსე, როგორც წარწერიდან ჩანს, ისინი ევპატოსის ტიტულს ფლობდნენ.¹⁵⁹ პატრიკოსი, როგორც საკარისკაცო ტიტულის აღმნიშვნელი ტერმინი ვხვდება აბასთუმნის 685–711 წ. წ ასომთავრულ წარწერაში, სადაც იხსენიება ქართველთა ერისთავი არშუშა პატრიკოსი.¹⁶⁰ არ გამოვრიცხავთ, რომ დოდოთის წარწერებში მოხსენიებული პატრიკი ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ქავთარის ძის ბიზანტიური ტიტული ყოფილიყო. ამ დროის სხვა წარწერებსა, თუ საისტორიო დოკუმენტებში მსგავსი საკუთარი სახელი არ გვხვდება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვქვათ, რომ შიდა

156 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

157 მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

158 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 160.

159 იქვე, გვ. 96.

160 იქვე, გვ. 103.

ქართლის ლაპიდარული წარწერები ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ადრეფეოდალურ საქართველოში გავრცელებული სამოხელეო, თუ სოციალური შინაარსის ტერმინთა შესახებ, როგორებიც იყო: ხევისუფალი, მამასახლისი, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, უფალი, პატრიკოსი. წარწერებიდან სრულად არ ჩანს თითოეული მათგანის დატვირთვის, სამოხელეო, თუ სოციალური ფუნქციის შესახებ, მაგრამ მოპოვებული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოხელეთა და სოციალურ ფენათა შორის არსებულ იერარქიაზე, რაც კიდევ უფრო ავსებს და ამდიდრებს ნარატიულ წყაროებსა, თუ დოკუმენტურ მასალებში დაცულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კახთა მეფეები და მცხეთის ქადაგები (XV-XVI ს.ს.)

როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ – გიორგი VIII საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს. ქართლის სამეფომ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა, თუმცა კახთა მეფეები XV-XVI საუკუნეებში ქართლის ტერიტორიაზე გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებდნენ, მათ შიდა ქართლში თავიანთი მამულებიც ჰქონდათ. გარდა ამისა, კახეთის მესვეურთა უფლებები ვრცელდებოდა ქართლის საკათალიკოსოს ადმინისტრაციულ აპარატის წარმომადგენლებზე – „მცხეთიშვილებზე“, კერძოდ კი „ქადაგებზე“. კახთა მეფეებს (როგორც ჩანს მათ ეს პრივილეგია გიორგი VIII-ის მიერ გადმოჰყვათ). „სამცხეთისშივილო წილის“ განკარგვა და „ქადაგის“ დანიშვნაც შეეძლოთ. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა 1527-1532 წწ. ლევან I კახთა მეფის მიერ გაცემული სიგელი: „ქ. სასორო ჩუენო მარკოზ და ყარსლან! ჩუენ მაგიერად პატრონსა ქართლისა მკზსა (მთავარეპისკოპოსსა) მაღაქიას ასრეთ მოაგსენეთ: მცხეთისა საყდრისა და კზისა საქმესა ეგენი დახუდეს და რაც ჩუენისა შვილისა ჳელთ იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუელა უკლებად მივაბარე და ჩუენი შვილი სამუქყოთა გავიჯერეთ და გარეჯისა უდაბნონი საყდარს მოვახსენეთ, ასე რომ კზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუელითაგან გაჩენილი არა მოაკლდეს და არცა გარეჯით მცხეთას მივიდოდეს: მასზე და აღაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს, და გარეჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბრძანისსავე ზედა მიასვენონ. სხუა ჩუენი ჳელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა(და) მალისა

(მეტი?); და თუ გავიაროთ, ძღუენითა დაგუხუდებოდენ. აგრევე სხუანი საღაპონი (sic) მამულნი მოგვისხენებია და ტრაპეზსა მისი ნუ მოაკლდების. ამაზედ მომკლებად (მომჭრებად?) საღმრთონი კაცნი უჩინეთ და ჩუენი საუკუნო საქმე ნუ მოგუაკლდების. – ამას გარეთ რანიცა მცხეთას მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯუარისა მონასტერი მისითა შესავლითა, მეტეხთ მონასტერი მისითა შესავლითა, ქადაგის მონასტერი მისითა საკვლოთა და შესავლითა, სარკისა და ვირშისა მონასტერი მისითა შესავლითა; და **რაც პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ**, იმას ჩუენ მოვიკლებთ და მაზედა მწირველსა დავაყენებთ. – ქადაგის საქმე აქაც გაუტყდით, ჩუენი მინდობილი არის და სააკაკაოდ არვის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყუან (ე. ი ამ მოხელეს მე თვით დავნიშნაო, მცხეთით ნუ მიგზავნიანო და არცა სად გაუშვებთ. და რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საკვლო აბარია, არცა იმას წაუღებთ. როგორც მცხეთისა საყდარი არა მოიშლების, აგრევე ქადაგისა, მონასტერსა და საკვლოსა არ მოვშლი. – სოფელი ახალშენი შემოწირული არის ასრე რომე საყდარსა ემსახუროს და მისი გამოსავალი ჩუენ გულისთვს წაიგებოდეს. აბრეშუმის რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შეგვინახონ: კალატოხოთათუის მოგუინდების. აგრევე აქაური პური და ღვინო“.¹⁶¹ საინ-

161 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 370. შიდა ქართლში, კერძოდ პატარა ლიახვის ხეობაში, რომ კახთა მეფე ლევანს მამულები ჰქონდა, ამას კიდევ ერთი დოკუმენტი ადასტურებს. სიგელი 1532-1548 წლებშია დაწერილი. იგი ლევან კახთა მეფემ კათალიკოს მალაქიას უბოძა: „კათოლიკე ეკლესიასა და თ-ქნსა საჭეთმპყრობელსა... კ-სა პატრიარქსა მალაქიას (მოგახსენე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა ხელ-შეუვალად, ქორდს ყან-

ტერესოა რა უფლებებით სარგებლობდა ლევან I კახთა მეფე შიდა ქართლში არსებულ მამულებზე. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწოდის 1537 წელს შედგენილი „წყალობის წიგნი ბასილ კათალიკოზისა გიორგი ჭარმაულისადმი“. ქართლის კათალიკოსმა ბასილმა „მცხეთის შვილებს“ ჭარმაულებს გიორგის, მის შვილს ავთანდილს და მის ძმებს გრიგოლს და აბიათარს სოფელი ხატისწობენი სიგელით დაუმტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია: „და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა, და რარიგადცა პატრონმან [მეფემან ლეონ] დაგიმტკიცა და გიბოძა“.¹⁶² ხატისწობენი რომ ჭარმაულების საკუთრება იყო, დასტურდება 1505 წლის დოკუმენტით, აღნიშნული სოფელი კონსტანტინე მეფემ და შიო კათალიკოსმა ივანე ჭარმაულს უბოძეს.¹⁶³ ხატისწობენზე XVI საუკუნის II ნახევარშიც კახთა მეფეებს მიუწვდებოდათ ხელი, ეს ჩანს 1579 წლის დოკუმენტით, რომლის თანახმადაც ალექსანდრე II აღნიშნული სოფელი

დიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძანი... უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჭარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩინისა წარსამართებელად... სხუა რაც ჟამთა-ვითარებისაგან ძუეეღნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰბოძებოდეს ამითა ემსახური(უმსახური), ჩნ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გავეყაროს (და სხ.) (არა გეთხოვებოდეს რა) სათათროსა საურსა გარეთ, ეზროშველი ვირშველი წინუბნით.“
იქვე, გვ. 376.

¹⁶² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 253.

¹⁶³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14681;

სვეტიცხოველს დაუმტკიცა.¹⁶⁴ ლევან კახთა მეფე შიდა ქართლთან მიმართებაში კიდევ ერთ დოკუმენტში იხსენიება. ეს არის 1562-1565 წ.წ დათარიღებული „წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაძისადმი“. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა ნიკოლოზ კათალიკოზმა მაღალასძე გედეონს, მის ძეს – რომანოზს და ძმისწულებს დავითს და ნიკოლოზს სოფელ ნიაბსში* უბოძა კანაჩისძის გივისეული მამული, რომელიც მანამდე მაღალასძეებს სიმონ მეფის მიერ ჰქონდათ ბოძებული. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გედეონ მაღალასძეს თავისი ძის – მომავალი კათალიკოსის ნიკოლოზის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლევან მეფე დიდად სწყალობდა, ამის შესახებ ნიკოლოზ კათალიკოსი წერს: „ხოლო შენ მიერ განსწავლულ ვიქმენ კითხვასა ღმრთივსულიერთა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა, რომელ აღწევნულ ვიქმენ თავსა სრულებისასა ვიდრე რიტორობად და ღრ[ა]მატიკოსობად და მამამან ჩემმან დიდმან მეფემან ლეონ დიდად პატივგცა კეთილად აღზრდისა ჩემისათვის და მრავალნი საფასენი მოგანიჭნა ცხორებასა შინა თვისსა.“¹⁶⁵ კათალიკოზ ნიკოლოზის აღზრდაში და მის განსწავლაში ქადაგ გედეონ მაღალასძეს დიდი წვლილი შეუტანია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მოხსენიებული ქადაგის – გედეონ მაღალასძის

164 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-464; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 271.

* აღნიშნული სოფელი კასპის რაიონში მდებარეობს.

165 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 273.

მამა – რომანოზ მაღალასძეც მცხეთის ქადაგი იყო,* რომლისთვისაც 1542 წელს კათალიკოს თეოდოსის მცხეთაში მჭედლისშვილის იოვანესეული სახლ-კარი და მამული უბოძებია, ხოლო დიდუამში კი მხევეასძისეული ვენახი. როგორც ჩანს, „ქადაგობა“ მემკვიდრეობით გადადიოდა, რადგან რომანოზის შემდეგ ქადაგის სახელოს მისი ძე გედეონი დაეუფლა. მაღალასძენი იმდენად დიდი ნდობით სარგებლობდნენ კახთა მეფეების წინაშე, რომ ლევანმა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, თავისი ძის – მომავალი კათალიკოსის აღზრდა გედეონ მაღალასძეს მიანდო. ლევან კახთა მეფის ძე ნიკოლოზი რომ ქართლის კათალიკოსი იყო, ამას ადასტურებს 1848 წელს მეტეხის ოთხთავზე დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილის მიერ მიკვლეული წარწერა: „ქ. ჩვენ ქრისტეს ღვთისა მიერ კურთხეულმან ძემან მეფისამან ლევანისამან ქართლისა კათალიკოსმან პატრიარხმან ნიკოლოზ შემოგწირე ოთხთავი ესე შენ დიდებულსა და საშინელსა მეტეხთა ღვთისმშობელსა სულისა ჩვენისა სახსრად(?) და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად.“¹⁶⁶ ნიკოლოზ კათალიკოსი, რომ ლევან კახთა მეფის ძე იყო, ჩანს ასევე მეტეხის ღვთისმშობ-

* მაღალასძეთა ოჯახის წევრები ამ დოკუმენტში იხსენიებიან როგორც „მცხეთის შვილნი“.

166 H-78; 71 V.jpg. დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილის პირადი არქივის ერთი ნაწილი, მათ შორის შიდა ქართლის ეკლესია მონასტრების და სიძველეების აღწერა, რომელიც ინახებოდა სანკტ-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ცნობილი ქართველოლოგის მარი ბროსეს ფონდში, საქართველოში ჩამოიტანა ცნობილმა ისტორიკოსმა, განსვენებულმა მეცნიერმა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილმა. ვსარგებლობთ სწორედ მის მიერ გადმოცემული მასალით.

ლის ტაძარში დიმიტრი მეღვინეთუხუციშვილის მიერ მიკვლეულ ღვთისმშობლის მიძინების ხატზე ამოტვიფრულ ასომთავრულ წარწერაში: „ქ. ჩვენ ქრისტეს ღვთისა კურთხეულმან აპა იანბიკონი რომლითა თავნი იტყვიან მსასოებელი და მვედრებელი შენდობა ევას ცდომითა განძებული სამოთხით ტკბილისა მისგან კეთილსაშეგებელისა ექსორება მწარედ დასჯილი პირველ ხის ცნობადისა მგემებელი აწ ბეშავთა თაყვანის გცემ შენ ქალწულ უბიწო ღვთისა ცხებულთაო ტომთაგან აღმოსრული მამით ლეონით ხოლო დედით თინათინ... გევედრები ისმინე კათოლიკოზი ნიკოლოზ დაიცე.“¹⁶⁷ XVI საუკუნის II ნახევარში ნიკოლოზის სახელით ორი კათალიკოსია ცნობილი. ნიკოლოზ VI (1561-1584 წწ.) და ნიკოლოზ VII (1584-1589 წწ.)¹⁶⁸ ი. ალიმბარაშვილის აზრით: „ამ ორი ნიკოლოზიდან, პირველი ბარათაშვილია და მისი მეფის ძეობა უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება ნიკოლოზ VII-ს, იგი მართლაც ბაგრატიონი იყო და მისი მშობლები კახთა მეფე ლევანი (1520-1574) და თინათინ გურიელი იყვნენ. ამდენად კათალიკოს ნიკოლოზ ლეონის ძეს ხატსა (იგულისხმება მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ხატი – გ.ს) სახარებაზე (იგულისხმება მეტეხის ოთხთავი – გ. ს) წარწერა 1584-1589

167 Институт Восточных Рукописей Российской Академии Наук, фонд, Н-78; дело ` Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850, 70. მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრისადმი ნიკოლოზ კათალიკოზის განსაკუთრებული ზრუნვას შესაძლებელია ის მიზეზიც ჰქონდა, რომ კასპის რაიონში არსებული მეტეხის ტაძარი თბილისის მეტეხის მეტოქე იყო, რომელზეც კახთა მეფეებს გარკვეული უფლებები ჰქონდა.

168 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ენრიკო გაბიაშვილისა და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედაქტორობით, თბ., 2007, გვ. 683-684.

წლებში უნდა გაეკეთებინა.¹⁶⁹ ჩვენი აზრით, აქ გარკვეული უზუსტობაა, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, 1562-1565 წწ. გედეონ მაღალასიდაში ბოძებულ წყალობის სიგელში, ნიკოლოზი, რომელიც მამას ლეონსაც იხსენიებს უკვე კათალიკოსია, შესაბამისად ნიკოლოზ VI, რომელიც ქართლის კათალიკოსი 1561 წელს გახდა ბარათაშვილი ვერ იქნებოდა. ამდენად, ლევან კახთა მეფის ძე იყო არა ნიკოლოზ VII არამედ ნიკოლოზ VI, რომელიც მამის – ლევანის სიცოცხლეში გახდა ქართლის კათალიკოსი და, შესაბამისად, მეტეხის სახარების მინაწერიც და ღვთისმშობლის მიძინების ხატის ასომთავრული წარწერაც 1561-1584 წწ. უნდა დათარიღდეს. დავუბრუნდეთ ლევან კახთა მეფის მიერ მთავარეპისკოპოს მალაქიასადმი 1527-1532 წწ. შეწირულობის სიგელს. დოკუმენტი ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. საყურადღებოა ჩანაწერი: „პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ“. როგორც ჩანს, კახთა მეფეებს ქართლში გარკვეული მამულები ეკუთვნოდათ და ზოგიერთ მონასტერზე მათი უფლებები ვრცელდებოდა. მათ შორის ჯვრის, მეტეხის, ქადაგის, სარკის და ვირშის მონასტრებზე. ინტერესს იწვევს დოკუმენტში ნახსენები „ქადაგი“. „ქადაგი“ კათალიკოსის ადმინისტრაციაში შემავალი თანამდებობა იყო. XIII საუკუნის ძეგლში „კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“ ასეთი ჩანაწერი გვხვდება: „ოღეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა

169 იოსებ (სოსო) აღიშბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით), სამეცნიერო კრებული: ელდარ მამისთვალიშვილი – 75, 2015, გვ. 452.

ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოძღუარნი შემოკრებენ მცხეთას, დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად. და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტვრთენ კეტნი ქუაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი... და რაჟამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყუერელსა ეტვრთოს, და რაჟამს განზაონ, ტაკუკი ქადაგისა ჰვლითა დაიბეჭდვოდეს.¹⁷⁰ როგორც ჩანს, მირონის კურთხევის დროს, ქადაგი სომხეთის მიტროპოლიტთან ერთად მონაწილეობას იღებდა სვეტიცხოვლის ტაძარში გამართულ ამ დიდ ცერემონიალში. სხვა დამატებითი ინფორმაცია „ქადაგის“ ფუნქციებთან დაკავშირებით დოკუმენტში არ ჩანს. ფშავის აღწერისას „ქადაგის“ შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელმქნილი, და დაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვს, სთნავთ და ჯერ იხენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა“.¹⁷¹ საისტორიო წყაროებში როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, „ქადაგი“, ეკლესიის მსახურთა შორის გვხვდება. აღნიშნული თანამდებობა მეცნიერის განმარტებით გიორგი

170 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 47.

171 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, გვ. 533.

მერჩულეს ტექსტში „შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი, არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა“ იხსენიება.¹⁷² „ქადაგი“ გეხედება XIII საუკუნის ძეგლში „განგებია ვაჰანის ქუაბთაი“: „...ვინაიკა გუღსვიდგი[ნე აღწერად] და კანოთ[ა] ღმრთივკმოანთა საღმრთოთა **ქადაგთა** და წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათაისა განეგებვოდის ყოველივე სახე მოღუაწეობისა ქცევისა, რომელნი მკვდრ იყენენ მას შინა“¹⁷³ სულხან-საბა ორბელიანი „ქადაგს“ ასე განმარტავს: „ქადაგი მალღა მძახებელი სწავლისა“.¹⁷⁴ „ქადაგი“ გეხედება ასევე 1399-1419 წწ. კათალიკოს ელიოზის მიერ ცხეოსნიძეებისადმი ბოძებულ სიგელში. კათალიკოსმა მათ მამულები უბოძა. სიგელის ბოლოს ვკითხულობთ: „ამას გარდა ქადაგთაგან დაწინდული ექესის კაცით საბარი ვენაკი თევედორე ცხეოსნიძემან [დაიკ]სნა“.¹⁷⁵ „ქადაგი“, ისევე როგორც კათალიკოსის სხვა დამხმარე თანამდებობის წარმომადგენლები „მცხეთისშვილები“ იყენენ. „მცხეთისშვილობა“ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს: „კათალიკოზის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმო დაწესებულება იყო.“¹⁷⁶ ეს ტერმინი

172 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, გვ. 14.

173 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 135.

174 სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, II, ავტორგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 209.

175 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, თბ., 2013, გვ. 76-77.

176 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 19.

მეცნიერს XI საუკუნის ხელნაწერში ამოუკითხავს.¹⁷⁷ „მცხეთიშვილები“ მცხეთის საკათალიკოსო საყდრის საკუთრებაში არსებული მამულების გარკვეულ ნაწილს ფლობდნენ. როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს: „შუა საუკუნეების საქართველოში მცხეთიშვილობა გულისხმობდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილი მამულების წილობრივ ფლობას და მამულთან დაკავშირებული ყველა სხვა ვალდებულების შესრულებას. ამასთანავე მცხეთიშვილობა ნიშნავდა კათალიკოსთან არსებულ ერთგვარ სათათბირო ორგანოში მონაწილეობას – მცხეთიშვილები კათალიკოსთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას ეკლესიის შიდა ორგანიზაციული, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხების შესახებ... მცხეთიშვილებს უპყრიათ კათალიკოსის კარზე სამცხეთიშვილო წილთან მიბმული ყველა ადმინისტრაციული, საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობა: ჯვარისმტვირთველობა, ქადაგობა, სარდლობა, მეღვინეთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა, მდივანმწიგნობრობა, მოურავობა, პირისმწებობა, ამირაჯიბობა, და სხვ.“¹⁷⁸ „ქადაგს“ უნდა უკავშირდებოდეს გვარი ქადაგისძე, რომელიც XV საუკუნის ქართულ დოკუმენტებში გვხვდება. ქადაგისძე იხსენიება 1420 წლის საბუთში. ფრიდონა ქადაგისძემ ქვათახევის მონასტერს მამული შესწირა.¹⁷⁹ ქადაგისძე ვიგრი, როგორც ალექ-

177 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 19.

178 მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, ჟურნ. „ანალები“, 2008, გვ. 171-179.

179 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გიორგი ოთხმეხურმა, გუელიკო

ქსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნის დამწერი იხსენიება 1439 წლის დოკუმენტში.¹⁸⁰ ალექსანდრე I დიდის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში გვხვდება ავგაროზ ქადაგისძე.¹⁸¹ ქადაგისძის გარდა, „ქადაგს,“ უნდა უკავშირდებოდეს ქადაგიშვილთა გვარიც, რომელიც დოკუმენტებში ოდნავ მოგვიანებით გვხვდება და ის მაღალასქეთა გვარიდან მომდინარეობდა. მაღალასქეები გიორგი VIII-სთან და მის მემკვიდრეებთან საკმაოდ დაახლოებული იყვნენ. მაღალასქეთა გვარში გიორგი VIII-ის მიერ მათი ქართლში ჩამოსახლების გადმოცემაც არსებობდა, რასაც 1476 წლით დათარიღებული სიგელიც ადასტურებს, რომელიც ალექსანდრე I კახთა მეფის მიერ მაღალაძეებს ებოძათ. სიგელიდან ჩანს, რომ ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეების მამა გიორგი VIII დადემიდან გადმოუსახლებია მცხეთაში. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მას ქამსა, ოდეს [სოფლისა ვითარებისაგან] პატიოსანი ივანი [ას]ქე გაბრიელ უმკუიდრო იქმნა და მი[სი] სახლი და მამულნი ოჯერი დაშთა, აწე, ბატონს მამა ჩუენს მოეყვანა დადემით მამა თქუენი და მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა. და ის სოფლით გასულიყო და თქუენ დაშთომილიყვენით. შეგიწყალეთ და შეგიყუანეთ და დაგსუით პატიოსნის ივანი[ას]ძის მამულსა, სახლსა დ ნატამალსა ზედა. და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეს, მეორესა

მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ულენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, ტ. IV, თბ., 2007, გვ. 333.

180 იქვე, გვ. 333.

181 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 245.

ივანი[ას]ქესა, ამილბარს და დიმიტრის და გიორგის, ქვათაკვეს [სასაფლაო], კარისბჭე, სენაკი და ბალი და ბოსტანი; იქავ, კავთისკვეს – მონასტერი ყ(ოვლა)დ წმიდისა ბეთლემისა მისის მამულითა, ბალითა და ბოსტანითა, და სენაკითა და ნატამალითა. იქავ – გლეხი კომლი ხუთი, [ოჩლაურში] სამი კომლი სე[ანიანები] და გიგაურის მამული, [მცხეთას სენაკი და ჭ]ალა საკოკია. კავთისკვეს ზვარი და ხოდაბუნი; ეზატს საკომლო ერთი, ვენაჯითა და მიწითა; გუდალეთს აქათ, დევისკვეს სამძღვარს აქათ, თქუენი რაც არის: მადლა სოფელი ვარდიანი, მთა და ბარი, რომელიცა მათ ჰქონებოდეს საგმარი, შესავალი და გასავალი, მიწა და წყალი, სანადირო [სახს]ლი და სამყოფი. დაბლა სოფელი ნიაბი, კომლი ოთხმოცი, მისის სამართლიანის მზღურითა, მითთა და ბარიოთა, საგმართთა და უკმართთა, საძებრითა და უძებრითა და წყალზედ სათეუზითა, სრულად, სამართლიანის მძღვრითა. ქვემო ხანდაკს კომლი კაცი ორი – ვარდანა და გიორგი; მცხეთას სასახლე; და მარანს საკონე საოჩხე; დიდვამს – სამი კომლი მზევაძე, იქავ – ზვარი და სახნავი; მეტეხს – წისქუილი და ორი ხოდაბუნი; მუხრანს – სოფელი კუნელა მითთა და ბართთა და საწყლისპიროთა. ტფილისის ქალაქს მაზიტას სახლი, მამული და ბალი, ბოსტანი, [წის]ქუილი; თუალზედ, ალვეის ქედს, ერთი კომლი სვიანაძე და თეძამზედ, ქვენადრის[ს], პავლეს სახლი და მამული ეკლესიითა, მითთა და ბართთა, წყლითა, წისქუილითა და წყალითა, შესავლითა და გადმოსავლითა. თრიალეთს ეძანისა და თავფარავ[ნ]ის მოურაობა, ქადაგობა სამცხეთოსა მეათორმეტედის წილისგან ერთი შენა. მამათმთავრობა დიდმის წყლის ზემოთ, გორისჯვრის ზემოთ სკრამ-

დი. ეს[ე], რომელ[ჩნ]იც მამულნი და [აგა]რაკნი და სახელონი ქონებოდეს გორს ფუშრუკაული დიაკონიძის[ა], ისე ყუელა უნაკლულეებლად გიბოძეთ ყოვლისა კაცისა მიუდევრად და უსარჩელად. გიბედნიეროს ღ(მერთ)მან სუეტის ცხო[ვლისა] და ჩუენსა სამსახურსა და ერთგულებასა შინა. არავინ გუიბძანებია მშლელი და მქცეველი ამისი. დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერთ)მან აკურთხოს. დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)ს ოთ, ჳელითა წირქუალელის მუშრიბის რატისათა.⁴⁸² იგივე სიგელი, შემოკლებული ფორმით გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. მკვლევარი დოკუმენტს 1391 წლით ათარიღებდა: „ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმა აღექსანდრე... ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქუენ მაღალადქს ამიღბარს დიმიტრს და გიორგის... (გიბოძეთ) უმკუიდრო სახლ-კარი და მამული ივანისძე გაბრიელისა... მამა ჩემს მამა თქუენი მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა... და... (კვალად გიბოძეთ) ქვათაჳევს ეკუდერი, კრის ბჳე, სენაკი და ბადი და ბოსტანი და კუამლი ხუთი გლეხი ეჩილაურში... ზუარი, ხოდაბუნი... (სხვაც ბევრი სწერია)... კუალად... მამათ-მთავრობა დიდმის წყლის ზემოთ... (გრძლად ჩამოთვლილია) სკრამდი... გიბედნიეროს ღმერთმან სუეტის ცხოვლის და ჩუენსა სამსახურსა შინა... დაიწერა... ქსსა :ოთ: ჳელითა წირქუარელის მუშრიბის რატისითა“... ზედვე ხეულად: „მეფე აღექსანრე ვამტკიცებ“. მერე გაურჩეულად, ხეულადვე კათალიკოზის ხელი აწერია.⁴⁸³ დოკუმენტის სრული ტექსტის გამომცემელი მ. სურგულაძე (როგორც ირკვევა დოკუმენტის დედანი დაკარგულია და გა-

182 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 213.

183 იქვე, გვ. 191-192.

მოქვეყნებულია დოკუმენტის 1820 წელს გადაწერილი ასლი) ამ საბუთს 1476 წლით ათარიღებს და ალექსანდრე I კახთა მეფეს უკავშირებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გიორგი VIII-ემ ალექსანდრე I-ის მამამ დადემიდან ჩამოსახლებული მაღალასძეები ივანიასძის მამულში „დასვა“ და სხვადასხვა მამულებთან ერთად „უბოძა თავფარავნის მოურაობა და ქადაგობა“. ამოწვეტილი ივანიასძის მამულზე დასმულმა მაღალისძეებმა ივანიასძის გვარიც მიიღეს. ამაზე მიუთითებს დოკუმენტში არსებული ჩანაწერი: „და ვიბოძეთ თქვენ, მაღალაძეს, მეორესა ივანი[ას] ძესა, ამილბარს და დიმიტრის და გიორგის“. ამილბარს, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეების მამა სიგელის მიხედვით, დადემიდან გადასახლების შემდეგ მალე გარდაიცვალა და სამეფო ხელისუფლებამ ამოვარდნილი გაბრიელ ივანიასძის მამულები მაღალასძეებს უბოძა. მცხეთის ქადაგის სახელო XV საუკუნის 40-იან წლებში მაღალასძეებს ჰქონდათ. ეს დასტურდება არაერთი დოკუმენტით. 1443 წლით დათარიღებულ ვარამ დიასამიძის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელში საბუთის გადამწერათ იხსენიება მცხეთის ქადაგი დიმიტრი გაგელისშვილი.¹⁸⁴ მკვლევარ ე. ხაინდრავას აზრით: „სავარაუდოდ დიმიტრი მაღალაძეს ეწყალობა გაგელისშვილთა მამულები და მათი გვარიც მიიღო.“¹⁸⁵ 1446 წლით დათარიღებულ გიორგი VIII-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელში გადამწერად იხსენიება მცხეთის ქადაგი მაღალაძე-გაგელისშვილი დიმიტრი.¹⁸⁶ იგივე პიროვნება, რო-

184 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 19.

185 ე. ხაინდავა, მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან, 2016, ხელნ. გვ. 4.

186 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 29.

გორც სიგელის გადამწერი იხსენიება 1449 წლით დათარიღებულ გიორგი VIII-ის სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის წიგნში.¹⁸⁷ ვარამ დიასამიძის სიგელში, ასევე გიორგი VIII-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელებში მოხსენიებული საბუთების გადამწერი მცხეთის ქადაგი დიმიტრი და ალექსანდრე II-ის 1476 წლით დათარიღებულ მაღალაძეებისადმი ბოძებულ სიგელში მოხსენიებული დიმიტრი ერთი და იგივე პიროვნებაა. დიმიტრი ქადაგი (მაღალასძე-გაგელისშვილი, რომელიც 1443-1446 წწ. დოკუმენტებში იხსენიება), 1470 წლით დათარიღებული დოკუმენტის („წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი“) თანახმად, უკვე გარდაცვლილია. საბუთში ვკითხულობთ: „...ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო და აქათ უკუნისა გა/ სათავებელი და გათავებული, რასა გინდა ჟამთა გამოცვალებასა და შემოსრულობასა შიგანცა მტკიცე და საქმით გათავებული და უქცეველი და/გიწერეთ და მოგეცით ჩუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ ქართლისა კ(ათალიკო)ზმან/დავით, ბ(რძანებ)ბითა და ნებადართვითა ღ(მრ)თიფ-გუ(ი)რგუინოსნისა მეფეთა-მეფისა ბაგ/რატისათა, და სრულად მცხეთიშვილთა ჩუენგან კითხვითა და დამოწმებითა, //თქუენ, მაღალასძეთა მღრღელსა მახარებელსა და თქუენტა შვილთა: გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დიმიტრის, შვილთა და მომავალთა სახ/ლისა თქუენისათა ყოველთავე. ვინათგან ადამისითგან უმდგომო ესე /სოფელი მსწრაფლ წარმავალ და უხანო არის და მისსა ბეგ/რასა არავისგან დაიკლებს, და ამა ჩუელებსაებრ წესთაგან პი/რველად იგანიასძისა

187 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 50.

სახლი მოშლილიყო და უნათესაოდ და უძეოდ/გარდაეკლინა და შედეგად მჯათისა ქადაგისა დიმიტრისთვის მიებოძა და /იგიცა უნათესაოდ დარჩა, რომელ ესე საქმე ფრიად მძიმედ აღუვიჩნდა და მისთანასა სახლისა და მცხეთიშვილისა გარდაღლენა ფრიად/ეძუინებოდა სულსა ჩუენსა, და, ვინათგან შენ მცხეთას და კ(ათალიკო)ზთა მც/ირე ყრმა აღეზარდე და თქუენი სახლი და მამუელი ძუელითგან სხუა/გნითცა მცხეთისა იყო, ივანისძეთა და ქადაგისა დიმიტრის შედეგად/ მათსა სახლსა და მამულსა ზედა შეგიყვანეთ და დაგსუით ივანისძისა და ქადაგის დიმიტრის წესითა, რიგითა და საქმითა. და მო/გეცით კავთისხხევს სასახლე ეკლესიითა და მისითა მოწყობილო/ბითა ყუელათა. კავთისხხევს მისითა შესაგლითა – საკოკია ჭალითა; ქუაბთა/ჯევს – სასაფლაო მისითა ბოსტნითა და წაღკოტითა, სენაკითა; და ოჩლა/ურში-ორი კვამლი სვანიანები მამულითა ივანისძეთა ჰქონებია; /ნი-აბს–რაცა ქადაგს დიმიტრის ჰქონებია, გლეხნი და მამული; მეეტეს/თა–ვენაჯი; და ჩოჩეთს–რაცა ივანისძეთა და დიმიტრის მამული ჰქონებია; და გორს–ფუშრუკაული და დიაკონისძენი მათითა მამუ/ლითა. და სხუა, რაც ქადაგსა დიმიტრის ჰქონებია და სამკუიდრო/დ მიცემული ყოფილა, არა დაგაკლოთ-რა. და ჳელი მათივე, მკუიდ/რად საქონებელი ქადაგობა და სამამთავრო სამწყსო, რაცა და რაგ/უარაცა ივანისძეთა ჰქონებია, მით წესითა: მცხეთას სენაკი, სახ/ლი და სამცხეთიშვილო გქონდეს და საქმობდით.“¹⁸⁸ ამ დოკუმენტში მახარებელი მღ-

188 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 183.

დოკუმენტი გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ, მან სიგელი შეცდომით 1391 წლით დაათარიღა და სიგელის გამცემად ქართლის მეფე ალექსანდრე მიიჩნია: „ქ ჩუენ ღთივ გვირგვინოსანისა მეფეთ მეფისა გიორგისა ძემან პატრონმან მეფემა ალექსანდრე და ძეთა ჩუენტა გიორგი და დიმიტრი ესე წიგნი და ნიშანი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენის საყდრის შვილთა ქადაგს მახარებელსა და თქუენტა შვილთა მარკოზსა და ზაქარია და დავითსა: სულ-კურთხეულს მამა-ჩვენს, მეფეთა მეფეს გიორგის, მცირე ყმა ცხეთას აღეზარდე; სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანის ძეთა საქადაგო სახლი და საკელო უმკვიდრო ქმნილ იყო და მამას ჩუენსა და ჩუენტა გუართა და კათალიკოზთა მას ზედა ახლად ივანის ძეთ (ივანიდის ძედ?) და ქადაგად განეჩინე და შეეყვანეთ და რაცა კავთისკვეს და მცხეთისა საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და საკელო იყო, თქუენტის მოებოძა. აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ მით წესითა, როგორცა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა და ჩუენტა გუართა სანატრელთა მეფეთაგან განჩენილი და გარიგებული არის საღთოთა წესითა და მისითა სამართლიანითა მამულითა და საკელოთა. გქონდეს და არავინ დაგეცილოს, არა მცხეთის შვილი, არა თქუენის გუარის კაცი, რა გვარცა არავინ ღირსა და არა სხუა ადამის ნათესავი. გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ახალსა ივანის ძესა*) ქადაგსა მახარებელსა, თქვენთა შვილთა მარკოზსა, ზაქარიას და დავითს კავთისკეობა ივანის ძეთა ნაქონები, კელი და მამული და მთა (მითა) წესითა, ვითა ძუელითგან საყდრისა კათალიკოზთა და მეფეთაგან განჩენილი და პატივცემული არის. ესე ასრე გაგითავდეს მცხეთისა საყდრისა და ჩუენსა საუკუნოსა ერთგულსა სამსახურსა

შინა. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქკს: ოთ: კვლითა კარისა მწიგნობარისა ჩუენისა იოანესითა“. ხვეულად: „აღექსანდრე“, „გიორგი“ და „დიმიტრი“⁴⁹⁰ ჩვენი აზრით, დოკუმენტი აღექსანდრე I კახთა მეფის მიერ არის გაცემული. თუმცა, საინტერესოა, რომ „ქართული საბუთების კორპუსში“ გამოქვეყნებულ 1476 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, ასევე თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ამავე დოკუმენტის შემოკლებულ ვარიანტში აღექსანდრე I გიორგის ძე ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებს აძლევს წყალობის სიგელს, მცხეთიშვილ ივანიასძის მამულებს, ასევე თრიალეთს, ეძანისა, თავფარავენის მოურავობას, ქადაგობას. წყალობის განახლების იმ სიგელში, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა (როგორც აღვნიშნეთ, დოკუმენტს იგი შეცდომით 1391 წლით ათარიღებდა).^{*} მახარებელი აღექსანდრე I-ის მამას გიორგი VIII დაუსვამს ამოვარდნილი ივანიასძის ადგილზე. დოკუმენტში მითითებულია, რომ: „სულ-კურთხეულს მამა-ჩვენს, მეფეთ მეფეს გიორგის, მცირე ყმა (იგულისხმება მახარებელი – გ. ს) ცხეთას აღეზარდე“. ჩვენი აზრით, ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღექსანდრე I კახთა მეფის მიერ ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებზე, ასევე მახარებელ მაღალაძეზე ერთი და იგივე შინაარსის წყალობის სიგელია გაცემული. ამ დროს მაღალასძეთა ორი „სახლი“ არსებობდა. ერთი მათგანს მიეკუთვნებოდნენ – ოქროპირი და მისი ძეები: მახარებელი, ზოსიმე, აღექსი, გერმანოზი, დავითი,

190 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 192-193.

* თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ სიგელში იხსენიება ივანიაძე, სხვა დოკუმენტებში იხსენიება ივანიასძე.

გრიგოლი და ეგნატი. ხოლო მაღალასძეთა მეორე სახლს კი 1476 წლის სიგელში მოხსენიებული ამილბარი, დიმიტრი და გიორგი. გადაშენებული „მცხეთის შვილის“ ივანიასძის მამულების, ასევე უმემკვიდრეოდ გადაგებულ დიმიტრი ქადაგის ქონების გადანაწილებისთვის ბრძოლა სწორედ ამ ორ ოჯახს შორის იყო. მახარებელ მაღალასძეს და მის შვილებს დავით ეპისკოპოსმა 1470 წელს ბაგრატ მეფის ნებართვით: („ნებითა ღრმთიფ-გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფეთისა ბაგრატისათა“) ივანიასძის მამულები და ქადაგობა უბოძა, 1472 წელს, ქართლის კათალიკოსმა დავითმა ასევე ბაგრატ მეფის ნებით განუხსლა წყალობა ოქროპირ მაღალაშვილს და მის შვილებს, მათ შორის მღვდელ მახარებელს. 1476 წელს ალექსანდრე I მაღალასძეთა მეორე სახლის წარმომადგენლებს ამილბარს, დიმიტრის და გიორგი მაღალისძეებს უბოძა ამოვარდნილი „მცხეთის შვილის“ ივანიასძის მამულები. მაღალისძეებში უპირატესობა მახარებელმა მოიპოვა. „მცხეთის ქადაგი“ სწორედ მახარებელი გახდა. იგი არაერთ დოკუმენტში იხსენიება. 1471 წლის დოკუმენტის მიხედვით მღვდელი მახარებელ ოქროპირის ძე ბაგრატ მეფის სიგელის გადამწერია. 1465 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში „შეწირულობის წიგნი ვამიყ შაბურისძისა სვეტიცხოვლისადმი“ საბუთის გადამწერად იხსენიება მახარებელ ოქროპირის შვილი.¹⁹¹ 1477 წლის დოკუმენტში: შეწირულობის წიგნში დედაბერ ნინოსი ქვათახევისადმი“, გვხვდება საბუთის გადამწერი ქადაგი მახარებელი.¹⁹² მცხეთის ქადაგი მახარებელი იხსენიება 1482 წლის ანდერძის

191 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 146.

192 იქვე, გვ. 224;

წიგნში „მისრი ედილაშვილსა მღვდელ იოანე წარმეულისადმი.“¹⁹³ მახარებელი რომ მცხეთის ქადაგი იყო, ჩანს 1491 წლის კონსტანტინე მეფის მიერ აღბუღა ფანიაშვილისადმი ბოძებულ წყალობის სიგელშიც.¹⁹⁴ მცხეთის ქადაგი მახარებელ მაღალასძე იყო ასევე კონსტანტინე მეფისაგან აბრაჰამ კათალიკოსისადმი 1492 წელს ბოძებული შეწირულობის დამტკიცების სიგელის გადამწერი.¹⁹⁵ მახარებლის შემდეგ მისი შვილები ქადაგიშვილებად იწერებოდნენ. ეს დასტურდება 1492 წლის დოკუმენტით: „სააღაპე წიგნი მათე ქულივისძისა პატრონ შაჰყუბათისადმი“, სადაც იხსენიება სიგელის დამწერი გერმანე ქადაგიშვილი.¹⁹⁶ აღნიშნული პიროვნება და 1470 წლის დოკუმენტში მოხსენიებული მახარებელ მაღალასძის შვილი გერმანოზი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. მახარებელის შვილი იყო ასევე 1512 წლის დოკუმენტში მოხსენიებული ქვათახევის სიგელის დამწერი ეგნატე ქადაგიშვილი.¹⁹⁷ მახარებლის ვაჟი იყო ჩვენი აზრით ქადაგიშვილი მარკოზიც, რომელსაც ელენე დედოფალმა და უფლისწულმა ლეონმა (ლევან I კახთა მეფე) სოფელ კუნელში შვიდი კომლი გლეხი უბოძეს.¹⁹⁸ მაღალ-

193 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 257.

194 იქვე, გვ. 288.

195 იქვე, გვ. 295.

196 იქვე, გვ. 297. თ. ჟორდანიას განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული შაჰყუბათი უნდა იყოს ბაყუბათ ბარათაშვილი. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 309.

197 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 330.

198 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 330-331. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სოფლის ნახევარი ალექსანდრე I სვეტიცხოველს შესწირა, ხოლო სოფლის ნახევარი კვლავ კახთა მეფის საკუთრება იყო. სწორედ იმ ნაწილში ებოძათ ქადაგიშვილ-მაღალასძეებს შვიდი კომლი გლეხი.

ასძე-მაღალაშვილები ძველი დროიდანვე სამეფო კარის მწიგნობრები იყვნენ. XV საუკუნის 40-იან წლებში მცხეთის ქადაგი და მწიგნობარი დიმიტრი მაღალასძე იყო. იგი უძეოდ გადაეგო. მისი მამულების და სახელოს დასაკუთრებისათვის მაღალასძეთა გვარის სხვადასხვა წარმომადგენლები იბრძოდნენ. ამას თან დაერთო „მცხეთისშვილ“ ივანისძის ოჯახის ამოვარდნა. დავით კათალიკოსის-აგან და სამეფო ხელისუფლებისაგან (ქართლში მომძლავრებულ ბაგრატ იმერთა მეფისაგან)* ივანისძეთა მამული და ქადაგის სახელო 1470 წელს

* ცნობილია, რომ ბაგრატე 1466 ქართლში გადავიდა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამას წინ უძღოდა მის მიერ გიორგი VIII-ის დამარცხება ბაგრატთან 1453-1454 წწ. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 129. ბაგრატის გამეფებას საბოლოოდ ხელი შეუწყო 1465 წელს ყვარყვარე ათაბაგთან გიორგი VIII-ის დამარცხებამ. მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1462-1810 წწ. თბ., 1989, გვ. 18; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 740. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფეებს XVI საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდათ პრეტენზიები ქართლის სამეფოზე. ცნობილია ის ფაქტი, რომ 1509 წელს იმერთა მეფემ ალექსანდრე II ქართლი დალაშქრა და გორი აიღო. იმერთა მეფეების გავლენა ქართლზე რამდენიმე წელი გაგრძელდა, ამას ადასტურებს ალექსანდრე II-ის ძის ბაგრატის მიერ გაცემული სიგელი ზაქარია, ციცი და თაყა ფანასკერტელებისადმი, რომლითაც დასტურდება იმერეთის მეფის საკუთრება ქართლში არსებულ სოფლებზე. მათ შორის რუისსა და ტინისხილზე. იხ. იოსებ (სოსო) ალმობარაშვილი, ქართლ-იმერეთის ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის XVI ს-ის 10-იან წლებში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2015, გვ. 636-637. როგორც ჩანს, XVI საუკუნის დასაწყისში დასუსტებული ქართლის მეფე დავითი (1505-1525 წ.წ) ვერც კახეთის მეფის აგ-გიორგის შემოსევებს უწევდა წინააღმდეგობას, რომელმაც ქართლი რამდენჯერმე დაარბია. მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ოქროპირ მაღალასძეთა ოჯახის წევრმა მახარებელმა დაისაკუთრა, რომელიც მანამდე სამეფო კარის მწიგნობარი იყო. 1472 წელს დავით კათალიკოსმა წყალობა მახარებელ მაღალასძეს კვლავ განუახლა. 1476 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე I გახდა, რომელსაც ქართლზეც ჰქონდა პრეტენზიები მან თავის მომხრე ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალასძეებს ივანიასძის მამულები უბოძა. თუმცა, მახარებელ მაღალასძემ უპირატესობა მაინც შეინარჩუნა. როგორც ჩანს, იგი ალექსანდრე I კახთა მეფესაც დაუახლოვდა და ამილბარ, გიორგი და დიმიტრი მაღალასძეებისადმი უკვე ნაწყალობევი ივანიასძის მამულები კახეთის ხელისუფალმა სწორედ მახარებელს დაუმტკიცა, რასაც ადასტურებს თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული სიგელი. მცხეთის ქადაგ მაღალასძეების სახელს უნდა უკავშირდებოდეს დღევანდელ კასპის რაიონში სოფელ საქადაგიანოს დაარსება, რომლის თავდაპირველი სახელი საქადაგო უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ სოფელში XVIII საუკუნემდე ცხოვრობდა ქადაგიშვილთა გვარი, რომელიც მაღალასძეთაგან ცალკე გვარის სახით ჩამოყალიბდა. მაღალაშვილთა გვარი სოფელ მეტეხში დამკვიდრდა. 1848 წელს დიმიტრი მეღვინეთუხუციშვილი სოფელ მეტეხში აზნაურ მაღალაშვილებს იხსენიებს.¹⁹⁹ XV საუკუნის ბოლოს ეს ტერიტორია კახთა მეფეებს ეკუთვნოდათ. სწორედ სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა (შესაძლოა ახლო ნათესავებმა, სხვანაირად საქადაგიანოს ტაძრის წარწერაში მოხსენიებული

199 *Институт Восточных Рукописей* Российской Академии Наук, фонд, Н-78; дело `Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850, 69.

კვირიკე ამბა-ალავერდელი ვერ გახდებოდა) სასულიერო პირებმა კახთა მეფეების დახმარებით წმ. დემეტრეს სახელობის ტაძარი ააშენეს. საქადაგიანოში წმ. დემეტრეს ეკლესიის კედელზე ასომთავრულ საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულია მონაზონი დამიანე და მისი შვილები: დიონისე, თეოდორე და კვირიკე ამბა-ალავერდელი.²⁰⁰

²⁰⁰ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 198-199.

უცხოეთში არსებული ქართული სასულიერო სავანეები და შიდა ქართლი

ქსნის ხეობა და წმინდა მიწა

შუა საუკუნეებში ქართველ წარჩინებულებს ძალზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ წმინდა მიწასთან. იერუსალიმში არსებული სავანეებისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა არამარტო საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულო, რაც დასტურდება მათ მიერ ქართველი სასულიერო მოღვაწეების მიერ დაარსებული მონასტრებისადმი ბოძებული შესაწირით საქართველოდან გაგზავნილი ფულადი თანხით, თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სასულიერო ცენტრებისათვის გადაცემული მამულებით. მაგ. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს თავისი ქონება გააჩნდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შიდა ქართლში, კერძოდ სოფ. ღირბში, სადაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ღირბში მყოფი წინამძღვარი საქართველოში არსებულ ქონებას განაგებდა და „მოსავალს ვერცხლად გზავნის იერუსალემს.“²⁰¹ ღირბი ჯერ კიდევ სიმონ I-ეს (1556-1600 წ.წ.) შეუწირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის, ეს შეწირულება ჯერ ქართლის მეფე როსტომმა, შემდეგ ვახტანგ V-ემ, ბოლოს კი ერეკლე II-ემ განაახლეს.²⁰² შიდა ქართლში

201 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 374.

202 ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მი-

მაცხოვრის წმინდა საფლავს ეკუთვნოდა სოფელი თერგვისი, რომელიც ქართლის მეფემ ლუარსაბ II-ემ ქრისტიანთა სათაყვანებელ ადგილს 1624 წელს შესწირა.²⁰³ ოდნავ გვიანდელი დოკუმენტით (1640 წ.) ირკვევა, რომ თერგვისს ქრისტეს საფლავის მსახური ქართველი სასულიერო პირი მეთვალყურეობდა.²⁰⁴ მაცხოვრის წმინდა საფლავს დიდი ღიახვის ხეობაში ეკუთვნოდა სოფელი ხვითის მიმდებარე ტერიტორია (სოფელი ხვითი სოფ. ნიქოზს ემეზობლება). 1624 წლით დათარიღებული საბუთიდან ჩანს, რომ ხვითის ბოლოს არსებული ტერიტორია („რხვითის ბოლოს მიწები“) დაღლაძეებს შეუწირავთ ქრისტეს საფლავისთვის. დაღლაძეების, იგივე დოღლაძეების გვარი ამოვარდნილი ფეოდალური საგვარეულო იყო და მათი მამულები როგორც 1432 წლის თირის მონასტრისადმი მოლარეთუხუცეს ხელა თავხელისძის მიერ ბოძებული სიგელიდან ირკვევა, თავხელისძეებს ჰქონდათ საკუთრებაში.²⁰⁵ როგორც ჩანს დოღლაძეების ფეოდალური სახლი XV საუკუნის დასაწყისში ამოვარდა და მათი მამულები მეზობელმა წარჩინებულებმა დაისაკუთრეს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცულ ალაპებში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული იმ ქართველი წარჩინებულების შესახებ, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებულ ამ გამორჩეულ სასულიერო ცენტრს დახმარებას უწევდნენ.²⁰⁶ როგორც

წათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 28-29.

203 იქვე, გვ. 41.

204 იქვე, გვ. 126.

205 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 150.

206 შიდა ქართლის წარჩინებულ საგვარეულოთა შორის იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრისადმი განსაკუთრებულ

ირკვევა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ქსნის ერისთავებიც რაც დასტურდება ჯვრის მონასტრის ალაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში არსებული ერთ-ერთი ალაპით, სადაც შალვა ქვენიფნეველი იხსენიება: „სამარტელისა ოთხშაბათსა წირვაჲ და ალაპი საუკუნო ერისთვისა შ(ა)ლვ(ა)ს ქვენიფნე(ე)ლსა, შვილსა პიპასი და მისი მეუღლ[ი]სა თამარისი, შეუნდვენ ღმერთმან, და ვი[ნ]ცა შეცვალოს კრულმცა“.²⁰⁷ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანის – „ძეგლი ერისთავთა“ მიხედვით შალვა ქვენიფნეველი XIV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე იყო. იგი მხარს უჭერდა დავით VIII-ესთან დაპირისპირებულ ვახტანგ III-ეს, ეს ერთგულება როგორც ჩანს შალვას სათანადოდ დაუფასდა და მას ვახტანგ III-ემ მამულები უბოძა: „...მაშინ წარვიდა ყოველი სპაი სპარსთაი, მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდოი, გაგსძენი, მღეთე, არაგვეთი, ხადოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამუელი, ძიგნაკორნაი, დიდვამი, გავაზი, აწრისხევი, ბესუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა.“²⁰⁸ შალვა ქვენიფნეველი მხარში უდგა გიორგი V ბრწყინვალეს. სწორედ შალვა

ყურადღებას იჩენდნენ თავხელისძენი, მონასტრის ალაპების მიხედვით მოღვრეთუხუცესი ხელა თავხელისძე დახმარებას უწევდა წმინდა ჯვრის მონასტერსა და გოლგოთაზე მყოფ ქართველ ბერებს. გ. სოსიაშვილი, თავხელისძე-მანაზღალების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ საგანგებთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, № 3, 2012, გვ. 46-55.

207 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის(XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 75, № 63.

208 თ. უორდანი, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 7.

ქვენიფნეველის სახელს უკავშირდება დვალეთში ლაშქრობა და ურჩი დვალეების შემომტკიცება.²⁰⁹ ჯვრის მონასტრის ტიშენდორფისეულ ნუსხაში არსებული ადაპი დაწესებულია შალვა ქვენიფნეველის, მისი შვილის პიპას და პიპას მეუღლის თამარის სახელზე. ჩვენს მიერ დასახელებულ „ძეგლი ერისთავთა“ ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელ მხოლოდ ერთ პიპას იცნობს. იგი შალვა ქვენიფნეველის შვილი იყო და სწორედ მას ხედა წილად პატივი დიპლომატიური მისიით წმინდა მიწაზე წასულიყო. იგი როგორც აღვნიშნეთ, შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ. „ძეგლი ერისთავთაში“ ვკითხულობთ: „მოკვდა შალვა და დაჯდა ძე მისი ღარგველი ერისთავად.“²¹⁰ პიპა შალვა ქვენიფნეველის უმცროსი ძე იყო, რომელსაც გიორგი V-ის კარზე დიპლომატიური თანამდებობა ეკავა (ამაზე ქვემოთ). შალვა ქვენიფნეველის უფროსი ძის ღარგველის შემდეგ ქვენიფნეველი მისი უხუცესი ძე ვირშელი გახდა.²¹¹ ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში კიდევ ერთი შალვა ქვენიფნეველი იხსენიება. 1470 წლით დათარიღებული გუჯარით შალვა ქვენიფნეველმა ღარგვისის მონასტერს მამულები შესწირა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...აღვაშენენ სოფელნი: მეჯუდის ჳევს სოფელი ახალუბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამითგან იქ კაცი არ სახლებულიყო, შემოუკრიბნენ მამულნი და უჩინე მზღვარი ყოვლისა კაცისაგან უსარჩლელი; აღვაშენე ზუარი და

209 ვ. ლუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007, გვ. 68.

210 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, თბ., 2018, გვ. 8.

211 იქვე.

გაუჩინენ სავენაჯენი. აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებუ-ლიყო. აგრეთვე ქსანზედა სოფელი ჰერედა ოკერი აღვაშენე და ზუარი ქურთა და სსუა...“²¹² შალვა ქვენიფნეველს იკორთის მონასტრისთვისაც შეუწირავს ქონება. ჟორდანიას მიერ იკორთის ტყავის ზატიკზე ამოკითხული 1446 წლის წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღ–თისათა...მიქაელ და გაბრიელისითა: აღმძრა მე სიყუარულმან სამსახურებელმან ტაძრისა თქუენისამან, წ–ნო მთავარანგელოზნო მიქაელ და გაბრიელ, მე ყოველთა კაცთაგან უნარჩევსმან ცოდვილმან, ერისთავმან ძემან ქვენიფნეველისამან შალვა, რათამცა შევსწირეთ სოფელი მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს ერთითა ვენაჭითა, სასახლითა და სამის დღის საკნავითა და დავაწერინ(ენ) წ–ნი ესე ზატიკნი ყოვლითურთ სრულნი და უნაკლულნი და და ერთი დავითი, ორი თუეე: ფ/ბრგელი და მარტი: რათა გვხსნას საუკუნეა სატანჯველთაგან და ღირს გუყენეს... ამას გარეთ სამი ლიტრა ცვლი ფლავს, ვანთით (ვანთაით?) მოიდებდენ ჩე–ა აღაპსა შ–ა.“²¹³ ვფიქრობთ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში მოხსენიებული შალვა XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, რადგან მისი ძე აღაპში მოხსენიებული პიპა „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით გიორგი V-ის მიერ წმინდა მიწაზე დიპლომატიური მისიით იყო წარგზავნილი და, შესაძლებელია, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მისი სტუმ-

212 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910, გვ. 557-561.

213 თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, თბ., 1897, გვ. 358.

რობის დროს დაწესდა ზემოთ მითითებული ალაპი. ქსნის ერისთავთა ფეოდალურმა სახლმა, კერძოდ, პიპამ და მისმა მეუღლემ, თამარმა გარკვეული შესაწირი გაიღეს ჯვრის მონასტრისთვის. ალაპი დაწესდა არა შალვას მიერ, არამედ პიპას ძალისხმევით. სხვა შემთხვევაში ალაპში შალვას სხვა შვილებიც იქნებოდნენ მოხსენიებულნი. ცნობილია, რომ წმინდა მიწაზე მყოფი ქართველების მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XIII საუკუნის 70-იან წლებში. ეს განპირობებული იყო ბაჰარელი მამლუქების და მონღოლების მწვავე დაპირისპირებით. ქართველები მონღოლების მხარეს იბრძოდნენ, რის გამოც ზემოთ მითითებულ პერიოდში მამლუქებმა შეიხ ხიდრის ბრძანებით იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი დაარბიეს და მეჩეთად გადააკეთეს. მამლუქების თავდასხმას შეეწირა ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე.²¹⁴ როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს: „დატყვევებული“ ჯვრის მონასტრის დახსნა საქართველოს ხელისუფლების, იერუსალიმის ქართული კოლონიის და თვით ჯვრის მონასტრის ძმობისთვის გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა.“²¹⁵ 1299 წელს, ქართლის მეფემ ვახტანგ III დემეტრე II-ის ძემ ქართველთა ჯარით მონაწილეობა მიიღო ილხანთა ჯარების მიერ იერუსალიმის აღებაში. ქართველ მეფეს დროებით გაუთავისუფლებია წმ. ჯვრის მონასტერი და მატერიალურადაც დახმარებია. თუმცა ქართველ-ილხანთა ჯარის იერუსალიმის დატოვების შემდეგ

214 ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016, გვ. 130.

215 ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

ჯვრის მონასტერი ისევ მუსლიმებმა დაისაკუთრეს.²¹⁶ ეგვიპტის სულთანთან არსებული მოლაპარაკებების შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა 1310 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დავით VIII-ის მიერ, ასევე 1311 წლის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინეს I-ის (1293-1327 წ.წ.) ძალისხმევით, 1310-1311 წლების მიჯნაზე ჯვრის მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ.²¹⁷ თუმცა, როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, გიორგი ბრწყინვალის გამეფებისთანავე სიტუაცია შეიცვალა, ეგვიპტის სულთანმა იმის გამო, რომ საქართველოს მეფეს ილხანებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, იერუსალიმში ქართველების შევიწროება დაიწყო. გიორგი ბრწყინვალე ილხანთა ძალის გამოყენებით, ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობის მუქარით ეგვიპტის სულთანს აიძულებდა დათმობაზე წასულიყო და ქართველებისთვის წმინდა ადგილები დაებრუნებინა, თუმცა, მალე მიხვდა, რომ ურთიერთობის დასტაბილურება მხოლოდ დიპლომატიური გზით იყო შესაძლებელი და ეგვიპტის სულთანის კარზე თავისი ელჩი გაგზავნა. ამის შესახებ ერთადერთი ქართული წყარო გვიამბობს, ეს არის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეიანე „ძეგლი ერისთავთა.“ ქსნის საერისთავოს მატეიანის ავტორის ცნობით ეგვიპტეში გიორგი ბრწყინვალის ელჩი შალვა ქვენიფნეველის ძე პიპა იყო, რომელსაც თან წაუყვანია დეკანოზი იოანე ბანდასძე: „ამას უამსა მოვი-

216 იქვე, გვ. 131-132.

217 იქვე, გვ. 133-135.

და ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და ღიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა კმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა; და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე, და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისკვეისასა, რომელ მოძღუართ-მოძღუარობად ნუვის კელ-ეწიფების თუნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური...²¹⁸ [მოძღუართ-მოძღუარი] ხოლო პიპამან მოიღოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაცი შეწყალებისაჲ და აღსულებაჲ ყოველისა სათხოველისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა.²¹⁹ შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთი ვაჟი პიპა, „ძეგლი ერისთავთას“ გარდა, როგორც ვნახეთ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპშიც იხსენიება. ჩვენი აზრით, ჯვრის მონასტრის ალაპს პიპას მამის შალვა ქვენიფნეველის სახელი შემთხვევით

218 ტექსტი ამ ადგილზე ნაკლებია, როგორც ეს თ. ჟორდანიამ შენიშნა. იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 8.

219 ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, გვ. 350.

არ შემოუნახავს. როგორც ჩანს იგი წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა სავანეს დიდ დახმარებას უწევდა. მისი ვაჟი პიპა, როგორც ითქვა, დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობდა და ამ მხრივ, მას დიდი გამოცდილება ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გიორგი V ეგვიპტის სულთანთან წმინდა მიწაზე არსებული ქართველთა მონასტრების დახსნის მიზნით მოლაპარაკებაში არ ჩართავდა. პიპას ზიარება ქრისტეს საფლავზე მიუღია, აქვე უკურთხებიან მოძღვართ-მოძღვრად იოვანე ბანდასძე, რომელიც თან წაჰყვა ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად წასულ პიპას. დეკანოზი იოვანე ქვენიფეველების ოჯახის წევრი, ან მათი ახლო ნათესავი იყო. წმინდა მიწაზე იგი ქართული სავანეების ზედამხედველად დანიშნეს. როგორც აღვნიშნეთ ტექსტი ნაკლულია და თუ კარგად დავუკვირდებით ამ ადგილს: „და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისკვეისასა, რომელ მოძღვართ-მოძღვარობად ნუვის კელ-ვიფების თვნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური.“ უნდა ვიფიქროთ, რომ იერუსალიმში მყოფი იოვანე ბანდასძე პარალელურად ლარგვისის მონატრის წინამძღვრად რჩებოდა. ე. მამისთვალიშვილის აზრით პიპამ არა ერთი სიწმინდის – ქრისტეს საფლავის კლიტე, არამედ მრავალი სიწმინდის კლიტე მოიპოვა ეგვიპტის სულთანთან მიღწეული შეთანხმებით.²²⁰ მას საქართველოში წმინდა ნაწილები და ხატებიც წამოუღია და საქართველოში ხმელეთის გზით დაბრუნებულს გიორგი V-სთვის „იერლაცი შეწყალებისად“ გადაუცია. როგორც ჩანს,

220 ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

წმინდა მიწაზე ყოფნის დროს პიპა ესტუმრა ქართველთა ჯვრის მონასტერს და სწორედ ამ დროს დაწესდა ალაპი პიპას მამის შალვა ქვენიფნეველის, თავად პიპას და პიპას მეუღლის თამარის სახელზე. საინტერესოა, რომ ზემოთ მითითებულ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ალაპში მოხსენიებულია მხოლოდ შალვა ქვენიფნეველი, მისი ძე პიპა და პიპას მეუღლე თამარი. დიდი ალბათობით, ამ დროისთვის შალვას მეუღლე გარდაცვლილი იყო.²²¹ ალაპი კი მხოლოდ ცოცხალი შემწირველების სახელზე დაწესდა. როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს: „სულთა მატინანეებსა და მოსახსენებლებისაგან განსხვავებით ალაპი იწერებოდა შემომწირველისაგან მიღებული შეწირულებისთანავე. ალაპი ერთგვარად იურიდიული დოკუმენტია, დადებული მონასტრის კრებულსა და შემომწირველს შორის.“²²² ეჭვგარეშეა, რომ ამ დროს შალვას მეუღლე აღარ ჰყავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ალაპი მის სახელზეც დაწესდებოდა. როგორც ირკვევა, შალვა ქვენიფნეველი მარტო იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს როდი ეხმარებოდა. ქსნის ერისთავს შალვას და მის შთამომავლებს იერუსალიმში წმინდა დიმიტრის სახელობის მონასტერი აუგიათ. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის შუა წლებში

221 „ძველი ერისთავთა“ მიხედვით შალვა ქვენიფნეველს ოცი ეროვნების მეუღლე ჰყავდა: „ხოლო შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფის ასული, სახელად ბირდი, რომელმან განაღდინა პატივი მონასტრისა ამის.“ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, თბ., 2018, გვ. 7.

222 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 13.

წმინდა მიწაზე იმოგზაურა. ქართველი პილიგრიმი წერს: „წმინდისა ღიმიტრის მონასტერი (აუშენებია ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს, ივანეს და მათი მოკსენება მუნდა არს.“²²³ ტიმოთე გაბაშვილის ცნობიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ იერუსალიმის წმინდა ღიმიტრის სახელობის ტაძრის მშენებლობა შალვა ერისთავმა დაიწყო და მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს, მათ შორის ვირშელმა. ვირშელი შალვა ერისთავის შვილიშვილი იყო და ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანის თანახმად ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პიპას ელჩობის დროს სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქსნის საერისთავოს. წმინდა მიწაზე არსებული ტაძრის მშენებლობა ვირშელის ძეს – იოვანე ერისთავს (1373-1390 წ.წ.)²²⁴ დაუსრულებია.²²⁵ როგორც ჩანს, ტიმოთე გაბაშვილს იერუსალიმის წმინდა ღიმიტრის ტაძარში ქსნის ერისთავთა მოსახსენებლები უნახავს. საინტერესოა, რომ მოსახსენებლებში მისი გადმოცემით პიპა არსად გვხვდება, შესაძლებელია, ტაძრის მშენებლობა შალვა ქვენიფნეველმა დაიწყო, შემდეგ გაერისთავებულმა ვირშელმა გააგრძელა და

223 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, 1956, გვ. 81.

224 ვ. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007, გვ. 89.

225 აღსანიშნავია, რომ ქსნის ერისთავს – ვირშელს სამი ძე ჰყავდა: ქვენიფნეველი, იოვანე და გიორგი. ვირშელის შემდეგ ცხრაზმის ხევი ხელთ იგდო ვირშელის ძმამ წითლოსან ლარგველმა. რომელიც ცხრა წელი იყო ცხრაზმის საერისთავის ხელმძღვანელი. წითლოსან ლარგველის ძის შემდეგ ერისთავი ვირშელის ძე ქვენიფნეველი გახდა. ვ. ღუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79, 88.

პიპა ტაძრის მშენებლობაში არ მონაწილეობდა. არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებასაც, რომ პიპას და მის ძმებს შორის გარკვეული უთანხმოება იყო და პიპა წმინდა დიმიტრის ტაძრის ამშენებელთა შორის ამიტომაც არ გვხვდება, ისევე როგორც იერსულიმის ჯვრის მონასტერში მის სახელზე დაწესებულ ალაპში არ იხსენიება პიპას ოჯახის სხვა წევრები. გიორგი ბრწყინვალეს მიერ პიპას ელჩად გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან წმინდა მიწაზე არსებული ქართული საგანეების ირგვლივ დაწესებულ მოლაპარაკებების მიზნით შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს, პიპას ოჯახს წმინდა მიწასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. პიპას დიპლომატიური გამოცდილებაც უდავოდ ექნებოდა, სხვა შემთხვევაში საქართველოს მეფე ასეთი დიდი საკითხის მოგვარებას არ მიანდობდა. როგორც ირკვევა, ქსნის საერისთავოს სახლი მომდევნო საუკუნეებშიც ზრუნავდა წმინდა მიწაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისთვის. აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის სვინაქსარის ალაპებში იხსენიება ვირშელ ერისთავი: „[თუესდა ფებერვალსა ბ] ამასვე დღ(ე)სა წირვა და ალაპი ერისთავისა ვირშელისა, შეუნდვენ ღმერთმან.“²²⁶ ამ ალაპთან დაკავშირებით ე. მეტრეველი წერს: „XXV ტაბულის ხუთი ალაპი დაწერილია არაკალიგრაფიული კუთხური ნუსხურით. ეს ხელი XIV-XV საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება. ამის მიხედვით ალაპის ვირშელ ერისთავი ვირშელ III უნდა იყოს-XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის 20-იანი წლების მოღვაწე.“²²⁷ მითითებულ

226 ე. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007, გვ. 96, № 193.

227 იქვე, გვ. 162.

ქსნის ერისთავს ვირშელ III-ეს (1390-1422 წ.წ.) საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე. ვირშელის შესახებ „ძეგლი ერისთავთა“-ში ვკითხულობთ: „და შემდგომად (იგულისხმება ქსნის ერისთავი იოანე – გ.ს) დაჯდა ძემისი ვირშელ. იყო კაცი მშვენიერი და სრული ყოფილთა კეთილთა, ბრძენი, გონიერი მშვიდი, წყნარი, უშურველი, სამართლის მოქმედი, მოწყალე, საწადელ, საყუარელ მოყუარეთა და ერდგულთა, საზარელ და საშინელ ურჩთა და წინააღმდეგომთა. ხოლო იყო ჭაბუკი-პასაკითა და უუბრძნეს მოხუცებულთა სათნოებითა, ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული. რამეთუ კარსა მისსა იყო გალობა და ღოცვა დაუცადებელი, და პირველსავე წელსა ერისთავისასა აღაშენა ქვიტკირითა ეკლესია წმიდისა ნიკოლოზისა.“²²⁸ როგორც ჩანს, ვირშელი არა მხოლოდ ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზე ზრუნავდა, არამედ წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა ჯვრის მონასტერსაც დახმარებდა. ჯვრის მონასტრის აღაპებში ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ქვენიფნეველ ამილახორი იხსენიება: „[თუესა აგუსტოსა ი და ია] 290 V. ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვა და აღ(ა)პი საუკუნოდ ამ(ი)ლ(ა)ხ(ო)რისა ქუნიფვნ(ე)ლისა, გ(ა)ნ(უ)ს(უ)ენ(ო)ს ღმერთმან.“²²⁹ აღნიშნულ აღაპთან დაკავშირებით ე. მეტრეველი წერს: „წირვა და აღაპი ქვენიფნეველ ამილახორისთვის. ქვენიფნეველი ამილახორი გიორგი ანდრონიკეს შვილთან ერთად მოიკლა თურქთაგან 1373

228 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 13.

229 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106, № 291.

წელს.²³⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძე „პროვიზიციის მეფე“ გიორგი ანდრონიკეს შვილს, რომელიც ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ალაპშიც იხსენიება²³¹ იმ გიორგისთან აიგივებს, რომელიც „ქეგლი ერისთავთას“-ს მიხედვით 1373 წელს ქვენიფნეველთან ერთად თურქებმა მოკლეს.²³² ამის შესახებ ქსნის ერისთავთა მატეანე წერს: „ამათ უამთა მოვიდეს [თურქნი] წინამძღომითა, ბაეღარის ძის ხოსიასითა, და მოკლეს მეფე გიორგი, და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართუეულნი და მუნვე მოვიდა (მოიკლა) ერისრავი (უნდა ეწეროს ერისთავი – გ.ს.) ქვენიფნეველი ქკს Ia²³³ გიორგი ანდრონიკეს ძის და ქვენიფნეველ ამილახურის ალაპები ჯვრის მონასტრის X ტაბულის ალაპებშია გაერთიანებული. ქვენიფნეველის ალაპი მოსდევს გიორგი ანდრონიკეს ძის ალაპს, რის საფუძველზეც ე. მეტრეველი წერს: „ალაპში მოხსენიებული ამილახორ ქვენიფნეველი უნდა იყოს იგივე ქვენიფნეველი, რომელიც „ქეგლი ერისთავთას“ მიხედვით გიორგი მეფესთან ერთად იქნა მოკლული თურქთაგან...“²³⁴ ე. მეტრეველის დაკვირვებით „პარიზის ქრონიკას“ შემოუნახავს გიორგი მეფის მოკვლის თარიღი 6 აგვისტო. ჯვრის მონასტრის სვინაქსარში მეფეთმეფე გიორგი ანდრონიკეს შვილის ალაპი სწორედ 6 აგვისტოსაა დაწესებული: „ფერისცვალებასა წირვა და ალაპი მეფეთ მეფისა ანდრონიკეს შვილ-

230 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106, გვ. 177.

231 იქვე, გვ. 105, № 189.

232 ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები, თბ., 1914, გვ. 4-5.

233 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 11.

234 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

ისა გიორგისი, განუსზნოს ღმერთმან.²³⁵ ე. მეტრეველი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ფერისცვალების დღე-ნ აგვისტოა, მაშასადამე, გიორგი ანდრონიკეს შვილის ეს აღაპი მისი გარდაცვალების დღეს არის გაჩენილი. ამგვარად „ძეგლი ერისთავთა“ მეფე გიორგი და სვინაქსარის გიორგი ანდრონიკეს შვილი ერთი და იგივე პირია.“²³⁶ რა კავშირი ჰქონდათ „პროვინციის მეფეებს“ და ქსნის ერისთავებს? აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის შუა წლებში პროვინციის მეფეებს სამფლობელო მოიცავდა: ჯავახეთს ალასტანითურთ, ქვემო ქართლის, სომხითის, შიდა ქართლის-ცხრაზმის საერისთავოს ჩათვლით არსებულ ტერიტორიებს.²³⁷ როგორც ირკვევა, ალასტანელებს ხელი მიუწვდებოდათ მერმინდელ ქსნის საერისთავოს მამულებზე, მათ შორის გვერდისძირის და პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელზე. ზემოთ მითითებული ამილახორ ქვენიფნეველის ერისთავობამდე საერისთავოს სათავეში მყოფ წითლოსან ლარგველის ძეს ანდრონიკე მეფისაგან „ქართლის მუხის ძისა საღარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯუარ-ბაკურისუბანი“ გადაეცა: „ქსახელითა ღ(მრ)თისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღ(მრ)თისაითა აფხაზთა, ქართველ/თა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე/ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და

235 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, №285, გვ. 105

236 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

237 ვ. ღუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87; დ. ნინიძე, მ. სანაძე, პოვანავანქის მონასტრის ეკლერიის წარწერა და ალასტანელი „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1999, გვ. 126.

დასაგლე/თისა ჴელმძიფედ-ა- მპყრობელისა. მოვიდა ჩქუენს-ა- წ(ინა)შე ქქუენაფნაველი, ლარგქუელისა შვილი წითლოსანი/ და გქუეაჯა და მოგქუაჯსქენა, რაითამცა ქართლის მუხის/ ძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბი და გარეჯქუა/რ-ბაკურის უბანი მისთქუისმცა მიგქუებომნეს. და/ გქუეაჯერა დ(-მერ)თმან და ვისმინეთ აჯაი ქქუენიფნაქველისა/ წითლოსანისი, ვინადგან მის ცოლისძმის მუხის-ძის/ სალარისცა მისთქუის და მისთა დისწულ-თათქუის ეანდერძა მისი მამული, ჩქუენცა შვეი-წყალეთ და მიუბოქენით/ ქართლის სოფელნი: კარბი და გარეჯქურ-ბაკურის უბანი/ მისითა სამართლიქანითა მძღვრითა მქუედრად, სამამულ-ლო/დ, შეუვქაჲლად და შეუცვალეבלად.“ ჰქონ-დენ/, ქქუენაფნაველის წითლოსანსა, შვილთა/ და მამავალათა მისთა ყოველთავე ქართლის/სოფელ-ნი: კარბი და გარეჯქუარ-ბაკურისუბანი/ მათითა სამართლიქანითა მძღვრითა, მითთა, ბართთა, ტყი-თა/ ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქუიქლითა, ჭა/ლითა, სათიბითა, სანადიროთა მქუედრად, სა/ მამულოდ, შეუვქაჲლად, მათითა საკმართთა და უკ-მართთა ერთობ ყქუელაითა.“²³⁸ სწორედ ამ დოკუ-მენტში მოხსენიებული ანდრონიკეს ვაჟი გიორგი დაიღუპა(ქუენიფნეველთან ერთად) 1373 წელს, თურ-ქებთან ბრძოლაში. „პროვინციის მეფეებისაგან“ ქს-ნის ერისთავებს სხვადასხვა სამოხელეო თანამდე-ბობა ჰქონდათ ბოძებული(მათ შორის ამილახვრო-ბა), ამაზე „ძეგლი ერისთავთა“ დუმს, თუმცა რო-გორც მივეუთითებდით, ძალზე საინტერესო ცნობა

238 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 11-12, დოკ. 7.

შემოგვინახა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცულმა ამილახორ ქვენიფნეველის ალაპმა. ამდენად თუ დაეუკვირდებით ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებს, ძალზე ცხადად იკვეთება ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის მჭიდრო ურთიერთობა წმინდა მიწასთან. ეს ურთიერთობა სავარაუდოდ სათავეს იღებს შალვა ქვენიფნეველისაგან, რომელსაც იერუსალიმში ტიმოთე გაბაშვილის ცნობით წმინდა დემეტრეს სახელობის ტაძრის მშენებლობა დაუწყო. ეს გააგრძელა მისმა შვილმა ვირშელმა, ხოლო შემდეგ ვირშელის ვაჟმა იოვანემ. იერუსალიმში არსებულ ქართველთა წმინდა ჯვრის მონასტერს დახმარებას უწევდა ვირშელის მეორე ვაჟი ქვენიფნეველი, რომლის გარდაცვალებიდან ძალიან მალე, სამიოდე დღის შემდეგ 1373 წლის 9 აგვისტოს ალაპი დააწესეს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეხმარებოდა ვირშელ III-ეც (1390-1422 წ.წ.), რასაც მის სახელზე დაწესებული ალაპი ადასტურებს. წმინდა მიწაზე არსებულ ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი კი განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთ ვაჟს-პიპას, გიორგი V ბრწყინვალის სამსახურში მყოფ დიპლომატს, რომელმაც ქართველთა სავანეების დახსნის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა და ჯვრის მონასტერს მატერიალურადაც დაეხმარა. რაკი ქსნის ერისთავთა წმინდა მიწასთან ურთიერთობის საკითხზე ვმსჯელობთ, ძალზე საინტერესოა იმ სასულიერო პირის ვინაობა, რომელიც ელჩობისას თან გაჰყვა პიპას. შორეულ და დამქანცველ მოგზაურობისას, პიპამ ჩვენი აზრით თავის ოჯახთან ძალზე დაახლოვებული დეკანოზი იოანე ბანდასძე წაიყვანა. ეგვიპტის სულთანთან

წარმატებული მოლაპარაკების და ქართული სავანეების დახსნის შემდეგ პიპამ იოვანესთან ერთად მოილოცა ქრისტეს საფლავი, „უამი აწირვა, ეზიარა, დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად.“ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანემ შემოგვინახა პიპას მხლებელი და შემდეგ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დანიშნული დეკანოზის იოვანეს გვარი-ბანდასძე. აღნიშნული გვარის წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის და, ზოგადად, საერისთავოს ისტორიის შექმნა. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორად ქსნის ერისთავების კარის მოძღვარს, ლარგველ მწიგნობარს და მხატვარს აგვაროზ ბანდაისძეს მიიჩნევენ. იგი ვირშელ III-ის (1348-1400 წ.წ.) დროს მოღვაწეობდა.²³⁹ ბანდაისძეების, იგივე ბანდასძეების გვარი ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქსნის ერისთავების ფეოდალურ სახლთან. ქსნის ერისთავების მემატიანე ეხება რა ქსნის ხეობაში როსტომის გაერისთავებას, აღნიშნავს: „მაშინ თქუეს ყოველთა ცხრა-ძმის-ჰეველთა: „არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი (საუბარია როსტომ-ზე-გ.ს.), არამედ ვყოთ ყოველი, რაიცა უნდეს მას. „მაშინ რქუა მამასახლისმან ლარგვისისამან ხუციან-დაბის-ძემან: „უკეთუ გნებავს მკვიდრ ყოფა ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს, და სოფელნი ესე, რომელნი დე-

239 ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 321.

თივ გვირგვინოსანი იყო, იუსტინიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარმათდა, თუ ღმერთსა უნდეს.⁴²⁰ ტექსტში გადაწერის დროს არაერთი შეცდომაა გაპარული, მაგ. „მოიკლა“-ს ნაცვლად წერია „მოვიდა“ და ა. შ. ჩვენი აზრით, აქ უნდა ეწეროს არა ხუციან-დაბის-ძე, რომელიც არაფერს გვეუბნება, არამედ ბანდასძე. არ გამოვრიცხავთ, რომ ცხრაზმის ხეველთა სახლის წარმომადგენლებმა (რომლებიც ბანდაისძეები/ბანდასძეები იყვნენ), ხელთ იგდეს ქსნის ხეობის გარკვეული ნაწილი, ქვენიფნევი და ლარგვისი. იმისათვის, რომ მათ თავიანთი წარმომავლობის განხვავებულობა წარმოეჩინათ როსტომის, ბიბილას და წითლოსანის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსვლის ვერსია შეთხზეს. ბანდასძეები ერისთავები გახდნენ. მათი საგვარეულოს წარმომადგენლები წინამძღვრობდნენ ლარგვისის მონასტერს, რომელიც ქსნის ერისთავთა საძვალედ იქცა. სავარაუდოდ, ლარგვისის მონასტრის სათავეში მყოფი დეკანოზი იოვანე ბანდასძე, რომელიც პიპას გიორგი V ბრწყინვალეს დავალებით ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად გაჰყვა, ქსნის ერისთავების ოჯახის წევრი, ან მათი განაყარი იყო. იგი არამხოლოდ ჯვრის მონასტრის წინამძღოლად, არამედ იერუსალიმის ქართული საგანგების ზედანხედველად დაინიშნა. ერისთავ ვირშელს, სამთავნელს და საერისთავის მოსახლეობას იერუსალიმიდან საგანგებო წერილი გამოუგზავნეს რომ წმინდა მიწაზე მაღალი სასულიერო პოზიციის პარალელურად ქსნის საერისთავოს ლარგვისის მო-

240 თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 3.

ნასტრის წინამძღვრადაც რჩებოდა. ჩნდება კითხვა: რატომ გახდა აუცილებელი ერისთავ ვირშელის, სამთაწუნელის და საერისთაოს მოსახლეობისადმი იერუსალიმიდან სპეციალური წერილის გამოგზავნა, რომ იოვანე ბანდასძე ლარგვისის მონასტრის წინამძღვრადაც რჩებოდა. ჩვენი აზრით, პიპას და მის ოჯახის წევრებს შორის უთანხმოება არსებობდა, როგორც მიფუთითებდით, ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, პიპა არ იხსენიება იერუსალიმში წმ. დიმიტრის ტაძრის ამშენებელ ქსნის ერისთავის ოჯახის წევრთა შორის. არც პიპას მიერ დაწესებულ ალაპში გვხვდებიან მისი ძმები. არ გამოვრიცხავთ, რომ პიპას სახლისკაცებიდან ლარგვისის მონასტრის წინამძღვარი იოანე ბანდასძე გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატიურ სამსახურში მყოფი შალვას ქვენიფნეველის ძის მხარდამჭერი იყო, იერუსალიმში წასვლის შემდეგ როგორც ჩანს, ლარგვისის მონასტრის წინამძღვრობიდან მისი გადაყენების საკითხი დადგა, სწორედ ამან განაპირობა წმინდა მიწიდან წერილის გამოგზავნა, რათა საერისთავოს მთავარი მონასტრის წინამძღვრად იოანეს ნაცვლად სხვა სასულიერო პირი არ დაენიშნათ. ახლად გამოსხნილ ქართულ სავანეებს წმინდა მიწაზე მეთვალყურეობას იოვანე გაუწევდა. რატომ აკურთხეს იოვანე მოძღვართ-მოძღვრად ქრისტეს საფლავის ეკლესიაში? ამის შესახებ საინტერესო დაკვირვება აქვს ე. მამისთვალისშვილს: „გვიქრობ, გარდა იმისა, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესია უმთავრესი მართლმადიდებლური სიწმინდე იყო და ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ხელდასხმა ამ ტაძარში დიდ პატივად ითვლებოდა, შეიძლება, იქ ცერემონიის ჩატარება იმითიც იყო განპირობებული,

რომ ამ დროს ქართულ უმთავრეს მონასტერში ჯერ კიდევ მეჩეთი მოქმედებდა. ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ერთ-ერთი გერანელი პილიგრიმი გილელუს ბალდენსელელი, რომელმაც 1332 წელს მოილოცა იერსულიმი, აღნიშნავს, რომ ქართველები ფლობდნენ ჯვარის ეკლესიას გოლგოთაზე, მაგრამ არაფერს ამბობს მათ ყოფნაზე წმ. ჯვარის მონასტერში. „²⁴¹ იოვანე ბანდასძე ჯვარის მონასტრის წინამძღვრობას 1320 წლის 28 აპრილის შემდეგ შეუდგა. ეს ჩანს ეგვიპტის სულთნის მუჰამად იბნ კალაფუნის 1320 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით. საიდანაც ირკვევა, რომ იოვანეს, როგორც ქართველთა ჯვარის მონასტრის წინამძღვარს და სხვა ქართველ სასულიერო პირებს თუ მომლოცველებს იერუსალიმში შესვლის და მშვიდი მოღვაწეობის უფლება მიეცათ: „დაიწეროს ეს სამეფო შეუვალობა წინამძღვრის, დიდებული, პატივცემული ივანესთვის, რომელიც ცნობილია, როგორც ჯვარის მონასტრის წინამძღვარი, რომ მოვიდეს წმინდა იერუსალიმში უშიშრად, მშვიდად საკუთარ თავზე და არ უყოფენ მას ცუდ საქმეს, არ მიაყენებენ შეურაცხყოფას, არც ზიანს და რაც ვნებას, არც თვითონ მას და არც მის ქონებას და არავის, ვინც მასთან ერთად მოვა მისი ხალხიდან და მისი თანამგზავრებიდან. ნუ ექნება შიში ნურც მას და ნურც მათ. და ჩვენ გვიბრძანებია, რომ, როცა მოვა წმინდა იერუსალიმში, გაჩერდეს იმ ადგილებში, რომლებიც ქართველთა თემის ხელთაა წმინდა იერუსალიმში; და მას ექნება მფარველობა, პატივი, სიყვარული, პატივისცემა და დაუმშვიდლება გული,

241 ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

იქნება კმაყოფილი და მოვა ჩვენი ღვთისაგან დაცულ ქვეყანაში, რათა იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა – ზემოთ სამეფო ხელმოწერის დასმის შემდეგ, თუ ისურვებს მაღალი ალაჰი.²⁴² შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პიპას ელჩობა ბრწყინვალე შედეგით დასრულდა. ქართველებმა იერუსალიმში არსებული სავანეები დაიბრუნეს, რომელთა ზედამხედველად და ჯვრის მონასტრის წინამძღვრად იოვანე ბანდასძე დაინიშნა. ზოგადი შეთანხმება მიღწეული იქნა, თუმცა ქართველი სასულიერო პირების და მომლოცველების იერუსალიმში შესვლის, ასევე მათი მოღვაწეობის შესახებ დაზუსტებისთვის სულთანმა ცალკე ბრძანებულება გამოსცა. ქართული მხარიდან აქ მხოლოდ იოვანე ბანდასძე იხსენიება, რაც იმას ნიშნავს, რომ პიპას ელჩობის დასრულების შემდეგ სხვადასხვა დეტალებზე იოვანეს უნდა ეწარმოებინდა მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანთან და მეთვალყურეობა გაეწია წმინდა მიწაზე არსებული ქართული თემისთვის. იოვანემ ჯვრის მონასტრის წინამძღოლი პიმენ მაწყვერელი ჩანააცვლა. როგორც ირკვევა, იერუსალიმიდან დაბრუნებისას პიმენს ქართველთა ამ სავანისთვის ოჯახის წევრების სახელზე ვენახი შეუძენია. ჯვრის მონასტრის ალაპების ტიშენდორფისეული ნუსხაში ვკითხულობთ: „თქვენ მაწყვერელმან მთავარებისკოპოსმან და ჯუარისა მამამან პიმენ, თქვენითა საფასითა ვენახხი იყიდეთ ცხ-რშაულისა ბოლოსა და შემოსწირე ჯუარისა პატოსნისა მონასტერსა

242 გ. ჯაფარიძე, XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 2008, გვ. 240.

თქუენტა დედა-მამათა, თქუენტა ძმათა და თქუენისა სულისა სამლოცველოდ, და ჩუენ გავიჩინეთ ჯუარისა მამამან იოანე მოძღუარმან და კანდელაკმან და აღდგომელ(ა)მან და სრულად სად(მ)თომან კრებულმან ძმათა და დათა: სახარებასა და სუნაქსარსა ზედა დალოცვა. თქუენნი დედა-მამანი და თქუენნი ძმანი და თქუენ ილოცვებოდეთ სახარებასა და სვინაქსარსა ზედა, შ(ე)უნდუნეს ღმერთმან და შეგინდუნეს ღმერთმან. ამისნი გამათავებულნი ღმერთმან აკურთხეს.²⁴³ ზემოთ წარმოდგენილ ალაპების ტიშენდლორვისეულ ნუსხაში პიმენი იხსენიება ჯვარის მამად, ხოლო იოვანე კი ჯვარის მამა და მოძღვარი. ეს ალაპი იოვანეს ჯვარის მამად დანიშნვიდან ძალიან მალე დაწესდა, ვიდრე პიმენი საქართველოში თავის ეპარქიას (იგი მაწყვერელი გახლდათ) დაუბრუნდებოდა. იოვანე ბანდასძე ჯვარის მონასტრის სვინაქსარის ალაპშიც იხსენიება. „[თუესა მარტსა კე] ამასვე დღესა დ(იდე)ბ(უ)ელსა ხარებასა გაუჩ[ი]ნეთ ჩ(უ)ენ ამა პ(ა)ტი(ო)სნისა ჯ(უ)არისა მონასტრისაი მამ(ა)მ(ან) ი(ო)ანე მოძღ(უ)არმ(ან) და სრ(უ)ლად ერთსულებით კრებულმ(ან) თქ(უ)ენ ვარდანის ძ[...], დაასა და ასულსა მარი(ა)მ ყო[ფილსა...].²⁴⁴ როგორც ე. მეტრეველი წერს ეს ალაპი შეუღლებიანთ „ვარდანის ძ(ისა) დაასა(!) და ასულისა მარიამისთვის.“ მეკლევრის დასკვნით, აღნიშნული ალაპი XV საუკუნის მეორე მეოთხედით თარიღდება.²⁴⁵

243 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის(XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 75-76, № 75.

244 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, № 207.

245 იქვე, გვ. 164.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან

ოსების ენა და კულტურა საქართველოში (წარსული და დღევანდელი)

ქართველი და ოსი ხალხის მეგობრული თანაცხოვრება საუკუნეებს ითვლის. ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებულ ალანებთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დაწყება ჯერ კიდევ ფარნავაზ მეფის სახელთან (ძვ. წ. IV ს.) არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ იმიერკავკასიის ის ნაწილი, რომელიც საბოლოოდ, ოსთა საცხოვრებლად იქცა, მომთაბარე ალანთა პირველ-საცხოვრისს არ წარმოადგენდა. სკვით-სარმატული წარმოშობის დღევანდელი ოსები ირანული მოდგმის ხალხს მიეკუთვნებიან და ისინი ადრეულ შუასაუკუნეებში იმიერკავკასიის ველებზე გადაადგილდებოდნენ. მონღოლთა შემოსევებმა ოსებს მძიმე დარტყმა მიაყენა და ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს შემოეხიზნენ. მონღოლთა გამოჩენამდე ალანთა ტომები განფენილი იყვნენ ვრცელ ტერიტორიაზე. მათი საცხოვრისის შემცირების შემდეგ ალან-ოსების გადაადგილების ტერიტორიის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ჩრდილო კავკასიურმა ხალხმა დაიკავა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სკვით-სარმატული მოდგმის ტომების შემოსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში ორ ნაკადად განხორციელდა. ძვ. წ. VIII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდინა სკვითური, ხოლო ძვ. წ. III. საუკუნეში სარმატული ტომები. როგორც გ. თოგოშვილი

აღნიშნავს, სკვით-სარმატული ტომები: „თავისებურ დაღს ასვამენ ადგილობრივ მოსახლეობის განვითარების პროცესს.“²⁴⁶ ამას მოჰყვა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დონისპირეთში, ყუბანი-სპირეთსა და ცენტრალურ კავკასიაში შუააზიიდან მოსული სარმატული ტომების მონათესავე აღანების შემოსვლა. საბოლოოდ, სკვით-სარმატებმა და აღანებმა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. იმ მოსახლეობის, რომელიც კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელების არეალში ცხოვრობდა და ამ კულტურის ერთ-ერთი შემოქმედი იყო. როგორც ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „კოლხურ-ყობანური არქეოლოგიური კულტურის არეალში მცხოვრებ იბერიულ-კავკასიური ენის მქონე მოსახლეობის საცხოვრისში ძვ. წ. პირველ ათასწლეულის შუა პერიოდში შემოვიდნენ ინდოევროპული ენის მქონე სკვითები, რომელთა ერთი ნაწილი კომპაქტურად დამკვიდრდა ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე/დიალექტზე მოლაპარაკე ოვსთა საცხოვრისში. დროთა განმავლობაში, მოსულთა ენა გაბატონდა დამხდურთა ენაზე, თუმცა, ოვსთა ენა სუბსტრატულ ფენად შემორჩა გაბატონებულ ინდოევროპულ ენაში: „...იბერიულ-კავკასიური სუბსტრატული ფენა თანამედროვე ოსურში ჩანს ყრუ-მკვეთრი თანხმონებისა და დიდძალი ლექსიკის სახით.“²⁴⁷ ტ. ფუტკარაძის და მ. ლაბაძის განმარტებით: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფონემატური სტრუქტურის მიხედვით ოსური ენა

246 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე, თბ., 1958, გვ. 37.

247 ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005, გვ. 144.

ძალიან ახლოსაა იბერიულკავკასიურ ენობრივ ერთეულებთან: როგორც უშუალოდ მოსაზღვრე ენებთან (ქართული, ჩეჩურ-ინგუშური, ჩერქეზული), ისე არამოსაზღვრეებთანაც (დაღესტნის ენები) დადგენილია, რომ ოსური ენის ფონემატურ სტრუქტურაში არსებობს ე. წ. კავკასიური ხშულები-ყელხშული (მკვეთრი) თანხმოვნები: პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ, ტ.²⁴⁸ ავტორთა დასკვნით: „ამჟამინდელი ოსები ხანგძლივი დროის განმავლობაში წარმოიქმნენ დამხვედური იბერიულ-კავკასიური და მომხვედური ალანური ტომების შერევით.“²⁴⁹ თანამედროვე ალან-ოსები რომ კავკასიაში მოსული, არაავტოქტონი ეთნოსია ამას აღიარებდა გ. თოგოშვილი. იგი წერს: „ოსები ენის მხრით ინდოევროპელები არიან, კულტურის მხრით კი ტიპური კავკასიელები.“²⁵⁰ მოსული სკვით-სარმატული მოდემის ტომების ზეწოლის შედეგად არა მარტო კოლხურ-ყობანური კულტურის შემქმნელი იბერიულ-კავკასიური ენის ერთ-ერთ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხის (ქართულ წყაროებში შემორჩენილი ტერმინი „ოვსი“ „ოვსები“ სწორედ ამ ძველი ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმი უნდა იყოს) ასიმილიცია²⁵¹ მოხდა, ჩრდი-

248 ტ. ფუტკარაძე, მ. ლაბაძე, ოსურ ენაში არსებული კავკასიური ხშულების ისტორიისთვის, ივ. ავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 146.

249 იქვე, გვ. 148.

250 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

251 აღსანიშნავია, რომ 1843 წელს საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტაუზენი, რომელმაც ოსების შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია

ლოთ კავკასიის მთიანეთში დასახლებულმა აღ-
ანებმა მოგვიანებით კავკასიური წარმოშობის სხვა
ხალხებიც შეავიწროვეს და მათი ტერიტორიები
მიითვისეს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია და-
ასახელოთ დვალეები.²⁵²

დვალთა ნაწილი საქართველოს დაბლობში
ჩამოსახლდა, ხოლო ნაწილი აღანებს შეერია.
დვალეებით დასახლებულ ტერიტორიაზე ოსური
ენა გაბატონდა. ვახუშტი ბატონიშვილი დვალთა
ენას ოსური ენისაგან მიჯნავდა: „ენა აქვთ ძვე-
ლი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა.“²⁵³ დვალთა
გაოსების პროცესი, როგორც რ. თოფჩიშვილი აღ-
ნიშნავს, ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთ-
ნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგძლივი დროის
განმავლობაში (რამდენიმე თაობის მანძილზე) მიმ-

დაგვიტოვა, მსგავსებას ხედავდა, ოსი და გერმანელი ხალხის
ყოფა-ცხოვრებაში. გ. გელაშვილი, პაქსაუზენი ოსების
შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1(5),
თბ., 2009, გვ. 399. ოსთა საუბრის უდერადობასა და მანერებში
ასეთივე მსგავსებას ხედავდა გერმანელი მოგზაური იოჰან
გეორგ კოლიც. გ. გელაშვილი, იოჰან კოლის ცნობები ოსების
შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (9), თბ.,
2011, გვ. 297. ოსების წარმომავლობის შესახებ საინტერესო
მოსაზრება გამოთქვა XVIII საუკუნის II ნახევარში საქარ-
თველოში ჩამოსულმა გერმანელმა მოგზაურმა იოჰან ანტონ
გიულდენშტედტმა. მეცნიერი ოსებს ძველი ყივჩაღების,
ან უკების შთამომავლებად მიიჩნევდა, ხოლო ოსურ ენას
სპარსულის მონათესავედ თვლიდა. გ. სოსიაშვილი, გერმანელი
მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 66-67.

252 მიტროპოლიტი ანანი აჯაფარიძე, ქართველთა დენა-
ციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 1997, გვ. 379.

253 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირი-
თადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973,
ტ. IV, გვ. 639.

დინარეობდა და ის ძირითადად განხორციელდა XVI–XVII საუკუნეების მიჯნაზე.²⁵⁴ XVII საუკუნის I ნახევარში დვალეთში ჯერ კიდევ ქართველები (ქართული გვარისანი) მკვიდრობდნენ.²⁵⁵ XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას უკვე აღან-ოსები წარმოადგენდნენ.²⁵⁶ შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს ურთიერთობა, იმიერკავკასიაში დამკვიდრებულ აღანებთან სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ოსები ხშირად გამოდიოდნენ ქართული სამეფო ხელისუფლების დამხმარე ძალად როგორც საგარეო მტრის, ასევე, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად. სამხედრო მოკავშირეობამ ორი ხალხის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ხასიათი შეიძინა და ამ კავშირების მდგრადობის სურვილმა საფუძველი შეუქმნა და დინასტიურ ქორწინებებს. საკმარისია გავიხსენოთ: გიორგი I-ის (1014-1027 წ.წ), ბაგრატ IV-ის (1027-1072 წ.წ), გიორგი III-ის (1156-1184 წ.წ), ნათესაური კავშირების დამყარება ოსეთის მმართველ წრეებთან.

საქართველოს ხელისუფლებასთან ჩამოყალიბებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ წარმართ ოსებში გზა გაუხსნა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ამ სარწმუნოების წიაღში აღმოცენებულ ქართულ კულტურას. სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შე-

254 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

255 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 40.

256 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 170.

ნარჩუნების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღან-ოსების ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას, საქართველოს სამეფოს გაგლენის ქვეშ მოქცევას. ამ თვალსაზრისით ქართველი პოლიტიკოსებისთვის მძლავრი ინსტრუმენტი იყო ქრისტიანული სარწმუნოება. ოსთა გაქრისტიანებაზე მკვლევრებში სხვადასხვა მოსაზრებაა. ნაწილი თვლის, რომ ოსებში ქრისტიანული სარწმუნოება ანდრია მოციქულმა იქადაგა. ამ აზრისაა ხარკოვის არქივისკოპოსი მაკარი.²⁵⁷ დ. ლავროვი ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებლად წმ. ნინოს მიიჩნევს.²⁵⁸ ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში მოჰყავს გადმოცემა, რომლის მიხედვით ოსეთში ანდრია მოციქულმა მღვდელმთავრად ვინმე მატათა დანიშნა, საბოლოოდ კი ოსები წმ. ნინომ გააქრისტიანა. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში ოსებისთვის საეპისკოპოსო კათედრაც დააარსა.²⁵⁹ საისტორიო წყაროების მიხედვით ოსების გაქრისტიანება 921-925 წლებში მოხდა და ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება დაკავშირებულია გიორგი II (922-952 წ.წ.) აფხაზთა მეფის სახელთან. ქართველ ხელისუფალს ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში ხელს უწყობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი-ნიკოლოზ მისტიკოსი.²⁶⁰ ქრისტიან-

257 История христианства в России до равноапостольного князя Владимира, (второе издание), Спб., 1869, стр. 86, 87. Пфаф, Сборник сведений о кавказских горцах, Вып. IV, 1870, стр. 31.

258 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. III, 1883, стр. 200.

259 ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 44, 62-67.

260 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,

ული სარწმუნოების გავრცელებამ ქართველი და ოსი ხალხი კიდევ უფრო დაახლოვა.

საქართველოში მოღვაწე ოსმა დედოფლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში. ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა ცნობილია, როგორც პალესტინის ერთ-ერთი მონასტრის კაპაათას ამშენებელი. ამ საქმეში მას თავისი ქალიშვილი მართა (ბიზანტიის იმპერატორის მეუღლე) უწევდა დახმარებას.²⁶¹ ბორენას დავალებით სვანეთში ლენჯერის საზოგადოებაში მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროჭედილ ხატზე წარწერაც ამოუკვეთიათ. როგორც ჩანს, იგი ძალზე განათლებული და ღვთისმოსავი ადამიანი იყო.²⁶² არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი III-ის მეუღლის ბურდუხან დედოფლის კულტურული მოღვაწეობა. ბურდუხანი მოხსენიებულია ხობის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში. ნიკოლოზ კათალიკოსის წერილის თანახმად, იგი ძალზე ზრუნავდა რუისის ტაძარზე.²⁶³

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა კიდევ უფრო ახალ სიმაღლეზე ავიდა თამარის მეფობის (1184-1210 წ.წ.) დროს. საქართველოში გაზრდილი თამარის მეუღლე დავით სოსლანი არა მარტო სწო-

ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1952, გვ. 213.

261 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 145.

262 ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, 1910 წ. პარიზი, 1937 წ. გვ. 316.

263 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227, თ. უორდანი, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 268.

რუპოვარი მხედართმთავარი იყო, არამედ განათლებული მოღვაწე და ქართული კულტურის დიდი მცოდნეც.

ივ. ჯავახიშვილის შეფასებით დავითი: „მწიგნობრობასა და მეცნიერებაშიც დიდად დაწინაურებული აღმოჩნდა.“²⁶⁴ ნუზალის საყდარში, რომელიც არაერთმა მკვლევარმა აღწერა და შეისწავლა, არსებობდა ქართული წარწერა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ოსი ბაყათარის²⁶⁵ წინაპრები და მისი ორთაბრძოლა ქართველ მეფესთან. ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევდა, რომ ეს წარწერა დავით სოსლანს*

264 ივ. ავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 261.

265 იხ. П. Уварова, Кавказ. Путевые заметки, 1879, стр. 40-41; Пфаф, Материалы для истории Осетии, Сборник сведений о кавказских горцах, Вып. V, 1871, стр. 33-35; М. Джанашвили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXII, 1897, стр. 43-44.

* მიმდინარე წლის ივლისში ე. წ. სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტში (თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა) გაიმართა ოსი მწერლის სურატ ჯიჯითის წიგნის: „ვინ არის პოემა „ვეფხისტყაოსნი“ ნამდვილი ავტორი? წიგნის ავტორის აბსურდულ მოსაზრებას, თითქოს გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დავით სოსლანია და უკვდავი პოემა სოფელ რუსთაუში(ეს გახლავთ ქართული სოფელი რუსთავი, რომელიც ცხინვალიდან 17 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მას ოსები რუსთაუდ იხსენიებენ. აღნიშნულ ქართულ სოფელს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან, შოთა რუსთაველთან არანაირი კავშირი არ აქვს) დაიწერა, ოსურ საზოგადოებაში მხარდამჭერები გამოუჩნდნენ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/762518-cxinvalis-ec-saxelmcipo-universitetshi-davit-soslanis-vepxistqaosnis-avtorobaze-imsjeles/>

ეკუთვნოდა.²⁶⁶ დავით სოსლანი მოხსენიებულია ნუზალის ფრესკულ წარწერებში.²⁶⁷ შუა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული კულტურა იმიერ კავკასიაში საქართველოდან ვრცელდებოდა. ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ნიმუში გვხვდება, მათ შორის ქართველ მეფეთაგან შეწირული საეკლესიო ზარები. მდ. არდონის შენაკად ცეის ხეობაში რექომის სალოცავისთვის გიორგი XI-ეს ზარი შეუწირავს, რომელიც ამოტივრული წარწერის თანახმად, 1680 წლით თარიღდება.²⁶⁸ 1683 წლით დათარიღებული ასეთივე ზარი გიორგი XI-ეს ქურთათის ხეობაში არსებულ ძივგისის ტაძრისთვისაც უბოძებია.²⁶⁹ ოსეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას ადასტურებს სოფ. ზარამაგში აღმოჩენილი XIII საუკუნის ფსალმუნი, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ჩაუტანიათ ოსეთში.²⁷⁰

ქრისტიანული სარწმუნოების და ქართული კულტურის ოსეთში გავრცელებაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობას. კომისიის შექმნამდე ოსეთში საგანმანათლებლო საქმის განვითარებაში დიდი წლილი შეიტანა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, სამშობლოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილმა

266 ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 207; М. Джанашвили, „Картлис Цховреба“, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. 35, 1905, стр. 181-182.

267 ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971, გვ. 39.

268 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა, XV-XVIII ს.ს თბ., 1969, გვ. 231.

269 იქვე, გვ. 231.

270 იქვე, გვ. 232.

არქიებისკოპოსმა იოანემ. 1737 წელს ის ასტრახანში ჩავიდა და სამების მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო აქედან მცირე ხანში ყიზლარში გადავიდა, სასწავლებელი გახსნა და ქრისტიანობის ქადაგებას შეუდგა.²⁷¹ თუმცა, ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო საქმიანობა ოსეთში ქართველ სასულიერო პირთა მიერ დაკომპლექტებულმა კომისიამ წარმართა. კომისიის შექმნის ინიციატორები იყვნენ მოსკოვის ზნამენსკის წინამძღვარი არქიებისკოპოსი ნიკოლოზი და არქიებისკოპოსი იოსებ სამეხელი.²⁷² აღნიშნულმა სასულიერო პირებმა კომისიის შექმნის თხოვნით იმპერატორს 1742 წელს მიმართეს. კომისიის მიზანი ოსებში შერყეული ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა იყო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ყიზლართან ახლოს მცხოვრებ ოსებს, რომლებიც უწინ მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათ ქვითკირით ნაგები ეკლესიებიც ჰქონდათ.²⁷³ ცნობილია, რომ 1739 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვით ყაზარდო ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადდა. რუსეთი ერიდებოდა ოსეთში რაიმე სახის ღია კამპანია ეწარმოებინა, ამიტომ ქართველი სასულიერო მოღვაწეების მისიონერულ საქმიანობას დათანხმდა, რითაც ის თავის პოლიტიკას შენიღბავდა.²⁷⁴

271 М. Илуридзе, Исторический очерк деятельности православного миссионерства на кавказе в XVIII и XIX столетиях, Причины его успехов и неудач, Пастырь, 1888. №6, стр. 7.

272 გ. თოგოშვილი, დასახ, ნაშრომი, გვ. 235

273 იქვე, გვ. 235.

274 იქვე, გვ. 236. შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში XVIII საუკუნეში, ს. ჯანაშიას სახ. სა-ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX —A, და XX—B. 1957, გვ. 406.

ქართველი არქიმანდრიტების ნიკოლოზისა და იოსების რეკომენდაციით 1744 წელს, ოსეთის სასულიერო კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: არქიმანდრიტი პახომი, იღუმენები ქრისტეფორე (დავით გურამიშვილის ძმა) და ნიკოლოზი, ყაზანის ეპარქიაში მყოფი დეკანოზი გიორგი დავიდოვი, არქიელი ივანე სემენოვი, მნათე გიორგი ბორისოვი. კომისიის წევრები ქართველები იყვნენ.²⁷⁵ აღნიშნულმა კომისიამ, რომელიც ქართველი სასულიერო პირების შემადგენლობით მუშაობას 1745 წლიდან შეუდგა, 1771 წლამდე იარსება. თურქეთთან ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ კომისია გადაახალისა და ქართველი სასულიერო პირები რუსი ეროვნების სასულიერო მოღვაწეებით ჩაანაცვლა.²⁷⁶ ქართველი სასულიერო პირების მისიონერულმა მოღვაწეობამ ძალზე დიდი გავლენა იქონია ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე. სასულიერო კომისიის წევრები ზრუნავდნენ ოსი ბავშვების აღზრდაზე, მათ განათლებაზე. კომისიის ხელმძღვანელმა პახომმა 2 ოს ბავშვს საკუთარი ხარჯით ასწავლა. სამი ოსი ბავშვი აღზარდა იღუმენმა გრიგოლმა და სხვ.²⁷⁷ სასულიერო კომისიის წევრები დიდად ზრუნავდნენ ოსი ხალხისთვის საგანმანათლებლო კერების შექმნის თვალსაზრისით. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს არქიმანდრიტი პახომის მიერ ოსი ხალხისთვის სკოლის გახსნის პირველი მცდელობა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა, 1764 წელს მოზ-

275 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

276 იქვე, გვ. 238.

277 იქვე, გვ. 239; Материалы по истории Осетии, т. V, Орджоникидзе, 1933, док. 4

დოკში სკოლა მაინც გაიხსნა, რომლის დაარსების იდეა ქართველ სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო არქიმანდრიტი გრიგოლ რომანიშვილი.²⁷⁸

განუზომლად დიდია ქართველი სასულიერო მოღვაწეების დამსახურება ოსი ხალხისთვის ანბანის შექმნის საქმეში. ამ მხრივ, დიდად იღვაწა მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიოზმა (თელავის სემინარიის ყოფილი რექტორი) რომელიც ერეკლე II-ის და სოლომონ II-ის ნდობით აღჭურვილი მოღვაწე იყო.²⁷⁹

ოსების გაქრისტიანების საქმეში დიდ როლს ასრულებდა ქართული საღვთისმეტყველო ტექსტების ოსურ ენაზე ამეტყველება. 1747-1753 წ.წ. იღუმენმა გრიგოლმა რამდენიმე ქართული წიგნი ქართული საეკლესიო გრაფიკის (ხუცურის) გამოყენებით ოსურ ენაზე გადათარგმნა.²⁸⁰ ქართული საეკლესიო შრიფტით ოსური წიგნების გამოცემის უფრო ადრინდელ ფაქტს ადასტურებს მ. ჯანაშიელი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მას 1753 წელს დაბეჭდილი ოსური წიგნი უნახავს.²⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ ოსური წიგნების გამოცემის საფუძველი ქართული გრაფიკა იყო, მცირე ხანში რუსეთმა მიდგომა შეცვალა და სასულიერო კომისიაში მყოფ რუს იერარქებს უბრძანა, რომ ოსური საეკლესიო წიგნები მხოლოდ სლავური გრაფიკის საფუძველზე გა-

278 Материалы по истории Осетии, т. V, док. 15.

279 А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, Спб., 1902, стр. 71-72.

280 დასახ, ნაშრომი, გვ. 246.

281 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXII, 1897, стр. 64

მოეცათ.²⁸² ქართული საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნის საქმეს ნაყოფიერად აგრძელებდა მოზდოკის ეპისკოპოსი გაიოზი. 1785 წელს მან ოს მღვდელთან პავლე გენცაუროვთან ერთად საეკლესიო სლავეური ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა წიგნი: „Начальное учение человеком, хотящим учиться книг Божественнаго писания.“ აღნიშნული წიგნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში 1798 წელს დაიბეჭდა.²⁸³ ოსთა საგანმანათლებლო საქმიანობას დიდი ამაგი დასდო იოანე იაღლეუზიძემ²⁸⁴ (1770-1830 წ.წ.). იოანე იაღლეუზიძემ ქართული ანბანის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც 1821 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოსური წიგნების გამოცემა ქართული გრაფიკის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა. რუსეთის ხელისუფლების დავალებით 1844 წელს ფრანგმა აკადემიკოსმა ანდრეას შეგრენმა ძველი სლავეური ანბანის საფუძველზე ოსური დამწერლობა შექმნა. 1923-1938 წ.წ. ოსურ დამწერლობას საფუძვლად ედო ლათინური ანბანი, თუმცა, 1938 წლ-

282 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

283 იქვე, გვ. 247.

284 იაღლეუზიძე იყო გვარი ქართული წარმომავლობის იყო. 1432 წლის თირის მონასტრის სიგელში იხსენიება ბეჟან იაღლეუზისძე, რომლის სააღაპედ მოღვაწეთა უწყვეტმა ხელმა თავხელისძემ თირის მონასტერს მეღვრეისში მცხოვრები გლეხი ჭონისძე იყო შეწირა. გ. სოსიაშვილი, თირის მონასტრის 1432 წლის საბუთი და თავხელისძეთა საგვარეულო, ანალები, №11, 2015, გვ. 159. მოგვიანებით, იაღლეუზიძეების, იგივე იაღლეუზისძეთა გაოსება მოხდა. ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 2010, გვ. 499-500.

იდან ჩრდილოეთ ოსეთში, ხოლო 1954 წლიდან ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბოლოოდ რუსული გრაფიკა დამკვიდრდა.²⁸⁵ გარდა იმისა, რომ ქართველი სასულიერო პირები აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ოს ხალხში, სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით ისინი ცდილობდნენ ოსი ახალგაზრდების შემოყვანას ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, ამას ადასტურებს საქართველოში აღზრდილი არაერთი ოსი სასულიერო პირის მოღვაწეობა. ერთ-ერთი მათგანი პართენი იკორთის ტაძრის არქიმანდრიტი ყოფილა. ის იხსენიება 1761 წლით დათარიღებულ იკორთის ტაძრის ერთ-ერთ ხელნაწერში.²⁸⁶ ქართველ არქიმანდრიტ პახომს აღუზრდია ქურთათის ხეობელი ვინმე ბახტა, რომლის ქრისტიანული სახელი ბაგრატი ყოფილა. მას არაერთი ქართული წიგნი გადაუწერია, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი.²⁸⁷ იკორთის მონასტერში მოღვაწეობდა ოსი არქიმანდრიტი გამალიელი. როგორც იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ გადმოგვცემს, ის ანტონ კათალიკოსის გაზრდილი იყო. ოსი გამა-

285 ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 164; ნ. პოპიაშვილი, ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 113.

286 თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1896, გვ. 25.

287 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 249. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. H, №300, ფურც. 259; აღ. ღლონტი, ნარკვევები, თბ., 1955, გვ. 130-131.

ლიელის სახელს არაერთი წიგნის გადაწერა უკავშირდება.²⁸⁸ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ: გიორგი ჯათიშვილი; ოსყოფილი ვანისშვილი ვანის ძე დიაკვანი; XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში მოღვაწეობდა ასევე ოსყოფილი ნეოფიტე, რომელმაც ანტონ კათალიკოსისაგან არქიმანდრიტობა მიიღო.²⁸⁹

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს იოანე იაღლეუზიდის²⁹⁰ ცხოვრება და შემოქმედება. სოფ. ზაღდადან ერეკლე II ბრძანებით ჩამოყვანილი ყმაწვილი დავით გარეჯის მონასტერში გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის იოანე ქარუმიდის ზედამხედველობის ქვეშ აღიზარდა. იოანე იაღლეუზიდემ²⁹¹ ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობას მძლავრი ბიძგი მისცა.

288 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 193; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

289 იქვე, გვ. 251-252; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 194.

290 იოანე იაღლეუზიდის შესახებ იხ. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 252-256. ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობიდან, მაცნე, 1964, № 1; Дз. Гуткаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Известия Юго-Осетинского научноисследовательского института. Выпуск VII, Сталинир, 1955; Вып. VIII, 1957; გ. ახვლედიანი, იოანე იაღლეუზიდის გარშემო, ჟურნ. ფილოლოგი, № 2, 1928. (ოსურ ენაზე); ი. იაღლეუზიდე, პოემა აღლეუზიანი და სხვა მასალები, კრებული შეადგინა და გამოსცა შ. ქურდაძემ, ცხინვალი, 1988.

291 ამის შესახებ ვრცლად იხ. ა. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბ., 2011, გვ. 38; ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1968, გვ. 127-128; ა. ცოტნიაშვილი, მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხინვალი 1990, გვ. 40.

საქართველოში მცხოვრები ოსების კულტურას განსაკუთრებული სული შთაბერა ნარში დაბადებული კოსტა ხეთაგათის მოღვაწეობამ. ოსი ხალხის წიაღიდან გამოსულმა დიდმა პოეტმა მშობლიური ხალხის ლიტერატურული ტრადიციები სრულიად სხვა სიმაღლეზე აიყვანა. ამ ტრადიციების შემდგომი გამგრძელებლები იყვნენ: დ. ჯიოევი, გ. ბესთაუთი, რ. ასაევი, ნ. უსოთი და სხვ.²⁹²

XIX საუკუნის II ნახევარში საიმპერატორო კარი ცდილობდა საქართველოში ჩამოსახლებული ოსებისთვის რუსული განათლება მიეცა, რაც, ცხადია, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ „ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელ საზოგადოების“ მიერ საქართველოში, სოფელ როკაში ოსებისთვის სკოლის გახსნის ფაქტი. ოს ბავშვებს სკოლაში რუსი მასწავლებელი სციპინი დაუნიშნეს. ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი, ამის შესახებ წერდა: „რუსი მასწავლებელი ოს ბავშვებთან, რომლებმაც რუსული ენა არ იციან და ლაპარაკობენ მხოლოდ ოსურად და ქართულად, ყოველად გაუმართლებელია.“²⁹³

XIX საუკუნის II ნახევარში დროების კორესპონდენტის გ. ლიახველის ინფორმაციით ეკლესიებთან არსებული სკოლები გაიხსნა დიდი ლიახვის ხეობაში, ჯავაში, კოშკაში, ედისაში.²⁹⁴ ასეთი სკოლები როგორც ა. მღებრიშვილი განმარტავს: „ძირით-

292 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70-80.

293 მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნეჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 25-26.

294 გახ. „დროება“, № 128, 1876.

ადად მთის მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის დანერგვა-განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.²⁹⁵ საქართველოში ჩამოსახლებული ოსები, თანდათან ქართულ კულტურულ სივრცეში შემოდინდნენ, ეზიარებოდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. ამ თვალსაზრით დიდ როლს ასრულებდა ქართული ენა. სწორედ ქართული ენიდან შედიოდა და მკვიდრდებოდა ოს ხალხში ქრისტიანული ტერმინები. ამის ნათელ წარმოდგენას ქმნის ოსურ ენაში არსებული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: ძუარ-ჯვარი, კუირი-კვირა, ტარანჯელოს-მთავარანგელოზი, მორხო-მარხვა, ბარაესკაე-პარასკევი, მიკალგაბირთაე-მიქელ-გაბრიელი, ჩირისტი-ქრისტე, მაირამ-მარიამი.²⁹⁶ ოსურში ქართულიდან არის შესული ასევე სიტყვები: აღარდი-აღავერდი, დეკანოზ-დეკანოზი, სანიბა-სამება, ეორგუბა-გიორგობა.²⁹⁷ ქრისტიანული ტერმინოლოგიის გარდა, ქართულიდან ოსურ ენაში ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული დამკვიდრდა, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო ყოფასთან და მატერიალურ კულტურასთან. ასეთი სიტყვებია: კიტრი-იტრი, ბოლო-კი-ბულკ, ნიორი-ნური, ბალი-ბალ, ფოცხი-პოცხი, ტიკი-დიჩი, კაბა-კაბა, წინდა-ცინდა, დროშა-ტირისა,

295 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 393; საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებში სწავლა-განათლების კერებზე ვრცლად იხ. ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბილისი-სტალინური, 1958, გვ. 115; ა. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, გვ. 391.

296 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230;

297 იქვე, გვ. 165.

კირი-ჩირ, ხერხი-ხირხ.²⁹⁸ ვ. აბაევის (ამ მოსაზრებას იზიარებს გ. თოგოშვილიც) შეხედულებით, თავის მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად ოსური ენიდანაც დამკვიდრდა ქართულ ენაში რიგი ლექსიკური ერთეულები: მაგ. შავი-საუ; ბევრი (დიგ.)-ბევრაე, ქუდუ-ხუდ, ლუდი-აელუტონ, დოდი-დუგ, ორმო-უაერმ, ხიდი-ხიდ, ქადაგი-ქადაგე,²⁹⁹ ოს მკვლევართა მიხედვით ოსური სიტყვის ძირი „კად“-ი გამოიყენება ქართულ სიტყვაში „სასი-ქად-ულო.“³⁰⁰

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებულ ალანებში ჯერ კიდევ X საუკუნიდან გავრცელდა, რაზეც ზემოთ უკვე მივუთითებდით, ოსებში წარმართულ წეს-ჩვეულებებს საკმაოდ გვიანობამდე ჰქონდა გადგმული ფესვები. წარმართული წესები და რიტუალები ოსებში ქრისტიანობამ ჩაანაცვლა, თუმცა წინარექრისტიანული ელემენტები მაინც მძლავრად შემორჩა. სასულიერო კომისიის დაუღალავი მუშაობის მიუხედავად, ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება დიდ გამოწვევად

298 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230; В. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, М., 1949, стр. 87.

299 ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ზოგიერთი მითითებული ლექსიკური ერთეული ძველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებსა და საისტორიო წყაროებში გვხვდება. მაგ. „ქადაგი,“ რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ადმინისტრაციული აპარატის ერთ-ერთი წარმომადგენელს ერქვა და შეუძლებელია ის ოსური ენიდან შემოსულიყო. იხ. გ. სოსიაშვილი, კახთა მეფეები და მცხეთის ქადაგები, „ანალები“, 2016, № 12, გვ. 205-224.

300 В. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, стр. 86-87; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, გვ. 231.

რჩებოდა.^{*301} XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა ოსები ქრისტიანულ რელიგიაზე გარკვეული გასამრჯელოს ფასად მოექცია. გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხაზინას ყოველწლიურად ოსების გასაქრისტიანებლად 1500 მანეთი ეხარჯებოდა. ოსები ქრისტიანობის მიღების სანაცვლოდ იღებდნენ ფულს და ტი-

301 აღსანიშნავია, რომ ოსებში გავრცელებული იყო ვაჩილას (თხის) კულტი, რომელიც ელია წინასწარმეტყველს უკავშირდება. გ. სოსიაშვილი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 6-7. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი, გ. ლიახველი (წიხიშვილი) აღნიშნავდა, რომ ოსები პატივს სცემდნენ ოთხ წმინდანს: ილიას (ვაჩილას), თევდორე თორელს (ფალვარა), ნიკოლოზს (თუთირე) და გიორგის (ვახჯირჯის). ოსები ვაჩილას უკლავდნენ თხას, თუთირეს ხარს, ფალვარას ღორს და ვახჯირჯის ცხვარს. „დროება“, № 258, 1883, გვ. 3. გერმანელი მოგზაურის აუგუსტ ჰაქსტაუზენის გადმოცემით, ოსებში კატა, ძაღლი და ვირი ჯადოსნურ ცხოველებად ითვლებოდა. გ. გელაშვილი, ჰაქსტაუზენი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, № 1(5), თბ., 2009, გვ. 385.

* ოსებს სხვა წარმართული კერპებიც ჰქონდათ, როგორც იყო: ქურდებისა და მძარცველების ღვთაება საუბარავი, აღნიშნული კერპი ალაგირის მთებში ს. ბიზში მდებარეობდა, ოსთა ერთ-ერთი სალოცავი იყო ასევე მკვლელთა მფარველი ღვთაება ფარნიჯი ძუარი. გ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218. ოსებში, როგორც გერმანელი მოგზაური იაკობ რაინგესი მიუთითებს, გავრცელებული იყო ანიმიზმი, კეთილი და ბოროტი სულების თაყვანისცემაც. იაკობ რაინგესი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 211. ოსთა ერთი ნაწილი ისლამსაც აღიარებდა. დროების კორესპონდენტი გ. ლიახველი, ოს მოსახლეობაში მაჰმადიანობის გავრცელებას ყაბარდოელებს მიაწერს. „დროება“ №8, 1884; მ. განჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფაცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 51.

ლოს პერანგს.³⁰² ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში(ძირითადად შიდა ქართლის მთიანეთი) ჩამოსახლებულმა ოსებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, ტრადიციები და კულტურა, თუმცა ჩამოსახლებულ ოსებს ოსტატურად იყენებდნენ საქართველოს მტრული ძალები და ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის დროს. სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) პარტიაში იქმნებოდა მითი, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. ამის გამოვლინებაა ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის ი. სტალინის მიერ 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია: „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.“ საბჭოთა ხელისუფლების მომავალი ბელადი წერდა: „კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა: ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს;

საქართველო რომელიც ჩაგრავს ოსებს,³⁰³ აფხ-

302 ელჟარდ აიხვადლი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გულაშვილმა, თბ., 2005, გვ. 34.

303 ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში განსაკუთრებით მძიმე იყო 1918 წელი. სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პარტიის მიერ წაქეზებული

ოსთა კოლაბორაციონისტული ჯგუფის მოძრაობა ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში დაიწყო. 1917 წლის 15-17 დეკემბერს, „სამხრეთ ოსეთის“ დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭო აირჩია. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 15. საქართველოს ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: „აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.“ იქვე, გვ. 23. 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსმა ბანდებმა შემზარავი ტრაგედია დაატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა. იქვე, გვ. 25-26. 1918 წლის მარტის ოსი სეპარატისტების გამოსვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩაახშო. იქვე, გვ. 28. ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსთა აჯანყება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. საინტერესოა თბილისელი ოსების პოზიცია ქართულ-ოსურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. 1919 წლის 26 თებერვალს თბილისელ ოსთა მუშათა კრებაზე გამოსულმა მომხსენებელმა ვ. გაგლოევმა აღნიშნა: „ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დე მოკრატის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი“. იქვე, გვ. 30. ამის მიუხედავად ოსების გამოსვლები მაინც არ წყდებოდა, მათ უკან ბოლშევიკური რუსეთი იდგა. სწორედ კრემლის წაქეზებით 1920 წლის 8 მაისს როქის რაიონში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ოსი კოლაბორაციონისტების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა. ოსთა აჯანყება” ჩახშობილ იქნა. ვრცლად იხ. ა. მენთემაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. „ოსთა საკითხი.“ თბ., 1996, გვ. 285. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის და იძულებით გასაბჭოების შემდეგ ოს სეპარატისტებს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაუფასა ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ და 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. ახლად შექმნილ ოლქს ცხინვალთან ერთად 40 ქართული სოფელი გადაეცა. ლ.

აზებს, სომხებს; იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.)³⁰⁴ თუ როგორ „იზაგრებოდნენ“ ეთნიკური უმცირესობანი დემოკრატიულ საქართველოში, ეს შეგვიძლია ნათლად დავინახოთ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობით. 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონის „საქართველოს სახელმწიფო ენის“ მიხედვით, ქართულ ენას ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი უფლებები ცალკე კანონით რეგულირდებოდა. 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „წესი ენის ხმარებისა,“ რომლითაც დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და განისაზღვრა ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები.³⁰⁵ პარლამენტის წევრებს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ ქართულ ენაზე და მათი სიტყვა არ ითარგმნებოდა. პარლამენტის წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ შეეძლოთ

თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესვლას აპროტესტებდა, მაგრამ ხელისუფლებამ მოსახლეობის მოთხოვნა ყურად არ იღო. G. Sosiashvili, *The Oppression of the Georgian Population in Tskhinvali Region During the First Years of Soviet Occupation*, PRO GEORGIA, JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES, #27, WARSAW, 2017, p. 253.

304 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 19.

305 ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სახელმწიფო ენა, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, № 1, (28), გვ. 17.

სიტყვის წარმოთქმა თავიანთ დედა ენაზე, რომელიც პარლამენტის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. წარმოსათქმელი სიტყვა უნდა გათარგმნილიყო ქართულად, თუ ამას 15 დეკუტატი მაინც მოითხოვდა.³⁰⁶ კიდევ უფრო დიდ უფლებებს აძლევდა ეთნიკურ ემცირესობებს 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი „ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა.“ ამ კანონის შესაბამისად თვითმართველობის ფარგლებში, თუ ეთნიკური უმცირესობა მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი იყო, მათთვის საქმის წარმოება უნდა წარმართულიყო როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.³⁰⁷ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციაში. დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უმაღლეს დოკუმენტში მე-14 თავი სწორედ ამ საკითხს ეხება. კონსტიტუციაში ვკითხულობთ:

მ უ ხ ლ ი 129

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე.

მ უ ხ ლ ი 130

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერო-

306 ნ. პოპიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

307 იქვე, გვ. 114; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 26.

ბა, ქილაქი) უფლები აქეთ შეროდნენ დი დიარსონ როვნიული კავშირი თივის კულტურული-განმანათლებელი სიქმეების უკეთ მოსაწყობად დი გისიბლოლად კონსტიტუციისი დი კანონის ფარგლებში. როვნიულ უმცირესობის, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვებია, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს როვნიული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითი დი კომპეტენციით. როვნიულ კავშირში შესვლია ხდება სილაპარაკოენის მიხედვით. როვნიულ უმცირესობათი კულტურული-განმანათლებელ სიჭიროებათი დისიკამიფიილებლად სიხელმწიფო დი თვითმმართველობათი ბიუჯეტიდან გიდიიდებია ფინანსური სიშუილებები პროპორციულად მცხოვრებთი რიოდენობისი.

მ უ ს ლ ი 131

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური დი მოქილაქობრივი უფლები როვნიულ კავშირში მონიწილეობისიათვის.

მ უ ს ლ ი 132

ყოველ როვნიულ კავშირს შეუძლია აღძრას დი დიიცვას სისამართლოს წინაშე ის სიქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითი დი კანონით მინიჭებულ როვნიულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მ უ ს ლ ი 133

სიქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქილაქეს თიანსწორი უფლები აქეს მიიღოს სიხელმწიფო, სიმოქილაქო, სიმხედრო დი სიქილაქო თუ სიერობო სიმსიხური.

მ უ ს ლ ი 134

როვნიულად ნარევი ადგილობრივი მმართველობი ვილდებულია სწავლი-განათლებისიათვის გიდიიდებული თიხით დიარსოს სიკამო რიცხვი

სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მოქალაქეთა ეროვნულ შემადგენლობის პროპორციის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 135

ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლა იწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მ უ ხ ლ ი 136

ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მ უ ხ ლ ი 137

არაქართველ დეკუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პრეზიდიუმს.³⁰⁸

308 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათომი, 1921, გვ. 36-37. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებულ კონსტიტუციაში (1922 წ.) ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ასეთი სახის შენიშვნა იყო: თავი II. მუხლი 6. შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში. საქართველოს მომდევნო (1927, 1937 წ.წ) კონსტიტუციებში ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივ უფლებებზე იგივე ჩანაწერებია, მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით, მაგ. 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი გვხვდება: საქართველოს სსრ-ის ტერი-

საქართველოს პირველი კონსტიტუციიდან ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ხელვა ორიენტირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ენობრივ და კულტურულ უფლებებზე, რაც სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტში მკაფიოდ აისახა. 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. აღნიშნული პროგრამის მე-6 პუნქტში აღნიშნული იყო: „რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.“ ამავე პროგრამის მე-13 პუნქტი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო საგნად სწავლებას ეხებოდა: „კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებ-

ტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. ამავე კონსტიტუციის 157 მუხლის თანახმად: კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის, ან ოლქის ენაზე.

ში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ“.³⁰⁹

ქართული ენის განვითარების პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1989 წლის 4 სექტემბერს მიიღო დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე. აღნიშნულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1. დამტკიცდეს შემუშავებული და ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული ოსური ენის სახელმწიფო პროგრამა.

2. დაევალოს ოლქის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ოსური ენის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უთუო და დროული შესრულება.

3. აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულმა ყველა ორგანიზაციამ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სახალხო დაპუტატთა საოლქო საბჭოს წარმოუდგინოს კონკრეტული წინადადებები მათი რეალიზაციის ვადების მითითებით.

4. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დაიხმას საკითხები:

309 გაზეთი „კომუნისტი“, № 196, 1989; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 7-8.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პირველ პუნქტში შეტანილი იქნას სათანადო ცვლილებები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თაობაზე საქართველოს სსრ კანონისა და ოსური ენის განვითარების პროგრამის შესაბამისად;

აღნიშნული პროგრამის მესამე განყოფილების მე-9 და მე-14 პუნქტები არ განხორციელდეს აბიტურიენტებზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

(...)

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ჩეხოვი. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კანმაზოვი“.³¹⁰

ოსური ენის განვითარების პროგრამაში გაცხადებული იყო ის მიზნები, რომელიც კრემლის მიერ ინსპირირებულ ოს სეპარატისტებს ამოძრავებდათ. ენობრივი უფლებების გაფართოებით შენიღბული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცდის სურვილი. ოლქში, დადგენილების თანახმად დაჩქარებული ტემპით უნდა მომხდარიყო ტელეცენტრის დაპროექტება და მშენებლობის დაწყება. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რა იმალებოდა აღნიშნულ დოკუმენტში. პროგრამაში აღნიშნულია:

„I. ოსური ენის კონსტიტუციური სტატუსი

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

310 გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №188, 1989 წლის 28 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 9.

სახელმწიფო ენებია ოსური, ქართული და რუსული, როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა საბჭოთა კავშირში.³¹¹ ოლქის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გააქტიურდეს ოსური ენის ფუნქციონირება.

2. საოლქო საბჭოს აღმასკომთან ჩამოყალიბდეს ოსური ენის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო...

3. ოლქის ფარგლების გარეთ მცხოვრებ ოსურენოვან მოსახლეობას დახმარება გაეწიოს სასკოლო სწავლების ორგანიზაციაში ოსურ ენაზე, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ არის, გათვლისწინებულ იქნეს სკოლებში ოსური ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, შესწავლა. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში საჭიროდ ჩაითვალოს

311 საბჭოთა სინამდვილეში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ მულტილინგვალური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობდა სამი ენის სწავლებას. 1. მშობლიური ენა (აფხაზური, ოსური), 2. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართული, 3. არაოფიციალური, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფო ენის ფუნქციების მქონე და ეროვნებათშორის ურთიერთობის ინსტრუმენტად იქცა რუსული. ამ სამი ენიდან ქართული ენის შემცირების ხარჯზე ყალიბდებოდა ბილინგვალიზმი. კ. გაბუნია, უმცირესობათა განათლების ასპექტები პოსტსაბჭოურ საქართველოში, ივ. ავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 49.

ოსური ენისა და ლიტერატურის ინსპექტორების შტატების შემოღება.

6. ოლქის ქალაქისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა აღმასკომებთან შეიქმნას ოსური სალიტერატურო ენის კონსულტაციისა და ფუნქციონირებისა და დაცვის ზედამხედველობის კომისია.

III. ოსური ენის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში

1. სკოლამდელ დაწესებულებებში ოსი ბავშვებისათვის ოსურ ენაზე გადავიდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

7. ქალაქისა და რაიონული ცენტრების სკოლების დაწყებით კლასებში უზრუნველყოფილ იქნეს ოსური ეროვნების ბავშვების ეტაპობრივი გადაყვანა ოსურენოვან სწავლებაზე. ამ საკითხზე ჩატარდეს საერთო სახალხო რეფერენდუმი.

10. შემოღებულ იქნეს ოსური ენის სწავლება ქართულ სკოლებში და ქართული ენისა და ოსურ სკოლებში მეხუთე კლასიდან.

11. შემოღებულ იქნეს ოსური ენის სწავლება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის ყველა განყოფილებაზე, ოლქის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

12. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტში მისადები გამოცდების დროს შემოღებული იქნეს გასაუბრება ყველა ოს აბიტურიენტთან.

13. გათვალისწინებული იქნეს გარკვეული შეღავათები ოლქის გარეთ მდებარე ოსური სოფლებიდან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შემსვლელ აბიტურიენტთათვის.

18. მოხდეს შეთანხმება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, რომ იქ არსებულ უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში ყოველწლიურად გამოიყოს ადგილების გარკვეული რაოდენობა ოსი აბიტურიენტებისათვის როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ისე საქართველოს სსრ სხვა რაიონებიდან.

IV. რადიო და ტელევიზია

1. კონტროლი დაწესდეს სამხრეთ ოსეთში ტელეგადაცემების მომზადებისა და ორგანიზაციის პროცესებზე.

ა) დაჩქარდეს ოლქში ტელეცენტრის დაპროექტება და მშენებლობის დაწყება;

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხები:

ა) ოლქში ოსურ ენაზე რადიოგადაცემების გაზრდის შესახებ; (...)

3. გამოინახოს ტექნიკური შესაძლებლობანი რადიოსა და ტელეგადაცემების მისაღებად ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალური რესპუბლიკიდან.

(...)³¹²

ოსური ენის პროგრამის დამტკიცების შემდეგ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1989 წლის 26 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება,

312 გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ №170, 1989 წ. 5 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 9.

რომლის მე-2 პუნქტში აღნიშნული იყო: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტში ინფორმაციაში აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. 2. საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დაემატოს პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა.“³¹³

ენობრივი პოლიტიკის გააქტიურების ბუნებრივი გაგრძელება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლების შესახებ, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. ეს გადაწყვეტილება 1989 წლის 10 ნოემბერს იქნა მიღებული და მასზე ხელს აწერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. სანაკოევი.³¹⁴ ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის

313 გაზეთი, „საბჭოთა ოსეთი.“ №188, 1989 წლის 28 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 10.

314 რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 12.

სახალხო დემუტატა საბჭოს XII საგანგებო სესიის კიდევ ერთი გადაწყვეტილება მოჰყვა: „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დემუტატა საოლქო საბჭოს 1989 წლის 26 სექტემბრის XI სესიის გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შეცვლის შესახებ,“ რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოცხადდა: „ოლქში ქართული და რუსული ენების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება განხორციელდება სსრ კავშირის ენობრივი პოლიტიკის თანახმად. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საქმის წარმოების ენის საკითხი ჩაითვალოს სახალხო დემუტატა საოლქო საბჭოს კომპეტენციად რეგიონის სპეციფიკის, მისი ეთნიკური და კულტურული პირობების გათვალისწინებით. ოფიციალური მიმოწერა საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის ხორციელდება საერთო-სახელმწიფო ენაზე.“³¹⁵ ეს იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატა საბჭოს მიერ ერთგვარი ნიადაგის შემზადება 1989 წლის სახალხო დემუტატა საბჭოს XII საგანგებო სესიის გადაწყვეტილებისა, სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამადლების შესახებ, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ავტონო-

315 რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 12.

მიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.³¹⁶ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 16 ნოემბერს მიიღო დადგენილება და სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა ოსური ენის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადებას და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლას (აქვე იყო საკითხი საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შესახებ) გააუქმა, როგორც კანონთან შეუსაბამო.³¹⁷ თუმცა, სეპარატისტების ბრძოლა „დამოუკიდებლობისათვის“ ამით არ დასრულებულა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიის მეოცე მოწვევის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.³¹⁸ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე წლის 21 სექტემბერს მიიღო დადგენილება და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატ-

316 რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 12.

317 იქვე, გვ. 13.

318 გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №180, 1990 წლის 22 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 26.

თა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნო. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.³¹⁹ ამის საპირისპიროდ ოსმა სეპარატისტებმა 16 ოქტომბერს კვლავ ჩაატარეს სახალხო დეპუტატთა საბჭოს სხდომა და კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 სესიის მე-13 და მე-14 გადაწყვეტილებები და მიიჩნიეს კანონიერად.³²⁰

1990 წლის 28 ნოემბერს უკვე სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დარქმევის შესახებ. გადაწყვეტილებას ხელს აწერს სეპარატისტების ლიდერი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. კუ-

319 გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №180, 1990 წ. 22 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 28

320 გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №197, 1990 წ. 19 ოქტომბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 29.

ლუმბეგოვი.³²¹ საბოლოოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.“³²² ქალაქ ცხინვალში აგონიაში მყოფი საბჭოთა ხელისუფლების წაქეზებით 1990 წლის მიწურულს და 1991 წლის იანვრიდან ოსი ექსტრემისტების გაუკონტროლებელი თარეში დაიწყო, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.³²³ რუსეთის წამქეზებლური პოლიტიკით უკმაყოფილო ოსი ეროვნების მოქალაქეებმა 1991 წლის თებერვალში საპროტესტო ღია წერილით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს-დე-კუელიარს, სადაც დაგმობილი იყო კრემლის მიერ ქართველებსა და ოსებს შორის ჩათესილი მტრობა და სიძულვილი. ისინი თავს საქართველოს შვილებად მიიჩნევდნენ და ამ ქვეყნისადმი ერთგულებას ადასტურებდნენ.³²⁴ მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის 11 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 1991 წლის 4 მარტს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ოს მოსახლეობას იარაღის დაყრისკენ მოუწოდა და მათ ხელშეუხლებლობის გარანტიები მისცა. მიმართვაში

321 რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ[1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 30.

322 იქვე, გვ. 31-32.

323 ლ. სარალიძე, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, XVIII-XXI საუკუნეში, წიგნი II, თბ., 2016, გვ. 402-403.

324 იქვე, გვ. 406.

საუბარი იყო კულტურული ავტონომიის შენარჩუნებაზე, რაც ოსებს ოლქის არსებობის პირობებში გააჩნდათ.³²⁵ თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუკუნეების განმავლობაში ორ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსები ქართულ კულტურას ეზიარნენ, თუმცა სრულად შეინარჩუნეს ენა და ტრადიციები. განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი მათი თანამემამულეებისაგან. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა თავიანთი კონსტიტუციის მე-15 მუხლით სახელმწიფო ენად ოსურთან ერთად რუსული ენაც გამოაცხადეს.³²⁶

ასეთივე ჩანაწერი გააკეთეს საკუთარ „კონსტიტუციაში“ სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერებმა. ისტორიული შიდა ქართლის ერთ ნაწილში, რომელიც საოკუპაციო ხაზს მიღმა მოექცა, სახელმწიფო ენებად ოსური და რუსული ენა, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ეთნიკურ უმცირესობათა ენად (რაც საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად უფროა გამიზნული, სინამდვილეში ეთნიკური წმენდა ჩაატარეს და ქართული მოსახლეობა გამოაძევეს) ქართული ენა გამოცხადდა. საქართველოში მცხოვრები ოსების ე. წ. „კონსტიტუციის“ მე-4 მუხლში ვკითხულობთ:

325 ლ. სარალიძე, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, წიგნი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, XVIII-XXI საუკუნეში, წიგნი II, თბ., 2016, გვ. 408.

326 <http://region15.ru/docs/osseta-konstit/>

1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენებია ოსური და რუსული. ოსური ენის შენარჩუნება და განვითარება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

2. ოსური და რუსული ენები, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ქართული ეროვნების მოქალაქეებისათვის ქართული, აღიარებულია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ ენებად.

3. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხებს ეძლევა მშობლიური ენის თავისუფალი შესწავლის, განვითარების და გამოყენების უფლება.³²⁷ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ხელყოფასთან დაკავშირებით დამკვიდრდა ტერმინი: „მცოცავი ოკუპაცია,“ რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირებით საოკუპაციო ხაზის გადმოწევას გულისხმობს. რუსეთის „მფარველობაში“ შესულ ოსი ხალხის მიმართ საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ გამოვიყენებთ

327 <http://cominf.org/node/1166488810>; აღსანიშნავია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში საჯარო უწყებებში ძირითადად რუსულ ენას იყენებენ. ოსური ენა რომ რეალური საფრთხის წინაშე დგას ამას ცხინვალელი ოსებიც ადასტურებენ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90/32412867.html>

ტერმინს: „მომაკვდინებელი მფარველობა.“ ოსების ე. წ. კონსტიტუციაში ორი სახელმწიფო ენის დამკვიდრება აშკარა საფრთხეს უქმნის ოსურ ენას, ოსი ხალხის მატერიალურ, თუ სულიერ კულტურას, ზნეჩვეულებებს, ტრადიციებს.

ქსნის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემაღენლობაში და მოსახლეობის პროტესტი

XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება გეგმა-ზომიერად შეუდგა იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუსულ სივრცეში ინტეგრაცია და აქ მცხოვრები ხალხის სრული ასიმილაცია წარმოადგენდა. საიმპერატორო კარის ინტერესში შედიოდა კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ანკლავების შექმნა, რაც საქართველოში მცხოვრები მთიელების, ასევე ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლის მთიან ზოლში ჩამოსახლებული ოსებისათვის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებით დაიწყო. 1843 წელს, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის მითითებით, საქართველოს მთავარმართველმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომელიც უწინ გორის, თბილისის და თელავის მაზრებში შედიოდა, ორი ადმინისტრაციული ერთეული: თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგი შექმნა.³²⁸ ოსეთის ოკრუგს მიაკუთვნეს საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს მცხოვრები მთიულები და მოხვევები. 1842 წლის სექტემბერში გოლოვინმა ოსეთის ოკრუგი მოინახულა, რომლის ცენტრს ქვეშეთი წარმოადგენდა. ჩანდა, რომ ქვეშეთიდან მოუხერხებელი იყო დიდი

328 ვ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 100; AKAK, т. IX, стр. 749.

ლიახვის ხეობის ზემო წელზე ოსებით დასახლებული ჯავის, მალრან-დვალეთის, ასევე ნარ-მამისონის მართვა, ამიტომ სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის მთის ოკრუგი შეიქმნა. 1843 წელს ოსეთის ოკრუგი სამ უბნად გაიყო: ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის. ოსეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსები სპეციალური ინსტრუქციით მთის ოკრუგის უფროსს დაუქვემდებარეს.³²⁹ ოსეთის ოკრუგში არღონის ხეობაც (დვალეთი) შედიოდა და მის ცენტრს ჯავა წარმოადგენდა. 1858 წლის 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ოსეთის სამხედრო ოკრუგი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულს, მალე, ვლადიკავკაზთან სიახლოვის გამო, ოსეთის ოკრუგში შემაჯავლი ნარის უბანი მიაკუთვნეს და ამით საქართველოს ტერიტორიას მისი განუყოფელი ნაწილი ისტორიული დვალეთი ჩამოაცილეს.³³⁰ საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს თანდათან მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ისტორიულ საცხოვრისად გამოცხადების სურვილი გაუღრმავდათ, რამაც დროთა განმავლობაში სეპარატისტული მოძრაობის სახე მიიღო. ამის ნათელი დადასტურებაა 1917 წლის დეკემბერში განვითარებული მოვლენები. 1917 წლის 15-17 დეკემბერს, სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, სამხრეთ

329 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 100; AKAK, т. IX, стр. 749; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, თბ., 2022, გვ. 294.

330 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 100.

ოსეთის ეროვნული საბჭო აირჩია.³³¹ საქართველოს ეროვნული საბჭო თანამშრომლობდა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა, ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: „აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.“³³² 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსმა ბანდებმა შემზარავი ტრაგედია დაატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, სასტიკად გაუსწორდნენ ასევე ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას.³³³ 1918 წლის მარტში ოსი სეპარატისტების გამოსვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ გაანეიტრალა.³³⁴ აღსანიშნავია, რომ აჯანყებული ოსების გასაუფლებლად შესული ეროვნული გვარდიის დანაყოფები, მხოლოდ აჯანყების მოთავეებს ებრძოდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას არას ერჩოდნენ, ამას ადასტურებს 1918 წლის 23 მარტს ეროვნული გვარდიის მეთაურის ვ. ჯუღელის ამიერკავკასიის მთავრობისადმი გაგზავნილი დეკლარაცია. როგორც ირკვევა, 22 მარტს 3 საათზე, გვარდიის შენაერთებმა ცხინვალი და მისი შემოგარენი გაათავისუფლეს. აჯანყებულები ჯავის მიმართულებით გაიქცნენ. ეროვნული გვარდიის მეთაური წერდა: „22 მარტს 3 საათზე წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი მიდამოები ხელში ჩაიგდო. ქალაქში შესვლამდე მტერი გაიქცა, იგი ჯავის ხეობას და

331 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 15.

332 იქვე, გვ. 23.

333 იქვე, გვ. 25-26.

334 იქვე, გვ. 28.

ვანათის რაიონში იყრის თავს. მთელი დღე სამი სოფლის ალებასა და მეამბოხეთაგან გაწმენდას მოვანდომეთ. 6 ვერსის სიგანის მასშტაბით უტყე- და აჯანყებულებს გვარდიელები არტილერიასთან ერთად. ჩვენი არტილერია გაურბოდა სოფლების დაბომბვას და ესროდა სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეებს.³³⁵ ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების გამოსვლები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მომდევნო თვეებშიც გაგრძელდა.³³⁶ 1918 წლის ივნისში საჩხერის მიდამოებში მცხოვრებმა ოსებმა კიდევ ერთი აჯანყება მოაწყვეს, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ქართველი ბოლშევიკები. აჯანყებულებს ისაკ ხარებოვი მეთაურობდა. შეიარაღებული ოსების მთავარი მიზანი საჩხერის და ჭიათურის ალება, შემდეგ კი რკინიგზის აყრა და ქუთაისზე თავდასხმა იყო. 27 ივნისს, ოსებმა საჩხერე აიღეს. ეს გამოსვლა, მხოლოდ საჩხერეს და მის მიდამოებში მცხოვრები ოსების აჯანყება არ იყო, მასში მონაწილეობდნენ: კუდაროს, ყემულთის, წონას, ყორნისის, და ოკამის საზოგადოებებში მცხოვრები ოსები. პარალელურად ოსებმა დუშეთის მაზრაშიც დაიწყეს გამოსვლა

335 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ), წიგნი I, თბ., 2020, გვ. 23.

336 ამის შესახებ ვრცლად, იხ. ა. მღებრიშვილი, ცხინვალის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბ., 2019, გვ. 210-212; ლ. სარაღიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921) და ოსეთის საკითხი, ქუთნ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, გვ. 152; მ. გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, 2013-2014, გვ. 41; ა. მენთეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. ოსური საკითხი, თბ., 1996, გვ. 276-297.

და 19 ივნისს დუშეთი აიღეს, სადაც 26 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს ხელისუფლებას ერთთვისანი ღონისძიებები დაჭირდა აჯანყებულთა გასანეიტრალებლად. 1919-1920 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში არაერთი კორესპონდენციაა დაბეჭდილი, რომელიც ოს ყაზალთა თარეშს და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკებას ეხება.³³⁷ როგორც ჩანს, მმარცველი ოსების თავდასხმებით მათი თანატომეული მშვიდობიანი მოახალშენეებიც არანაკლებად იყვნენ შეწუხებულები.³³⁸ ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილ აჯანყებებს გამოდნენ თბილისში მცხოვრები ოსები. ამას ადასტურებს 1919 წლის 26 თებერვალს, მუშათა კრებაზე გამოსული ვ. გაგლოევის მოხსენება. თბილისელი ოსები თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ.³³⁹ თანამოძმეების მოწოდების მიუხედავად, ოსი სეპარატისტების გამოსვლები მაინც არ წყდებოდა, მათ უკან ბოლშევიკური რუსეთი იდგა. ასეთ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1919 წლის 23 ოქტომბერს როკის რაიონში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაანეიტრალა. თუმცა, სეპარატისტული მოძრაობა კრემლის წაქეზებით კვლავ გრძელდებოდა. სწორედ ბოლშევიკთა წაქეზებით, 1920 წლის

337 გაზ. „საქართველო“, 1919, № 241, გვ. 4; ა. მღებრიშვილი, ცხინვალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), გვ. 69-70. შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

338 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

339 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

8 მაისს, როკის რაიონში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წლის 8 ივნისის სამხრეთ ოსეთის რევკომის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ადგილობრივ რევკომს ექვემდებარებოდა. ისინი გამოხატავდნენ მზადყოფნას საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ.³⁴⁰ ოსი სეპარატისტების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა.³⁴¹ ეროვნულმა გვარდიამ ვ. ჯუღელის მეთაურობით აჯანყების კერები გააუვნებელყო.³⁴²

დამოუკიდებლობის წყურვილის გასამძაფრებლად ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგები აღრმავებდნენ მითს, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. ამის გამოვლინებაა კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერის ი. სტალინის მიერ 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთში „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია: „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ“. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ბელადი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ოსების, აფხაზების, სომხების ჩაგვრაში ადანაშაულებდა.³⁴³ თუ როგორ „იჩაგრებოდნენ“

340 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

341 ა. მენთემაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, გვ. 285.

342 იქვე, გვ. 37; აღ. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, თბ., 2019, გვ. 293.

343 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1949, გვ. 19.

ეთნიკური უმცირესობანი დემოკრატიულ საქართველოში, ნათლად ჩანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ 1918 წლის 15 ივნისის სხდომაზე გამოქვეყნებულ დეკლარაციაში: „მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს, ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი.“³⁴⁴ 1918 წლის სექტემბერში მიღებული კანონით „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“ ქვეყნის საკონონმდებლო ორგანოში ეთნიკურ უმცირესობებისათვის 26 ადგილი იქნა გამოყოფილი. აქედან 2 ოსებისთვის.³⁴⁵

1918 წლის 1 ოქტომბრის კანონის „საქართველოს სახელმწიფო ენის“ მიხედვით, ქართულ ენას ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, მათი ენობრივი უფლებები ცალკე კანონით რეგულირდებოდა. 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი: „წესი ენის ხმარებისა,“ რომლითაც დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და განისაზღვრა ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენების

344 შ. ვადაჭკორია, დასახ ნაშრომი, გვ. 103.

345 იქვე.

პირობები.³⁴⁶ ქართული ენის არმცოდნე პარლამენტის წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, სიტყვის წარმოთქმა შეეძლოთ თავიანთ მშობლიურ ენაზე, რომელიც პარლამენტის ერთ-მა წევრმა მაინც იცოდა. წარმოსათქმელი სიტყვა უნდა გადათარგმნილიყო ქართულად, თუ ამას 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა.³⁴⁷ კიდევ უფრო დიდ უფლებებს აძლევდა ეთნიკურ უმცირესობებს 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი: „ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“. ამ კანონის შესაბამისად, თვითმართველობის ფარგლებში, თუ ეთნიკური უმცირესობა, მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი იყო, მათთვის საქმის წარმოება და მსჯელობა უნდა წარმართულიყო როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.³⁴⁸ აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოკრატული რესპუბლიკის პირველივე რეგულაციებში გაცხადებულ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს(მათ შორის ოსი მოქალაქეების) კიდევ უფრო მყარი საფუძველი მისცა 1919 წელს არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ, სადაც ოთხი პოლიტიკური ძალიდან ეროვნული უმცირესობის ჩვენი ქვეყნის რამდენიმე მოქალაქემ მოიპოვა დეპუტატის მანდატი, მათ შორის: ორი ოსი მოქალაქე

346 ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სახელმწიფო ენა, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, № 1, (28), 2011, გვ. 17.

347 ნ. პოპიაშვილი, ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (ავხაზური და ოსური ენების მაგალითზე), ივ. ჯავახიშვილის დქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, მასალები, თბ., 2017, გვ. 114.

348 იქვე, გვ. 114; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 26.

იყო: გიორგი გაგლოევი და ალექსანდრე ფარნიევი.³⁴⁹

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებს დიდ უფლებებს ანიჭებდა 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია. დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უმაღლეს დოკუმენტში მე-14 თავი სწორედ ამ საკითხს ეხება.³⁵⁰ კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული უმცირესობების განათლებას და კულტურას. საქართველოში ფუნქციონირებდა 80 სომხური, 60 რუსული, 31 აზერბაიჯანული სკოლა. აღნიშნული დაწესებულებები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. თბილისში დაფუძნდა გერმანული რეალური გიმნაზია, საფუძველი ეყრებოდა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ, ოსურ ენებზე და სხვ. მაგალითად, დაწყებითი ოსური სკოლები სახელმწიფოს ხარჯზე გახსნილი იყო რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებში. 1918 წლის ბოლოს ცხინვალში დაარსდა ოსური გიმნაზია, რომელსაც განათლების სამინისტრო აფინანსებდა.³⁵¹ 1921 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე 48 ოსური სკოლა არსებობდა.³⁵² 1921 წლის 25 თებერვალს და-

349 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. 7 ტომად, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 106-108.

350 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათოში, 1921, გვ. 36-37.

351 ო. ჯანელიძე „ნატეხი ერები“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კრებ: ელდარ მამისთვალი-შვილი-75, 2019, გვ. 135.

352 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

მოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო. უნდა აღნიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭომ „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციული საერობო თვითმართველობის შესახებ შეიმუშავა პროექტი, რომელიც იმავე წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატს წარედგინა. როგორც შ. ვადაჭკორია აღნიშნავს: „სამხრეთ ოსეთს“ სამაზრო-საერობო განსაკუთრებული ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის აუცილებლობა ამ დოკუმენტში კატეგორიული ფორმით იყო დასმული. სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ეს პროექტი გარეგნულად საერობო თვითმართველობის მოთხოვნის შენიღბულ ფონს ქმნიდა. სინამდვილეში, ოთხი სამაზრო ერთეულის ტერიტორიების ჩამონატრების ბაზაზე, ეროვნული ნიშნით, ტერიტორიულ პრინციპებზე დაფუძნებული „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე ადმინისტრაციული სამაზრო ერობის შექმნასა და დაკანონებას ამიერკავკასიის მთავრობისგან მოითხოვდა.“³⁵³ 1918 წლის 10 იანვრის პროექტის მიხედვით „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციულ საერობო ერთეულში მოიზრებოდა რაჭის მაზრის(ჩასავლის საზოგადოების სოფლები), შორაპნის მაზრის(ჩიხის საზოგადოების სოფლები: თედელეთი, ჯალაბეთი, ხახეთი), გორის მაზრის(ყორნისის, წუნარის, ავლევის, თამარემუნის, ჯავის, ჩასავლის, ყემულთის, როკის, ზემო ხევის, ორტევის, ბელოთის, მერეთის, მეჯვრისხევის,

ზღუდერის სოფლების საზოგადოებებში შემაგალი სოფლები), მათ ერთად ქალაქი ცხინვალი. დუშეთის მაზრიდან (კობის, რეხულის, მონასტრის, ახალგორის, ქვემო ჭალის, ხელთუბნის საზოგადოებებში შემაგალი სოფლები. სულ 4 მაზრიდან ერთი ქალაქი, 22 სოფლის საზოგადოება და 3 სოფელი.³⁵⁴ შიდა ქართლის მთიან ზოლში მცხოვრები ოსებისთვის საქართველოს მთავრობა მართლაც განიხილავდა ცალკე სამაზრო ერთეულის შექმნას. ოსებისთვის უნდა ჩამოყალიბებულიყო ჯავის მაზრა, სადაც უნდა შესულიყო სხვადასხვა მაზრის სოფლის საზოგადოებები. მათ შორის: ა) შორაპნის მაზრიდან-ჩიხის საზოგადოების სოფლები: თედელეთი, ჯალაბეთი, ხახეთი; ბ)რაჭის მაზრიდან ჩასაველის სოფლის საზოგადოება; გ) გორის მაზრიდან - „სამთო ოსეთის“ რაიონის-როკის, ყუმულთის და ჯავის საზოგადოებები; დ) ცხინვალის რაიონის-ორტყვის, ყორნისის და წუნარის სოფლის საზოგადოებები.³⁵⁵ ამ საკითხზე გულდასმით მუშაობდა მთავრობის განკარგულებით შექმნილი საუწყებთაშორისო კომისია. თუმცა 1919 წლის 23 ოქტომბერს როკის რაიონში ოსების მორიგმა აჯანყებამ კომისიის მუშაობა შეაფერხა და ჯავის მაზრის შექმნის საკითხიც შეჩერდა.³⁵⁶ ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ოს სეპარატისტებს ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ. საქართველოს რევკომის დადგენილებით შექმნილმა სამხრეთ ოსეთის რევკომმა შიდა ქართლის მთიან

354 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

355 იქვე, გვ. 112.

356 იქვე, გვ. 124.

ზოლში არსებული სოფლების შევიწროება დაიწყო. ამას აღასტურებს 1921 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტი: „ქართულ სოფლებში ოსების უკანონო ქმედებების შესახებ, საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება.“ სადაც კითხულობთ: „სოფელ ვანათში, ბელოთში, საცხენეთში და აწრისხევში იყო ცხინვალის რეგკომი, რომელიც ეკუთვნოდა ცხინვალის რეგკომს. რადგანაც ეს სოფლები არიან ქართული სოფლები,³⁵⁷ ოსეთის რეგკომმა ამ სოფლებში გაგზავნა მილიცია და გამოაცხადა თავისი ორიენტაცია. ასე რომ, ეს სოფლები იძახიან, თუ ჩვენ ამათ ხელში დავრჩებით, მაშინ აქედნ ავიყრებითო, ასეც მოხდა, მოსახლეობის ნაწილი აიყარა და წავიდა ბარისკენ.“³⁵⁸ ოსები თავს დაესხნენ და გაძარცვეს დიდი ღიახვის ხეობის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა, მათ შორის: სვერში, ძარწემსა და ქემერტში

357 აღსანიშნავია, რომ 1921 წლის 31 მაისით დათარიღებულ გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის პროექტის მიხედვით პატარა ღიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული რამდენიმე სოფელი ცხინვალის რაიონს მიაწერეს. ცხინვალის რაიონში რამდენიმე თემი შედიოდა. მათ შორის: „I. ცხინვალის თემი: ცხინვალი, გუჯაბაური. II. დიცის თემი: არბო, ბროწლეთი, დიცი კოხათი, ქორდი, მღვრეკისი, ფრისი, სარაბუკი, ტირძინისი, თერგვისი, ერგნეთი, ერედვი, ვანათი, საცხენეთი, ხოშური, ბელოთი, აწრისხევი, ხადურიაანთკარი. III. თამარაშენის თემი: დგვრისი, თამარაშენი, ქვეო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, მონასტერი, კეხვი, ქემერტი, სვერი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, ხეთი, ზღუდრის უბანი, საბაწმინდა, ხეთისფრისი. IV. შინდიდის თემი: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხეთი, ქვემო ხეთი, ყელქვეული, საქაშეთი, ფხვენისი, შინდისი.“ შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 458.

358 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 448.

მცხოვრები ქართველები.³⁵⁹ მალე სამხრეთ ოსეთის რეგომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეა გამოიკვეთა. „სამხრეთ ოსეთის“ რეგომისა და პარტიკომის მიერ 1921 წლის 6-8 სექტემბერს მიღებული პროექტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის შემადგენლობაში უნდა შესულიყო რაჭის მაზრიდან-ჩასაველის სოფლის საზოგადოება, სოფლები: გრუშელი, ზემო კვაჟა, ქვემო კვაჟა; შორაპნის მაზრიდან (სოფლები: თედელეთი, ჯალაბეთი, ხახეთი, ვახნისი, წოისი და სხვ). გორის მაზრიდან (ცხინვალის საზოგადოება და სოფელი ოქონა; ველების (ადრინდელი დირბის) საზოგადოება და შემდეგი სოფლები: ქორდი, ბადაანი, ველები, ბუგუზაანთ უბანი, ქვათეთრი, ბაღაანთ უბანი, გვირგვინა, წნელისი და სხვ. თამარაშენის, წუნარის, ყორნისის, ჯავის, ყემულთის, როკის, ორტევის საზოგადოებები (აღნიშნულ საზოგადოებებში შემავალი სოფლები დასახელებული არ არის); ბელოთის (ადრინდელი დიცის) საზოგადოება და აქ შემავალი სოფლები: ერედვი, ფრისი და სხვ. მერეთის (ადრინდელი სათიხარის) საზოგადოება და აქ შემავალი სოფლები: ჭარები, დმენისი, სნეკვი, ხელჩუა, სათიხარი და სხვ. ქვემო ჭალის საზოგადოება და აქ შემავალი სოფლები: ორჭოსანი, აბრევი და სხვ. მეჯვრისხევის საზოგადოება(სოფლები დასახელებული არ არის); ხელ-

359 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 448-449.

თუბნის საზოგადოება და აქ შემავალი სოფლები: ბოგები, გუდიანთ კარი, მეტესმანი, გღუღეთი, გუჩანთ კარი, პარეხისხევი, ბიჩათ კარი, ქედი, წინაგორა, ზემო ბოგები და სხვ. დუშეთის მაზრიდან ღეხურის, მონასტრის და ახალგორის საზოგადოება(მითითებულ საზოგადოებებში შემავალი სოფლები დასახელებული არ არის). გრემისხევის საზოგადოება და აქ შემავალი სოფელი ჯვარისუბანი და სხვ. ზემო მთიულეთის საზოგადოება და აქ შემავალი სოფლები: გუდი, არხოტი, სოკურტი-ჟაუ, ულახვაზი, ურმის სოფელი, განისი და სხვ. კობი-თრუსოს რაიონში შემავალი სოფლები(დასახელებული არ არის).³⁶⁰ აღსანიშნავია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი შესასწავლად გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ბ. კვიციანიას, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს. მოხსენების ავტორი გორის მაზრიდან სამხრეთ ოსეთის ცალკე ერთეულად გამოყოფას გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებლად მიიჩნევდა: „სამხრეთ ოსეთი, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთ შორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თითოეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვადასხვა გეოგრაფიულ და

360 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 278.

სამეურნეო პროვობციებისას. ეს რაიონები ერთიმეორისგან დაშორებული არიან გადაუვალღი მთებით და ამასთანავე თითოეულ მათგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთიმეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თითოეული მათგანი ეკონომიურათ დამოკიდებულია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად.³⁶¹ ბ. კვირკველიას მოხსენების მიხედვით საქართველოში ჩამოსახლებული ოსები: „მოსახლეობენ შემდეგ რეგიონებში: 1). გორის მაზრაში – დიდი ღიახვის ხეობაში სოფ. კეხვამდის, ხოლო ამ სოფლიდან დაწყებული სამხრეთით მარტო ქართველებით დასახლებული სოფლებია, სადაც ოსების რიცხვი მცხოვრებთა 15 % არ აღემატება.

2). პატარა ღიახვის ხეობაზე, სოფელ ვანათამდის; ვანათის ზევითაც ჩრდილოეთით მდებარეობენ რამდენიმე ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხოშურა, საცხენე, აწრისხევი და სხვა. 3). მდინარე ფრონეს სათავეზე ყორნისის და წუნარის რაიონებში, სადაც ოსთა მოსახლეობა მცხოვრებთა 88 % არ აღემატება.4). **დუშეთის მაზრაში - მდ. არაგვის და ქსნის სათავეზე.** 5). რაჭის მაზრაში მდინარე ჯეჯორას სათავეზე.³⁶² შანაგან საქმეთა სახალხო კომისრის ასეთი შინაარსის მოხსენების მიუხედავად, საკითხი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შექმნის შესახებ საბოლოოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რეგოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ)

361 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 482.

362 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 482.

ცენტრალურ კომიტეტის კავბიუროს უნდა გადაეწვიტა. ზემოთ ნახსენები 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს გადაუგზავნა, აღნიშნულმა კომიტეტმა 1921 წლის 10 ოქტომბერს საკითხი განსახილველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა. თუმცა, რესპუბლიკის ბოლშევიკ ლიდერებს ამ საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანა გაუჭირდათ. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის ეს მანუბლური გადაწყვეტილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მიიღო. 1921 წლის 31 ოქტომბერს სწორედ კავბიურომ გამოსცა დადგენილება სამხრეთ ოსეთის, არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილებით საქართველოს რეკომს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ერთად უნდა განესაზღვრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები.³⁶³ კავბიუროს დადგენილებით, 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალი გამოაცხადა.³⁶⁴ 1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იმ კომისიის შემად-

363 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 67.

364 იქვე.

გენლობა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. პრეზიდენტმა საქართველოს რეკომს წინადადება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი და გაგლოევი.³⁶⁵ კომისიაში შედიოდა ასევე ელერდოვი. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში მხოლოდ ერთი ქართველი იყო.³⁶⁶ კომისია მუშაობას 1921 წლის 5 დეკემბრიდან შეუდგა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად - სერგო გაგლოევი.³⁶⁷ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალის გამოცხადებას, ასევე, ოლქის შემადგენლობაში ქართული სოფლების გადაცემას დიდი და პატარა ღიახვის, ასევე ქსნის და ფრონეს ხეობებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა.³⁶⁸ სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარედგინა მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ჩანს, რომ ცხინვალის შემოგარენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა აღშფოთებული

365 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 68.

366 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

367 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68

368 G. Sosiashvili, The Oppression of the Georgian Population in Tskhinvali Region During the First Years of Soviet Occupation, PRO GEORGIA JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES # 27-2017, p. 253-264; გ. სოსიაშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან(ღიახვის ხეობის მოსახლეობის პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 16, 2018, გვ. 144-158.

იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეყვანით. მათ მიერ სპეციალური წერილები დაეგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ისინი გორის მაზრაში დარჩენას ითხოვდნენ.³⁶⁹ სოფლებში კრებები ჩატარდა, სადაც შედგენილ იქნა მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაში გადასაგზავნი მიმართვები.³⁷⁰ აღსანიშნავია, რომ ე. წ. ოსეთის რეკომზე გადაცემას შიდა ქართლის მთიან ზოლში მცხოვრებ ოსთა ერთი ნაწილიც აპროტესტებდა. ამას ადასტურებს 1922 წლის 21 მარტით დათარიღებული წერილი, რომელიც გორის სამაზრო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილების მიერ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეგზავნა: „ბევრია იმისთანა მაგალითები, რომ სხვადასხვა რაიონებში ოსები აცხადებენ სურვილს, რათა ისინი ჩამოვაშოროთ ოსეთის რეკომს, რადგან მათ სურთ ქართველებთან ერთად ცხოვრება...“³⁷¹ საბჭოთა მთავრობას საპროტესტო წერილებით მიმართეს პატარა ლიახვის ხეობის სოფლების წარმომადგენლებმაც.³⁷² ცხინვალის რეკომში გრძნობდა რა ადგილობრივი ქართველების განწყობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სთხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის ცხინვალისა და ქართული სოფლების გადაცე-

369 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

370 იქვე.

371 იქვე, გვ. 77.

372 იქვე.

მის საკითხი დროებით შეეჩერებინა.³⁷³ ასე ფიქრობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიც. იგი საქართველოს სსრ რეგკომს თხოვნით მიმართავდა, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ მოგვიანებით განეხილა, ვიდრე მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის.³⁷⁴ 1922 წლის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, ისინი ცხინვალის და მისი რაიონის ისტორიულ საზღვრებში დარჩენას მოითხოვდნენ.³⁷⁵ ასეთივე საპროტესტო შეკრების ოქმები დაეგზავნა ხელისუფლებას: ნედლათიდან, ხუნდისუბნიდან, შინდარადან, თიღვადან, ალაბარიდან, ზემო და ქვემო ოქონიდან...³⁷⁶ კომისიას, რომელსაც კ. კაკაბაძე ჩაუდგა სათავეში, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციით უნდა განეხილა ისტორიული ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთზე გადაცემის საკითხი, მაგრამ კომისიის მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, კომისიამ მათ ყრილობის რეზოლუცია არ გადასცა. მოსახლეობა ახალი კომისიის დანიშვნას, ასევე ოსეთის რეგკომის ს. ჯავაში გადატანას ითხოვდა. საბჭოთა მთავრობას ოცამდე სოფლის საპროტესტო წერილი გაეგზავნა.³⁷⁷ საქართვე-

373 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

374 იქვე.

375 იქვე.

376 იქვე, გვ. 76-77.

377 იქვე, გვ. 75.

ლოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცხინვალი და მისი მიმდებარე ქართული სოფლები მცირე ხნით გორის მაზრის რაიონულ რევეკომს დაუქვემდებარა, თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი მიიჩნია.³⁷⁸ ხელისუფლების კომპრომისი დროებითი იყო. 1922 წლის 20 აპრილს, კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა.³⁷⁹ პარადოქსია, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნამდე მცირე დღით ადრე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში(1922 წლის 2 მარტს) გაჩნდა ჩანაწერი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ.“ საქართველოს რევეკომმა მომზადებული დეკრეტის პროექტი იმავე წლის 20 მარტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაუგზავნა და მისი საბოლოო რედაქცია დაავალა. ამ საკითხს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგე გრ. გველესიანი კურირებდა, რომელმაც მთავრობას წარუდგინა საკმაოდ დრმა კვლევაზე დაფუძნებული დასკვნა, რომლის მიხედვით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულში მხოლოდ გორის მაზრის ჩრდილოეთით არსებულ მთიანი ზონის 7 სასოფლო საზოგადოებას(როკი, წუნარი, ყორნისი, ჯავა, ყეშულთა, ორტევი, ბელოთი)მოიაზრებდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასკვნაში მითითებული იყო, რომ ქართულ მოსახ-

378 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

379 იქვე, გვ. 80.

ლეობაში არსებული უკმაყოფილებიდან გამომდინარე, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებნი თავად არ გადაწყვეტდნენ, ცხინვალის რაიონი გორის მაზრის ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა. ცხინვალი ახალი ავტონომიური წარმონაქმის ცენტრი მას შემდეგ გახდებოდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობა ავტონომიურ ერთეულში შესვლის სურვილს გამოთქვამდა.³⁸⁰ თუმცა მალე სიტუაცია შეიცვალა, „ნაციონალ-უკლონისტებად“ სახელდებული ჯგუფი რსდმპ კავშიურს და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელთა ძალისხმევით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩამოაცილეს. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვებული ჯგუფის ხელმძღვანელმა ს. ორჯონიკიძემ კიდევ უფრო ბიძგი მისცა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნას იმ საზღვრებში, რომელსაც ჯერ კიდევ 1921 წლის 6-8 სექტემბერს მოითხოვნდნენ სამხრეთ ოსეთი რეგკომის და პარტკომის წარმომადგენლები (აღმოსავლეთ საზღვრის მცირეოდენი შესწორებით)³⁸¹ 1922 წლის 20 აპრილს გამოიცა დეკრეტი (№2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ.

380 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 229; 277.

381 იქვე, გვ. 231; 237.

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.³⁸² ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით შეიყვანეს უძველესი ქართული სოფლები. დეკრეტში აღწერილია ის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ავტონომიურ ერთეულში მოქცეულ ქართულ სოფლებს დანარჩენი ტერიტორიისგან გამოიჯნავდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „საზღვრის“ ერთი მონაკვეთი პატარა ლიახვის ხეობიდან სწორედ ქსნის ხეობის მიმართულებით გრძელდებოდა. სოფელ ოძისის ზემოთ მდინარე ქსანს კვეთდა და მის ჩრდილოეთით არსებულ ისტორიულ ქართულ სოფლებს ავტონომიურ ერთეულის საზღვრებში აქცევდა. დეკრეტში ვკითხულობთ: „მიეზღინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე ოთრევას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას, სოფ. აძვისა და მეჯვრისხევის ცოტა ზევით; გრძელდება სოფ. ყირბალისა და ბერშუეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ტარტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფელ. ხურვალეთის ზევით, შემოუვლის სოფელთა ჯგუფს: ორჭოშანს, აბრევსა და სხვ., გადასჭრის მდინარე ლეხურს სოფ. საკორინთლოსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიეზღინება იფნიანის ქედის მთას; დ) აღმოსავლეთით: სანაპირო ხაზი იფნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარცვსა, გაივლის სოფ. მიქელი-

382 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

ანთკარის, ირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზის დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6409 სიმაღლის შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ. ალგვის მიმდინარეობის გასწვრივ ამა მდინარის აღმოსავლეთით; გადასჭრის ჭარტალას მთას 8283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს, გაგრძელდება მდინარე არაგვის და ქსნის შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის ხაზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყურყუტსა, მუნჯუხსა და ლომისის უღელტეხილს მონასტრის ნანგრევებთან და მიემართება ჯამურის უღელტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადებს-განისისა, ერეთისა და სხვა სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის ზემო-მიმდინარეობით; მოუხვევს დასავლეთით, გადასჭრის ლაზგ-წითის მთას და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდი ლიახვის შენაკადებს შუა, გადასჭრის 12117, 11333 და 12572 სიმაღლეებს და მიეუბნება ვაილკ-პარსის მთას.³⁸³ ასე მოაქციეს ისტორიული ქსნის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში.³⁸⁴ ავტონომიური ოლქის შე-

383 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

384 აღსანიშნავია, რომ ხელოვნურად შეკოწიწებული ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შემდეგ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მმართველი რეოლის წარმომადგენლებს ახალი იდეა გაუჩნდათ. ე. წ. სამხრეთ ოსეთის კანტონებად დაყოფის შესახებ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1919 წელს მიმართეს მათ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას „სამხრეთ

ქმნის შემდეგ ძალზე გახშირდა ოსი მძარცველების თავდასხმები იმ ქართულ სოფლებზე, რომლებიც ხელოვნურად შექმნილ ოლქს მიაწერეს. ხშირად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, რომ ზოგიერთი სოფელში კონტრრევოლუციური ძალები იყო თავ-

ოსეთის“ კანტონის შექმნის მოთხოვნით. თუმცა ოსების ეს არარეალური სურვილი, რომელიც კონფედერაციული მოწყობის პრინციპს ეფუძნებოდა, მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის. იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ხედვასთან. ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ ოსმა ჩინოვნიკებმა ოლქის ტერიტორიაზე მოიწადინეს კანტონების შექმნა. ეს გაცხადდა 1922 წლის 2 ივნისის სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიღებული დადგენილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამ კანტონად და 14 რაიონად იყოფოდა. 1) ჯავის „კანტონი“ -ცენტრით ჯავა; 2) ცხინვალის „კანტონი“ -ცენტრით ცხინვალი; 3) ქსანის „კანტონი“-ცენტრით ახალგორი. ცხინვალის „კანტონში“ შემდეგი რაიონები უნდა შესულიყო: წუნარი, ყორნისი, ოქონა, ცხინვალი, ორტყვი, ბელოთი, ანდორეთი; ქსანის „კანტონს“ შემდეგი რაიონები მიაწერეს: ლესურის, ახალგორის, მონასტრის. ხოლო ჯავის „კანტონში“ შემავალი სოფლები, როგორც შ. ვადაჭკორია მიუთითებს, დადგენილებაში არ ჩანს. ოთხი თვის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი რგოლების წარმომადგენლებმა პოზიცია შეცვალეს. 1922 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამ სამაზრო ერთეულად და 14 რაიონად უნდა დაყოფილიყო. 1. ჯავის მაზრა-ცენტრით ჯავაში; 2) ცხინვალის მაზრა-ცენტრით ცხინვალში; 3) ქსანის მაზრა-ცენტრით ახალგორში. თუმცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საოლქო პარტიული კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას მხარი არ დაუჭირა. „ამ ფაქტით, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ოსებს ავრცობინა, რომ ნებისმიერი მათი მოქმედება არა ინდივიდუალიზმზე, არამედ ცენტრიდან მიღებულ დირექტივებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.“ შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 249-250.

მოყრილი, რათა ოსებს იქაური მოსახლეობა დაერბიათ და გაეძარცვათ.³⁸⁵ ოსური ბანდფორმირებები დათარეშობდნენ ქსნის ხეობაში. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ახალგორის მიმდებარე სოფლებში ჯატინ კოკოვეის 15 კაციანი შეიარაღებული რაზმი დათარეშობდა, რომელიც ცხინვალის და მის შემოგარენში არსებული სოფლების გაძარცვისა და აწიოკების შემდეგ ღუშეთის მაზრაში გადავიდა. ბანდის მეთაურმა გადააყენა ადგილობრივი, საქართველოს რევკომის მიერ დანიშნული მოხელეები და ლესურის, მონასტერის და ქსნის ხეობები ჩრდილო ოსეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. ხელისუფლებამ ბანდის და მისი მეთაურის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა, თუმცა, საგარაუდოდ, ყაჩაღების რაზმი მეთაურთან ერთად ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანა.³⁸⁶ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ ადგილობრივი, ქართული მოსახლეობის მდგომარეობა დაამძიმა. ისტორიული ქართული სოფლების მკვიდრი მაცხოვრებლები ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. მოსახლეობის საპროტესტო წერილებზე დაყრდნობით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1922 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის მოხსენებითი ბარათი გაეგზავნა, სადაც ვკითხულობთ: „ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სა-

385 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

386 იქვე, გვ. 116-117.

ხალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმანია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება-გადასინჯულ იქნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.³⁸⁷ შინაგან საქმეთა კომისრის მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, საპროტესტო კრებებზე შედგენილი თიღვის, ოქონის, სუნისის, ნაბაკვევის, ტყის უბნის, შინდარის, ნედლათის, ალი-ბარის, ახალშენისა და ხუნდისუბნის მცხოვრებელთა ოქმები.³⁸⁸ ასეთივე პროტესტი არსებობდა პატარა ღიახვის ხეობის

387 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

388 იქვე.

სოფლებში. 23 აგვისტოთი დათარიღებულ ოქმში ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში შესვლას აპროტესტებდნენ სოფ. ჭარების (პატარა ღიახვის ხეობა) მცხოვრებნი.³⁸⁹ პროტესტს გამოხატავდნენ რაჭის მაზრაში შემაგალი ქართული სოფლების წარმომადგენლები.³⁹⁰ ხელისუფლებას იმავე წლის 21 ოქტომბერს პროტესტით მიმართა ასევე ქსნის თემმა (დუშეთის მაზრა).³⁹¹ ქსნის ხეობის მოსახლეობის საპროტესტო წერილში ვკითხულობთ: „გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ-ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია: ა) ცხინვალის დაშორებულია ჩვენს თემზე 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული სახიფრებისა თუ სხვადასხვა საქმისა გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა-კაცისაგან მოცდენას, წასვლა-წამოსვლაში არა ნაკლებ 3-4 დღისა, რაიც დამღუპველი იქნება იქ სიარული, მაშინ როდესაც დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გაგვიჭირდეს ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულის და სხვა საქმეებისა გამო და ამათთან საქმის მოსაგვარებლათ უნდა ვიაროთ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება და უსიამოვნება... ამგვარად, ქართველი მოსახლეობა გორის მაზრისა დაუინებით კატეგორიულათ ერთსა

389 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

390 იქვე, გვ. 85-86.

391 იქვე, გვ. 86-87.

და იმავეს ითხოვს, არაერთხელ, – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით (წერილობით თუ პირადად დეპუტაციის საშუალებით). ერთსა და იმავე სურვილს გამოსთქვამს ოთხჯერ-არ დაუმორჩილონ იგი ოსთა ხელისუფლებას.³⁹² მიუხედავად მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობისა, ქსნის ხეობა, ისევე როგორც შიდა ქართლის დიდი ნაწილი(დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, ასევე ფრონეს ხეობა) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოექცა. კიდევ უფრო პარადოქსული იყო ის ფაქტი, რომ ოლქის შექმნიდან ათიოდე წლის შემდეგ ისტორიული ქსნის საერისთავოს ცენტრს ახალგორს, რომელიც უძველესი დროიდან ქართველთა საცხოვრისი იყო საბჭოთა ხელისუფლებამ სახელი შეუცვალა და მას პროლეტარიატის ბელადის საპატივსაცემოდ-ლენინგორი უწოდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, წარსულს ჩაბარდა და დავიწყებას მიეცა საბჭოთა სინამდვილეში კომუნისტური პარტიის იდეოლოგთა დაფასების ნიშნად ქალაქებისთვის, თუ დაბებისთვის შერქმეული სახელები. გასაოცარი ის არის, ბოლშევიკების იდეური წინამძღოლის ვ. ლენინის სახელი მხოლოდ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში შემორჩა. ოკუპირებულ ქსნის ხეობაში არსებული ძველი ქართული ახალგორი დღესაც ლენინგორად იწოდება. 2015 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოთხ რაიონად დაიყო. ესენია: ცხინვალის, ლენინგორის (ახალგორის), ზნაურის

392 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

(ყორნისი) და ჯავის. ისტორიული ახალგორი და ქსნის ხეობის ქართული სოფლები დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ლენინგორის რაიონს მიაწერა. სახელგადარქმეულ, ოკუპირებულ ქსნის ხეობაში 2015 წლის მდგომარებით 4209 მოსახლე დაფიქსირდა (2044 მამაკაცი და 2165 ქალი), აქედან ახალგორში ცხოვრობდა 1033 ადამიანი (453 მამაკაცი და 580 ქალი). ახალგორის რაიონში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მესვეურთა ადმინისტრაციული განაწილებით შედის რამდენიმე სასოფლო ცენტრი, მათ შორის, ბოლი (შემდეგი სოფლებით: ზემო ბოლი, კანცელთა, ბაზუათი, ერედა, იკოთი, მორბერდათა, ქვემო ბოლი, ფათკურჯინი, ადარსიხი, ნოფგაზი, ბეჟანთა, ახმაჯი), ამპარინის (შემდეგი სოფლებით: ამპარინი, აბრევი, მონასტერი, ორჭოსანი, ღღუღეთი, ჯუკათიყაუ, რაგიყაუ, მსხლები), ქარჩოხის(აღწერაში გადაკეთებულია და ქარჩოხის ნაცვლად წერია ქარცუხი (შემდეგი სოფლებით: ბალათა, პავლიათა, თინიკათა, ჩორჩოხი, ციფთაურთა, ელოითა, ქარელთა, ქენქათა, მიდელათა, ლოთიანი), გღუისი (შემდეგი სოფლებით: კორინთა, გღუ, ალეუ, ქურთა, ცირქოლი, ჯეგუათა, ხიდიკუსი, გრუ, გეზევრეთი), რაზდახანი (შემდეგი სოფლებით: რაზდახანი, სალბიერი, დაღყაუ, ჯუგლაუუანი, თიჯითა), ღარგვისი (შემდეგი სოფლებით: ღარგვისი, დორელთა, ცხავათი, ხარბალი) დადიანეთი (შემდეგი სოფლებით: მართიათა, დადიანეთი, ჩეთითა, ბაშართა, ფასყაუ, ციხთიყაუ, მახიარეთი, თოხთა, ზოდეხი, სიუყათა), ზაკკორი (შემდეგი სოფლებით: ზაკკორი, ცოლდი, არმაზი, ცუბენი, ანტონიყაუ, ცირი). როგორც ვხედავთ ქსნის ხეობის მრავალ სოფელს,

სადაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ქართველები სახლობდნენ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მესვეურებმა სახელები შეუცვალეს. თინიკაანთ კარს, თინიკათა უწოდეს, პავლიაანთ კარს-პავლიათა, ალევს-ალეუ, ქენქაანთ კარს-ქენქათა, მიდელაანს-მიდელათა და სხვ.³⁹³ ისტორიული ქსნის ხეობის ძირძველი სოფლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მკვიდრი ქართული მოსახლეობა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო რეგულარული არმიის მოქმედების შედეგად, დევნილად იქცა. ოკუპანტების და მათ სამსახურში მყოფი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე. წ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქართული კვალის წაშლა, მხოლოდ მოსახლეობის გამოდევნით არ დასრულებულა. სახეზეა ონომასტიკური შტურმი, სოფლების და დასახლებული პუნქტების სახელების გადარქმევა. უამრავი ქართული სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა. ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. დაცარიელებული და დანგრეული ქართული სოფლების საქართველოს ტერიტორიისაგან ჩამოსაცილებლად, კრემლის ძალისხმევით, საოკუპაციო ხაზი გაივლო. დღემდე გრძელდება ე. წ. მცოცავი ოკუპაცია, და ე. წ. გამყოფ ხაზთან არსებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება.³⁹⁴ გატაცებული ადამიანები ცხინვალში იზოლატორში გადაჰყავთ. ხშირ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ფატალური შედეგები.

393 <https://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf> Итоги всеобщей переписи населения республики Южная Осетия 2015 года, Цхинвал 2015, стр. 16-18.

394 ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ამის ნათელი მაგალითია 2018 წელს არჩილ ტატუნაშვილის გატაცება და გადაყვანა ცხინვალში, რაც მისი სასტიკი წამებით და გარდაცვალებით დასრულდა.³⁹⁵ ეფექტობთ, საქართველოში არსებული სიტუაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ათეულობით ქართული სოფელში მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრისების განადგურება, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს საფიქრალი უნდა იყოს.

395 <https://tabula.ge/ge/news/640473-2-clis-cin-rusma-okupantebma-archil-tatunashvili>

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში უცხოელ მოგზაურთა თვალით

რუსეთის პოლიტიკა საქართველოსა და
კავკასიაში ევროპელ მოგზაურთა ცნობების
მიხედვით (XIX საუკუნის I ნახევარში)

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის I ნახევარში კავკასია არაერთმა ევროპელმა მოგზაურმა მოინახულა. ძირითადად ისინი იყვნენ: ექიმები, მხატვრები, გეოგრაფები და ბოტანიკოსები. კავკასიით დაინტერესებული ევროპელები ამ უძველეს მხარეში უმეტესწილად რუსეთის გავლით ჩადიოდნენ. მოგზაურთა ვიზიტებს, საიმპერატორო კარი ზოგჯერ თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა და გადაბირებული ევროპელი მეცნიერები სადაზვერვო სამუშაოებსაც ასრულებდნენ. მოგზაურთა ჩანაწერებში ძალზე საინტერესო ცნობებია შემონახული კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ევროპელთა მოგზაურობის ამსახველ დღიურებში სხვაგვარი რაკურსით არის წარმოჩენილი რუსეთის მიერ კავკასიაში განხორციელებული პოლიტიკა, სამხედრო კოლონიზაცია თუ რუსული მმართველობის სტილი. ამ მხრივ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კავკასიაში ნამყოფი ავსტრიელი მოგზაური ქალი იდა (ლაურა) პფაიფერი. იგი

დაიბადა 1797 წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ ვენაში, შექმნილი ვაჭრის - რეიერის ოჯახში. მას განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ, რადგან ექვსი დედმამიშვილიდან იგი ერთადერთი ქალიშვილი და ამავდროულად ყველაზე უმცროსი იყო. 10 წლის იდას მამა გარდაეცვალა. გოგონას აღზრდა დედამ იტვირთა. ბავშვს მასწავლებლად იოზეფ ტრიმელი მიუჩინეს, რომელსაც მომავალი მოგზაური თავის დღიურებში ძალზე თბილად იხსენებს.³⁹⁶ მოგზაურობის სურვილი იდას ადრეული ასაკიდანვე გაუჩნდა. ეცნობოდა მოგზაურობის შესახებ არსებულ ლიტერატურას. მცირე ხანში იდას და მის ყოფილ მასწავლებელს შორის რომანი გაიბა, რასაც იდას დედა წინააღმდეგობას უწევდა. დედამ პირობა წაუყენა ქალიშვილს, რომ ცოლად გაჰყოლოდა დოქტორ ანტონ პუაიფერს – ქვრივ მამაკაცს, რომელსაც შვილიც ჰყავდა. დოქტორი პუაიფერი მდიდარი ადვოკატი იყო და ქალაქ ლემბერგში ცხოვრობდა. თუმცა, იმ დროისათვის საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ვენაში. იგი 24 წლით უფროსი იყო იდაზე. ადვოკატი ძალზე მოხიბლა ახალგაზრდა ქალმა. მათი ქორწინება 1820 წლის 1 მაისს შედგა. 1837 წელს იდას დედა გარდაეცვალა. მომავალმა მოგზაურმა მემკვიდრეობით მიიღო მშობლების ქონების ნაწილი. სწორედ ამ ქონებით მოახერხა მან შვილებისთვის შესაფერისი განათლების მიცემა. 1838 წელს იდა მეუღლეს გაშორდა. მას შემდეგ, რაც შვილები წამოეზარდნენ, მან გადაწყვიტა ბავშვური ოცნებებისთვის ფრთე-

396 The Story of Ida Pfeifer And Her Travels in Many Lands., London., 1879, p. 12.

ბი შეესხა და მოგზაურობა დაეწყო. მისი მიზანი იერუსალიმის მონახულება იყო. იდა პფაიფერმა ოცნება აისრულა, - წმინდა მიწაზე იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებებიც გამოაქვეყნა. მიღებული ჰონორარით მან გადაწყვიტა მოგზაურობა გააგრძელებინა და არაერთი ქვეყანა მოინახულა, მათ შორის - სპარსეთი (1848 წელს), საიდანაც გზა სომხეთში გააგრძელა, შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა. ის ერთ ხანს თბილისში გაჩერდა, თბილისიდან გორზე და სურამზე გავლით ქუთაისში გადავიდა, ბოლოს კი რედუტ-კაღვადან (ყულევში), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაემგზავრა. კავკასიაში მან თვეზე მეტ ხანს, 1848 წლის 11 აგვისტოდან - 13 სექტემბრამდე დაჰყო და თავისი შთაბეჭდილებები დღიურების სახით დაგვიტოვა.³⁹⁷ იდა პფაიფერის თხზულებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი „აზიურ რუსეთს“, რომლისთვისაც მოგზაურს ასეთი ქვესათაური გაუკეთებია: „სომხეთი, საქართველო და სამეგრელო“. ავსტრიელი ქალბატონის ჩანაწერები, ლაკონურობის მიუხედავად, შესაძლებლობას იძლევა, თვითმხილველის მიერ მოწოდებულ ინფორ-

397 გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის კავკასიაში მოგზაურობის დღიური, როგორც საისტორიო წყარო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013, გვ. 55-56; გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის ცნობები საქართველოს შესახებ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“ მოხსენებათა თეზისები, თბ., 2014, გვ. 188.

მაციაზე დაყრდნობით, გარკვეული წარმოდგენა შეგვექნას რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული კოლონიური პოლიტიკაზე, იმპერიაში არსებული ბიუროკრატიაზე, მოუქნელ საგადასახადო სისტემაზე, იმპერიის პერიფერიებში მცხოვრები ხალხების გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობაზე, რამაც ამ უძველესი მხარის მკვიდრი სხვადასხვა ეროვნების ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. იდა პფაიფერი, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიაში სპარსეთის გავლით მოხვდა. ის დაწვრილებით აღწერს რუსეთის სასახლვრო ადგილებს, რომლებიც, მისი გადმოცემით, მდინარე არაქსზე გადიოდა: „12 აგვისტო. დღეს ჩვენ ერთადერთი სადგური გვქონდა გასავლელი არაქსამდე, რუსეთის საზღვრამდე.“³⁹⁸ როგორც მოგზაური აღნიშნავს, რუსეთსა და ირანს მდინარე არაქსი ჰყოფდა: „მთისწინეთის შორიანლოს მიედინება მდინარე არეზი, თუ არაქსი, რომელიც სომხეთს მიდიისგან ყოფს, საშინლად მოჰქუეს და მაღალ ტალღებს ისვრის. აქ ის სპარსულ და რუსულ ტერიტორიებს შორის ბუნებრივ საზღვარს წარმოქმნის.“³⁹⁹ იდა პფაიფერი კავკასიაში მოხვედრისთანავე რუსეთში გამეფებული, დამღლეი ბიუროკრატული სისტემის წინაშე აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა იმპერიის ტერიტორიაზე შემოსულ უცხო მგზავრებს. გადამღები დაავადებების პრევენციის

398 იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2014, გვ. 22.

399 იქვე, გვ. 22.

მიზნით, მოქალაქეებს სამედიცინო შემოწმება უტარდებოდათ. პფაიფერს, თავრიზიდან რუსეთის კონსულმა სომხეთში მყოფი რუსი მაღალჩინოსნების სახელზე წერილი გამოატანა, რამაც მოგზაურს სასახლვრო კონტროლი გაუმარტივა. თუმცა, პფაიფერი რუსეთის ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ბიუროკრატიული სისტემის მიმართ გულისწყრომას ვერ მალავს. აკრიტიკებს ადგილობრივ მმართველ წრეებში არსებულ გამომძაღველობას: „ეს მდინარე (არაქსზეა საუბარი – გ.ს) ნავით გადავლახეთ. მდინარის მეორე ნაპირზე პატარა სახლებია, სადაც მგზავრები ჩერდებიან ხოლმე და აქ საჭიროა ადგილობრივი მცხოვრებნი დაარწმუნო, რომ არც ყაჩაღი, არც მკვლელი და განსაკუთრებით, პოლიტიკურად საშიში ადამიანი არ ხარ. დროდადრო, როცა შავი ჭირი, ან ქოლერა მძვინვარებს, რაღაც დროით კარანტინს აწესებენ. თავრიზში რუსი კონსულის წერილმა აქაური მაღალი ჩინოვნიკისადმი უზრუნველყო ძალიან თავაზიანი მიღება - ამ დროს არც შავი ჭირი იყო და არც ქოლერა, კარანტინსაც ავერიდე. ის იყო რუსეთის მიწაზე ფეხი დავდგი, რომ დაიწყო უსირცხვილო მათხოვრობა წვრილმანი გასამრჯელოსთვის. ჩინოვნიკს თავის მოსამსახურეთა შორის ჰყავდა ერთი კაზაკი, რომელიც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს გერმანული იცოდა. ჩემი ყოფნის მიზნის დასადგენად იგი ჩემთან მოგზავნეს. ამ არამზადამ ისევე იცოდა გერმანული, როგორც მე ჩინური. სამოთხ სიტყვას ძლივს უყრიდა თავს. ამიტომ ავუხსენი, რომ მისი დახმარება არ მჭირდებოდა, მიუხედავად ამისა, მაშინვე ხელი გამომიწოდა და სამსახურისთვის

გასამრჯელო მოითხოვა.⁴⁰⁰ ავსტრიელი ქალბატონი უკმაყოფილო იყო ასევე კავკასიაში მგზავრებისათვის არსებული არასათანადო პირობებით: „თავშესაფრის პოვნა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე არ გამჭირვებია, როგორც აქ. ორი წერილი მქონდა, ერთი გერმანელი ექიმისადმი, მეორე კი - გუბერნატორისადმი. ამ უკანასკნელთან სამგზავრო ტანსაცმლით მისვლა არ მინდოდა (მე ხომ კულტურულ ხალხთან ვიმყოფებოდი, რომლებიც სხვას ჩაცმულობით აფასებენ), ვფიქრობდი, რომ აქ არ იქნებოდა ისეთი სასტუმრო, ექიმს შესახვედრად რომ შევთავაზებდი. წერილის მისამართი, რომელიც ამ ქვეყნის ენაზე ეწერა, ბევრ ადამიანს წაგაკითხე და ვთხოვე მათ გზა ეჩვენებინათ, მაგრამ ყველა თავს იქნევდა და მეც იძულებული ვიყავი გზა გამეგრძელებინა. ასე მივედი საბაჟოს შენობასთან, სადაც ჩემი მცირეოდენი ბარგი ჩაიბარეს და ინსპექტორთან წამიყვანეს.“⁴⁰¹ სამხრეთ კავკასიაში იდა პფაიფერი იხსენიებს გერმანულ და რუსულ კოლონიებს: „რუსეთის ტერიტორიაზე ყველგან შეხვედებით ბევრ გერმანელს, ჯერ ერთი, რომ ბევრი ჩამოსული გერმანელია დასაქმებული, მეორეც, რუს ხელმწიფეს უამრავი პროვინცია აქვს, სადაც გერმანული ენაა გაბატონებული.“⁴⁰² მოგზაურის განმარტებით, გერმანული და რუსული კოლონიები სომხეთში არარატის სიახლოვეს იყო.⁴⁰³

400 იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2014, გვ. 22-23

401 იქვე, გვ. 24.

402 იქვე, გვ. 25.

403 იქვე, გვ. 28.

კავკასიის ტერიტორიაზე რუსეთის სხვადასხვა მხრიდან ხალხის ჩამოსახლება იმპერიის კოლონიურ მიზნებში შედიოდა. გერმანელები ჯერ კიდევ მთავარმართებელმა ერმოლოვმა ჩამოიყვანა. საიმპერატორო კარმა კავკასიაში ჩამოსახლა ასევე რუსი სექტანტები: დუხობორების, სკოპცები, მოლოკნები. რუსეთი მათი სახით გარკვეულ დასაყრდენს იქმნიდა ისეთ რთულ რეგიონში, როგორც კავკასია იყო. თუმცა სექტანტების ჩამოსახლებამ საიმპერატორო კარის იმედები ვერ გაამართლა.⁴⁰⁴

როგორც აღვნიშნეთ, იღა პფაიფერი გერმანელთა ახალშენების გვერდით რუსულ კოლონიებსაც იხსენიებს. ცნობილია, რომ საიმპერატორო კარი XIX საუკუნის 30-იან წლებში კავკასიის სამხედრო კოლონიზაციას შეუდგა. ნიკოლოზ I-ის მიერ მთავარმართებელ ბარონ როზენისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „შედგენილ იქნას პროექ-

404 როგორც ცნობილია, გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება კავკასიაში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო და ამ პროცესს ხელს უწყობდა რუსეთის საიმპერატორო კარი. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 472. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი, რომელმაც კავკასიაში 1843-1846 წლებში იმოგზაურა. ვაგნერის ინფორმაციით, გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში თავიანთი ახალშენები დააარსეს. მათი კოლონიები იყო სამხრეთ კავკასიაშიც: კატარინენფელდი, ანენფელდი და ჰელენფელდი. იხ. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 63. კავკასიაში გერმანული კოლონიების შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გერმანელი მოგზაური ელჟარდ აიხვალდიც, რომელიც კავკასიაში 1825-1826 წ.წ. იმყოფებოდა. ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 249.

ტი კავკასიის სამხედრო კოლონიზაციისა, სადაც დასახლებულ იქნან ცოლიანი რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც მოიხადეს 15 წლიანი სამსახურის ვადა; რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში და ამგვარ დასახლებათა საშუალებით, რამდენადაც შესაძლებელია, დავიახლოვოთ კავკასიის ხალხები“.⁴⁰⁵

სამხრეთ კავკასიაში ყოფნის დროს ავსტრიელი მოგზაური რუსმა ჯარისკაცებმა გაიტაცეს. ამის შესახებ მოგზაური წერს: „დღეს ძალიან არასასიამოვნო თავგადასავალი გადამხდა. ჩემი ქარავანი სადგურ სიდინის⁴⁰⁶ სიახლოვეს იყო დაბანაკებული, საფოსტო გზიდან დაახლოებით ორმოცდაათიოდენაბიჯზე. საღამოს რვა საათისთვის გზამდე გავისეირნე და როცა უკან დაბრუნება მოვიწყობე, ფოსტის ცხენების ეჟენების ხმა შემომესმა. გზაზე შეგჩერდი, რათა მგზავრებისთვის თვალი შემეველო. ოთხთვალაში ვიდაც ბატონი იყო, გვერდით კი თოფიანი კაზაკი უჯდა. როცა გვერდით ჩამიარეს, მშვიდად შემოვბრუნდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, გავიგონე, როგორ გაჩერდა ოთხთვალა და თითქმის იმწამსვე მკლავში ღონიერი ხელისწავლება ვიგრძენი. კაზაკს ჩემი წათრევა უნდოდა ოთხთვალასკენ. ვეცადე დავსხლტომოდი, თავისუფალი ხელით ქარავანზე მიუუთითე და ვიყვირე, რომ იმ ქარავანს ვეკუთვნოდი. ვაჟბატონმა მეორე ხელი

405 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 614.

406 ამ სახელით იხსენიებს ერთ-ერთ სადგურს იდა პუაიფერი სომხეთში, არარატის მთების სიახლოვეს, ვიდრე ის ერევანში ჩააღწევდა.

მაშინვე პირზე ამაფარა და ოთხთვალაზე შემაგდო, სადაც იმ კაცმა მაგრად შემბოჭა. კაზაკი ცოცხლად ამოხტა ზევით და მეეტლემ მთელი სისწრაფით გააჭყენა ცხენები. ყველაფერი ისე თავლისდახამხამებაში მოხდა, რომ ვერც კი მივხვდი რა შემემთხვა. კაცებს მაგრად ვყავდი შებოჭილი მხრებში. პირზე ხელი მაშინ მომაცილეს, როცა ქარავანს ისეთ მანძილზე დავშორდით, რომ ჩემი ხმა აღარ მისწვდებოდათ. საბედნიეროდ, შიშს არ შეეუპყრივარ - მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს ორივე „თავაზიანი“ რუსი, გამოიჩინეს რა გუღმოდგინება და უაღრესად საშიშ პერსონად მიმიჩნიეს, ფიქრობდა ამით კარგი სარგებელი ენახა. როგორც კი პირი გამითავისუფლეს, დაიწყო ჭკვიანური შეკითხვები: ვინა ვარ, სადაური ვარ და ა.შ. ცოტა რუსული კი ვიცოდი, რომ მათთვის ასეთი ცნობები მიმცდა. თუმცა, ეს არ იკმარეს და პასპორტის ნახვა მოითხოვეს. მე ვუთხარი მათ, რომ გაეგზავნათ ვინმე ჩემი ჩემოდნის მოსატანად. აი, მაშინ შევძლებდი მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. როგორც იქნა მივადწიეთ ფოსტის შენობას, სადაც ერთ პატარა ოთახში შემიყვანეს, თოფიანმა კაზაკმა ღია კართან მოიკალათა, რომ ჩემთვის თვალი არ მოეცილებინა და ის ბატონიც, რომელიც თავისი მუქი მწვანე ხავერდის ყურთმაჯების გამო იმპერიის ჩინოვნიკად მივიჩნიე, რამდენიმე ხანს ოთახში დარჩა. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა საფოსტო განყოფილების უფროსი, თუ ღმერთმა უწყის ვინ იყო, რომ მე ვენახე და ჩემი შემპყრობის საგმირო ამბები მოესმინა. ისინიც ჩქარობდნენ, საკმაოდ დაწვრილებით და სახალისოდ ეამბნათ მომხდარი. მთელი ღამე მკაცრი თვალთვალის ქვეშ

ხის სკამზე უნდა გამეტარებინა, თან არც საბანი მქონდა, არც პალტო და ამასთან შიმშილი და წყურვილი მაწუხებდა. არც საბანი მომცეს, არც ლუკმა-პური. როგორც კი სკამიდან ავდექი, რომ ოთახში გამეველო და გამომეველო, კაზაკი მაშინვე მეცა, მელაეში ხელი წამავლო და სკამთან მიმაბრუნა, წყნარად იყავიო. დილისთვის ჩემმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, ჩემი საბუთები ვუჩვენე და გამათავისუფლეს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ასეთი მოპყრობისთვის ბოდიში მოეხადათ, დამცინეს კიდევ. როგორც კი ეზოში გავედი, ყველა ჩემსკენ იშვერდა ხელს და სიცილში ბანს აძლევდა ჩემს „მოსამართლეებს.“⁴⁰⁷ რუსეთის იმპერიის ბიურო-

407 იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 28–30. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მყოფი რუსი ჯარისკაცების ძალადობაზე ადგილობრივ მოსახლეობის, განსაკუთრებით მანდილოსნების მიმართ გადმოგვცემს ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი. ლაიელი წერს: „რუს ჯარისკაცებს აბრალებდნენ ქართველი ქალების გარყენას, უმეტესად დაბალი ფენის. ისინი მათთვის გართობის ობიექტს წარმოადგენდნენ. „როცა ქალი“, - ამბობს კოცებიუ, - „ხვდება ერთ ან რამოდენიმე რუსს, და გზა არის ვიწრო იმისათვის, რომ შეცვალოს მიმართულება იგი ატრიალებს სახეს კედლისაკენ, სანამ ისინი არ გაივლიან. ახალგაზრდა ოფიცრები ზოგჯერ დასცინოდნენ ამ მოქმედებას გამოწვეულს სირცხვილით: ისინი გროვდებოდნენ კედელთან და სახეზე იფარებდნენ თეთრ ცხვირსახოცებს“ (მორის კოცებიუს მოგზაურობა სპარსეთში, გვ. 45) იხ. *Travels in Russia, the Krimea, the Caucasus and Georgia* by Robert Lyall V.D.F.L.S. vol. I, London, 1825, p. 25; ადგილობრივ მოსახლეობაზე რუს მოხელეთა და ჯარისკაცთა ძალადობის შესახებ სრულყოფილ სურათს გვიქმნის მთიულეთის გლეხთა განცხადებები, საიდანაც ნათლად ჩანს რუსეთის დამპყრობლური უღლის ქვეშ მოქცეული ხალხის მიმომე მდგომარეობა. იხ. AKAK, ტ. III, სტრ. 311; რუსი სამხედროების ძალადობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რუსი ისტორიკოსი ნ. დუბროვინიცი. მისი გადმოცემით, რუსი ოფიცრები აუტანელ მდგომარეობაში აყენებდნენ ადგილობრივ

კრავტიულ სისტემას იდა პფაიფერი ასეთ შეფასებას აძლევს: „ო, კეთილო არაბებო, თურქებო, სპარსელებო, ინდუსებო და ყველა, ვინც ხართ, ამის მსგავსი თქვენთან არაფერი შემმოხვევია! რა მშვენივრად გამოვიარე თქვენი ქვეყნები, როგორ მოწყალედ მომექცნენ სპარსეთის საზღვარზე, როცა ვერ ვიგებდი პასპორტს რომ მიხოვდნენ და აქ კი, ქრისტიანულ ქვეყანაში რამდენი წყენა შემხვდა ამ მცირე მანძილზე!“⁴⁰⁸ კავკასიაში მოხვედრილ მგზავრს, გზის გაგრძელების ნებართვის მისაღებად, იდა პფაიფერის ცნობით, ექვსი საფეხური უნდა გაეკლო: „ძვირფას რუსულ სახელმწიფოში რომ ფოსტის ცხენებით იმგზავრო, ამისათვის ნებართვა უნდა შეიძინო, რომლის მიღებაც მხოლოდ იმ ქალაქშია შესაძლებელი, სადაც სხვადასხვა უწყებებია თავმოყრილი, რადგან ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტის მისაღებად ექვსი საფეხურის გავლაა საჭირო: 1. ხაზინის უფროსი, 2. პოლიცია (ცხადია პასპორტით, ჩამოსვლის ბართით და ა.შ.), 3. კომენდანტი, 4. ისევ პოლიცია, 5. ისევ ხაზინის უფროსი 6. და ბოლოს ისევ პოლი-

მცხოვრებლებს. Н. Дубровин, Закавказье, от 1803-1806 года. СПб, 1866, стр. 351. რუსების ძალადობამ ადგილობრივ მოსახლეობაზე ნიადაგი შეუშხადა ანტირუსულ აჯანყებებს საქართველოში, მათ შორის 1804 წლის მთიულეთის ამბოხებას, 1812 წლის კახეთის აჯანყებას, 1819 წლის ამბოხებას დასავლეთ საქართველოში, ასევე 1832 წლის შეთქმულებას. იხ. ა. ბენდიანიშვილი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, წიგნში: ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 55-73.

⁴⁰⁸ იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 30.

ცია. მოწმობაში საჭიროა ზუსტად მიეთითოს, სადამდე სურს ადამიანს მგზავრობა, რადგან ფოსტის უფროსი მითითებული სადგურის იქით ერთი ვერსის გაგლის უფლებასაც აღარ იძლევა. ამასთან საჭიროა თითოეული ცხენისთვის ყოველ ვერსზე ნახევარი კაპიკის (1/2 კროიცერი) გადახდა. ერთი შეხედვით ბევრი არ ჩანს, მაგრამ სერიოზული ფასია, თუკი დაფიქრდები იმაზე, რომ შეიძლია ვერსი ერთ გეოგრაფიულ მილს შეადგენს და სულერთადად სამი ცხენით მგზავრობ.⁴⁰⁹ რუსეთის იმპერიაში არსებულ დამდღელ ბიუროკრატიას საიმპერატორო კარის სამსახურში მყოფი მაღალჩინოსნებიც აღიარებდნენ. 1831 წლის 20 იანვრის პატაკში, ამიერკავკასიის ქვეყნების შემოწმების შემდეგ, სენატორი მეჩნიკოვი მმართველობის სისტემაში რეფორმების დაჩქარების წინადადებას აყენებდა. მეჩნიკოვი ბიუროკრატიიდან ადგილობრივი მოხელეების გამოღვენას და რუსული მმართველობის შემოღებას მოითხოვდა. მასვე უჭერდა მხარს მთავარმართველი პასკევიჩი.⁴¹⁰ როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ხელისუფლებამ ბარონ ჰანის პროექტის თანახმად, მმართველობის სისტემის შესაცვლელად რეფორმა გაატარა, თუმცა ბიუროკრატიული სისტემა ამით მაინც ვერ გამარტივდა. მოსახლეობა სულ უფრო და უფრო უკმაყოფილებას გამოხატავდა. ნიკოლოზ პირველმა 1842 წელს ამიერ-

409 იდა (ლაურა) პვაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 33.

410 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 127; შ. ჩხეცია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XII, თბ., 1944, გვ. 10.

კავკასიაში მდგომარეობის შესასწავლად თავისი წარმომადგენლები – პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი მიავლინა. პოზენმა ვრცელი მოხსენება შეადგინა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ცვლილებები მმართველობის სისტემაში მოსახლეობის ადათ-წესების გაუთვალისწინებლად განხორციელდა. იგი რეკომენდაციას აძლევდა მთავრობას, რომ რეფორმებში გარკვეული შესწორებები შეეტანა.⁴¹¹ იღა პფაიფერის განმარტებით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიაში რუსი ჩინოვნიკები და ოფიცრები ფეხქვეშ თელავდნენ კანონს და დაბალ სოციალურ ფენებთან შედარებით პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რაც ევროპელი მოგზაური ქალბატონისათვის ყოველად მიუღებელი იყო. ამის შესახებ მოგზაური წერს: „28 აგვისტო. გაუთავებელი ტანჯვა-წამება ფოსტის მოხელეების გამო. ჩხუბისა და აყალმაყალის უდიდესი მტერი ვარ, მაგრამ ამ ხალხთან ალბათ უკეთესი იქნებოდა სახრებით მელაპარაკა. მათ გონებაჩლუნგობაზე, უხეშობასა და უგრძობლობაზე წარმოდგენის შექმნა თითქმის შეუძლებელია. მოხელეებს, ისევე როგორც მსახურებს, ხშირად დღის ნებისმიერ მონაკვეთში მძინარესა და გამომთვრალს ნახავთ. ასეთ მდგომარეობაში ისე იქცევიან, როგორც მოეპრიანებათ, ადგილიდან ფეხს არ იცვლიან და საცოდავ მგზავრებს ამასხარავებენ. დიდი ჩხუბისა და ხმაურის შემდეგ, ბოლოს ერთ-ერთი წამოდგება, ეტლს გამოავორებს, მეორე გააოხავს, სხვა ცხენებს აჭმევს, რომლებიც

411 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 133; შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-45.

ხშირად დასაჭედები არიან, მერე ცხენის კაზმულა არ არის წესრიგში, რომელიც გასასწორებელი და შესაკრავი ხდება - და ასე, უთვალავი საქმე, რომელიც დიდი ზოხინით სრულდება. როცა მოგვიანებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოვთქვი უბადრუკი ფოსტის სადგურების შესახებ, პასუხად მივიღე, რომ დიდი ხანი არ იყო რაც ეს მიწები რუსეთის ხელში გადავიდა და ამის მიზეზი სწორედ ეს იყო. საიმპერატორო ქალაქი კარგა მანძილზეა დაშორებული და მე, როგორც მსახურების გარეშე მყოფი მარტოხელა ქალი ბედნიერი უნდა ვყოფილიყავი, თუ სირთულეებს თავს გავართმევდი. არ ვიცოდი რა მეპასუხა, გარდა იმისა, რომ ინგლისელთა ოკეანესმიდმა ახალ კოლონიებში, რომლებიც დედაქალაქიდან მოშორებით მდებარეობენ, ყველაფერი შესანიშნავად არის მოწყობილი და კარგად მოწესრიგებული და იქ მსახურების გარეშე მყოფ ქალსაც ისევე სწრაფად ემსახურებიან, როგორც ჯენტლმენს-მეთქი, რადგან მათი ფული და მოთხოვნები არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯენტლმენისაზე. მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე რუსულ პოსტამტში: როცა ჩინოვნიკი ან ოფიცერი მოდის, სადგური ფეხზე დგება, თავს არ ზოგავენ, რადგან სახრისა და ჯარიმების ყველას ეშინია. რუსეთში ოფიცრები და ჩინოვნიკები პრივილეგირებულ კასტას მიეკუთვნებიან და საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. მაგალითად, არასამსახურებრივი მოგზაურობის დროს, წესდებით, მათ უბრალო მგზავრზე მეტი უფლება არ აქვთ. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სხვას მაგალითი მისცენ, ხალხს აჩვენონ, რომ აუცილებელია კანონისა და წესრიგისადმი მორჩილება, კანონებს ფეხით

თელავენ. ისინი წინასწარ აგზავნიან მსახურს, ან სთხოვენ მეგობარს, რომელიც მეზავრობას აპირებს, სადგურებში შეატყობინონ, რომ ამა და ამ დღეს მოვლივართ და რვიდან თორმეტამდე ცხენი დაგვჭირდებაო. თუკი ასეთ დროს რაიმე დაბრკოლება წარმოიშვა, წამოიწყეს ნადირობა, ქეიფი, ან ქალბატონს ასტკივდა თავი, ანდა კრუნჩხვებში ჩავარდა, მაშინ მეზავრობა ერთი ან ორი დღით გადაიწვეს - ცხენები მუდამ მზადყოფნაში არიან და ფოსტის მოხელე ვერც კი გაბედავს, რომ ისინი კერძო მეზავრებს მისცეს. ისეც ხდება ხოლმე, რომ ადამიანს ერთი ან ორი დღე უწევს ერთიდაიგივე სადგურზე ყოფნა. სწრაფი რუსული ფოსტით ქარავანზე შორს ვერ წახვალ. რუსული ფოსტით ჩემი მოგზაურობისას მთელი დღის მანძილზე ერთ სადგურზე მეტი არ გამივლია. როგორც კი უნიფორმას დავინახავდი, მაშინვე ციებ-ცხელება მემართებოდა - უნდა მივხვდარიყავი, რომ ცხენებს ვერ მივიღებდი.⁴¹² რუსეთის ხელისუფლება კავკასიის ტერიტორიაზე კაზაკებს ოჯახებით ასახლებდა: „ითოთოეულ ფოსტის სახლში არის ერთი ან ორი სასტუმრო ოთახი, აქვე ცხოვრობს ერთი ცოლ-შვილიანი კაზაკი, რომელიც თავის დედაკაცთან ერთად უცხოებს ემსახურება და მათთვის სადილს ამზადებს.“⁴¹³ სომხეთიდან იღა პფაიფერი საქართველოში გამოემგზავრა. იგი რამდენიმე დღე თბილისში დარჩა. მას რუსი მაღალჩინოსნებისათვის წერილები უნდა გადაეცა: „თუმცა წერილები მქონდა კანცელარიის

412 იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 36-39.

413 იქვე, გვ. 39.

დირექტორის, ბატონი ლილესათვის,⁴¹⁴ მეორე კი გუბერნატორის - ბატონ ერმოლოვისთვის.^{415*} მოგზაური არ აკონკრეტებს რა შინაარსის წერილები მიჰქონდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, სავარაუდოდ ეს წერილები თავრიზში მყოფმა რუსეთის კონსულმა გამოატანა, რათა ავსტრიელი მოგზაურისათვის საქართველოში დახმარება გაეწიათ. როგორც ჩანს, იდა პუაიფერმა დაუფარავად ამხილა რუსეთის ხელი-

414 იდა პუაიფერი აღნიშნული პიროვნების გვარს დამახინჯებით იხსენიებს, სავარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო დოქტორი ლილი, ვორონცოვის კანცელარიის მაღალი რანგის მოხელე.

415 ამ შემთხვევაში მოგზაური ქალბატონი ცდება, რადგან ამ დროისათვის ერმოლოვი კავკასიაში აღარ მოღვაწეობდა, ცნობილია, რომ ის 1827 წელს კავკასიიდან გაიწვიეს. ერმოლოვს აჯანყებულ თათართა თვითნებურად დასჯაში დასდეს ბრალი და თანამდებობიდან გადააყენეს. AKAK, T. VI, сmp. 527; ერმოლოვს ჯერ კიდევ 1826 წლის 29 ივლისს გაუგზავნა მკაცრი წერილი ნიკოლოზ I-მა. იგი ჩერქეზების წინააღმდეგ ჩატარებულ სამხედრო ექსპედიციას ემობდა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ჯონ. ფ. ბედლი, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, თბ., 2012, გვ. 198. ერმოლოვი საქართველოში ნამყოფ არაერთ უცხოელ მოგზაურს ჰყავს მოხსენიებული. მათ შორის XIX საუკუნის 20 წლებში მყოფ ინგლისელ მოგზაურებს რობერტ კერ პორტერს და რობერტ ლაილს. რობერტ ლაიელი წერს, რომ მან გეორგიევსკიდან სპეციალური წერილი გაუგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში ამბოხებული ტომების წინააღმდეგ წასულ ერმოლოვს და მისი ექსპედიციის შესახებ აცნობა. ერმოლოვს საპასუხო წერილით გამოუთქვამს უცხოელი მოგზაურისათვის დახმარების მზადყოფნა. იხ. Travels in Russia, the Krimea, the Caucasus and Georgia by Robert Lyall V.D.F.L.S. vol. I, London, 1825, p. 34. ერმოლოვს იხსენიებს რობერტ კერ პორტერი – ინგლისელი მოგზაური და მხატვარი. იგი რუსი გენერლის მმართველობას თბილისში კეთილშობილურს უწოდებს. Travels Georgia, Persia, Armenia, Anciut Babilonia, by sir Robert Ker Porter, vol. I, London, 1821, p. 133.

სუფლების მიერ კავკასიის ქვეყნებში დამკვიდრებული მანკიერი სისტემა, ამიტომ მოგზაური დიდი აღფრთოვანებით არ მიუღიათ: „ესაა, რომ არცერთ მათგანს დიდი სიმპატია არ გამოუხატავს ჩემ მიმართ. ალბათ აზრის თავისუფალი გამოხატვით საქმე გავაფუჭე. მე მათ დაუფარავად მოუწყევი ფოსტის გაუმართავ მუშაობაზე, სავალალო ქუჩებზე, ვუამბე ჩემი დატყვევების ამბავი და ყველაფერი დავაგვირგვინე იმით, რომ ვუთხარი, მქონდა გეგმა: აქედან კავკასიონის გავლით მოსკოვსა და პეტერბურგში წავსულიყავი, მაგრამ ამ მოკლე მოგზაურობამ რუსეთის მხარეში სრულიად შემაცვლევინა აზრი და ახლა ისღა მსურს, უმოკლესი გზა ვნახო, რომ რაც შეიძლება ჩქარა გადავლახო საზღვარი-მეთქი.“⁴¹⁶ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ კავკასიაში თავისუფალი აზრი ფეხქვეშ ითელებოდა. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს იღა პფაიფერის სიტყვები: „მე რომ კაცი ვყოფილიყავი, ალბათ დიდი ხნით მიკრავდნენ თავს ციმბირში (მოგზაური ამის მიზეზად გულისხმობს მის მიერ მთავრობის მაღალჩინოსნებთან იმპერიის პოლიტიკის მხილვას). ბატონი ლილე მაინც ყოველთვის თავაზიანად მიღებდა, როცა ჩემი პასპორტის გამო მივსულვარ. გუბერნატორმა კი ერთხელაც არ ჩამთვალა ყურადღების ღირსად, რომ დრო გამოენახა და ჩემს პასპორტზე ხელი მოეწერა. მიბარებდა ხან ერთ, ხან მეორე დღეს, მერე ვიღაც წარჩინებულ ბატონთან ინება ორი დღე სოფლად გაეტარებინა. როცა ის დაბრუნდა, კვირა დღე იყო,

⁴¹⁶ იღა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 43-44.

როცა ასეთი დიდი საქმის მოგვარება შეუძლებელია. ასე, რომ ჩემი პასპორტი მხოლოდ მეექვსე დღეს მივიღე. ასეთი ამბავი გადამხდა მე, რომელსაც ხელთ მქონდა მაღალჩინოსნებისადმი მიწერილი წერილები. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ უბრალო ადამიანები! - ყური მოგვარი, რომ ხშირად ამ საქმის მოგვარებას 2-3 კვირას უნდებოდნენ. მეფისნაცვალთა თავადი ვორონცოვი, სამწუხაროდ, სწორედ ახლა ტიფლისში არ იმყოფებოდა. ძალიან მეწყინა მისი არყოფნა, მით უფრო, რომ მას დიდად განათლებულ, სამართლიან და კაცთმოყვარე ადამიანად ახასიათებდნენ.⁴¹⁷ იდა პფაიფერი უკმაყოფილებას გამოხატავს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის გამო, მისი განმარტებით, ქვეყანა იმპერიის უღელ ქვეშ იყო და არც თუ სახარბიელო პერსპექტივები გააჩნდა: „საქართველო უკვე ორმოცდაათი წელია რუსეთის ბატონობის ქვეშ არის და მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყეს აქა-იქ გზების მშენებლობა. თუკი ორმოცდაათი წლის შემდეგ აქ კვლავ მოვალთ, ან მზად დაგვხვდება, ან სულაც დანგრეულ-განადგურებული იქნება.“⁴¹⁸ ავსტრიელი მოგზაური თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. იგი მცირე ხანს შეჩერებულა ქუთაისის სიახლოვეს არსებულ „მარანდთან“, სადაც კაზაკთა კოლონიებს იხსენიებს: „მარანდში“⁴¹⁹ სასტუმროს არარსებობის გამო ერთ კაზაკ-

417 იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 44-45

418 იქვე, გვ. 46.

419 მარანდს მოგზაური იხსენიებს, როგორც სადგურს ქუთაისიდან ორ ვერსზე, აღმოსავლეთით. ამ დასახლებული

თან გაეჩერდი. ამ ადამიანებს, აქ რომ კოლონისტებად ცხოვრობენ, აქეთ ორ-სამოთახიანი დაბალი ხის სახლები და მიწის ნაკვეთი, რომელსაც ყანად, ან ბაღად იყენებენ. ზოგიერთი მათ შორის უარს არ ამბობს მგზავრების მიღებაზე და ახერხებენ იმ მცირედისა და საწყალობელი მასპინძლობისთვის, რომელსაც ისინი სტუმრებს სთავაზობენ, გვარიანი თანხა მოითხოვონ.⁴²⁰ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლონისტი კაზაკების მოხსენიება ავსტრიელი მოგზაურის მიერ შემთხვევითი არ არის. საქართველოში თადარიგის ჯარისკაცების ჩამოსახლებამ განსაკუთრებით აქტიური ხასიათი შეიძინა მთავარმართებელ ერმოლოვის დროს (1816-1827 წ.წ.). რუსეთის ხელისუფლება გადმოსახლებულ სამხედროებს მიწის ნაკვეთებს და საცხოვრებელ სახლებს აძლევდა. სამხედრო კოლონიები რუსეთის იმპერიის პოლიტიკის მყარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო. ერმოლოვის მიერ დაწყებული რუსი სამხედროების გადმოსახლება მომდევნო მთავარმართებლის დროსაც გაგრძელდა. სამხედრო დასახლებები შეიქმნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. საბოლოოდ რუსი სამხედროები და მათი ოჯახები ვერ შეეწყვნენ ადგილობრივ გარემოს. განსაკუთრებით

პუნქტის სახელწოდება დამახინჯებულია. შესაძლებელია ეს იყოს ქუთაისთან ახლოს მდებარე სოფ. მარანი. გერმანელი მოგზაურის მორიც ვაგნერის (კავკასიაში იმყოფებოდა 1843-1846 წ.წ.) ცნობით, მარანში რუსული კოლონიები იყო, სადაც რუსეთში არსებული ერთ-ერთი სექტის „სტარეკველცების“ წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 115.

⁴²⁰ იდა (ლაურა) პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 47.

მძიმე ასატანი იყო მათთვის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. 1857 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ (1856-1862) სამხედრო კოლონიები სახაზინო უწყებას გადასცა და სახელმწიფო ქონების ექსპედიციას დაუქვემდებარა.⁴²¹ ავსტრიელი მოგზაური ქალბატონის იდა (ლაურა) პფაიფერის ჩანაწერები წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის მიერ კავკასიაში განხორციელებული კოლონიური პოლიტიკის შესახებ. იდა პფაიფერის კავკასიაში მოგზაურობის დროს საქართველოს რუსეთთან 50 წლიანი თანაცხოვრობის ისტორია აკავშირებდა, რომლის შედეგი იყო რევრესი, მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი და სოციალური ყოფა. ქვეყანაში სრული უპერსპექტივობა სუფევდა. რუსეთის იმპერიის მიერ მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ასევე ბრიტანელი დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტეინკირკი). იგი დაიბადა 1777 წლის 26 აპრილს, ღურამში, უილიამ პორტერის ხუთშვილიან, ტრადიციულ, ბრიტანულ ოჯახში. რობერტის მამა – უილიამი 23 წელი ქირურგად მუშაობდა დრაგუნთა მერბატალიონში. იგი გარდაიცვალა 1779 წელს და დაკრძალულ იქნა წმ. ოსვალდში, ღურამში.⁴²² მომავალ-

421 დ. ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, წიგნში: ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 190.

422 <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; W. M. Armstrong, The many-sided world of Sir Robert Ker Porter, *The Historian*, # 25, Washington, 1962, p. 36-58.

ლი მხატვრის წინაპრები იყვნენ ავინკურტის ბრძოლის მონაწილე – უილიამ პორტერი და როიალისტი ენდმიონ პორტერი. რობერტის დედა გახლდათ ჯეინ პორტერი (1745-1831), დურამის მკვიდრის – რობერტ ბლენკინსონის ქალიშვილი. ჯეინ პორტერი ეშერში, სურეის საგრაფოში 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. რობერტის უფროსი ძმები იყვნენ: უილიამ ოგილვეიე პორტერები. იგი ფლოტში ქირურგად მუშაობის შემდეგ, 40 წლის განმავლობაში ბრისტოლში ექიმის პროფესიას ემსახურებოდა. უილიამ ოგილვეიე გარდაიცვალა 1850 წლის 15 აგვისტოს, 67 წლის ასაკში. რობერტის მეორე ძმა იყო პოლკოვნიკი ჯონ პორტერი, რომელიც მანის კუნძულზე 1810 წელს 38 წლის ასაკში აღესრულა. რობერტს ორი დაც პყავდა, ჯეინი (გარდ. 1850 წელს) და ანა მარია (გარდ. 1832 წელს) პორტერები. ორივე მათგანი მწერალი იყო. რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა, სადაც დედამისი შეიღებთან ერთად საცხოვრებლად 1780 წელს გადავიდა. 1790 წელს დედამ მომავალი შემოქმედი გამოიჩენილ ბრიტანელ მხატვართან, ლონდონის სამეფო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტთან – ბენჯამინ უესტთან წაიყვანა, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა რობერტის ნამუშევრებით, რომ რეკომენდაცია გაუწვია მას სამეფო აკადემიის სომერსეტის სკოლაში. რობერტი, 13 წლის ასაკში სამეფო აკადემიის სტუდენტი გახდა.⁴²³ პორტერის განსა-

423 S. C. Hutchison, *The Royal Academy Schools, 1768–1830, Walpole Society*, #38, 1960–62; ~~შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი შეცვლილი~~; Seccombe T. Robert Ker Porter // *Dictionary of National Biography*, London, 1896, XLVI. P. 190-192; Armstrong W.M. *The Many-sided World of Robert Ker Porter*, *The Historian*, 25. Pt. 1. Washington, 1962. P. 36-58; Dupouy W. *Sir Robert Ker*

კუთრებული ნიჭიერება მხატვრობაში მალე კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. 1792-1832 წლებში, პორტერმა არაერთი ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ლოდის ბრძოლა“ (1803), „1799 სუეზის მიერ ფრანგების დამარცხება ეშმაკის ხიდთან“ (1805), „ავინკურტის ბრძოლა“, „ალექსანდრიის ბრძოლა“ და სხვ.⁴²⁴ ამ დროისათვის პორტერის, როგორც მხატვრის სახელი, პოპულარული იყო არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1805 წელს პორტერმა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I მიწვევა მიიღო. საიმპერატორო კარის შეკვეთით მას უნდა შეესრულებინა ისტორიული ნახატები სანკტ პეტერბურგში არსებული საადმირალო უწყების დარ-

Porter's Caracas Diary. 1825—1842, Caracas, 1969; *Barnett R.D.* Sir Robert Ker Porter — Regency Artist and Traveller Iran, 1972. Vol. 10; Anketil M.D.I. The Silver Palette // *Lantern*, 1978. July, P.72-70;

Ренне Е.П. Роберт КерПортер в России, Труды Государственного Эрмитажа 25, 1985. С.105-109; *Васильева Н.Е.* Альбом Р. Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры // Эрмитажные чтения 1986—1994 гг. памяти В.Г.Луконина. СПб., 1995. С. 246-247; *Vasileva N.E.* About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments // *Achaeologische Mitteilungen aus Iran*. Berlin, 1994. Bd 27. S. 339-348; *Renne E.* British artists in Russia in the first half of the nineteenth century // *British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage* / Ed. by B.Allen and L.Dukelskaya. New Haven & London, 1996. P. 104-115; *Ренне Е.П.* Британские художники в России в первой половине XIX века // *С берегов Темзы — на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже* / Под ред. Б.Аллена и Л. Дукельской. СПб., 1997. С.104-115; *Губер К.П.* Три картины для Главного Адмиралтейства // *Россия — Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции*. СПб., 1999. С. 113-116;

424 Ренне Е., **Художник сэр Роберт Кер Портер в России**, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

R. Lister, *British Romantic art*, 1973, #8-9; B. Comment, *The panorama*, 1999.

ბაზისათვის. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო მისი ბატალური პანორამები, სადაც სუფოროვისა და ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსული არმიის სიმამაცე და გამირობა იყო გამოსახული. მხატვარი ალექსანდრე I-ის მიწვევას დათანხმდა და ის დიდ ბრიტანეთში მყოფი რუსეთის ელჩის – ს. რ. ვორონცოვის დახმარებით პეტერბურგში გაემგზავრა. 1812 წლის 7 თებერვალს, სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მან ცოლად შეერთო რუსი დიდგვაროვნის თეოდორ შერბატოვის ქალიშვილი – მარია (1780-1827 წ.წ.).⁴²⁵ 1817-1820 წლებში რობერტ კერ პორტერმა პეტერბურგიდან აზიაში იმოგზაურა და ამის შესახებ ძალზე საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა. ბრიტანელი მოგზაურის ნაშრომში მნიშვნელოვანი ცნობებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. კავკასიაში ჩამოსული მოგზაური რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის საზღვრად მდ. თერგს მიიჩნევდა: „მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს ჰყოფს აზიური ნაწილისგან. ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობის ახლოსაა.“⁴²⁶ პორტერის ცნობით, თერგის ხეობა ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა, სწორედ ამ ჭიშკრით ურთიერთობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან: „ველი, რომელზეც თერგი მიედინება ძველად ცნობილი იყო „პორტა კაუკაზია“-ს სახელით, რადგან ის დიდ ჭიშკარს წარმოადგენდა მთაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთო-

425 Архив кн. Воронцова. М., 1882, Т.23, С.91, №41.

426 გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2015, გვ. 39.

ბებისთვის. ეკატერინე II იყო პირველი ევროპელი მმართველი, რომლის ჯარმა ჩრდილოეთიდან შეძლო იქ შეღწევა. რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით სწორედ აქედან შევიდა საქართველოში და დააგო გზა, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა ეკატერინე დედოფლის სურვილი ამ ადგილიდან გაეყვანა გზა თბილისამდე. პროექტი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი იყო თავისი სამომავლო შედეგით, ვერ განხორციელდა. დედოფლის ეს ჩანაფიქრი დაასრულა მისმა შვილიშვილმა, მისმა ეხლანდელმა უბრწევალესობამ. მან გააგზავნა გენერალი ციციანოვი 1804 წელს, რათა წამოწყებული საქმე დასრულებულიყო. გზის გაყვანაზე მომუშავე მუშების დაუღალავი და ყურადღებიანი, გულმოდგინე შრომის წყალობით, გზის გაყვანა დასრულდა. ეს გზა ერთ-ერთ საოცრებად მიმაჩნია. ყველა მეგზური, რომელმაც ამ უსაფრთხო გზით იმოგზაურა ამ გზის დამკვები ხალხის მაღლიერი უნდა იყოს.⁴²⁷ რობერტ პორტერი საქართველოში დარიალის ხეობით შემოვიდა და მცირე ხნით ყაზბეგში შეყოვნდა. მისი გადმოცემით, ადგილობრივ წარჩინებულს რუსეთის ჯარში ერთგული სამსახურისთვის გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა მიღებული. მას რუსებისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით გვარიც კი შეუცვლია. „აქ მცხოვრებ ხალხში მიღებული არ იყო გვარების ქონა. ამიტომ გარდაცვლილმა, რათა შეწყობოდა თავის ახალ პატრონებს რუსებს, აიღო გვარი ყაზბეგი, იმ უძველესი მთის სახელი, რომლის ჩრდილშიც ის და მისი წინაპრე-

427 გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 42.

ბი დაიბადნენ და ცხოვრობდნენ. სოფელმაც ამ პიროვნებისგან მიიღო ეს სახელწოდება - ყაზბეგი.^{428 429} ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობას პორტერი რუსების დამსახურებად მიიჩნევს. როგორც მოგზაური აღნიშნავს, რუსებმა გზებთან ერთად სამხედრო სადგურებიც ააშენეს: „რუსებმა დააგეს გზები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ეტლებით და ცხენებით მოძრაობა. მათ აგრეთვე ააშენეს სამხედრო სადგურები, რომლებიც განლაგებულნი არიან მოსახერხებელ ადგილებსა და მანძილზე. ფოსტის შენობები და კარგად შეიარაღებული ესკორტებიც მათი დამსახურებაა. ეტლებზე გადასატანი ტვირთისთვის რუსებმა დააწესეს გადასახადი, რომელიც ვლადიკავკაზში იკრიფება (ვლადიკავკაზი ითარგმნება, როგორც კავკასიის გასაღები). ვაჭრებიც იხდიან გარკვეულ თანხას – 20 დან 25 რუბლამდე. ამ თანხაში შედის პირადი პასპორტის თანხაც. სხვა მოგზაურები

428 გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 49.

429 გარდაცვლილ ყაზბეგში მოგზაური უნდა გულისხმობდეს გაბრიელ ყაზბეგს. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში გაბრიელის მამა ყაზიბეგი სტეფანწმინდის მოურავი იყო, გაბრიელმა თავისი მამის სახელი გვარად დაამტკიცა და სწორედ აქედან იწყება ყაზბეგთა საგვარეულო. გაბრიელ ყაზბეგი ძალზე იყო დაახლოებული ერეკლე II-სთან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაბრიელი რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადა. გაწეული დეაწლისათვის მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება ჰქონდა ბოძებული. გაბრიელის შვილებიდან ცნობილი არიან მიხეილი (ალექსანდრე ყაზბეგის მამა) და ნიკოლოზი (მამა გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგისა). იხ. გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 183-184.

უფასოდ მგზავრობენ, ისევე როგორც მე.⁴³⁰ რუსული ხელისუფლება გზების მშენებლობასთან ერთად მძარცველი მთიელებისაგან თავდაცვის მიზნით სამხედრო საგუშაგოებსაც აგებდა. გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც რობერტ კერ პორტერი მოძრაობდა, ყაჩაღობით გამოირჩეოდნენ ოსები. ისინი მიმავალ მგზავრებს უსაფრთედებოდნენ და ძარცვავდნენ.⁴³¹ რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ჩამორჩენის და პოლიტიკური დაქსაქსულობის მიზეზებზე. მისი აზრით, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმართო გამუდმებულმა შემოსევებმა, არამედ გაუთავებელმა შიდა არეულობამ და შფოთმა მიიყვანა: „ოდესღაც დამოუკიდებელი, განვითარებული სამეფო დღეს ჩამოქვეითებული და დამცირებული პროვინციაა. გამუდმებულმა ომებმა და მტრული მეზობელი ქვეყნების მრავალგზის შემოსევებმა შეამცირა ამ პატარა სამეფოს გულადი მოსახლეობის რაოდენობა. ოდესღაც აყვავებული ქვეყანა დღეს დამონებული და დაჩაგრულია. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი მომაკვდინებელი

430 გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52; გენერალ ერმოლოვს, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამხედრო გზა ზამთრის პერიოდში ზეგვებით ხშირად იხერგებოდა, ალტერნატიული გზის გაყვანა სურდა თბილისიდან გორის, ცხინვალის და ონის გავლით კავკასიონის თხემზე, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ჩენეთის აჯანყებამ შეუშალა ხელი. იხ. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 236.

431 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 157-158.

დარტყმა ქვეყანას მიაყენეს იმათ, ვინც ამბიციით იყო აღსავსე. სხვა ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც იგივე ეროვნული თვითმკვლევობა ჩაიდინეს, იბერიელებსაც მოუხდათ ყოველგვარი სურვილის გარეშე ამ მდგომარეობაში ყოფნა. ლეკებს თვითონ ასწავლეს თავისი ქვეყნის გასასვლელები. ქვეყანაში არსებული არეულობების დროს იბერიის მმართველი პირების შუღლმა ხელი შეუწყო მეომარ ბარბაროსებს, მოეწყოთ ბრძოლები. ამ პროვინციის დღევანდელი მესაკუთრეების აზრით აქ მცხოვრებ ხალხს წლები დასჭირდება პოლიტიკური ცხოვრებისა და სოციალური ყოფის ახლებურად მოწყობის თვალსაზრისით.⁴³² საქართველოს სამხედრო გზაზე მომავალი რობერტ კერ პორტერი მცირე ხანს დუშეთში გაჩერდა. აქ მას საქართველოს მეფის ძველი სასახლე უნახავს, სადაც რუსული ხელისუფლების გადაწყვეტილებით სამხედრო შტაბი უნდა გახსნილიყო: „როგორც მითხრეს, ამ ყოფილი სასახლის სამხედრო შტაბად გადაქცევაა განზრახული, ეზო კი ბარაკებისა და საჯინბოებისთვის გამოიყენება, რადგან საქართველოს ამ მნიშვნელოვან ადგილზე ახალი ბატალიონი ჩამოდის.“⁴³³ მოგზაურის ცნობიდან ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა „ერთმორწმუნე“ რუსეთს მეზობელი, სახელმწიფოებრიობაგაუქმებული ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მიმართ. სამხედრო შტაბის ხსენება მოგზაურის მიერ შემთხვევითი არ არის. კავკასიაში მოქმედი პოლკების შტაბბინების გახსნა მთა-

432 გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 64.

433 იქვე, გვ. 63.

ვარმართებელ ერმოლოვის იდეა იყო. კავკასიის უმაღლესი ხელისუფლის ინიციატივით, შტაბები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში უნდა განლაგებულიყო, რომლებიც საიმედო სიმაგრეებით იქნებოდა დაცული. შტაბების დაცვა სპეციალურ სამხედრო ნაწილებს ევალებოდათ. მცხეთიდან რობერტ კერ პორტერმა გზა თბილისისაკენ გააგრძელა. ქალაქის შესასვლელთან ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით რუსულ ხელისუფლებას სპეციალური საკონტროლო პუნქტი ჰქონდა მოწყობილი. მოგზაურმა და მისმა მხლებლებმა კარანტინი გაიარეს, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინეს და მათ მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, რომ ქალაქში შესულიყვნენ.⁴³⁴ თბილისში ჩამოსულმა პორტერმა ჯერ ადგილობრივ სომეხს, ვინმე არატუნს (სახელი შესაძლებელია დამახინჯებით უწერია, სავარაუდოდ უნდა იყოს არუთინი – გ.ს) მიაკითხა. მან მასპინძლისგან გაიგო, რომ მთავარმართებელი ერმოლოვი თავისი დიპლომატიური მისიიდან გამომდინარე სპარსეთიდან თბილისში დაბრუნდა.⁴³⁵ როგორც

434 გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 63.

435 როგორც ცნობილია, ერმოლოვი ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდა. იგი წერდა: „მიმანია, რომ ჩემი ვალია ვიზრუნო საკუთარი ხელმწიფისა და რუსეთის ღირსების დასაცავად. თუ შაჰი ცუდად მიმიღებს, ან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას დავინახავ, რომ მას იმ მშვიდობის დარღვევა სურს, რომელიც დღეს სუფევს, მე თვითონ გამოვუცხადებ ომს და ეს ომი არ დამთავრდება მანამ, სანამ ჩვენი საზღვარი არასზე (არაქსი - გ.ს) არ გაივლის.“ ჯონ ფ. ბედლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140; АКТЫ, Т. VI, стр. 179. საბოლოოდ, ერმოლოვმა ირანის შაჰის - ფეთ-ალის კეთილგანწყობა დაიმსახურა და სამხრეთ კავკასიაში დაპრობილ ტერიტორიებზე კონტროლი

პორტერი წერს, იგი მთავარმართებელს მეორე დღეს შეხვდა და წერილები გადასცა.⁴³⁶ ბრიტანელი მოგზაური ამ წერილების შესახებ დაწერილებით არ საუბრობს. სავარაუდოდ, ერმოლოვს მან საიმპერატორო კარის მიერ გამოგზავნილი წერილები გადასცა. პორტერმა ახლოს გაიცნო კავკასიის მთავარმართებელი. ერმოლოვს ბრიტანელ მხატვარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია. რუსი მოხელის შესახებ მოგზაური წერს: „აღამიანმა შეიძლება განიცადოს ეს მაშინ, როდესაც ის შორსაა მისი ნამდვილი მეგობრებისგან, როდესაც დახმარების ხელს გიწვდიან არაფორმალურად, ცივად, არამედ ღია გულით, როგორც გვხვდებიან არა როგორც უცხო ადამიანს, არამედ როგორც თანამემამულესა და ამხანაგს. ასეთი იყო გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჩვენ ახლახანს დავემშვიდობეთ. თავისი ლიბერალური შეხედულებების წყალობით, მასზე უკეთესად ვერავინ შეძლებდა უცხო გარემოში ადაპტირებასა და იმ მაღალი თანამდებობის დაკავებას, რომელიც მას უკავია ქვეყანაში. გენერალ-გუბერნატორის თავაზიანობა და სულგრძელობა მას საიმედოდ იცავენ. ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომლის

შეინარჩუნა, თუმცა ერმოლოვს ურთიერთობა დაეძაბა შაჰის მემკვიდრე აბას-მირზასთან, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ბატონიშვილის აღექსანდრეს ერეკლეს ძის მოკავშირე იყო. ე. ორჯონიკიძე, აღექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1997, გვ. 76. საბოლოოდ აბას-მირზამაც დათმო პოზიციები, 1828 წლის თურქმანჩაის ზავით რუსეთმა თავისი უპირატესობა შეინარჩუნა. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 180.

436 იქვე, გვ. 74.

მიმართაც ის გულისხმიერებას იჩენს, გამსჭვალულია მისადმი მადლიერებით და ნდობით. მას გააჩნია იმის უნარი და ნიჭი, რომ მოიგოს ხალხის გულები. უხეში, ძუნწი და უმადური ადამიანი, რომელიც დიდი იმპერიის წარმომადგენელი იქნება საზღვარგარეთ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მტრად იქნება მიჩნეული. ასეთი მანკიერი თვისებების მქონე ადამიანი შეაფერხებს იმ მიზნების განხორციელებას, რისთვისაც ის გამოაგზავნეს. ასეთი ადამიანი სრულიად განსხვავებულია იმ მინისტრისგან, რომლის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ხალხის სამსახური და იმ ქვეყნის გავლენის და ავტორიტეტის გაძლიერება, რომელმაც ის სამუშაოდ მოაწვდინა. გენერალ-გუბერნატორი ერმოლოვი ამ მხრივ, სწორედ ისეთი ადამიანია, როგორც უნდა იყოს უცხო ქვეყნის წარმომადგენელი. მას ანდეს კავკასიის მართვა, რადგან მას კარგად ესმის ხალხის, კარგად იცის მათი ხასიათი და სრულიად საწინააღმდეგო ადათ-წესები, რომლებიც მათ შექმნილი აქვთ საუკუნეების განმავლობაში. გენერალი ერმოლოვი ღმობიერებითა და გულკეთილობით ახერხებს თავისი მიზნების განხორციელებას. მან შეძლო ამაყი, პირქუში, შეუდრეკელი და მტკიცე ხასიათის მქონე ქართველების შეხედულებების შეცვლა. ისინი უფრო შეგნებულები გახდნენ, მიხვდნენ რა ახალი კანონების უპირატესობას, რომლებითაც ისინი უცხო ხელის მეშვეობით, სარგებლობენ. სავსებით ბუნებრივია, რომ საღი გონების მქონე ადამიანები არ უნდა ეჭიდებოდნენ ძველ ასოციაციებს, ისინი უნდა გამოეთხოვონ წარსულში არსებულ ისეთ დაუფიქვარ ეროვნულ გრძნობებს, რომელიც მხოლოდ სახელი

იყო და სხვა არაფერი“.⁴³⁷ აქ შეუძლებელია ეჭვი არ შეიტანო ბრიტანელი მოგზაურის ობიექტურობაში. გენერალი ერმოლოვი, რომელიც 1816 წელს კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა განსაკუთრებული სისასტიკით იყო ცნობილი. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: „შემწენარებლობა აზიატების თვალში სისუსტის ნიშანია, ამიტომ, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ჩემი სისასტიკე შეუვალია. ერთი ადამიანის სიკვდილით დასჯა ასობით რუსის სიცოცხლეს გადაარჩენს, ხოლო ათასობით მუსლიმანს დაღატაკის ჩადენისაგან დაიცავს“.⁴³⁸ ერმოლოვის მმართველობის პერიოდს უკავშირდება 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ანტირუსული ამბოხება ერმოლოვის შტაბის უფროსმა, გენერალმა ველიამინოვმა სასტიკად ჩაახშო.⁴³⁹ ჩვენი აზრით, ბრიტანელი აგენტის მახვილ თვალს შეუძლებელია გამორჩენოდა ერმოლოვის მიერ კავკასიაში ჩატარებული სისხლიანი ექსპედიციები, ამიტომ მთავარმართებლის პორტერისეული შეფასება მისი დიპლომატიით იყო ნაკარნახევი. პორტერი აღწერს მთავარმართებელ ერმოლოვის საცხოვრებელს: „რუსმა გუბერნატორმა თავისი რეზიდენციის ადგილსამყოფელად აირჩია მთა, საიდანაც დიდებული კავკასიონი კარგად მოჩანს. ეს ქალაქის ცენტრიდან მოშორებული ადგილია. რეზიდენციის შეკეთება როდესაც დასრულ-

437 გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98–99.

438 ჯონ ფ. ბედლი, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, გვ. 134.

439 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1973, გვ. 935–936.

დება, ის გამორჩეული იქნება დიდი შუშაბანდით, რომლის ფასადს ქვის ორნამენტიანი ფიგურები დაამშვენებენ.⁴⁴⁰ რობერტ კერ პორტერის ცნობით, თბილისის ამ დროს საშინლად გამოიყურებოდა, ქალაქი ძალზე მოუვლელი იყო. ერმოლოვის ბრძანებით, საქართველოს დედაქალაქში ქუჩებს აწესრიგებდნენ: „თბილისის ყველა ქუჩა ვიწროა, მოძველებული ტროტუარები საშინლად ჭუჭყიანია, სველ ამინდში, ისე მტკრიანი, მშრალი ამინდის დროსაც. მისმა აღმატებულესობამ გუბერნატორმა ბრძანა ქუჩებში ქვების დაგება და ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია. მას განზრახული აქვს დანგრევის პირას მისული სახლების აღება და მათ ადგილზე თანამედროვე დაგეგმარებით ახალი შენობების აგება. გუბერნატორის სპარსეთში ყოფნის დროს დაიწყო ბაზრის გადაკეთებაც. შენობა მთლიანად გადაიხურა, ადგილი დატოვებულია მხოლოდ ჰაერისთვის და სინათლისთვის.“⁴⁴¹ რობერტ კერ პორტერი კავკასიის მთავარმართებლის – ერმოლოვის სახელს მიაწერს თბილისის გარეგნული იერ-სახის შეცვლას.⁴⁴² მისი აზრით, ერმოლოვმა

440 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1973, გვ. 935–936.

441 იქვე, გვ. 75; ვ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერის ცნობები თბილისის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 2016, გვ. 131–150.

442 XIX საუკუნის I მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი რუსეთის ხელისუფლებას თბილისში აღმშენებლობითი სამუშაოების დაწყებას პორტერის მსგავსად რუსულ ხელისუფლებას მიაწერს. როგორც აიხვალდი წერს „ტფილისის მოსახლეობა თანდათან გამხნვედა რუსეთის მძლავრი მფარველობით და დაიწყო დანგრეული ქალაქის ხელახლა გაშენება.“ ედუარდ

განახორციელა საჯარო შენობების რეკონსტრუქცია, რამაც ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა. „განხორციელებული ცვლილებების შედეგად ქართული დედაქალაქი უფრო მიმზიდველი გახდა, ვიდრე ის თორმეტი წლის წინ იყო.“⁴⁴³ თბილისის მოსახლეობა ბრიტანელი მოგზაურის ცნობით თანდათან ევროპულ წეს-ჩვეულებებზე გადადიოდა, რაც მათ ყოფა-ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა: „ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზედა ფენამ მიატოვა ბევრი აზიური მანერა. ცვლილებების მიზეზი ევროპული ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო პირებთან ურთიერთობის შედეგია. რაც შეეხება დედაქალაქის დაბალ ფენებს, ნაწილობრივი ცვლილებები იქაც შეინიშნება. სახლის პატრონები, რომლებთანაც დროდადრო რუსი ჯარისკაცები ჩერდებოდნენ, უკვე ნებას რთავდნენ ცოლებს, რომ დანახვებოდნენ უცხო სტუმრებს. როდესაც ქართველი ქალი გარეთ გადის, იგი ტრადიციულად თავიდან ფეხებამდე შეხვეულია აზიურ სამოსში, სახეზე პირბადე აქვს აფარებული, რომელსაც „ჩადრი“

ახვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 31. ახვალდის ცნობით, ხელისუფლებას სურდა თბილისი დიდი მნიშვნელობის სავაჭრო ქალაქად ქცეულიყო. იქვე, გვ. 46 თბილისის განვითარებას ერმოლოვის სახელს უკავშირებს აღნიშნული პერიოდის შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელიც. *Travels in Russia, the Crimea, the Caucasus, and Georgia* by Robert Lyall, vol. I, London, 1825, p. 67; გ. გელაშვილი, რობერტ ლაიელის ცნობები თბილისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №2 (15), 2014, გვ. 326.

⁴⁴³ გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 94.

ქვეა. თუ რომელიმე ქალბატონი საკუთარი სახლის კარებთან ჩადრის გარეშე დგას, ის სასწრაფოდ სახლში შედის და იმალება, რომ თავისი სახე არ გამოაჩინოს.⁴⁴⁴ როგორც რობერტ კერ პორტერი აღნიშნავს, რუსეთთან შეერთებამდე საქართველო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს განპირობებული იყო, ერთი მხრივ, საგარეო ფაქტორებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, შიდა აშლილობით. ქვეყანა, მოგზაურის აზრით, აღმშენებლობის გზას სწორედ რუსეთის დახმარებით დაადგა: „ქართველ თავადებს შორის არსებულმა გამუდმებულმა შუღლმა ქვეყანაში კანონისა და სამართლის არ არსებობამ, ლეკების სისტემატურმა შემოსევებმა, თურქებისა და ირანელების სისხლიანმა ომებმა საქართველოს მოსახლეობა სიზარმაცემდე უვიცობამდე, სიღარიბემდე და სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მიიყვანა... სამწუხაროდ, ასეთი იყო სიტუაცია საქართველოში დროთა თანმიმდევრული ცვალება-დობის დროს. მაგრამ დაახლოებით 20 წლის წინ საქართველო გახდა რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაში იმედის ბედნიერი ნაპერწკალი გაღვივდა. ახალი მთავრობის დროს ის თავს იმედიანად და უსაფრთხოდ გრძნობს.“⁴⁴⁵ პორტერის ცნობით, ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები რუსეთის სამსახურში ჩადგნენ. მთავარმართებელმა ერმოლოვმა არაერთ ქართველ თავადს სამხედრო წოდება და ჩინი უბოძა: „ამჟამად საქართველო დაცულია ლეკების შემოსევისაგან, ისევე

444 გ. სოსიალური, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 79.

445 იქვე, გვ. 86.

როგორც თურქებისა და ირანელების თავდასხმისგან. სა-ქართველოს მაღალი წრის წარმომადგენლებს კვლავ მაღალი თანამდებობები უკავიათ. მისმა უდიდებულესობამ, რუსეთის გულუხვმა მონარქმა ბევრ ქართველ თავადს უბოძა საპატიო საერო და სამხედრო წოდებები, რითაც გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა მამაცი და სანდო ქართველების მიმართ. მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მიეცა ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საშუალება.⁴⁴⁶ როგორც ბრიტანელი მოგზაურის ცნობიდან ჩანს, ერმოლოვს საქართველოში მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში. ის ქართველ დიდგვაროვანთა გადაბირებით და წახალისებით ახერხებდა დაპყრობილ ქვეყანაში სიტუაციის მართვას. რობერტ კერ პორტერი ქართველების დიდ დამსახურებად მიიჩნევს მათ მონაწილეობას რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებში: „ქართველები რომ კვლავ გულადი ერია, გამოჩნდა ამ ბოლო 12-14 წლის მანძილზე. ამ პერიოდში ისინი რუსული ღროშის ქვეშ იბრძოდნენ რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში.⁴⁴⁷ ქართველი მეთაურები ისე თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ სამართლიანად დაიმსახურეს გენერლის წოდებები. ქართველები ახლაც ერთგულად მსახურობენ რუსეთის ჯარში

446 გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 86–87.

447 მოხსენიებულ ომებს პორტერი არ აკონკრეტებს, თუმცა ხაზს უსვამს ქართველების მონაწილეობას რუსეთის მხარეზე. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის და საწყისში რუსეთის საიმპერატორო კარის დამსახურში არაერთი ქართველი იდგა. იხ. Н. Джавахишвили, Грузины под российским флагом, Тб., 2003, стр. 10.

და სწორედ მათ მოაგებინეს რუსეთს მრავალი ბრძოლა. ქართველები კვლავ აგრძელებენ მამაცურად მოქცევას და ახალ ჯილდოებს იღებენ. ქართველების ახალმა მთავრობამ ადვილად მოახერხა იბერიელებისა და ალბანელების მებრძოლი სულის გაღვიძება, მეტად ადვილია სიმამაცის სულის აღძვრა იბერიელებისა და ალბანელების შთამომავალ ქართველებში, ვიდრე მათ შთააგონო ვაჭრობა, ან სოფლის მეურნეობის საქმე. დროა საჭირო ყველაფრის მისაღწევად. ქართველების მეზობლებმა სომხებმა აჩვენეს ვაჭრობის განვითარების მაგალითი, რაც მათ მიერ გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგია. მის აღმატებულებას გენერალ ერმოლოვს როგორც სამხედრო პირს კარგი რეპუტაცია აქვს. გარდა ამისა მისი მთავრობა კარგად ეწყობა ხალხის დამოუკიდებელ აზროვნებას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიწას იყო მიჯაჭვული.⁴⁴⁸ რუსეთთან შეერთებამ, როგორც პორტერი მიუთითებს, ქვეყანას სიმშვიდე მოუტანა და ქართველ ხალხს მომავალი კეთილდღეობის პერსპექტივა შეუქმნა: „ქართველები სანამ შეუერთდებოდნენ რუსეთს, საუკუნეების მანძილზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელის შენარჩუნების მიზნით, ბევრ ტანჯვას უძლებდნენ დამპყრობლების მხრიდან. იმ დროს ქვეყანა იტანჯებოდა ადგილობრივი მეფეების უძლური, უსუსური მმართველობითა და გამუდმებული, საშინელი, დამან-გრეველი თავდასხმებისგან, რომელსაც დაუცველი ქვეყანა განიცდიდა მუსულმანური სახელმწიფოებისა და კავკასიის მთიელი ხალხის ბარბაროსული შემოსევებ-

448 იქვე, გვ. 87.

ბისგან. გახდა რა საქართველო რუსეთის ნაწილი, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ კარი ჩაიკეტა და გა-მუდმებული რისკის ქვეშ მცხოვრებმა ხალხმა მალე გააცნობიერა კეთილდღეობით და მშვიდობიანად ცხოვრების უპირატესობა დიდი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის სახელით, ვიდრე ამო დიდების მქონე სამეფოში ყოფნა, როდესაც ძველი სიდიადის, ტახტზე მჯდომი მეფეების სახით, მხოლოდ აჩრდილი არსებობდა და არა პიროვნება“.⁴⁴⁹ რობერტ კერ პორტერი მთავარმართებელმა ერმოლოვმა წვეულებაზე დაპატიჟა, სადაც ქართველებთან ერთად მაღალი წრის წარმომადგენელი სხვა კავკასიელებიც ესწრებოდნენ: „ერთ საღამოს მისმა აღმატებულებამ, მმართველმა გენერალმა მიმიწვია გასართობ წვეულებაზე, რომელზეც მე შესაძლებლობა მომეცა მენახა და გამეცნო არა მარტო ადგილობრივი ქართული მაღალი წრის წარმომადგენელი მამაკაცები და ქალბატონები, არამედ სხვა კავკასიელებიც“.⁴⁵⁰ სისასტიკით ცნობილი ერმოლოვი ამ ტაქტიკით არისტოკრატიულ წრეებში პოპულარობის მოპოვებას და გავლენის გაზრდას ცდილობდა. თბილისში რობერტ კერ პორტერი რამდენიმე დღე დარჩა. ხოლო შემდეგ თავრიზისაკენ გაემართა. საქართველოს დედაქალაქიდან დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე მოგზაური და მისი ამაღა თავად ერმოლოვმა გააცილა. სპარსეთისკენ მიმავალ ჯგუფს უსაფრთხოების მიზნით მთავარმართებლის დავალებით ოფიცრების ესკორტი გაჰყვა. სოღანლუღში ერმოლოვის

449 იქვე, გვ. 99.

450 იქვე, გვ. 88.

მითითებით, სტუმრებს ღამის გასათევად გაშლილი კარვები და ვახშამი დაახვედრეს. აქედან მოგზაური შულავერის გავლით ირანის გზას დაადგა. აგრესიულად განწყობილი მუსლიური სახელმწიფოების გარემოცვაში მყოფი ქვეყანა ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. თუმცა, ერთმორმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა, როგორც მთავარმა პოლიტიკურმა პარტნიორმა და მხარდამჭერმა ქართული საზოგადოების იმედები ვერ გაამართლა. ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებიდან იკვეთება რუსეთის იმპერიის ნამდვილი სახე, იმპერიის, რომლის მთავარი მიზანი კავკასიის დაპყრობის ხარჯზე საკუთარი ტერიტორიის გაფართოება იყო. საბოლოოდ, საქართველო რუსული ძალმომრეობის ქვეშ მოექცა და ბუნებრივი განვითარების გზას დიდი ხნით ასცდა.

ადამიანებით ვაჭრობა გვიანშუასაუკუნეების საქართველოში

XVIII საუკუნის ერთი დოკუმენტი სამაჩაბლოდან ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ბეჟან კასრაძის შესახებ

დოკუმენტის შესახებ

დოკუმენტი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. შესრულებულია მხედრული ხელით გრაგნილზე. დასაწყისში უზის მხატვრულად მოხატული ქანწილი და ჯვარი. მცირე დაზიანება აქვს მარჯვენა მხარის კიდეზე, სავარაუდოდ, სისველით. ნაწერია საკმაოდ ღამაზი კალიგრაფიით. ბოლოში უზის ორი ბეჭედი: ერთს-მართკუთხა ფორმის ბეჭედს აწერია: „ფარსადან,“ ხოლო მეორე კვადრატულ, დაკუთხულ ბეჭედს – მონა ღვთისა მილახვარი ლუარსაბ.“ ორივე მათგანი მაჩაბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ. სიგელს ვერტიკალურად მარცხენა აშიაზე ასეთი მინაწერი აქვს: „ქ. მე რევაზ. მაჩაბელი. ამსიგელს ვამტკიცეფდ (შემდეგ ერთი ასო-ბგერა გადაშლილია) ბეჭედი. არამქონდა. ეს ჩემი ხელია.“ მინაწერის ბოლო სიტყვა არ იკითხება, თუმცა დიდი ალბათობით ეს უნდა იყოს „რევაზ.“

ტექსტი

ნებითა და შეწვევითა ღვთისათა. ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მჩაბელმან გიორგიმ. ძმისწულმან ჩვენმან ფარსადან და რევაზ. შვილმან ჩვენმან ზურაბ და ლუარსაბ: და კვალად ძმისწულთა და შვილთა ჩვენთა. ელისბარ იოსებ დავით დიმიტრი. და ზაად: შენ ჩვენს ერთგულსა. და მრავალ ფერად ნამსახურს მემკვიდრეს ყმას. ქემერტს მსახლობელს. კასრაძე პაატას ბიძაშვილსა შენსა პეტრესა და ივანეს. თთარსა გიოსა ბეჟანსა. და მოსესა: შვილთა. და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე. მას ჯამსა ოდეს ჟამთა ვითარებით. დავგჭირდა. და ვარიანსს სამი საკვამლო მამული და კაცნი გორელს ამირაღაშვილს დაუგირავეთ: თქვენი ძმა ბეჟან ლეკისაგან დაკარგული. მისრში ტყვედ მიეყვანათ. და იქიდგან თავისი ნაშონი. რამდენიმე თუმნის ოქროები თქვენთვის სარჩოდ გამოეგზავნა: და თქვენ ჩვენის ერთგულობისთვის ის გამოგზავნილი თეთრი ოცდაორი თუმანი გაიდევით: და გორელის ამირაღაშვილისაგან ეს ზემო თქმული ვარიანის საკვამლოები და კაცნი დაიხსენით. და გორაობის თამასუქიც გამოართვით: და რადგან თქვენ ეს ერთგულობა და ნამსახურობა კიდევ მონდომეთ: ჩვენც ამისს მაგიერად იმ თქვენგან დახსნილი სამი საკვამლოსა და კაცებისაგან გიბოძეთ ერთი საკვამლო ფაციანაშვილის ნაქონი: თავისის სასახლითა საყდრითა სასაფლაოთა ნაფუზრითა ნატამაღლითა. ველითა, ვენახითა წყალ-წისქვილითა. ველითა ვენახითა სათიბითა სახნავითა და უხნავითა. საძებრითა და უძებრითა. წყლითა გზითა შესავლითა. და გასავლითა. და ყოვლის მისის სამართლისანის სრინ(?) სამან სამძღვრითა. ხელ შეუშლელად იმ თქვენს დანახარჯს თეთრში გვიბოძებია. გქონდეს

და ვიბუდნიეროს ღთმან ჩვენს ერთგულობასა შინა: აწ ამ ჩვენგან მოცემულს საკვამლოზე არაფერი სათხოვარი არა გეთხოვბოდესრა არა ღალა არა კულუხი: და არცა სხვა სათხოვარი და გამოსაღები: არცა ჩვენგან. და არცა შემდგომთა მახაბელთა და ჩამომავალთაგან. რადგან სხვას ქვეყნიდგან ტყვის გამოგზავნილის თეთრით ეს დაგირავებული მამულები იხსენით. ამ მიზეზით ეს ერთი საკვამლო იმ თეთრში ვიბოძეთ. ამა წესითა: ვინაც ამ ჩვენგან ნაწყალობევს სივლის შლად ხელყოს იგიმც დასჯილა ჩვენ წილ დღესა მას განკითხვისასა: ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იკურთხენინ ღვთისა მიერ. აღიწერა ხელითა ხუცეს მწიგნობრის იოსებისათა: თთვესა ოკლომბერსა: ი: ქეს უღმ⁴⁵¹

„ტყვის სყიდვა“ სამაჩაბლოში

გართულებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გარდა, რასაც ძირითადად ირან-ოსმალეთის დაპირისპირება ქმნიდა კავკასიაში, გვიანშუაუკუნეებში ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ უფრო დიდ უბედურებად იქცა ადამიანებით ვაჭრობა. ოსმალეთის იმპერიის შავ ზღვაზე გაბატონებამ ფართო გასაქანი მისცა „ტყვის სყიდვას“. საქართველოდან გატაცებულ ადამიანებს ოსმალეთის, თუ სირიის მონათა ბაზრებზე ჰყიდდნენ. ქვეყანა დემოგრაფიული

451 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd- 9871; აღნიშნული დოკუმენტით თავის დროზე გლეხთა სოციალური ფენის შესახებ მუშაობისას ისარგებლა დ. მეგრელაძემ. იხ. დ. მეგრელაძე, გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII ს.ს.), თბ., 1979, გვ. 38.

კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. გვიან შუასაუკუნეებში ამ მიმდებარე ფაქტების შესახებ გვიამბობენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები.⁴⁵² ადამიანთა გაყიდვის ეს საშინელი სენი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს მოედო, რადგან იგი ერთ-ერთ სარფიან საქმედ ითვლებოდა და ამით სამწუხაროდ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებიც ხელს ითბობდნენ. „ტყვის სყიდვა“, როგორც ჩანს, სამაჩაბლოშიც იყო გავრცელებული და ამ საჩოთირო საქმეში მანაბელთა ფეოდალური სახლის წევრებიც მონაწილეობდნენ. XVII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით მანაბლებმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტის (1660-1676 წ.წ.) წინაშე ფიცი დადეს. ისინი პირობას დებდნენ, რომ ადამიანთა ვაჭრობაში (იგულისხმება უცხოეთში გაყიდვა) აღარ გაერეოდნენ. მითითებულ დოკუმენტს ხელს აწერდნენ ბაადურ, ლომკაც და ქაიხოსრო მანაბლები: „დღეის იქით, არც ჩვენ გაყიდოთ ტყუე და არც ჩვენს ყმას გაგაყიდინოთ, არც სხუამ მომგუაროს... თუ ბატონმა საყეენოდ არ მთხოვოს, ჩუენის ნებით არც შევაძლიოთ და არც მივართვათ. თუ უსჯოლომა კაცმა ფეშქაში მოგუართვას არც იმას მოვცეთ.“⁴⁵³ როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სამაჩაბლო-

452 ა. კილასონია, ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში, XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006, გვ. 107. იხ. ასევე გ. სოსიაშვილი, ბრიტანელი მოგზაურების: ჩარლს ლეონარდ ირბის და ჯეიმს მანგელსის ცნობები თურქეთში ტყვედ გაყიდული ქართველების შესახებ (XIX საუკუნის I მეოთხედი), ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები, ტრაპიზონი, 2020, გვ. 228.

453 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 99. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1898, გვ. 477.

ში არა მარტო მაჩაბლები, არამედ მათი ყმებიც იტაცებდნენ ადამიანებს. „ტყვეები“ მიჰყავდათ სათავადო სახლის წევრებთან, რომლებიც შემდეგ უცხოეთში ჰყიდდნენ თავიანთ საფეოდალოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხებს. მაჩაბლები ამ სამარცხვინო საქმეზე უარს ამბობდნენ, გამონაკლისი მხოლოდ ბატონისაგან საყვენოდ თხოვნა იქნებოდა, სავარაუდოდ, ბატონში ვახტანგ V შაჰნავაზს გულისხმობდნენ. როგორც ჩანს, ტყვეები არცთუ იშვიათად მეფის დავალებით საყვენოდ იგზავნებოდნენ. სამაჩაბლოში „ტყვეთა სყიდვის“ ფაქტები უფრო გვიანდელ პერიოდშიც გვხვდება. დიდი ლიახვის და ქსნის ხეობის მთიან ზოლში ჩამოსახლებულ ოსებს ხშირად ადგილობრივი ქართველი ფეოდალები ჰყიდდნენ. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის არქიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური.⁴⁵⁴ 1812 წელს თავად გოლიცინისადმი

454 დოსითეოს ფიცხელაური დაიბადა ქსნის ერისთავის აზნაურის არჯვეან ფიცხელაურის ოჯახში, სოფელ იკოთში, 1774 წლის ოქტომბერს. დოსითეოსის დედა მარინე მაღალაშვილი სახლთუხუცესთა ოჯახს ეკუთვნოდა. 17 წლის ასაკში 1791 წელს ახალგაზრდა ფიცხელაური იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში მონაზვნად აღიკვეცა. ოთხიოდე წლის შემდეგ კი 21 წლისა, ერეკლე მეფის თანხმობით ხოფის მონასტრის არქიმანდრიტად იქნა დადგენილი. დოსითეოსი ანტონ II-ის ერთგულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. 1801 წელს ანტონმა დოსითეოსს მიანდო იკორთის წინამძღვრობა, იმავე წელს ქვაბთახევის მონასტერიც ჩააბარეს. 1803 წელს დოსითეოსი დროებით წილკნის ეპარქიასაც მართავდა. 1806 წელს ანტონმა დოსითეოსს შიომღვიმისა და თერის მონასტერთა წინამძღვრობა უბოძა, ხოლო 1808 წელს მასვე ჩააბარა ურბნისის ეპარქიაც. 1810 წლისათვის დოსითეოსი 36 წლის ასაკში განაგებდა ექვს ეპარქიას – იკორთის, ქვაბთახევის, შიომღვიმის, თერის, წილკნის და ურბნისის. 1810 წელს

გაგზავნილ წერილში ქართველი სასულიერო პირი წერს: „ოსები ოდიტგან საქართველოს მეფეების და მათ მიერ განსაზღვრული თავადაზნაურობის უშუალო ხელქვეითები იყვნენ და იხდიდნენ მათ მიწებზე დაწესებულ გადასახადს. საქართველოს გუბერნიებად დაყოფის შემდეგ ისინი იმ ზოგიერ-

კათოლიკოსი ანტონ II რუსეთის მთავრობამ პეტერბურგში გაიწვია. კათალიკოსს რუსეთში დოსითეოს ფიცხელაურიც თან გაჰყვა. XIX საუკუნის 10-იან წლებში რუსეთის წინაშე წამოიჭრა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი. სინოდის ობერპროკურორმა ეს საკითხი პეტერბურგში მოღვაწე ეპისკოპოსს დოსითეოს ფიცხელაურს დაავალა. 1811 წლის დეკემბერში დოსითეოსმა ა. გოლიცინს წარუდგინა მოხსენება აღნიშნულ საკითხზე. ოსების გაქრისტიანების საქმე რუსეთის მთავრობამ მისთვის საიმედო დოსითეოსს მიანდო. დოსითეოსი დაინიშნა ოსეთის ეპარქიის არქიერად და ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელად. პატაკებიდან ირკვევა, რომ 1715 წლის მაისიდან 1816 წლის ბოლომდე გაუქრისტიანებია 10506 სული, მაგრამ მათ შორის ქსნის ხეობის ოსები არ იხსენიებიან. 1816 წელს ქსნის ხეობაში მდგომარეობა გართულებულა, ამიტომ ქსანი და გვედისძირი ერისთავებს დაუბრუნეს. 1817 წელს დოსითეოსი იმპერატორის ბრძანებით ყველა თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და მოსკოვს გაიწვიეს – ფაქტობრივად საპატიო პატიმრობაში ვისოკოპეტრეს მონასტერში, სადაც მას 12 წლის გატარება მოუხდა. 1829 წელს დოსითეოსს საქართველოში დაბრუნების ნება დართეს. თბილისში დაბრუნებული მთავარეპისკოპოსი ქოლერით მოცულ ქალაქში 1830 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა. ვ. ზანგურაშვილი, ქსნისხეველი არქიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური, ქსნის ხეობის წარსული და აწმყო, თბ., 2005, გვ. 109-112; მ. ლაღანიძე, სანქტ-პეტერბურგიდან მოვლინებული ქართველი მთავარეპისკოპოსი, დოსითეოს ფიცხელაური, ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე, ლიტ. პორტრეტები XVIII-XIX სს. საქ. საზ. და კულტ. ცხოვრების აღბოძიდან, თბ., 2010, გვ. 52-55.

თი თავადის ხელში აღმოჩნდნენ, რომელთა მხრიდან კავკასიისთვის ჯერაც გაუგონარ ძალადობას და სისასტიკეს განიცდიან. ეს არადამიანური მფლობელები მათ ბავშვებს ართმევენ და ყიდიან, სტაცებენ ქონებას...“⁴⁵⁵ არ გამოვრიცხავთ, რომ დოსითეოს ფიცხელაურის წერილში მოყვანილი ფაქტები გაზვიადებული იყოს. რადგან მას ქსნის ერისთევებთან არცთუ სახარბიელო ურთიერთობაში ჰქონდა. იგი ცდილობდა, რომ რუსეთის ხელისუფლების წინაშე ქართველი ფეოდალები უარყოფითად წარმოეჩინა, რათა მათ ოსი ეროვნების ყმები ჩამორთმეოდათ და ყოველწლიური პენსია დანიშნოდათ. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ძალზე საინტერესო ცნობაა სამაჩაბლოელი ბეჟან კასრაძის მისრში (ეგვიპტეში) გაყიდვის შესახებ. როგორც ირკვევა, იგი „ლეკისაგან დაკარგული“ იყო. მაჩაბელთა სათავადოში მცხოვრები ლეკებისაგან მოტაცებული კასრაძე მისრში, ანუ ეგვიპტეში მოხვედრილა. როგორც ცნობილია, „ლეკიანობა“ XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთში ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. გამონაკლისი ამ მხრივ არც სამაჩაბლო იყო.⁴⁵⁶ XVIII საუკუნის II ნახევარში დიდი ღიახვის ხეობაში ლეკები არაერთხელ შემოიჭრნენ.⁴⁵⁷ ლეკები იტაცებდნენ სამეურნეო ნადავლს, პირუტყვს და ადამიანებს. სათავადო სახლის წარმომადგენლები გატაცებული ყმა-გლეხების გამოსასყიდ თანხას იხდიდნენ. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის

455 AKAK, T. V, 1873, სტ. 48-49, #82.

456 ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011, გვ. 97.

457 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 200.

შუა ხანებში შედგენილი იასე მაჩაბლის მიერ დაღესტნელთაგან დატყვევებული გლეხების დახსნის დავთარი: „ქ. ქემერტს, რომ ჯარი მოვიდა და სასახლის კოშკი აიღეს, მაშინ იმ ლეკებისგან დავისხენ. ესენია: ქ. დათაშვილის გიორგის შვილი ექვს თუმანათ. ქ. ნადირაძე ორ თუმანათ. ქ. მამუკა ფეხშიშველაშვილი ხუთ თუმანათ. ქ. ოთარა ვარდიელაშვილი (მივეც ერთი ცხენი) ერთის თუმანის ტყვედ იყო.“⁴⁵⁸ ხშირად მოტაცებული გლეხები თვითონ ახერხებდნენ თავის დახსნას. სწორედ ამის გამო 1765 წელს ერეკლე II მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ტყვეობიდან გამოქცეული ყმა-გლეხის მიმართ წინანდელ ბატონს „ხელი“ აღარ ჰქონდა.⁴⁵⁹ გლეხს უფლება ეძლეოდა თავისუფლად გაეგრძელებინა ცხოვრება, ან სასურველი მესაკუთრე შეერჩია. ტყვეობიდან თავდახსნილი გლეხების უმრავლესობა სახასო, ან საეკლესიო ყმა ხდებოდა. თავისუფლებას მხოლოდ მცირე ნაწილი ინარჩუნებდა, ისინი ხელახალ დაემეგებას არჩევდნენ, რადგან დაუცველები იყვნენ.⁴⁶⁰ XVIII საუკუნის II ნახევრის დოკუმენტებში გატაცებული გლეხების ტყვეობიდან თავის დახსნის არაერთი ფაქტი გვხვდება. მაგ. მითითებული პერიოდის ცხინვალის და მისი შემოგარენი სოფლების მოსახლეობის აღწერის დავთარში იხსენიება, ცხინვალში მცხოვრები: „ხიზანი ტყვეობიდან მოსული თიღველი კავაძე

458 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. III, თბ., 1955. გვ. 173-174.

459 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 513, დოკ. 409.

460 ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 217.

გოგია ბატონიშვილის გიორგის ყმა კომლი ა, თავი ა.⁴⁶¹ ამავე პერიოდის მეორე დავთარში იხსენიება, ძალნაში გოგია ფალავანდიშვილის ყმა: „ბოგანო ოქონელი ტყვეობიდან მოსული ჯმუხაძე ანდრია, შეუძლებელი თავი ა).“⁴⁶² დოკუმენტებში არ ჩანს, თუმცა სავარაუდოდ გატაცემულმა გლეხებმა გაქცევით უშველეს თავს, ან შესაძლებელია მფლობელებმა გამოისყიდეს. გატაცებული და გაყიდული ადამიანების გამოსხნას სამეფო ხელისუფლებაც ცდას არ აკლებდა. ამას ადასტურებს 1792 წლის 14 მარტით დათარიღებული ერეკლე II-მეორე იოსებ მიშკარბაშისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ვარიანიდან ტყვედ წაყვანილი ერთი ადამიანის გამოსხნაზე საუბარი: „შენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ყველა შევიტყვით, აჭარის ამბავიც შევიტყვით. სულეიმან ფაშაშვილს კაცი რომ გამოუგზავნია და გარიგება მოუნდომებია, ისიც შევიტყვით. აზრუმის ფაშის გამოცვლაცა ვცნით და მდივან აფენდის რომ ვარიანელი ტყვე ჰყავს, ამის ბარობაზე რაც ლაპარაკი და დავა გარდაგვხომოდა, ესეები ყველა წვრილად ვიუწყეთ. ძალით ხომ არ იქნება და თუ დაგვახსნევენებ, ჩვენ დიდად დაგვიმადლებთ. ჩვენს ძმას-ისაყ ფაშასაც მოახსენე ჩვენ მაგიერად, რომ თუ მაგ ტყვეს ეშველა

461 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 60.

462 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 82.

რამე, მაგის სადღეგრძელო იქნება.⁴⁶³ ზოგჯერ გატაცებული და ტყვედ გაყიდული ქართველები უცხო ადამიანების დახმარებითაც ახერხებდნენ ტყვეობიდან თავის დახსნას. მაგ. 1793 წლით დათარიღებული დოკუმენტით ვიგებთ, რომ ტყვედ გაყიდული სვიმონა ფეიქარი „ორი წელიწადი თეთრი ზღვის პირზედ ლათახია თათარს“ ჰყავდა და შემდეგ ერთმა ბერძენმა ქრისტიანმა გამოიხსნა. სვიმონა ფეიქარი ქრისტეს საფლავის მეურვეს - გიორგი XII-ეს მიმართავს: „ჩემო მოწყალეე! ორი წელიწადი თეთრის ზღვის პირზედ ლათახია თათარს ვყვანდი. სხვაგნით რომ არა მეშველა რა, ღმერთმან ეს მამაგონა; ერთს ქრისტიანს ბერძენს შევეხვეწე და უთხარი მე ქრისტეს საფლავის ყმა ვარ და შენის ქრისტეს სიყვარულისათვის მიშველე რამე. ღმერთმან დაუმაღლოს, ეს სიტყვა რომ უთხარი, ამაზედ დიდათ მოიწადინა და მიხსნა, გამამიშო და თქვენის ბედნიერობით ამ საქრისტიანოში მოსვლა მეღირსა.“⁴⁶⁴ როგორც ჩანს სამაჩაბლოდან მოტაცებული ბეჟან კასრაძე მაჩაბლებმა ვერ გამოისყიდეს. მან ვერც თვითონ მოახერხა თავის დახსნა და საბოლოოდ მისრში, ანუ ეგვიპტეში დამკვიდრდა.

463 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910, გვ. 61.

464 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 187.

რა ვიცი თუ ეგვიპტეში გაყიდული ბეჟან კასრაძის შესახებ?

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, ლეკებისგან მოტაცებულ და შემდეგ ეგვიპტეში გაყიდულ ბეჟან კასრაძეს თავისი სახლისკაცებისთვის ფულადი თანხა (რამდენიმე თუმნის ოქროები) გამოუგზავნია. მაჩაბლებს ვარიანში, გორელ ამირაღაშვილთან სამი საკომლო ჰქონდათ დაგირავებული და პაატა კასრაძეს ძმის - ბეჟანის მიერ ეგვიპტიდან გამოგზავნილი ფულით მაჩაბლების მამულები გამოუხსნია, რის სანაცვლოდ კასრაძეებს მაჩაბლებმა გამოხსნილი საკომლოებიდან ფაცინაშვილის ნაქონი მამული დაუტოვეს. ეგვიპტეში გაყიდული ბეჟან კასრაძის მიერ გამოგზავნილი თანხით მისმა სახლისკაცებმა ქემერტში თავდასაცავი კოშკიც ააშენეს. დოკუმენტში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა ქემერტში დღემდეა შემორჩენილი თავდასაცავი ნაგებობა, რომელიც კასრანთ გოდოლის სახელით არის ცნობილი.⁴⁶⁵ აღნიშნული კოშკი სწორედ ლეკებისაგან თავდასაცავად ააგეს ქემერტელმა კასრაძეებმა. კასრაძეების გვარში შემორჩენილია გადმოცემა ეგვიპტეში გაყიდული ბეჟან კასრაძის შესახებ: „პაპაჩემისგან გამიგონია, რომ ეგვიპტიდან ჩვენმა წინაპარმა ოქროები გამოგზავნა და იმ ოქროთი ციხე ააშენეს, ლეკებისგან რომ თავი დაეცვათ.“ (გადმოცემა ჩავიწერეთ 1979 წელს დაბად. ტ. კასრაძის მიერ). არსებობს კიდევ ერთი გადმოცემა, რომლის თანახმად ლეკებს კასრაძეთა საგვარეულოს ორი წარმომად-

⁴⁶⁵ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1984, გვ. 83.

გენელი გაუტაციათ, ბეჟანი და თამაზი. თამაზს ტყვეობიდან გაქცევა მოუხერხებია, ხოლო ბეჟანი ეგვიპტეში გაუყვლიათ. ბეჟან კასრაძის მიერ გამოგზავნილი ფულით კასრაძეებს მახაბლების ყმობისაგან თავი დაუსხნიათ, ერგნეთში მამულები უყვლიათ და იქვე დასახლებულან (აღნიშნული ინფორმაცია სოც. ქსელში გამოაქვეყნა ც. კასრაძემ// www.facebook.com/search/top?q=სამაჩაბლოდან%20ტყვედ%20გაყიდული). კასრაძეთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის, მ. კასრაძის ცნობით, კასრაძეების კომპი ჯვარციხის სახელით იყო ცნობილი დოკუმენტებში, კასრაძეების ციხედ მხოლოდ საუბარში იხსენიებდნენ (აღნიშნული ინფორმაცია სოც. ქსელში გამოაქვეყნა მ. კასრაძემ// www.facebook.com/search/top?q=სამაჩაბლოდან%20ტყვედ%20გაყიდული). თუმცა ჯვარციხის შესახებ დოკუმენტურ წყაროებში ვერაფერს მივაკვლიეთ. აღნიშნული კომპი შესწავლილ იქნა 1981-1983 წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ექსპედიციის დროს. XVIII საუკუნით დათარიღებული ძეგლის აღწერაში ვკითხულობთ: „კომპი დგას სოფლის ცენტრში, „კასრაანთ უბანში“. სამსართულიანი, ცილინდრული კომპი ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, სქელ დუღაბზე. სართულები ერთმანეთს ქვის ხვეული კიბეებით უკავშირდება. პირველიდან მეორეზე ასასვლელი კიბე სამხრეთ კედელშია, ხოლო მეორედან მესამეზე - ჩრდილოეთით. კომპი სრულდება ქონგურებით. მესამე სართული გეგმით კვადრატია. აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში ფართო, თაღოვანი ნიშებია. ნიშებში სათოფურებია გაჭრილი. სამხრეთ

თით ორ ნიშს შორის თაღოვანი ბუხარია. ჩრდილოეთი კიბის უჯრედში ორი სათოფურია. მეორე სართული გეგმით წრიულია. კედლები დანაწევრებულია შეისრულთაღიანი ნიშებით. ნიშებში დატანილია სათოფურები. ჩრდილოეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთით ხის ნაოთხალი კარია, დასავლეთით თაღოვანი ბუხარი. გადახურვა მეორესა და მესამე სართულს შორის სფერული იყო, ამოყვანილი აგურის რადიალური რიგებით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია. პირველი სართული გეგმით კვადრატია. გადახურულია შეისრული კამარით. აღმოსავლეთ კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში თითო სწორკუთხა ნიში. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარის წირთხლები მორღვეულია. კოშკის სამხრეთი კედელი დაშენებულია კლდის ქანზე. ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით. კედლები შიგნიდან დაბზარულია.⁴⁶⁶ ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის და სოფელ ქემერტში შემორჩენილი გადმოცემების გარდა სამაჩაბლოდან მისრში (ეგვიპტეში) გაყიდული ბეჟან კასრაძის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, ქემერტელ კაცს ეგვიპტეში არაერთი ქართველის მსგავსად მაღალი თანამდებობა ეკავა და სხვა შემთხვევაში იგი თავის ძმას და სახლისკაცებს ტყვეობიდან ვერ დაეხმარებოდა. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ეგვიპტის მმართველ ელიტაში განსაკუთრებით გაძლიერდნენ ქართველი მამლუქები. ოსმალეთის

466 შიდა ქართლი, I, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა (ცხინვალის რაიონი) 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბ., 2002, გვ. 182-183.

იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის მართვის სადავეები წარმოშობით ქართველმა ალი ბეგმა ჩაიგდო, რომელიც 1768 წელს შეის ალ-ბალადი და ეგვიპტის მბრძანებელი გახდა. ალი-ბეგის გარდაცვალების შემდეგ 1773 წელს ოსმალეთის სულთანმა ეგვიპტის ვალის პოზიციაზე ხალილ-ფაშა დაამტკიცა, ხოლო შეის ალ-ბალადი მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბი გახდა. მის სახელს უკავშირდება მამლუქთა ლაშქრობა პალესტინაში. მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის შეის ალ-ბალადი გახდა ისმაილ ბეგი, რომელიც მალე მეტოქეების მწვავე დაპირისპირების გამო სტამბოლში გაიქცა. ძალაუფლებას ორი მამლუქი დაეუფლა იბრაჰიმ ბეგ შინჯიკაშვილი (გარდ. 1813 წ.) და, სავარაუდოდ, ასევე ქართველი მურად ბეგი (გარდ. 1801 წ.).⁴⁶⁷ XVIII საუკუნის მეორე ნახევარ-

467 მ. ტიკაძე, არაბული ქვეყნები ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI ს.-XIX ს. დამდეგი), თბ., 2012, გვ. 29,30,31. <http://mematiane.ge/product-details.php?id=1794>; <https://intermedia.ge/statia/100842-arabuli-samyaros-qarTveli-mmarTvelebi/89/> ცნობილია, რომ იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სახელს უკავშირდება სოფელ მარტყოფში, ეგვიპტის ქართველი მმართველის მშობლიურ სოფელში ლეკთაგან თავდასაცავი კოშკის აშენება. ვ. ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016, გვ. 253. იბრაჰიმმა მოხუცი დედის საპატრიარქოდ მარტყოფში ეკლესიაც ააგო, 1778 წელს. იბრაჰიმ ბეგს მიწერ-მოწერა ჰქონდა ერეკლე II-სთან. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000775/>. ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 253. იბრაჰიმ ბეგმა და მურად ბეგმა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს ძალაუფლება. ისინი დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ ოსმალეთის ხელისუფლებას. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავების ფონზე ეგვიპტის მამლუქთა მმართველი რგოლი რუსეთის დახმარებას იმედოვნებდა. ეს იმედი კიდევ უფრო გაამყარა 1787 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყებამ. რუსეთის ხელისუფლება მართლაც გეგმავედა ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ბალტიის ზღვიდან

ში ეგვიპტის მმართველ ალი ბეგის გარემოცვაში მრავალი ქართველი მამლუქი მოღვაწეობდა. ესენი იყვნენ: ალი-ბეგ ალ-ტანტავი, ისმაილ ბეგი, ხალი-ბეგი, აბდ-არ-რაჰმან ბეგი, რიდვან ბეგი, ჰასან ბეგი, მუსტაფა-ბეგი, აკიპ-ბეგი, იუსუფ ბეგი, ზული-ფარიკ-ბეგი.⁴⁶⁸ იბრაჰიმ ბეგის და მურად ბეგის გარემოცვაში როგორც გ. ჯაფარიძემ დაადგინა მოღვაწეობდნენ ქართველი მამლუქები: შულეიმან ბეი, მუსტაფა ბეი, ემირ ჰაჯი, პატარა იბრაჰიმ ბეი, ქილარჯი აჰმად ბეი, ლაჩინ ბეი, აშხარ ოსმან ბეი, ჯიუტ უსეინ ბეი სილხტარი, დიდი ევი ბეი, თახტავი ასა ბეი.⁴⁶⁹ სამწუხაროდ ვერ დავადგინეთ სამახაბლოელი ბეჟან კასრაძის ეგვიპტური სახელი და გვარი.⁴⁷⁰

ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ფლოტის გაგზავნას, თუმცა ამ ყველაფერს ხელი რუსეთ-შვედეთის 1788 წლის ომმა შეუშალა. გ. ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016, გვ. 211. ეგვიპტელი მამლუქების მმართველობას ჯერ ნაპოლეონის გამანადგურებელმა ლაშქრობამ მიაყენა უმძიმესი დარტყმა, საბოლოოდ კი მამლუქთა არსებობა ეგვიპტეში ოსმალთა მიერ დანიშნულმა მმართველმა ალბანური წარმოშობის მუჰამედ ალიმ დაასრულა 1811 წელს. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248. ჩვენ მიერ წარმოდგენილი კასრაძეების სიგელი, როგორც მიუთითებდით, 1780 წლით თარიღდება. ბეჟან კასრაძის მიერ ეგვიპტიდან თანხის გამოგზავნა 1780 წლის ახლო ხანებში უნდა ვივარაუდოთ. სავარაუდოდ იბრაჰიმ ბეგ შინჯიკაშვილის მიერ მარტყოფში თანხის გამოგზავნა და ბეჟან კასრაძის მიერ თავის ოჯახისადმი გაწეული ფულადი დახმარება ეგვიპტიდან თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. ბეჟან კასრაძე დიდი ალბათობით იბრაჰიმ ბეგის ახლო გარემოცვაში იყო.

468 გ. ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016, გვ. 188-192.

469 იქვე, გვ. 192-199.

470 უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში დამკვიდრებული ქართველი მამლუქები სამშობლოსთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ და ისინი ოჯახებს ხშირად ეკონტაქტებოდნენ, ზოგჯერ

1798 წელს ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობას არაერთი ქართველი მამლუქი შეეწირა.⁴⁷¹ გადმოცემით, სწორედ ფრანგებთან ომს ემსხვერპლა ბეჟან კასრაძე. (გადმოცემა ჩავიწერეთ სოფელ ქემერტიდან დეენილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნ. ოთინაშვილისაგან). ფაქტია, რომ მრავალი უბედურების და განსაცდელის მნახველმა, შორეულ ეგვიპტეში გადახვეწილმა კაცმა არ დაივიწყა სამშობლო, სოფელი, ოჯახის წევრები. მისი შემწეობით კასრაძეებმა მამულიც მიიღეს და ქემერტში ლეკებისაგან თავდასაცავი კოშკიც ააშენეს. ეგვიპტიდან გამოგზავნილი თანხით აშენებული კასრაანთ გოდოლი, ისევე როგორც სხვა არაერთი ძეგლი 2008 წლის აგვისტოს ომის

კი მათ ეგვიპტეში სტუმრობდნენ ოჯახის წევრები. მაგ. ალი-ბეგ ალ ქაბირმა თავის ერთგულ ქართველ მამლუქს ალი ბეგ ატ-ტანტავის დაავალა აფხაზეთში მოქცევნა და ეგვიპტეში ჩაეყვანა თავისი მამა. მას თან ახლდნენ ალი ბეგის და (იაგუნდი) და დისშვილი (რიდვანი). ისმაილ ბეგ ალ-ქაბირს, როდესაც ის შაიხ-ალ-ბალადი გახდა (1777 წ.) ეგვიპტეში მამა ესტუმრა სხვა ქართველი ბეგების მშობლებთან ერთად. 1778 წელს იბრაჰიმ ბეგ შინჯიკაშვილმა ძმა და სიძე მიიპატიჟა ეგვიპტეში, დაასაჩუქრა და უკან გამოისტუმრა. 1778 წელს ეგვიპტეში 8 ქართველი ჩავიდა. მათი ხელმძღვანელი მურად ბეგის ნათესავი ყოფილა. ძმა სტუმრობდა ეგვიპტეში ასევე მურად ალას, რომელსაც დაბრუნება დაუგვიანდა და მან თავის ყოფილ ბატონს ოთარ ამილახვარს საგვანგებო წერილი გამოუგზავნა. ქართლ-კახეთის მეფესთან ერეკლე მეორესთან ეგვიპტეში მოღვაწე ქართველ მამლუქებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ. ამას ადასტურებს 1786 წელს სულაიმან ალა ანაფის მიერ ერეკლესადმი გამოგზავნილი წერილი, სადაც ის ავალიშვილთა ემობიდან ძმის დახსნას სთხოვდა. მსგავსი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ქართლ-კახეთის მონარქს იბრაჰიმ ბეგ შინჯიკაშვილმა. გ. ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016, გვ. 252-253.

471 იქვე, გვ. 236.

შემდეგ საოკუპაციო ძალების მიერ გავლებული მავთულხლართს მიღმა დარჩა და მისი ბედი დღეისათვის უცნობია. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში კასრაძეთა რამდენიმე წარმომადგენელი იხსენიება, მათ შორის: პაატა, მისი ბიძაშვილი პეტრე, ივანე, ოთარი, გიო, ბეჟანი⁴⁷² და მოსე. აღნიშნული დოკუმენტი 1780 წლის 10 ოქტომბრით თარიღდება. ინფორმაცია საბუთში დასახელებული რამდენიმე პირის შესახებ XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი დიდი ლიახვის ხეობის სოფლების აღწერის დავთარმაც შემოინახა, სადაც ვკითხულობთ: „ქემერტს ფარსადან მაჩაბლის ყმა: ქ. აქავ კასრაძე პაატა, პეტრე, ნინია, ოთარა, გივი (ეს იგივე ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებული გიო კასრაძეა - გ.ს.) კომლი ა, თავი ე. ქ. აქავ კასრაძე თოთია, შიო, ნინია კომლი ა, თავი გ. აქავ კასრაძე ნასყიდა კომლი ა, თავი ა. ქ. აქავ კასრაძე მღვდელი ონოფრე, ამისი ძმა ნიკოლოზ კომლი ა, თავი ბ...“⁴⁷³ როგორც ვხედავთ, დავთარში პაატა, პეტრე, ნინია, ოთარა და გივი კასრაძეები ერთ კომლად არიან მოხსენიებულნი. დავთრის ზუსტი თარიღი არ ვიცით, თუმცა ის მაჩაბლების ხელმოწერილ სიგელზე გვიან უნდა იყოს შედგენილი, რადგან ლეკებისგან მოტაცებული და ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ბეჟან კასრაძე აღარ იხსენიება. დავთრის შედგენის

472 როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ქემერტში მცხოვრებ კასრაძეების საგვარეულოში ორი ბეჟან კასრაძე იყო. ტყვედგაყიდულის გარდა ბეჟანი ერქვა პაატა კასრაძის ბიძაშვილსაც.

473 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 69.

დროს სავარაუდოდ გარდაცვლილი იყო მოსე კასრაძეც, პაატა კასრაძის კომლის წევრი, რომელიც მაჩაბელთა სიგელში გვხვდება. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოხსენიებული პაატა კასრაძე მორიგე ჯარში გამოსაყვან მებრძოლთა სიაშიც შეუყვანიათ. ქემერტიდან 1774 წლის დეკემბრიდან 1775 წლის მარტის ჩათვლით მორიგე ჯარში იესე მაჩაბლის ყმები: პაატა კასრაძე და მისი სახლისკაცი ნიკოლოზი უნდა გამოსულიყვნენ.⁴⁷⁴ ის აზრი, რომ თითქოს ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ბეჟან კასრაძის მიერ გამოგზავნილი ფულით კასრაძეებმა მამულები იყიდეს სოფელ ერგნეთში და იქ დასახლდნენ, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ზემოთ დასახელებულ დავთარში უკვე იხსენიებიან ერგნეთში მცხოვრები კასრაძეები, რომლებიც მაჩაბლის ყმობაში იყვნენ: „ერგნეთს მაჩაბლის ყმა: ქ. კასრაძე ოთარა, ხოსია და ნინია და ნასყიდა კომლი ა, თავი დ.“⁴⁷⁵ როგორც ჩანს ერგნეთში ოთარ კასრაძის კომლში სამი ოჯახი ცხოვრობდა. დავთრის მიხედვით ორი ოთარ კასრაძე (ისევე როგორც ნინია კასრაძე) იყო, ერთი ქემერტში (ის ოთარ კასრაძე, რომელიც მაჩაბლების მიერ გაცუ-

474 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 129. იასე მაჩაბელი აქტიურად უდგა მხარში ერეკლე II-ეს. მან რამდენჯერმე გამართა ჩერქეზებთან მოლაპარაკება ერეკლესთვის დამხმარე ჯარის ჩამოყვანასთან დაკავშირებით. გ. სოსიაშვილი, მაჩაბლებლების ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, „ქართული დიპლომატია“, წელიწადეული, 18, 2018, გვ. 113-132. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში იასე მაჩაბელი არ იხსენიება, ის ან გარდაცვლილი იყო საბუთის შედგენის დროს, ან სახლისკაცებს გაეყარა და პაატა კასრაძე სათავადო სახლის სხვა წევრების საკუთრებაში გადავიდა.

475 იქვე, გვ. 72.

მულ სიგელშიც იხსენიება), ხოლო მეორე ერგნეთში. ამ დროისთვის კასრაძეები ცხოვრობდნენ ცხინვალშიც. XVIII საუკუნის II ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთარში ცხინვალში იხსენიებიან ფარსადან მაჩაბლის ყმები: „ქ. კასრაძე მღვდელი იოსებ და ამისი ბიძაშვილი გიორგი და ტეტია კომლი ა. თავი გ.“⁴⁷⁶ სულ სამი ოჯახი.

მაჩაბელთა მამულები ვარიანში

დოკუმენტის მიხედვით მაჩაბლებს სამ საკომლო მამული ვარიანში ვინმე ამირადაშვილისთვის დაუგირავებიათ. XVII-XVIII-XIX საუკუნეებში მაჩაბლების სათავადო სახლის საკუთრებაში ათეულობით სოფელი იყო, იქ მოსახლე ყმა-გლეხებით, მათ შორის როგორც დიდი ღიახვის ხეობის შუა და ზემო წელზე, ასევე შედარებით სამხრეთით მდებარე სოფლებში. მაჩაბლებს ყმები ჰყავდათ პატარა ღიახვის და ფრონეების ხეობებშიც.⁴⁷⁷ დიდი ღიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებიდან გვიანფეოდალურ პერიოდში მაჩაბლებს ყმები ეკუთვნოდათ სოფელ ვარიანშიც. მაჩაბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებისთვის ვარიანში ყმები ქართლის მეფეს როსტომს გადაუცია.⁴⁷⁸ ვარიანში მაჩაბლების ყმები და მამულები დასტურდება უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტებითაც, კერძოდ, 1754 წელს, თეიმურაზ II-ის მიერ გაცემული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იესე

476 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 57.

477 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 58-60.

478 დ. ახლოური, შიდა ქართლის სოფლების ისტორიიდან (ვარიანი), მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. IV, თბ., 2023, გვ. 10.

მაჩაბელი თავის სახლისკაცებს ბარძიმს, ძაღლუას და ზაზას ვარიანში მამულებს ედავებოდა.⁴⁷⁹ 1789 წლის ერთ-ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ ფარსადან მაჩაბელმა ვარიანში ერეკლე II-ისაგან ბოძებული ხოდაბუნი წაართვა მეთოდი მდივანბეგს, რომელმაც მოწინააღმდეგე თავადს მეფესთან უჩივლა.⁴⁸⁰ ვარიანში მაჩაბლები XIX საუკუნის დასაწყისშიც ფლობდნენ გლეხებს, რაც 1804 და 1818 წლის რუსული კამერალური აღწერებით დასტურდება.⁴⁸¹

დოკუმენტში მოხსენიებული კასრაძეების საგარეულო

კასრაძეთა გვარს მკვლევარები დვალეთიდან გადმოსახლებულად მიიჩნევენ. ცნობილია, რომ მას შემდეგ რაც რუსეთის სამხრეთ სტეპებიდან ჩრდილოეთ კავკასიისკენ დაძრულმა ალანება დვალეთის, ამ უბეგლესი ქართული მხარის ასიმილაცია მოახდინეს. დვალთა ერთი ნაწილი ალან-ოსებს შეერია, ხოლო დიდი ნაწილი კავკასიონის პირაქეთა მხარეს გადმოსახლდა და გაოსებისგან თავი გადაირჩინა. დვალეთიდან ჩამოსახლებულ გვართა შორის იყვნენ კასრაძეები. გადმოცემით, კასრის ხევში მიქელგაბრიელი გაუწყრა ხატის მსახურ ერთ-ერთ მაცხოვრებელს, რომელიც იძულებული გახდა აყრილიყო და ბარისკენ წამოსულიყო.⁴⁸² რო-

479 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 214.

480 დ. ახლოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-16.

481 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორი, 2021, გვ. 74, 492-496.

482 ვ. ითონიშვილი, ეთნიკური ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008, გვ. 29.

გორც ვ. ითონიშვილი აღნიშნავს, კასრაძეები დიდი ლიახვის ხეობაში დამკვიდრდნენ (ქემერტი, კეხვი, ქურთა, ცხინვალი), მათი ერთი ნაწილი რაჭაში გადასულა და იქ ქასრაძეების ფორმით არსებობდა. რაჭიდან ქასრაძეების ერთი ნაწილი იაშვილებთან დავის გამო ტყიბულში გადავიდა. დვალეთიდან წამოსული კასრაძეების ერთი შტო ცხოვრობდა კავთისხევში (ნასერაძეების ფორმით).⁴⁸³ კასრაძეების დვალურ წარმომავლობას ადასტურებს ერთი ხალხური ლექსი, სადაც მონადირე, დვალი კასრაძე იხსენიება.⁴⁸⁴ დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული კასრაძეები როგორც მიუვითიებდით, ცხოვრობდნენ ქემერტში, ცხინვალში, ერგნეთში. ეს დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტური მასალით, მოსახლეობის აღწერის დავთრებით, ასევე დიდი ლიახვის ხეობაში შემორჩენილი ეპიტაფიებით. თავის დროზე, სოფელ ქემერტში ძველი ეკლესიის აღმოსავლეთით მიკვლეულ საფლავის ქვაზე პროფ. ი. მეგრელიძემ ამოიკითხა 1876 წლით დათარიღებული მღვდელ ანტონ კასრაძის ეპიტაფია. იქვე, ახლოს, მკვლევარს უნახავს „პრინციპი“ ფეოდორე გაბრიელის ძე კასრაძის 1876 წლით დათარიღებული საფლავის ქვის წარწერაც.⁴⁸⁵ ქემერტელი კასრაძეების სიძე გახლდათ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკად. კ. კეკელიძე, მას ცოლად ჰყავდა მინადორა დიმიტრის ასული კასრაძე. დვაწმოსილი მეცნიერი

483 ვ. ითონიშვილი, ეთნიკური ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008, გვ. 31-32

484 იქვე, გვ. 30-31.

485 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, I, თბ., 1983, გვ. 82.

ხშირად ისვენებდა დიდი ღიახვის ხეობაში. 1953 წლის ივლისში იგი მეუღლის კარ-მიდამოში მოუნახულებია დიდი და პატარა ღიახვის ხეობების სიძველეთა ცნობილ მკვლევარს ი. მეგრელიძეს.⁴⁸⁶ XIX საუკუნის დასაწყისში, კასრაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ ერგნეთში. აღნიშნულ სოფელში 1818 წლის რუსულ კამერალურ აღწერაში მოხსენიებული არიან გიორგი და ქიტესა კასრაძეების ოჯახები, რომლებიც მიხეილ მაჩაბლის საკუთრებას წარმოადგენდნენ.⁴⁸⁷ იმავე აღწერის მიხედვით ქემერტში ცხოვრობდნენ თეიმურაზ ფარსადანის ძე მაჩაბლის საკუთრებაში მყოფი კასრაძეების რამდენიმე ოჯახი (ოთარ, გიორგი, ივანე და ნინია კასრაძეების).⁴⁸⁸

დოკუმენტში მოხსენიებული მაჩაბლები

დოკუმენტში მაჩაბელთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელია მოხსენიებული. კასრაძეებს წყალობის სიგელი ებოძათ გიორგი მაჩაბლის და მისი ოჯახის წევრებისაგან. აღნიშნული საბუთის გარდა მითითებულ პირებს (ზურაბი, ლუარსაბი, ფარსადანი, რევაზი, ელიზბარი, იოსები, დავითი, დიმიტრი და ზაალ მაჩაბლები) არაერთი დოკუმენტური წყარო იცნობს. ფარსადან მაჩაბელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II 1785 წლით დათარიღებულ წერილში ბრწყინვალე თავადს უწოდებს. ფარსადანს მარბიელი ლეკების წინააღმდეგ ოსთა დაქირავებული რაზმების გამოყვანა ევალებოდა.

486 ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, I, თბ., 1983, გვ. 83.
 487 ი. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 413-414.
 488 იქვე, გვ. 456-457.

ერეკლე II-ის წერილში ვკითხულობთ: „ქ. ბრწყინვალეს თავადს, მაჩაბელს, ხევისთავს ფარსადანს და ბაადურისშვილსა ბარძიმს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეთში მიგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვიდნენ და თამარაშენს და იმ ადგილებში ორსაოდე კვირას დადგნენ, თუ ვინ იცის იმ ლეკის ჯარმა მანდეთკენ მოსვლა მოინდომონ ბრძოლა აუტეხონ და არ შემოუშვან.“⁴⁸⁹ ფარსადან მაჩაბელს XVIII საუკუნის II ნახევარში ყმები ჰყავდა ცხინვალში, ქურთაში, სვერში, ქემერტში, ძარწემში, ხეითში, რუსთავში, დიცში.⁴⁹⁰ პლატონ იოსელიანის ცნობით ფარსადან მაჩაბელი იყო: „შინა ყმა მეფისა, ოვსთა ჯარისა მკრებელი და ხარკისა სახასოს მომგროვებელი.“⁴⁹¹ დოკუმენტში მოხსენიებული ფარსადან, ლუარსაბ, ელიზბარ, რევაზ და დათუა მაჩაბლები XVIII საუკუნის II ნახევრის დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთარში ერთ კომლად არიან მოხსენიებულნი.⁴⁹² სავარაუდოდ, ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებული გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ სათავადო სახლის უფროსი ფარსადან მაჩაბელი გახდა. მას დიდი ლიახვის ხეობაში უამრავი ყმა-მამული ეკუთვნოდა. ელიზბარი, ლუარსაბი, რევაზი და დიმიტრი მაჩაბლები როგორც ერთი ოჯახის წარმომადგენლები სხვა სახლისკაცებთან ერთად

489 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. II, ტფ., 1909, გვ. 199-200, № 211.

490 ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 68, 69, 70, 72.

491 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ. თბ., 1978, გვ. 249.

492 ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

იხსენიებიან 1798 წელს გიორგი XII-ის მიერ გაცემულ სიგელში. დოკუმენტის მიხედვით მაჩაბლებს ვარიანში სახასო ყმა და მამული გადაეცათ.⁴⁹³ ფარსადან მაჩაბელი გიორგი XII-ის გამეფების მერე მალე გარდაიცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღნიშნულ სიგელში ნახსენები იქნებოდა. კასრადეების სიგელში მოხსენიებული ზაალ მაჩაბელზე ცნობას გვაწვდის ალ. ორბელიანი. მისი გადმოცემით, დიდი ღიახვის ხეობელი ფეოდალი ქართლ-კახეთის მეფის-ერეკლე II-ის ერთგული პიროვნება იყო.⁴⁹⁴ 1804 რუსული აღწერის მიხედვით ლუარსაბ და რევაზ მაჩაბლებს ყმები ჰყავდათ: მეღვრეკისში, ძარწემში, საბაწმინდაში, აჩაბეთში, ქვემო ნიქოზში.⁴⁹⁵ გიორგი მაჩაბლის ვაჟი ლუარსაბი დიდი ღიახვის ხეობაში რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ XIX საუკუნის დასაწყისში არსებული გამოსვლების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ლუარსაბ მაჩაბელი ეხმარებოდა რუსთა წინააღმდეგ ამხედრებულ იულონ, ფარნაოზ და ლევან ბატონიშვილებს, რის გამოც 1810 წელს: „მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პეროპოლიად რუსეთსა შინა...“⁴⁹⁶ კონსტრომაში გადასახლებული ლუარსაბის ოჯახს უფლება მისცეს თბილისში ეცხოვრა. ანტირუსულ მოძრაობაში ეჭვმიტანილი იყო ასევე ფარსადან მაჩაბლის ძმა რევაზ მაჩაბელი, რომელსაც მანამდე ბრალს სდებდნენ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსების ამბოხებაში.⁴⁹⁷ რევაზ მაჩაბელი

493 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 117.

494 იქვე, გვ. 114.

495 იქვე, გვ. 135-136.

496 იქვე, გვ. 239.

497 იქვე, გვ. 235-236.

სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ საცხოვრებლად თბილისში დატოვეს.⁴⁹⁸ დოკუმენტში მოხსენიებული დავით მაჩაბელი კრწანისის (1795 წ.) ომის მონაწილე იყო. მან იოანე ბატონიშვილთან ერთად ბრძოლის ველიდან გამოიყვანა და გადაარჩინა ერეკლე II. ამის შესახებ დავით ბატონიშვილი წერს: „დღესა მას იყო მხნედ მეფის ძის ძე იოვანე სინჯია ქევა საქობოსი ქიზიყელი. ესრეთ უკუთ იყვნენ ესე თუ არა იპოებოდნენ მუნ, შეიპყრობდნენ მეფესა ირაკლისა აბანოს კარსა ზედა, რომელთა ძალით გამოიყვანეს მეფე ავღაბარსა შინა.“⁴⁹⁹ ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის II ნახევარში სამაჩაბლოდან ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ქართველის - ბეჟან კასრაძის შესახებ, რომელიც მონობას არ შეურიგდა, ბედის წყალობით მან ეგვიპტეში დიდ წარმატებას მიაღწია, რაც თავისი ოჯახისათვის ფულადი თანხის გამოგზავნით დასტურდება. ეგვიპტეში მცხოვრები სახლიკაცის დახმარებით კასრაძეებმა მაჩაბლების მამულები გამოისყიდეს და მშობლიურ სოფელში თავდასაცავი კოშკი ააშენეს. როგორც აღინიშნა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კასრაძეების კოშკი, ისევე როგორც მრავალი ქართული ძეგლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა.

498 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, გვ. 239.

499 დავით ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1744-1840 წ.წ. ტფ., 1906, გვ. 44.

**ბრიტანელი მოგზაურების – ჩარლზ ლენარდ
ირბის და ჯეიმს მანგელსის ცნობები
თურქეთში ტყვედ გაყიდული ქართველების
შესახებ
(XIX საუკუნის I მეოთხედი)**

აღამიანთა ვაჭრობა გვიან შუასაუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ოსმალეთში მოსახლეობის გატაცების და გაყიდვის აღმოსაფხვრელად სამეფო ხელისუფლების, თუ საეკლესიო წრეების მხრიდან არაერთი მკაცრი ღონისძიება გატარდა, თუმცა უშედეგოდ. ამ „სარფიანი“ საქმით საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი იყვნენ დაკავებული.⁵⁰⁰ „იქმნა განტყვევა ცოლთა, კლვა კაცთა და იღუმალ ტყვს ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“, ასე აფასებს ვახუშტი ბატონიშვილი XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას.⁵⁰¹ აღამიანებით ვაჭრობის შავბნელ საქმეში ხშირად სასულიერო პირებიც იყვნენ შემწეულები.⁵⁰² XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში, სირიაში და ეგვიპტეში ათასობით აღამი-

500 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 343.

501 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 824.

502 მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, გვ. 313.

ანი გაჰყავდათ.⁵⁰³

საქართველოდან ადამიანთა გაყიდვა-გატაცების ფაქტებს XIX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად პოლიტიკა ძალზე გაამკაცრა. 1802 ივნისში რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ვ. ტამარამ ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დააყენა ადამიანთა ვაჭრობის აკრძალვის საკითხი. რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქართველო უკვე რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და ის არ დაუშვებდა აქედან ეგვიპტესა და ოსმალეთში ადამიანების გაყიდვას.⁵⁰⁴ 1804 წლის 16 ივნისს გენ. ლიტვინოვმა, დასავლეთ საქართველოს „მმართველმა,“ სამეგრელოში გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად თუ ადამიანთა ვაჭრობაში ვინმე იქნებოდა მხილებული, არა მარტო დამანაშე პირი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც სიკვდილით დაისჯებოდნენ.⁵⁰⁵ 1817 წელს გენ. ერმოლოვი რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს კონსტანტინოპოლში ბარონ სტროგანოვს სწერდა, რომ ოსმალეთის ხელისუფლებისთვის პროტესტით მიემართა, რადგან ყარსის, ახალციხის და ტრაპიზონის ფაშები საქართველოს ტერიტორიაზე დათარეშობდნენ და ადამიანებს იტაცებდნენ.⁵⁰⁶ თუმცა, როგორც სტროგანოვის წერილიდან ჩანს, ამ ცდას რაიმე შედეგი

503 ა. კილასონია, ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში, XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006, გვ. 107.

504 Внешняя политика России XIX и начала XX века, Документы Российского министерства иностранных дел, Сер. 1, т. I, М., 1960, стр. 170.

505 Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. II, 1868, тиф., стр. 475.

506 АКАК, т. VI (II), тиф., 1875, стр. 403, 418.

არ მოპყლია⁵⁰⁷. ოსმალეთში საქართველოდან აღმართა გაყიდვის შესახებ ცნობები შემოგვინახეს როგორც ქართულმა, ისე უცხოურმა წყაროებმა. „ტყვეთა სყიდვაზე“ გვიამბობენ ევროპელი მოგზაურები: ჟან შარდენი (XVII ს.),⁵⁰⁸ დონ ქრისტეფორო დე კასტელი (XVII ს.),⁵⁰⁹ დონ პიეტრო ავიტაბილე, (XVII ს.),⁵¹⁰ არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.),⁵¹¹ დონ ჟუზეპე ჯუდიჩე მილანელი, (XVIII ს.),⁵¹² ჟ. პ. დე ტურნეფორი (XVII ს-ს ბოლო, XVIII ს-ის დასაწყისი),⁵¹³ მორიც ვაგნერი (XIX ს-ის I ნახევარი),⁵¹⁴ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (XIX საუკუნის I ნახევარი),⁵¹⁵

507 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX-XX ს. ს. თბ., 1949, გვ. 297.

508 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 211-212.

509 დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 54.

510 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 74-77.

511 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938, გვ. 71-72.

512 დონ ჟუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVIII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 45.

513 ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 57.

514 მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 111.

515 აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011, გვ. 33

ჟაკ ფრანსუა გამბა (XIX საუკუნის I ნახევარი),⁵¹⁶ ედუარდ აიხვალდი (XIX ს-ის I ნახევარი).⁵¹⁷ ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბრიტანელი საზღვაო მაღალჩინოსნების ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ჩანაწერებმა. ჩარლზ ლეონარდ ირბი დაიბადა 1789 წლის 9 ოქტომბერს: ის იყო მეორე ლორდ ბოსტონის ფრედერიკის მეექვსე, უმცროსი ვაჟი. ჩარლზ ლეონარდის დედა - ქრისტიანა, პოლ მეთუენის ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ.⁵¹⁸ მომავალი მოგზაური კონტრ-ადმირალ ფრედერიკ პოლ ირბის უმცროსი ძმა იყო. ირბიმ სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახური 1801 წლის 23 მაისიდან დაიწყო. მოღვაწობდა გემზე „ნარცისი 32“ (the Narcissus) 1803 წლის 8 ივლისს, მან მონაწილეობა მიიღო ფრანგული გემის, ლალსიონის (L-Alcion) დატყვევებაში, რომლის შეიარაღებაშიც იყო 96 მებრძოლი და 16 ზარბაზანი. 1805 წელს, ის გაემგზავრა კეთილი იმედის კონცხზე ექსპედიციაში; შეიარაღებული გემის ლე პრუდენტის (Le Prudent) გარდა, რომელიც 12 ზარბაზნისა და 70 მებრძოლისაგან შედგებოდა, მან დააკავა 22 ზარბაზნიანი გემი „ჰორაციო ნელსონი“ (Horatio Nelson). მის სახელს უკავშირდება ასევე საბრძოლო

516 ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტომი პირველი, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 118.

517 ედუარდ აიხვალდი საქარველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 210.

518 Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1; Roger O. De Keersmaecker, Charles Leonard Irby 1789-1845, James Mangles 1786-1867, <http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>.

გემის „ნაპოლეონის“ (32 ზარბაზანით და 250 მებრძოლით), ხელში ჩაგდება. კონცხის დაცემის და 46 ზარბაზნიანი ფრეგატის (Volontaire) დატყვევების შემდეგ, ბატონი ირბი გადავიდა მდინარე რიო დელა პლატაზე. აქედან ის დაბრუნდა ინგლისში, სადაც შეიტყო ბუენოს აირესის დაპყრობის შესახებ. მცირე ხანში იგი კვლავ სამხედრო სამსახურში გამოიძახეს. ჩარლზ ირბი კაპიტან ღონელისთან ერთად, (გემი „არდენტი 64“ (Ardent) მონტევიდეოს წინააღმდეგ 1807 წლის თებერვლის საბრძოლო მოქმედებებს შეუერთდა,⁵¹⁹ სადაც მსუბუქად დაიჭრა. მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა მონტევიდეო დაიკავეს, ირბი სახლში დაბრუნდა. თუმცა თავის პროფესიული საქმიანობა კვლავ გააგრძელა. სანამ ლეიტენანტის წოდებას მიიღებდა, 1808 წლის 13 ოქტომბერს, რამდენიმე თვის მანძილზე ირბი მსახურობდა „კეთილი იმედის კონცხზე“. ხომალდით „არმიდა“ მიიღო მონაწილეობა ოპერაციაში ამერიკული შეიარაღებული ხომალდის წინააღმდეგ, რომელზეც 100 მებრძოლი იმყოფებოდა და 17 ზარბაზნით იყო აღჭურვილი. 1814 წლის 7 ივნისს, ბატონი ირბი დაინიშნა ხომალდ თემზას 32 (the Thames) მეთაურად, იგი ამავე ხომალდით ახალი ორლენის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობდა, შემდეგ თავისივე თხოვნით, ჯანმრთელობის პრობლემების გამო 1815 წლის მაისში თანამდებობა დატოვა⁵²⁰. ჩარლზ ლეონარდ ირბი გარდაიცვალა 1845 წლის 3 დეკემბერს. 1816 წლის

519 Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 2.

520 Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1-13.

ზაფხულში ირბი თავის ძველ მეგობართან, კაპიტან ჯეიმს მენგელსთან ერთად კონტინენტზე მოგზაურობას შეუდგა. ჯეიმს მენგელსი, ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ჯეიმს მენგელსის (1762–1838) ძმის - ჯონ მენგელსის (1760–1837) და ჰარიეტ კემდენის ვაჟი იყო. მენგელსმა სამხედრო-სახლვაო ძალებში სამსახური 1800 წლის მარტში დაიწყო. ის კაპიტან როს დონელისთან ერთად მსახურობდა ხომალდზე „მეიდსტოუნი“ (Maidstone) ხოლო 1801 წელს კი მსახურობდა ხომალდზე „ნარცისი“ (Narcissus). 1806 წლის 24 სექტემბერს ჯეიმს მენგელსმა ლეიტენანტის წოდება მიიღო. 1811 წელს მან ლეიტენანტის ჩინით სამსახური გააგრძელა ხომალდზე „ბოინი“ (Boyne). 1814 წელს კი ხომალდზე „დუნკანი“ (Duncan). 1815 წლის 13 ივნისს, მენგელსს კაპიტნის წოდება მიანიჭეს.⁵²¹ ჯეიმს მენგელსი 1825 წელს ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრად აირჩიეს, ხოლო 1830 წელს იგი სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საბჭოს წევრი გახდა.⁵²² ჯეიმს მენგელსი გარდაიცვალა 1867 წლის 18 ნოემბერს, 81 წლის ასაკში. როგორც აღვნიშნეთ, 1816 წელს მენგელსმა თავის ძველ მეგობართან ჩარლზ ლეონარდ ირბისთან ერთად, (ვისთან ერთადაც ხომალდ „ნარცისზე“ მსახურობდა), ეგვიპტეში, სირიაში და მცირე აზიაში იმოგზაურა. მოგზაურობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ისინი ესტუმრნენ ეგვიპტეს, აუყვნენ ნილოსს და დაათვალიერეს აბუ-სიმბელის ტაძარი; შემდეგ გადაკვეთეს უდაბნო, გაიარეს სანაპირო, ბაალბეკის

521 Bierbrier M. L. Who Was Who in Egyptology, 2012, p. 353.

522 Dictionary of National Biography, Vol. 36, Malthus Mason, London, 1893, p. 33-34.

და სიღარის გავლით, მოხვდნენ ალექსოში. აქედან გაემგზავრნენ პალმირასა და ღამასკოში, გაუყვნენ იორდანის ხეობას და იერუსალიმში ჩავიდნენ. ამის შემდეგ შემოუარეს მკედარ ზღვას და გადაკვეთეს წმინდა მიწა. ბოლოს ისინი ვენეციური ბრიგის საშუალებით კონსტანტინოპოლს ეწვივნენ. გზაში ორივე მოგზაური დიზენტერიით დაავადდა, რის გამოც იძულებულები იყვნენ კვიპროსზე გაჩერებულბიყვნენ. 1818 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გემით გაემგზავრნენ მარსელში, რომელსაც თავგადასავლებით სავსე 76 დღეში მიაღწიეს. მათი შთაბეჭდილებები 1823 წელს დაიბეჭდა სათაურით: „მოგზაურობა ეგვიპტესა და ნუბიაში, სირიასა და შუა აზიაში 1817-18 წლებში“.⁵²³ 1847 წელს მოგზაურთა წიგნი „მიურეს კოლონიალურმა და სამინაო ბიბლიოთეკამ“ ერთ ტომად გამოსცა.⁵²⁴

523 Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832. p. 4.

524 TRAVELS in EGYPT AND NUBIA, SYRIA, AND THE HOLY LAND including A JOURNY ROUND THE DEAD SEA & THROUGH THE COUNTRY EAST OF THE JORDAN BY THE HON. CHARLES LEONARD IRBY, AND JAMES MANGLES, COMANDERS IN THE ROYAL NAVY. LONDON, 1847. ჩარლზ ლეონარდ ირბისა და ჯეიმს მანგელსის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. იხ. The Hon. Charles Leonard Irby and James Mangles, commanders in the Royal Navy, London 1844, reprint London 1985; Martin R. Kalfatovic, Nile Notes of a Howadji, London 1992; Richard Hill, A Biographical Dictionary of the Sudan, London 1967; Morris L. Bierbrier, Who was Who in Egyptology, 2012; Royal Naval Biography, vol. IV, part I, London 1833; Gentleman's Magazine, C. L. Irby, Obituary, May 1846; J. Mangles, Botanical collector, Australian National Botanic Gardens, Biography; Plants & Fungi: Rhodanthe manglesii Mangles' everlasting; Roger O. De Keersmaecker, Elkab-The Rock Tombs, volume IV, in Travellers' Graffiti from Egypt and the Sudan, Morsel, Antwerpen, 2005.

ასევე იხ. რესურსი:

ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ეგვიპტეში, ნუბიაში, სირიასა და წმინდა მიწაზე მოგზაურობის ამსახველ წიგნში⁵²⁵ (V თავი) გარკვეული ადგილი ეთმობა სირიაში თურქების მიერ მონებად გაყიდულ ქართველ გოგონებს. როგორც ტექსტიდან ჩანს, ჩარლზ ირბიმ და ჯეიმს მენგელსმა სირიის ქალაქ ჰამაში არსებულ სასტუმროში რამდენიმე ღამე გაათენეს. სწორედ აქ უნახავთ ბრიტანელ მოგზაურებს სამშობლოდან

<http://www.worldcat.org/identities/lccn-nr95027868/>

<https://www.bookdepository.com/Cambridge-Library-Collection-Egyptology-Travels-Egypt-Nubia-Syria-Asia-Minor-during-Years-1817-1818-Charles-Leonard-Irby/9781108076197;>

<http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>; <http://www.kew.org/plants-fungi/Rhodanthe-manglesii.htm>; <http://www.anbg.gov.au/biography/mangles-james.html> <http://www.jdhooker.org.uk/collectors3.htm>; <http://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>; <https://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>;

<http://www.eoas.info/biogs/P000616b.htm#pubresources>

http://www.kaowarsom.be/virtual_library/Bierbrier%202012_Who%20Was%20Who.pdf

<https://prabook.com/web/james.mangles/2189554;>

https://threedecks.org/index.php?display_type=show_crewman&id=1616;

www.parksandgardens.ac.uk

<https://www.surreyarchaeology.org.uk/content/manglescollection>

[https://en.wikisource.org/wiki/A_Naval_Biographical_Dictionary/Irby,_Charles_Leonard#cite_ref1;](https://en.wikisource.org/wiki/A_Naval_Biographical_Dictionary/Irby,_Charles_Leonard#cite_ref1)

<https://archive.org/details/travelsthroughs03volngoog/page/n10/mode/2up>

<https://archive.org/details/travelsthroughs01volngoog/page/n10/mode/2up>

525 იბ. TRAVELS in EGYPT AND NUBIA, SYRIA, AND THE HOLY LAND including A JOURNEY ROUND THE DEAD SEA & THROUGH THE COUNTRY EAST OF THE JORDAN BY THE HON. CHARLES LEONARD IRBY, AND JAMES MANGLES, COMANDERS IN THE ROYAL NAVV. LONDON, 1847

მოტაცებული ტყვე ქართველები, რომელთა ნაწილი თურქებს უკვე გაყიდული ჰყავდათ, ნაწილი კი უკეთეს ფასად გაყიდვის მიზნით დამასკოში მიჰყავდათ. ბრიტანელი მოგზაურების ცნობები სირიაში გაყიდული ქართველი გოგონების შესახებ ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ვფიქრობთ, ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ჩანაწერებში შემონახული ინფორმაცია კიდევ უფრო მეტ წარმოდგენას შეგვიქმნის საქართველოში გავრცელებული ადამიანთა ვაჭრობის შესახებ, რომელსაც მრვაღების აკრძალვის მიუხედავად XIX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი.

ჩარლზ ლეონარდ ირბი და ჯეიმს მენგელსი. მოგზაურობა ეგვიპტეში, ნუბიაში, სირიასა და წმინდა მიწაზე

თავი V

ჰამაში¹ გამგზავრება - სარეკომენდაციო წერილები - ქარავანი მექიდან² - ჰამა - სასტუმროები - ქართველი მონები - მოლაპარაკება არაბებთან და მათთან ინტერვიუ - ჰომსი³ - პალმირიდან⁴ გამგზავრება - არაბთა ბანაკი - ინტერვიუ არაბთა მეთაურებთან - არაბთა წვეულება - პალმირას შესანიშნავი ხედი - იმედგაცრუება ნანგრევებთან მისვლისას - მათი აღწერა - არაბთა ბანაკში დაბრუნება - ჰომში მისვლა - ჩვენი მოგზაურობის ხარჯები - არაბთა თვისებები - მათი თვისება არაკეთილსინდისიერება დაუმსახურებელია - დამასკო⁵ - დაგეგმილი მარშრუტის მონახაზი

3 იანვარი. ჰამაში გავემგზავრეთ. ცხენზე ამხედრებული ჩვენი კეთილი და პატივცემული მასპინძელი თავის ძმასთან ერთად ქალაქიდან გასვლის შემდეგ ჩვენთან ერთად ორი საათის განმავლობაში მგზავრობდა. ასეთი ყურადღება გამოიჩინა ჩვენ მიმართ ბატონმა ბარკერმა⁶, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან წერილები გამოგვატანა ჰამაში გუბერნატორის მდივან სელიმთან⁷ და სკანდერთან⁸, - ჰომსის მმართველის მდივანთან; სარეკომენდაციო წერილი მოგვცა აგრეთვე ჰაჯი ჰასანთან⁹ გადასაცემად. ეს გახლდათ ჰომსის უხუცესი თურქი, რომელსაც არაბებთან დიდი კავშირები ჰქონდა.

მათ ჩვენთვის ყველანაირი დახმარების გაწევა დაევალოთ, რათა პალმირაში ჩავსულიყავით. ამის გარდა, მან სხვა წერილებიც გამოგვატანა დამასკოს ფაშას¹⁰ ხაზინადარებთან, სადაც სთხოვდა, რომ თუ ცხენებით მგზავრობა მოგვიწევდა, ცხენებითაც დაგვხმარებოდნენ. ბატონმა ბარკერმა წერილები გამოგვატანა აკრაში, კვიპროსსა და სმირნაში, ბატონ რობერტ და ლედი ლისტონებთან¹¹ და კიდევ რამდენიმე პიროვნებასთან კონსტანტინოპოლში. მან გვათხოვა მონდრელის სირიაში¹², მცირე აზიისა და საბერძნეთში მოგზაურობისთვის ამსახველი რუკა, თუმცა არ დაკმაყოფილდა იმით, რომ აღგვეჭურვა ყველა საჭირო ნივთით და მან, როგორც ადრე აღვნიშნეთ ფულადი დახმარებაც გაგვიწია. მზის ჩასვლისას სასტუმრო „თუმანს“ მივადექით, იგი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად სრულად გადაჭედილი. აქ უამრავ ქარავანს ნახავდით, რომლებიც დამასკოსა და ლატაკიისაკენ¹³ მიემართებოდნენ. მეორე დღეს, ქარავნები როგორც კი დაიძრნენ, ჩვენც მათი მიმართულებით გავეწიეთ; ჩვენი გზა ნახევრად დამუშავებულ, შიშველ მინდვრებზე გადიოდა. დაახლოებით შუადღის სამ საათზე სერმენში¹⁴ გავჩერდით. აქ რამდენიმე სოფელია და ზეთისხილის ხეებიც დგას; სხვაგან ხეებს, ან ტყეს თვალს ვერ მოკრავთ. ჩვენს მარჯვნივ მოჩანდა თოვლით დაფარული კასიუსის მთა¹⁵. 5 იანვარი. მზის ამოსვლისთანავე გზა განვაგრძეთ. ლატაკიას ქარავანთან ერთად შოგჰამდე¹⁶ მისვლა და აქედან მდინარე ორონტესის¹⁷ ნაპირის გაყოლებით ჰამამდე მისვლა გვსურდა, მაგრამ გვაგვიანდებოდა და როცა ჩვენს მარცხნივ პირდაპირ ჰამაში მიმავალი ქარავანი შევნიშნეთ, მისკენ გადავინაცვლეთ

და ამ ქარავანთან ერთად ჰამასა და დამასკოსკენ გავემართეთ. დაახლოებით ათი საათისთვის თურქულ, ოთხკუთხედის ფორმის გაღავნის ნანგრევებს ჩავუარეთ, რომელიც სოფელს გარშემო ჰქონდა შემოვლებული. უდაბნოს განაპირას მდებარე ბევრი ასეთი დასახლება კედლებით არის გამაგრებული, რათა არაბთა თავდასხმებისგან დაიცვან. ცოტა ხანში ძალიან დიდ ქარავანს გადავეყარეთ, რომელიც მექაში ნამყოფი მომლოცველებისგან შედგებოდა და ახლა დამასკოდან ბრუნდებოდნენ - მწვანე დროშა ფრიალებდა, რომელიც წინასწარმეტყველის¹⁸ ბაირალად ითვლებოდა. ქარავანში რამდენიმე აქლემი შედიოდა, თუმცა ცხენები და ჯორები უფრო სჭარბობდნენ, მათ ზარები ჰქონდათ ჩამოკიდებული და მხიარულ ხმას გამოსცემდნენ.⁵²⁶ ქარავანში აღმოსავლური, სპეციალური ტრანსპორტიც იყო. ასეთი მსგავსი მაროკოში¹⁹ მომლოცველებსაც ჰქონდათ, რომლებიც გასულ სექტემბერს კაიროში²⁰ ჩამოვიდნენ; ეს ტრანსპორტი დასაჯდომ სკამს მოგაგონებდათ, იგი ადამიანების ნაცვლად წინ და უკან ცხენებზე იყო დამაგრებული. ერთიც საწოლის მაგვარი სავარძლიანი კარავი იყო, რომელიც ჯორის ზურგზე ჯვარედინად დაედოთ; კიდევ ერთი მათგანი ორი ბავშვის აკვანს მოგაგონებდათ, რომელიც აქლემის ზურგზე კალათასავით მოეთავსებინათ. ტრანსპორტს ფარდები ჰქონდა და ქაღალტონებისა და ავადმყოფებისთვის იყო განკუთვნილი. თითქმის ორი დღე მომლოცველთა ჯგუფებს ვხედავდით. ქარავანში მყოფი თითოეული ცხოველი

⁵²⁶ იმ დღეს ცხენის ზანზალაკებზე იქნება წარწერილი: „სიწმინდე უფალშია.“ მეფეთა წიგნი, ზაქარია, XIV, V. 20..

პილიგრიმების სავაჭრო საქონლით იყო დატვირთული. ასეთი მოგზაურობის დროს მლოცველები კარგად უთავსებდნენ ერთმანეთში ვაჭრობასა და რელიგიას. ძველი ანდაზა ასე უღერს: „მოერიდე მეზობელს, რომელმაც ერთხელ მოილოცა წმინდა ადგილები, ხოლო თუ ეს ორჯერ გააკეთა, მისი იერად დატოვე სახლი.“ თითქმის ყველა გლეხი საცხოვრებელ სახლებთან ვაჭრობს. ისინიც პილიგრიმების მსგავს საქმიანობას ეწევიან. დღეს ვიხილეთ რომის იმპერიის დროინდელი, რომაულ ნაგებობათა ნანგრევები, ასევე ქვისგან დამზადებული სარკოფაგები. დაახლოებით სადამოს 2 საათზე, ღამის გასათევად მარაში²¹ გაეჩერდით და კარგ ადგილას გვეძინა. მეორე დღით ლიბანში²² გავემგზავრეთ; კასიუსის მთას ჩრდილოეთით ანსარიის მთები²³ ემიჯნება. ძველი ქალაქების ადგილებს, წყალსაცავებს და სარკოფაგებს ჩაუვარეთ. თითქმის ყოველივე განადგურებული და ნაკლებად საინტერესო ეს ყველაფერი მხოლოდ იმას მეტყველებდა, რომ აღნიშნული ტერიტორია ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. აქ მხოლოდ ერთი მეორეზე გადაბმული მოტიტველებული მინდვრები გხვდებათ, სადაც უამრავი ქურციკი, კაკაბი, კურდღელი, სავათისებრნი და სხვა ცხოველები ბინადრობენ. ღამე სასტუმრო „შექუნში“ გავათენეთ, რომელიც ხელოვნურ გორაკთან მდებარეობს. მთელი დღის მანძილზე არაერთი ასეთი გორაკი შეგვხვდა. ეს გორაკები სალისბერის²⁴ მდელის და ინგლისის კიდეც სხვა ნაწილს მოგაგონებთ. სასტუმრო მოგვეწონა, მაგრამ მლოცველების დაბრუნების გამო ხალხით იყო გადატვირთული. 7 იანვარი. ჩვენი გზა ისევ ფართოდ გა-

დაშლილ, ნახევრად დამუშავებული მინდვრების და ანსარიის მთების მასივის პარალელურად გადიოდა. ჩვენს თვალწინ ლიბანი და ანტილიბანი²⁵ გადაშლილიყო. დაახლოებით დღის 3 საათზე, ჰამაში ჩავედით. უკანასკნელი ერთი საათის განმავლობაში ძალზე ლამაზი გზა გავიარეთ, იგი დაბლა მინდორში ეშვებოდა, საიდანაც მდინარე „ორონტესი“ უხვევს. მდინარის ერთი ნაპირი დამუშავებულია, ხე-ტყიანია, ბაღებშია ჩაფლული; ხოლო მეორე ნაპირზე უამრავი წვრილი კლდე გვხვდება. მდინარეზე უზარმაზარი ბორბლებია გამართული, რომლებსაც დინება ატრიალებს წყლის დონის ასაწევად, რათა ნიადაგი მორწყონ. ჰამა ბერძნებისა და რომაელების ღვთიური ადგილია. იგი უძველესი ჰამასის ტერიტორიაა, რომელიც დამასკოსთან, ლიბანთან და სხვა მომიჯნავე ადგილებთან ერთად სხვადასხვა რელიგიურ წიგნშია მოხსენიებული; მათი სახელები მომდინარეობს ქანაანის,²⁶ ნოეს²⁷ ვაჟის – ქამის²⁸ მეოთხე შვილის (არაბულ წყაროებში ქანაანი/ჰანაანი მოხსენიებულია, როგორც ნოეს მეოთხე ვაჟი - [https://simple.wikipedia.org/wiki/Canaan_\(son_of_Noah\)](https://simple.wikipedia.org/wiki/Canaan_(son_of_Noah))) ვაჟების სახელებისაგან, რაც მის ღრმა ანტიკურობაზე მიგვანიშნებს. ჰამას არაჩვეულებრივი მდებარეობა გააჩნია ჩაღრმავებულ ადგილას, ორ გორაკს შორის, მდინარე „ორონტესის“ დასავლეთ ნაპირთან; თუმცა დღესდღეობით არანაირი დანიშნულება არ აქვს. სასტუმროში გავჩერდით. ქალაქში არსებული სასტუმროები მნიშვნელოვნად განსხვავდება გზისპირა სასტუმროებისგან. გზაზე განთავსებული სასტუმროების მსგავსად ესენიც დიდ სივრცეს მოიცავენ, მაგრამ განსხვავებულად არიან აშენებულნი. სასტუმრო

გამიზნულია იმ მგზავრებისთვის და ვაჭრებისთვის, ვისაც ქალაქში საქმე აქვს, სადაც საქონელს ყიდიან და პირად საქმეებსაც აგვარებენ. გზისპირა სასტუმროები კი მგზავრებსა და მათ პირუტყვს მხოლოდ ღამის გათენებასა და უსაფრთხოებას სთავაზობენ. ასეთ სასტუმროში ოთახი ღია ადგილს წარმოადგენს, სადაც ადამიანებს და მათ ცხოველს ერთად სძინავთ. ოთახები არ არის დაყოფილი და შესაბამისად არც გადასახადია. სასტუმროებს ქალაქში ღია ადგილების ნაცვლად, პატარა კეთილმოწყობილი ოთახები აქვთ ორ სართულზე. თითო ოთახი, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ საკანი, 12 კვადრატული მეტრისაა და კარები აქვს (გასაღები ხელმისაწვდომია) მინის ფანჯრების ნაცვლად რკინისგისოსიანი ფანჯარა გააჩნია. ვფიქრობ, თავდაპირველად სასტუმროები უფასო იყო, -გზისპირზეც და სოფელშიც, რადგან ერთი პატარა შესასვლელი აქვთ და ქალაქში ყველაზე დაცულ ადგილად მიიჩნევა. ქალაქში, დაბლა სართულის ოთახები სავსეა ამ სასტუმროში გაჩერებული ვაჭრების საქონლით. სასტუმროს წინ არის ვერანდა ცხენების, ჯორების და სხვა პირუტყვის გასაჩერებლად, მაღლა ოთახებსაც აქვთ აივანი ხის მოაჯირით, თუმცა ოთახები კეთილმოწყობილი არაა. სტუმარს თვითონ უნდა აქონდეს ლეიბი დასაწოლად, სამზარეულოს ჭურჭელი, საწვავი და სხვ. კარისკაცი აქირავებს სასტუმროს და დღისით დარაჯობს კარებს, რომელიც ღამით იკეტება. მისი შემოსავალი მოგზაურისგან აღებული თანხა და საქონელის ქირაა. ოთახში ორი პიასტრა²⁹ გადავიხადეთ; ერთი დღის ქირა ოთხ პარას³⁰ (ერთ ინგლისურ პენს უდრის) შეად-

გენს და თითო ცხენის ერთი დღით შენახვა კი ერთი პარა ღირს. სურსათს ბაზარში ვყიდულობდით და საჭმელს ჩვენს ოთახში ვაკეთებდით. ჩვენი ძირითადი საკვები ცხვრის ხორცი იყო. თურქები არ მიირთმევენ საქონლის ხორცს და, შესაბამისად, საქონლის ხორცი არც ვარგოდა. ჰამაში ყოფნისას, ბატონ ბარკერისგან ნებართვის წერილი მივიღეთ, რომელიც ბატონ რობერტ ლისტონისთვის მიეწერა. ეს ნებართვა საშუალებას გვაძლევს ოთხ მსახურთან ერთად სირიის, კვიპროსის, არქიპელაგის კუნძულების, სმირნას, ადანას, კარამანის, კარაჰისარისა და კიუტაიას გავლით ჩავიდეთ ბრუსაში³¹, ხოლო იქიდან კონსტანტინოპოლში. ძალზე მეგობრულად მოგვექცევიან, გვექნება ყოველგვარი დახმარება, უსაფრთხოება, დაცვა და როცა არ უნდა დაგვჭირდეს, ესკორტი მოგვემსახურება. სანამ სასტუმროში გაჩერებულეები ვიყავით, ერთ საღამოს ოთხი ცუდად ჩაცმული თურქი მოვიდა, ჯვარისკაცებივით ეცვათ. უფროსი მათგანი უკეთ იყო შემოსილი, მაგრამ ხეირიანად მაინც ვერ გამოიყურებოდა. ამ ხალხმა თან მოიყვანა თერთმეტი ქართველი გოგო. როგორც გვაცნობეს, ესენი ორმოცი - ორმოცდაათი გოგოდან იყვნენ დარჩენილები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან მშობლებს მოსტაცეს და მდიდარ თურქებზე მონებად, ან ხასებად უნდა გაეყიდად. საცოდავი გოგონები ჩვენს მეზობლად მდებარე ოთახში გააჩერეს. უმრავლესობა თხუთმეტიდან ოც წლამდე იყო; ორი უფრო პატარა - თორმეტი წლამდე. ყველა ერთმანეთზე ლამაზი. შავი, მზინვარე თვალებით, ვარდისფერი ლოყებით, გრძელი შავი თმით და საუცხოო გარეგნობით, რაც ვოლნის დახასიათების საწ-

ინამდევნო ქართველი და ჩერქეზი ქალების სილამაზის შესახებ. ის ამბობს: „მათი სილამაზის პოპულარობა გამოდინარეობს მათი დანახვის სირთულედან, რომელსაც მგზავრები აწყდებიან. სინამდვილეში კი არანაირი ხიბლი არ გააჩნიათ-ო“. თანხა, რომელსაც ამ გოგონებში ითხოვდნენ, წარმოდგენას შეგიქმნიდა იმ ფასზე, რასაც თურქები მათში იხდიდნენ. მომსწრენი გავხდით, როგორ იყიდა ერთი გოგო მდიდარმა თურქმა. ამისათვის მყიდველს თოთხმეტ ქისას თხოვდნენ, თითო ქისა 500 პიასტრი, დაახლოებით 18 ფუნტი სტერლინგია.³² მყიდველმა ათი შესთავაზა, მაგრამ ერთი პარაც არ დააკლეს. საწყალი გოგო, რომელიც დაახლოებით თხუთმეტი წლის იყო, ფეხზე იდგა და უსმენდა, როგორ ვაჭრობდნენ მის გაყიდვაზე. ისინი ოთხჯერ, სხვადასხვა დროს ქალაქის გავლით მიჰყავდათ მდიდარი თურქების სახლებში, რათა ეჩვენებინათ და ევაჭრათ; ორჯერ თავად მოვიდნენ მყიდველები ჩვენს სასტუმროში და ოთახის კარიდან ათვალიერებდნენ უბედურ გოგონებს. როცა მათ სილამაზეზე მსჯელობდნენ, ისინი მწკრივში უნდა მდგარიყვნენ. ზოგი მყიდველი ორმოცდაათ წელს აღემატებოდა, იმ დროს როცა გოგონები მხოლოდ თხუთმეტი წლისანები იყვნენ. ამ უბედურებს წესიერად საჭმელსაც არ აჭმევდნენ. მხოლოდ ერთი ნატეხი პური და პატარა ნაჭერი ყველი ორჯერ დღეში; ფორთოხალი სულ ორი პარა (ნახევარი პენი) ღირდა, მაგრამ მათ არასოდეს არ აძლევდნენ. როდესაც მეპატრონეები სხვაგან წავიდოდნენ, გამოკეტავდნენ ამ უბედურებს ოთახში და გასადები თან მიჰქონდათ. ქალაქიდან მორიგი დაბრუნებისას, ერთ-ერთი პატარა გოგოს მწარე მოთქმა-გოდე-

ბა მოგვესმა, რომელსაც გაყიდვას უპირებდნენ. იგი ტიროდა, არაფრით უნდოდა თავისი დისა და მეგობრებისგან დაეშორებინათ. ამ საცოდავ გოგონებს ქალაქიდან ქალაქში ცხენზე შემოსმულებს დაატარებდნენ. ასე ჩამოიყვანეს ისინი საქართველოდან. გასაყიდად სთავაზობდნენ ყველა დიდ ქალაქში. ახლა დამასკოში მიჰყავდათ, სადაც ფიქრობდნენ, რომ მათი გაყიდვით კარგ ფულს იშოვიდნენ. ისინი ჩვენზე ორი დღით ადრე გაემგზავრნენ. ბრიუსს³³ თავისი შეხედულება აქვს ქართველ და ჩერქეზ ქალბატონებზე და ვფიქრობ, რომ სიმართლესთან ის უფრო ახლოა, ვიდრე ვოლნი.³⁴

შენიშვნები:

1. **ჰამა** - დასავლეთ-ცენტრალურ სირიაში, მდინარე ორონტესის ნაპირებზე მდებარე ქალაქი. ის ჩრდილოეთით დამასკოდან 213 კილომეტრის, ხოლო ჰომსიდან 32 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ქალაქი ჰამის მუჰაფაზის პროვინციულ დედაქალაქს წარმოადგენს. 854,000 მოსახლით ალექოს, დამასკოს და ჰომსის შემდეგ ჰამა სირიის სიდიდით მეოთხე ქალაქია.

2. **მექა** – (არაბ. **مكة** **المكة**, თურქ. **მეკე**, ურდუ **مكة** **مكة**) - საუდის არაბეთის მექას პროვინციის დედაქალაქი, ისტორიულ ჰეჯაზის რეგიონში. მდებარეობს ჯედადან 73 კმ-ში, აბრამის ვიწრო ქვიშიან ხეობაში, ზღვის დონიდან 277 მ-ში, წითელი ზღვიდან 80 კმ-ში. მექაში არის კუბური ფორმის ნაგებობა ყააბა (ქააბა) არაბ. **كعبة**. ისლამურ რელიგიაში ეს არის ყველაზე სათაყვანებელი ადგილი. ისლამური ტრადიციის თანახმად შენობა აგებულია მოციქულ იბრაჰიმის (აბრამის) მიერ ორიათასზე მეტი წლის წინ. ნაგებობის გარშემო სამლოცველოა

(მასკი)–მასჯიდ ალ-ჰარამი. ლოცვის დროს ყოველი მუსლიმანი, დედამიწის რა ადგილასაც არ უნდა იმყოფებოდეს, სახით ქააბასკენ ბრუნდება და ლოცვას ისე ადავლენს. ქააბა კოსმოსიდან ყოველთვის თეთრად ჩანს, მუდმივი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მლოცველების გამო. ქალაქი ისლამის უწმინდეს ადგილად ითვლება და ჰაჯის მიხედვით ყველა ფიზიკურად ჯანმრთელ და შეძლებულ მუსლიმანს მოეთხოვება ამ ადგილის მონახულება სიცოცხლეში ერთხელ მაინც.

3. **ჰომსი** – (არაბ. حمص) - ქალაქი დასავლეთ სირიაში, ელ-ასის ხეობაში. ჰომსის მუჰაფაზის ადმინისტრაციული ცენტრი. მოსახლეობა – 900 492 ადამიანი.

4. **პალმირა** – (არაბ. تدمر, ძვ. ბერძნ. Π λμύρ) - უძველესი არამეული ქალაქი თანამედროვე სირიის ცენტრალურ ნაწილში. პალმირა უძველესი დროიდანვე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა. ქალაქიდან 215 კილომეტრში მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქი დამასკო, ხოლო 180 კილომეტრში – მდინარე ეფრატზე არსებული ქალაქი დეირ-ეზ-ზორი. ეს ადგილი უკვე საუკუნეებია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთელ სირიის უდაბნოში. პალმირა განიცდიდა ბერძნულ-რომაული და სპარსული ცივილიზაციის გავლენას, რაც აქ არსებულ ნასახლარებზე და ტაძრებზე მკვეთრად აისახა.

5. **დამასკო** - (دمشق ტრანსლიტ: დიმაშყ, აგრეთვე ცნობილი როგორც اششام ash-Shām)– სირიის დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქი; მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი. მისი მოსახლეობა ამჟამად შეადგენს 4,5 მილიონს.

6. **ბარკერი** – არ იძებნება.

7. **სელიმი** – როგორც ტექსტიდან ირკვევა, სელიმი ჰამას გუბერნატორის მდივანი იყო. სხვა ინფორმაცია, არ იძებნება.

8. **სკანდერი** – მოგზაურთა ტექსტის მიხედვით სკანდერი ჰომსის მმართველის მდივანი იყო, სხვა ინფორმაცია არ იძებნება.

9. **ჰაჯი ჰასანი** – არ იძებნება.

10. **დამასკოს ფაშა** – სავარაუდოდ იგულისხმება ჰაფიზ ამასიალი ფაშა, რომელიც დამასკოს 1816-1817 წ.წ. მართავდა. მან ამ თანამდებობაზე 1816 წლის მაისში სილაჰდარ სულეიმან ფაშა შეცვალა. აღსანიშნავია, რომ 1810-1812 წ.წ. დამასკოს მმართველი წარმოშობით ქართველი მამლუქი სულეიმან ფაშა აღ აღილი იყო. იხ. Thomas Philipp, *Acre the Rise and Fall of a Palestinian city 1730-1831*, New York, 2001, p. 78.

11. **რობერტ ლისტონი** - შოტლანდიელი ქირურგი (1794-1847 წ.წ) სასულიერო პირისა და გამომგონებლის ჰენრი ლისტონის ვაჟი. განათლება მიიღო ედინბურგის უნივერსიტეტში. მოღვაწეობდა ედინბურგის სამეფო საავადმყოფოში.

